K 103 557
3

ოთარ ჩხეიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი ამაზონელები

«ცოდნა»

8-93.84-3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლგა სალარიძე

# ჯადოსანი პოსტალიონი

ფანტასტიკური მოთხრობა

K103.S57
3

სუბ. 2000
ბიბლიოთეკა

ბ. ბარამიძის სახ. სსრ. სახელმწიფო
ოფსეტური ბეჭდვა
ბიბლიოთეკა
თბილისი

საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნ ა კ ა დ უ ლ ი“
19 თბილისი 62.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეცნიერებამ მთელი მსოფლიო განაცვიფრა ბრწყინვალე გამარჯვებებით კოსმოსის დაპყრობის საქმეში. კაცობრიობის ისტორიაში სამუდამოდ ჩაიწერა პირველი კოსმონავტების იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის ლეგენდარული გმირობა.

ბუნებრივია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა უდიდესი ინტერესით ეწაფება მეცნიერულ-ფანტასტიკურ ლიტერატურას, სადაც ის თავის მაღალ სულიერ მისწრაფებათა ასახვას პოულობს. უკანასკნელ ხანებში რუსულმა მწერლობამ მრავალი საყურადღებო მეცნიერულ-ფანტასტიკური ნაწარმოები შექმნა. ქართველმა მწერლებმაც უფრო ნაყოფიერად უნდა იმუშაონ ამ ჟანრში.

„ბარათი მარსიდან“ ახალგაზრდა ავტორის ოთარ სადრაძის პირველი წიგნია.

გამომცემლობა სთხოვს მკითხველებს, მოგვაწოდონ თავიანთი აზრი ამ წიგნის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ოკეანის გალმა

ჰარიმ ღილაკს თითი დააჭირა და გადატკეცილ თმაზე ხელი გადაისვა. მდივანი გოგონა კართან აიწურა.

— ჯეფერსონი არ მოსულა?

— მოსაცდელ ოთახში გელოდებათ.

— შემოვიდეს.

ოთახში მოხუცი მამაკაცი შემოვიდა. ჰარიმ სახე დამანჭა.

— რით შეგიძლიათ გამახაროთ?

ჯეფერსონი სდუმდა.

— ხომ არ გავიწყდებათ, რომ მარსი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს. გაზეთებს კითხულობთ?

ჯეფერსონმა თავი დაუქნია.

— როდის იქნება მზად ამერიკული შუშხუნა?

— იგი ჯერ...

ჰარიმ მუშტი დაარტყა მაგიდას.

— რატომ მიყურებთ ასე? მგონი, გარკვევით ვთქვი: რუსები უახლოეს დროში მარსზე გაფრინდებიან. ჩვენ კი პირდაღებული

შევყურებთ. აი, ჩვენი ნაქები მეცნიერება! როდის იქნება შუშხუნა მზად?

ჯეფერსონმა მხრები აიჩეჩა.

— დაახლოებით ერთ წელიწადში.

— ერთ წელიწადში! — გამოაჯავრა ჰარიმ და ჭიქა ვისკით შეავსო. — ხვალვე მოათავსეთ განცხადება გაზეთში: „საპლანეტათშორისო შუშხუნა მზად არის. ერთი თვის შემდეგ დანიშნულია პირველი გაფრენა“. დანარჩენზე მე ვიზრუნებ. გასაგებია?

ჯეფერსონმა თავი დაუქნია და გავიდა.

ჰარიმ ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

ოთახში მდივანი გოგონა შემოვიდა.

— სი-აი-სიდან მოვიდნენ...

— სთხოვეთ.

ლოყებლაჟღაჟა მაღალი მამაკაცი მხიარულად მიესალმა ჰარის და სავარძელში ჩაჯდა.

ჰარიმ წარბებს ქვევიდან ახედა მოსულს.

— ჯეკ, საჭიროა თქვენი დახმარება, — უთხრა მან და მაგიდის ქვედა უჯრიდან სავსე ბოთლი გამოიღო. ჭიქები შეავსო.

— მზად ვარ გემსახუროთ, თქვენ ყოველთვის კარგად გვაფინანსებდით.

— გამიგონეთ, ჯეკ, სასწრაფოდ ხელთ უნდა ვიგდოთ რუსების შუშხუნის უკანასკნელი პროექტი. მარსზე გაფრენა პირველად ჩვენ უნდა განვახორციელოთ, გაფრენის დღე უკვე დავნიშნე.

— გასაგებია, სერ!

— მიყვარს სამხედრო ხალხთან საუბარი. ჩვენ ყოველთვის კარგად გვესმოდა ერთმანეთის.

— რასაკვირველია, სერ!

— შესაფერისი კანდიდატურა გყავთ?

თქვენ მას კარგად იცნობთ. „მახრა“ გახსოვთ?

ჰარის ჩაეღიმა.

— შეიძლება ვენდოთ?

— მხოლოდ...

— არაფერია, მოვრიგდებით.

— მაშინ ახლავე დავიწყოთ. მე იგი თან მოვიყვანე.

— შემოვიდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში შემოვიდა ელეგანტურად გამოწყობილი მამაკაცი და შლიაპასთან მარჯვენა ხელის ორი თითი მიიდო.

— ჰელოუ! — მიესალმა დამხვდურთ.

— თქვენთვის გასაგებია ჩვენი შეხვედრის მიზეზი?

მოსულმა ცალყბად გაიღიმა და საკარძელში მოხერხებულად ჩაჯდა.

— თითქმის...

— მით უკეთესი. მე მაინტერესებს რუსების უკანასკნელი შუშხუნის პროექტი. რამდენ ხანში შეგიძლიათ ჩამაბაროთ?

— ერთ თვეში.

ჰარიმ ხელისგულები სიამოვნებით მოისრისა.

— მაშინ საქმეზე გადავიდეთ. რამდენს თხოულობთ?

— მილიონ დოლარს.

ჰარის მღელვარებისაგან ნერწყვი გადასცდა სასულეში.

— მილიონი? — ჩაილაპარაკა მან და სული მოითქვა.

— მე კარგად ვიცი ჩემი ფასი.

— სხვაგან ნახევარ ფასად მუშაობდით!

— სხვაგან სხვა იყო, — ეს რუსეთია.

— ესე იგი, მილიონი დოლარი?

— მილიონი. დამრგვალებული ციფრები მიყვარს.

— ბანდიტო! — ჰარიმ მაგიდას მუშტი დაარტყა.

უცნობი ადგა. მაგიდას მიუახლოვდა. სავსე ჭიქა ხელში აიღო.

— თუ ბანდიტები არ მოგწონთ, შეგიძლიათ საქმე ანგელოზებთან დაიჭიროთ, — მშვიდად უთხრა მან და გადაჰკრა.

— ხუთასი ათასი.

— მილიონი!

— ექვსასი ათასი.

— მე აქ სავაჭროდ არ მოვსულვარ!

— რვაასი.

— არც ერთი ცენტით ნაკლები!

— ჯანდაბას, მოიტათ ხელი!

უცნობმა ხელი გაუწოდა.

— გახსოვდეთ: თუ ჩავარდით, კატორღას არ გაკმარებთ.

— თქვენ ნუ შეწუხდებით, ამას რუსებიც მოახერხებენ.

ჰარიმ გულიანად გადაიხარხარა.

— როდის შეუდგებით საქმეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთ კვირაში. პატარა პლასტიკური ოპერაცია და ყველაფერი რიგზე იქნება.

— მაშ ასე, ერთი კვირის შემდეგ აქ, ჩემთან გელით.

— ავანსი... — მოითხოვა უცნობმა და, სანამ ჰარი ავანსს გამოსწერდა, ზედიზედ გადაჰკრა ორი ჭიქა. — აი, ეს მესმის, ო, კეი!

უცნობი წავიდა. ჯეკი უკან გაჰყვა, კიბეებზე წამოეწია და მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი.

— არ დაგავიწყდეს, ამ საქმის მოწყობისათვის მილიონიდან ოცი ათასი ჩემია.

უცნობმა თვალი ჩაუკრა და გაუღიმა.

ჰარიმ საუზმე დაუკვეთა, რადიომიმღები ჩართო და ფანჯარა გამოაღო. ოთახში ქუჩის ღრიანცელი შემოიჭრა.

— სენსაცია, სენსაცია! რუსებმა...

არაადამიანური ხმით გაჰყვიროდა გაზეთის გამყიდველი ბიჭი.

## შუშხუნა კოსმოსში

მთვარის დროით ღამის რვა საათისათვის პროფესორი თეიმურაზ ჯანდიერი ობსერვატორიაში ავიდა. იქ მას ორი ასისტენტი დახვდა. თეიმურაზმა ახალგაზრდებს სალამზე თავის დაქნევით უპასუხა და საგარდერობო ოთახში შევიდა.

რუსუდანმა ხელსაწყოების ამოლაგება დაიწყო. ანდრომ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სიტყვები ერთმანეთს ვერ გადააბა და გაწითლდა. თეიმურაზ ჯანდიერი სხვადასხვა ფერის ღილაკებით აჭრელებულ მაგიდას მიუახლოვდა. ტელესკოპი ჩართო. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ალმოსავლეთით გამოჩნდა მთვარის „მთვარე“ — დედამიწა. მისი ლურჯი ფერის დისკო ნათელად ადგა მთვარეს. ობსერვატორიის უფროსი მეცნიერ-მუშაკი ანდრო კერესელიძე ფირების მგრძნობიარობას ამოწმებდა. ელექტროაპარატში ობიექტივს ხრახნიდა და ცალი თვალით რუსუდანისკენ იყურებოდა. რუსუდანი საქმით იყო გართული. დროდადრო ნაზი თითებით სახეზე ჩამოყრილ ფერფლისფერ თმებს ისწორებდა და ოხრავდა. ანდროს გული შეეკუმშა.

„გამოიცვალა ამ ბოლო დროს“, — გაიფიქრა მან.

ქვევით ყრუდ გაისმა ფეხის ხმა. კიბის თავში ნოდარი გამოჩნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუბლზე დაყრილი შავი თმა თავის აქნევით უკან გადაიყარა და რუსუდანს მხარზე მოუთათუნა ხელი.

— მაპატიეთ დაგვიანება, მაგრამ ისეთი საინტერესო...

— სხვა დროს, — შეაწყვეტინა ჯანდიერმა.

— ბატონო თეიმურაზ, მე ხომ...

— კარგი, კარგი, ყველაფერი გასაგებია, საქმეს მიხედეთ.

ნოდარმა რუსუდანს თვალი ჩაუკრა, ანდროს მხარზე ხელი დაჰკრა და მაგიდას მიუჯდა. ანდრომ რუსუდანისკენ გააპარა თვალი და წარბი შეჰკრა. რუსუდანი ერთ ადგილას იდგა და კოსმოსში იყურებოდა.

— მოემზადეთ, — თქვა თეიმურაზმა და ჩამრთველი გადააბრიალა.

ობსერვატორიაში ჩამობნელდა. რუსუდანმა მიმღები ყურებზე მოირგო. ნოდარმა რადიოტალღები კოსმოსში გაუშვა და რადიოლოკატორის ეკრანი ჩართო. ანდრომ ტელეობიექტივი დედამიწას დაუმიზნა. თეიმურაზი ფრთხილად აბრუნებდა ბორბალს. რუსუდანი დაიძაბა.

— სიგნალები! — აღელვებით წამოიძახა მან და მაგნიტოფონი ჩართო.

თეიმურაზმა ბორბალი დაამაგრა. გამოჩნდა ყვითელ ბურუსში გახვეული მარსის ნაცნობი რელიეფი. „ისევ ქარიშხალი მძვინვარებს“, — გაიფიქრა თეიმურაზმა და ტელესკოპს მიმართულება შეუცვალა. ობიექტივში მარსის სხვა ნაწილი გამოჩნდა. მარსის ამ ნაწილში ატმოსფერო შედარებით უფრო სუფთა იყო. გარკვევით მოჩანდა უცნაური ფორმის ბორცვები, არხები. თეიმურაზმა საათზე დაიხედა. „უკვე დროა“, — გაიფიქრა მან და სწორედ ამ დროს მარსის ეკვატორი წერტილისოდენა ჩრდილმა გადაკვეთა. ცოტა ხნის შემდეგ ჩრდილი ისევ გამოჩნდა. ამჟამად თითქოს ვიღაც უხილავის ხელმა ასანთის გაჰკრაო, ჩრდილზე შუქმა იფეთქა. ჯანდიერმა უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა და ნოდარს გასძახა:

— კოსმოსს ადევნე თვალყური!

მარსის პლანეტა თანდათანობით გაუფერულდა და მალე ისე დაპატარავდა, რომ ვარსკვლავს დაემსგავსა. თეიმურაზი ენერგიულად აბრუნებდა ბორბალს: „სად არის „ოლიმპია“? სად არის მეორე ელიფსი?“ — ჯავრობდა თეიმურაზი. ერთი მეორეს მიყოლებით გაირბინეს ობიექტივში დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრებმა. აი, ჩვენები: „თავისუფლება“, „პარიზის კომუნა“,

„ოლიმპია“. „ოლიმპიის“ ზედაპირი ვერცხლისფრად ბზინავდა. „ოლიმპია“ შეირყა, ნაპერწკლები გაჰყარა და თანდათანობით დაიწყო ქვევით დაშვება. რუსუდანი გაფაციცებით უსმენდა კოსმოსს. რადიომიმღები ხრიალებდა. ერთი წუთით აპარატურამ მუშაობა შეწყვიტა, მერე გარკვევით გაისმა კოსმოსში უბედურების მაუწყებელი სიგნალები.

— „ოლიმპიაზე“ კატასტროფაა, შველას თხოულობენ, — თქვა რუსუდანმა და საჩქაროდ დაუკავშირდა მიწას. „ოლიმპიის“ ორბიტი დაირღვა, სიმაღლე სწრაფად მცირდებოდა. საკმარისი იყო რამდენიმე წუთი და ხელოვნური თანამგზავრი ასცდებოდა ორბიტს. „ოლიმპია“ ისევ შეირყა, გასწორდა. ქვევით ცეცხლის ორი ზოლი გამოეკიდა, ვარდნა შეწყდა და თანდათანობით დაიწყო დაკარგული სიმაღლის აღდგენა.

თეიმურაზმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— კოსმოსში სხეული მოძრაობს, — ხმამაღლა თქვა ნოდარმა და მრიცხველი ჩართო. რადიოლოკატორის ეკრანზე მრუდეებმა გაირბინეს. ანდრომ ელექტროფოტოაპარატი ჩართო, კადრების სიჩქარე ავტომატურზე დააყენა და ისევ ობიექტივს მიუჯდა. თეიმურაზმა ზეცას ახედა. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ზეცა მბზინავმა სხეულმა გადასერა.

— დედამიწის ატმოსფეროში კომეტა შეიჭრა, — წამოიწყო ანდრომ, — აალდა... იწვის... ღრუბლებს მოეფარა.

სწორედ ამ დროს მაგნიტოფონმა გრუხუნის ხმა აღბეჭდა ფირზე. თეიმურაზმა სათვალე მოიხსნა და ფეხზე წამოდგა.

— დამთავრდა, — თქვა მან და ჩამრთველი გადაატრიალა. ობსერვატორია გაანათდა. ანდრომ ელექტროფოტოაპარატი გამორთო და ფირის გამომქაღავნება დაიწყო. რუსუდანი ხელსაწყოების მონაცემებს იწერდა, ნოდარი ციფრებს აჯამებდა. თეიმურაზი ბოლთას სცემდა და თავისთვის რაღაცაზე ფიქრობდა, ნოდარი დაჯამებას მორჩა.

— მბზინავი სხეული წამში ორმოცდაოთხი კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა დედამიწის მიმართულებით. ეს ოთხჯერ აღემატება ჩვენი შუშხუნის სიჩქარეს.

— როგორ მოგწონთ? — შეეკითხა თეიმურაზი ნოდარს, მაგრამ ნოდარმა არ უპასუხა, რუსუდანს მოუბრუნდა.

— შეადარეთ მონაცემები?

— დიახ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე?

— ზუსტად იგივე განმეორდა.

თეიმურაზმა კმაყოფილებით ჩამოისვა ხელი ლოყაზე და ულვაშის ბოლო ჩაიგრიხა.

— კიდევ გეპარებათ ეჭვი?

ნოდარმა მხრები აიჩეჩა.

— მაშასადამე, თქვენი აზრით, ეს კომეტა იყო? — იკითხა თეიმურაზმა.

ნოდარი სდუმდა.

— ჩემი აზრით... — წამოიწყო რუსუდანმა, მაგრამ თეიმურაზმა შეაწყვეტინა...

— ვიცი, ვიცი. თქვენ ორივეს ერთი და იგივე აზრი გებადებათ. მაშასადამე, თქვენ ვერავითარ კავშირს ვერ ხედავთ მარსზე შემჩნეულ აფეთქებასა და იმ მეტეორიტს შორის, რომელიც ეს წუთია დედამიწის ატმოსფეროში აალდა.

ანდრომ გამომჟღავნებული ფირი მიაწოდა ჯანდიერს. თეიმურაზმა ყურადღებით დაათვალიერა იგი.

— ახლა რაღას იტყვით? ასეთ ზოლს მხოლოდ შუშხუნა ტოვებს ფირზე.

— კი, მაგრამ, — შეეკამათა ნოდარი, — თუ მარსის ფოტორელიეფურ რუკას დავუჯერებთ, იქ სიცოცხლე არ უნდა არსებობდეს... თუ შუშხუნა მარსიდან მოფრინავდა, ვის უნდა აეშვა იგი?

— მარსელებს.

— მარსელებს? თქვენ ხუმრობთ, პროფესორო.

— სრულიადაც არა. საკმარისია საბოლოოდ დავრწმუნდე, რომ სხეული, რომელიც ატმოსფეროში შეჭრისას აალდა, შუშხუნა იყო, რომ დავამტკიცო მარსზე ადამიანების არსებობა. მე მათ უკვე ვხედავ.

— მარსელებს? სად?

— ეს ჯერ საიდუმლოებაა...

მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა. ჯანდიერმა ყურმილი აიღო.

— გისმენთ... „განთიადიდან“?.. ნამდვილად გაარჩიეს შუშხუნა? გმადლობთ, გმადლობთ. მეც ასე ვფიქრობდი.

— ხედავთ, „განთიადიდან“ შეუმჩნევიათ შუშხუნა, ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით ჩაუვლია. თურმე შავად ბზინავდა.

— შავად? — გაუკვირდა ნოდარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, შავად. გრძელი და ვიწრო ფორმის ყოფილა. ... რაღას იტყვით? ჩემი ჰიპოთეზა მართლდება. შუშხუნა მარსიდან იყო აშვებული. რადგან შუშხუნის არსებობა დასტურდება, მარსელების არსებობაც უნდა დადასტურდეს.

ტელეფონი განუწყვეტლივ რეკდა. ცნობები მოდიოდა დედამიწის ყველა ხელოვნური თანამგზავრიდან. ყველა ცნობა ერთი და იგივე შინაარსის იყო:

„რვა საათსა და ოცდაათ წუთზე კოსმოსის დროით ცის აღმოსავლეთ ნაწილში შემჩნეულ იქნა გრძელი და ვიწრო ფორმის შუშხუნა. შუშხუნა მოძრაობდა ორმოცდაათხი კილომეტრის სიჩქარით წამში. დედამიწის ატმოსფეროში შეჭრისას შუშხუნა აფეთქდა“.

თეიმურაზი მაგიდასთან მივიდა, დააზუსტა შუშხუნის ატმოსფეროში შეჭრის ადგილი და გამოარკვია დედამიწის სფეროს დამოკიდებულება ამ წერტილის მიმართ. ყველა მონაცემის თანახმად შუშხუნა, თუ იგი ატმოსფეროში შეჭრისას არ აფეთქდა, სადმე შავი ზღვის მიდამოებში უნდა დაცემულიყო, ან ოდნავ ჩრდილოეთით. თეიმურაზმა რუკა გაშალა და შუშხუნის მოსალოდნელი დაცემის ადგილის დაზუსტებას შეუდგა. მხოლოდ ერთი ვარიანტი ამართლებდა შუშხუნის ამ ტერიტორიაზე დაცემას. კერძოდ ის, რომ შუშხუნის უმნიშვნელო გადახრამ კურსიდან, დაშვების წერტილიდან ვეებერთელა გადაადგილება გამოიწვია. შავ ზღვას დასაშვებად არ აირჩევდნენ. ზღვა რომ სდომებოდათ, მაშინ რომელიმე დიდ ოკეანეს შეარჩევდნენ. ეს უფრო გამართლებული იქნებოდა. თეიმურაზი ცდილობდა უფრო ნათლად წარმოედგინა შუშხუნის დაცემის ადგილი და ათასგვარ ვარიანტს ადარებდა ერთმანეთს. ნოდარი შუშხუნის მარშრუტს აზუსტებდა და რთული მათემატიკური გამოთვლებით იყო გართული. ანდრო დედამიწის ატმოსფეროში შეჭრის კოორდინატებს ამოწმებდა. რუსუდანი ხელსაწყოებს ალაგებდა ყუთებში.

ობსერვატორიაში მიწასთან კავშირის მორიგე დისპეტჩერი ამოვიდა და ჯანდიერს ვრცელი რადიოტელეგრამა მიაწოდა. თეიმურაზმა სწრაფად ჩაიკითხა ტექსტი და იქვე უკარნახა პასუხი.

— სასწრაფოდ აცნობეთ დედამიწას, — თქვა მან და რადიოტელეგრამა ნოდარს გადასცა. დისპეტჩერი წავიდა. ნოდარი გულდასმით კითხულობდა ტექსტს. თეიმურაზს თვალები უციმციმებდა.

— არ მოელოდით? — უთხრა თეიმურაზმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიმართლე გითხრათ, არა. მე მეგონა, ატმოსფეროში შეჭრისას აფეთქდებოდა.

— თქვენ გეგონათ, მაგრამ ასე არ მოხდა. მოემზადეთ, თორმეტ საათზე მიწაზე გაფრინდებით.

თეიმურაზმა უჯრიდან სქელყდიანი დაკვირვებათა დღიური ამოიღო და ჩაწერა:

„რვა საათსა და ხუთ წუთზე მთვარის დროით, ათ ივნისს მთვარიდან მარსის პლანეტაზე შემჩნეულ იქნა აფეთქება. აფეთქებას წინ უსწრებდა გაურკვეველი შინაარსის რადიოსიგნალები, რომელიც ჩვენმა მთვარის ობსერვატორიის რადიოსადგურმა მიიღო. რვა საათსა და ორმოც წუთზე დასავლეთიდან აღმოსავლეთით ზეცა გრძელი ფორმის შუშხუნამ გადასერა. შუშხუნა წამში ორმოცდაოთხი კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა და რვა საათსა და ოცდაათ წუთზე დედამიწის ატმოსფეროში შეიჭრა. ატმოსფეროში შეჭრისას აალდა და ღრუბლებს მოეფარა. შუშხუნა დაინახეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან. დღესვე, როგორც მწვანე კონცხიდან ჩემი ასისტენტი მატყობინებს, აბასთუმნის ობსერვატორიის აღმოსავლეთით შემჩნეული იყო აღმოდებული მეტეორიტი. მეტეორიტი წამში ოცდაცამეტი კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა აღმოსავლეთიდან დასავლეთით და სადღაც კავკასიონის მიდამოებში დაეცა. დღეს თორმეტ საათზე მივემგზავრებით დედამიწაზე. ათი ივნისი. თეიმურაზ ჯანდიერი“.

თეიმურაზი წასასვლელად მოემზადა.

— შენ არ წამოხვალ? — შეეკითხა ნოდარს.

— ცოტა ხანს დავრჩები, აქ ზოგიერთი რამ დასაზუსტებელია.

ჯანდიერი ობსერვატორიიდან გავიდა. ნოდარმა კარგა ხანს იმუშავა და როდესაც წასვლა დააპირა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია რუსუდანი, რომელიც ანდროს მაგიდასთან იჯდა თავჩაღუნული.

— რუსუდან, რა მოხდა?

რუსუდანი შეკრთა, მძიმედ ასწია თავი. მის თვალებში სევდა ჩამდგარიყო.

ნოდარი ახლოს მივიდა.

— მელოდებოდი?

რუსუდანმა სახე მოარიდა და უფრო თავისთვის თქვა:

— მიდიხარ?

— მივდივარ.

— დღეს?

— დღეს.

— დიდი ხნით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი.

— ალბათ, ძალიან გიხარია, არა?

— როგორ გითხრა... წავიდეთ, — უთხრა ნოდარმა. ქაღალდები ყდაში ჩადო და კიბეზე დაეშვა. რუსუდანი უკან დაედევნა. კიბის ბოლოს წამოეწია და მხარზე ჩამოეკიდა.

— ასეთი სირბილი თუ იცოდი, არ მეგონა, კინაღამ გული ამომივარდა.

ნოდარმა გაუღიმა.

— თუ დაგაგვიანდა, დეპეშა გამომიგზავნე.

— აუცილებლად, — უპასუხა ნოდარმა და რატომღაც უცებ თვალწინ ნაცნობი გოგონა წარმოუდგა. მზისაგან გარუჯული სახე, მხრებზე დაყრილი შავი თმები, დამცინავი ღიმილი, კრიალა თოვლი, ბაკურიანი.

— მედეა, — ჩუმად თქვა ნოდარმა და თვალები სივრცეს გაუშტერა.

— რა თქვი? — ჰკითხა რუსუდანმა.

— არაფერი.

რუსუდანი გაკვირვებული იდგა. მერე საიდანღაც ანდრო გამოჩნდა, გვერდით ამოუდგა და ნოდარის გასაგონად თქვა:

— წავიდეთ, რამდენი ხანია გელოდები.

ნოდარმა უხერხულად იგრძნო თავი. სწრაფად შეტრიალდა და წავიდა.

*
* *

ზუსტად თორმეტ საათზე მთვარის დროით, სასტარტო მოედნიდან ზეცაში სიგარის ფორმის საპლანეტათშორისო სამგზავრო შუმხუნა ავარდა და გეზი დედამიწისაკენ აიღო.

*
* *

იმავე ღამეს, ზუსტად თორმეტ საათზე, შავ ზღვაში საბჭოთა კავშირის საზღვარს უცნაური კონსტრუქციის წყალქვეშა ნავი მოადგა. ნავი მოცურავდა მაქსიმალურ სიღრმეზე. სასიგნალო შუქი გამორთული ჰქონდა. განმასხვავებელი ნიშანი გულდაგულ შეენიღბათ. საზღვართან მოახლოებისას მოტორი გამორთო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხმოდ გასცურა სასაზღვრო ზოლი და ნაპირის მიმართულებით მიიმალა.

კაპიტნის კაიუტაში ორი მამაკაცი იდგა და წამმზომს დაშტერებოდა. კუთხეში მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი მაღალი მამაკაცი სიგარას ეწეოდა და თვლემდა. სამარისებურ სიწყნარეში წამმზომის ტიკტიკი ისმოდა.

— გავედით, — დაარღვია სიჩუმე წვერიანმა მამაკაცმა და წელში გასწორდა.

— ეს თითქმის დაუჯერებელი შემთხვევაა, ამჯერად ვერ შეგვნიშნეს, — თქვა მეორემ და შუბლზე ირიბად გაწოლილი ჭრილობა მოისრისა.

მაღალმა მეზღვაურმა თვალები გაახილა. ოთახს თვალი მოავლო და კაიუტიდან გავიდა. კარი ჭრიალით მიიხურა.

— გრაფიკში ზუსტად ჩავეტიეთ, — თქვა წვერიანმა.

პირველმა მიკროფონი აიღო ხელში.

— გადადით ფარფლებზე! იგივე კურსი!

მერე რუკასთან მივიდა და მარშრუტის ბოლოს წითელი ფანქრით ჯვარი დასვა.

— ათი წუთის შემდეგ დანიშნულების ადგილას ვიქნებით. მოამზადეთ ტვირთი!

კაპიტანი მარტო დარჩა. სიგარის კვამლი ღრმად შეისუნთქა და ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა. ერთ ხანს ასე იდგა. მერე ვენტილაცია ჩართო, საათზე დაიხედა და მიკროფონთან მივიდა.

— ფსკერამდის ათი მეტრია. მოამზადეთ ტვირთი!

— მზად არის! — იყო პასუხი.

— ტვირთი სტარტზე!

კაპიტნის უფერულ სახეს სიცოცხლე დაუბრუნდა.

— ყურადღება! გააღეთ გასასვლელი! გახსენით სარქველები! შემოუშვით წყალი!

სადღაც ნავის მეორე ბოლოს საკეტმა გაიტკაცუნა. ნავი ოდნავ შეირყა. რადიომიმღები ახმიანდა.

— ყველაფერი რიგზეა, ბატონო კაპიტანო!

— გადააგდეთ ტვირთი!

ნავი ისევ შეირყა. კაპიტანი ტელერადიოლოკატორის ეკრანს დააკვირდა. წყალქვეშა ნავს შავი, უფორმო მასა გამოეყო და ფსკერზე დაიძირა. კაპიტანი ეკრანს მოსცილდა. მიკროფონი ჩართო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დახურეთ სარქველი! გამოტუმბეთ წყალი! იმოძრავეთ ფარფლებით!

წყალქვეშა ნავი მძიმედ მოტრიალდა და დაიძრა.

## პირველი დაბრკოლება

როგორც კი შუშხუნამ ნორმალური სიჩქარე განავითარა, ჯანდიერი სალონში გავიდა. მინის პატარა მაგიდაზე ქაღალდები გაშალა და გამოთვლა დაიწყო. „ორმოცდათხი კილომეტრი წამში შუშხუნისათვის მეტისმეტად დიდი სიჩქარეა, — ფიქრობდა იგი, — მით უმეტეს, თუ შუშხუნა მარსიდან იყო გაშვებული“.

შუშხუნას რომ მარსის მიზიდულობა დაეძლია, საკმარისი იყო წამში ხუთი-რვა კილომეტრი დაეფარა. შესაძლებელია, შუშხუნამ ინერციის წყალობით შეიძინა ასეთი დიდი სიჩქარე. მაგრამ ეს მოსაზრება თეიმურაზმა სწრაფად უარყო. იგი საგონებელში ჩავარდა. ეჭვიც შეეპარა საკუთარი აზრის ლოგიკურობაში და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ შუშხუნა სხვა, შორი პლანეტიდან იყო აშვებული—იუპიტერიდან, ნეპტუნიდან, ან პლუტონიდან. ეს უკანასკნელი მზისაგან ექვსი ათასი მილიონი კილომეტრით არის დაშორებული. რასაკვირველია, ასეთი შორი მანძილის დასაფარავად გამართლებული იყო შუშხუნის დიდი სიჩქარე, მაგრამ ყველა მონაცემის თანახმად შორ პლანეტებზე სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობის მინიმუმიც კი არ არსებობს. ყველაფერი ეს და სხვა მრავალი იმაზე ლაპარაკობდა, რომ შუშხუნა მარსიდან იყო გაშვებული, სადაც სიცოცხლის არსებობა დიდი ხანია დაამტკიცეს. მაგრამ სიჩქარე? ეს „მაგრამ“ ყველაფერს ღუპავდა. თეიმურაზი თავიდან იწყებდა გამოთვლას, ადარებდა მონაცემებს, იქექებოდა მარსზე ადრეული დაკვირვების ჟურნალში და ერთ შესაძლებლობას მეორეთი ცვლიდა. ბოლოს მობეზრდა გაურკვევლობა და ნოდარის გვერდით დაჯდა. კარგა ხანს დუმდნენ პროფესორი და ასისტენტი. ნოდარი ჭერს უყურებდა და, ღმერთმა უწყის, რაზე ფიქრობდა. მყუდროება თეიმურაზმა დაარღვია.

— რაზე ფიქრობ?

— თქვენ შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ... — ნოდარი დადუმდა.

— მაინც?

— მთვარეზე, სამოცდამეხუთე კვადრატზე.

— არ მესმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გასაკვირიც არაფერია, ყველაფერი ფანტაზიის წყალობაა. მე წარმოვიდგინე, თითქოს... ჩვენ რომ გამოქვაბულთან ლითონისა და შუშის ნამსხვრევები ვნახეთ, ხომ შეიძლება შუშხუნის ნამსხვრევები იყოს. აი, დააკვირდით.

თეიმურაზმა სათვალე შეისწორა, ლითონის ნატეხი გამოართვა და პრიალა მხარეს დააკვირდა.

— შუშხუნაც შავი ფერის იყო, — თავისთვის თქვა თეიმურაზმა, — იქნებ სამოცდამეხუთე კვადრატზე რომელიმე შუშხუნა დაეცა და დაიმსხვრა.

— შესაძლებელია, — დაეთანხმა ნოდარი, — აი, თუ შუშხუნა არ აფეთქდა და პირვანდელი ფორმა შეინარჩუნა, მაშინ საიდუმლოს ფარდა აეხდება.

თეიმურაზმა უბის წიგნაკში რაღაც ჩაიწერა.

— ყურადღება, ვუახლოვდებით ატმოსფეროს! — გაისმა რადიომიმღებში კაპიტნის ხმა. სავარძლებმა ჰორიზონტალური მდგომარეობა მიიღეს.

ნოდარი და თეიმურაზი გულღმა იწვნენ სავარძლებზე და სალონის ჭერს უყურებდნენ. რეაქტიულმა ძრავამ მუშაობა შეწყვიტა. შუშხუნა ინერციით შეიჭრა ატმოსფეროში, თანდათანობით გაშალა „ჯიბეში“ შენახული ფრთები და დაშვება დაიწყო.

*

* *

მედიკომ ჯანდიერის პასუხი სამუშაოს დამთავრებისას მიიღო და თადარიგი დაიჭირა. სეიფი გახსნა. სქელ ყდაში ჩასმული ფურცლები ჩაათვალიერა და ზოგი რამ ამოიწერა. მერე უახლოეს რაკეტოდრომს დაუკავშირდა და ვერტმფრენი დაუკვეთა. ქაღალდები ისევ სეიფში ჩაკეტა. ამონაწერი ჩანთაში შეინახა და წასასვლელად მოემზადა. ვიღაცამ ჩაახველა. მედიკოს ობსერვატორიაში არავინ ეგულებოდა და გველნაკბენივით შემოტრიალდა.

— ხომ არ შეგაშინეთ? — იკითხა სანდომიანი სახის მოხუცმა.

— ბიძია გიორგი, თქვენა ხართ? აქ რამ ამოგიყვანათ?

— მე?.. მე ისე... ოთახები შემოვიარე.

— აქ შემოსვლა ხომ აკრძალულია!

— ვიცი, ჩემო კარგო, ვიცი. თქვენ რომ არ დამენახეთ, შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლას ვერც გავბედავდი. საქმით იყავით გართული და ბოლო-
�ება არ დაგირღვიეთ.

მედიკომ სეიფს შეხედა. საკეტი მოსინჯა. მოხუცი თავჩა-
ღუნული იდგა.

— მე თქვენთან პატარა საქმე მაქვს.

— ბრძანეთ!

— გავიგე, თბილისს მიემგზავრებით. პატარა ბარათს ხომ არ
წაიღებთ. სასწრაფო საქმეა.

მედიკომ ბარათი გამოართვა. აბა, ასეთ უბრალო თხოვნაზე უარს
როგორ ეტყოდა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დარაჯს.

გიორგიმ მადლობა გადაუხადა. მედიკომ კარი ჩაკეტა, დალუქა,
კიბერნეტიკული დარაჯი ჩართო და სწრაფად ჩაირბინა კიბე. მთელი
ღამე არ მოუხუჭავს თვალი. მოხსენებით ბარათს წერდა. გათენები-
სას კინალამ დააგვიანდა მატარებელზე.

*
* *

თბილისი ხმაურით შეეგება მედიკოს. მიწისქვეშა ესკალატო-
რებმა სწრაფად განტვირთეს ბაქანი. მედიკო მეტროში ჩავიდა.
თხუთმეტი წუთი იმგზავრა და საპლანეტათშორისო აეროდრომის
სადგურთან ამოვიდა. დიქტორმა სულ ახლახან გამოაცხადა მთვარი-
დან აფრენილი შუშხუნის მოახლოება და ხალხს სთხოვა საგანგებოდ
დაბეტონებულ სადგომებში შესულიყვნენ. მედიკო მოსაცდელ
დარბაზში შევიდა, ფანჯარას მიუახლოვდა და ზევით აიხედა. ზეცა
მბზინავმა სხეულმა გადასერა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გა-
მოჩნდა ვეებერთელა პლანერის ფორმის შუშხუნა. იგი თანდათა-
ნობით ქვევით ეშვებოდა. მესამე შემოვლის შემდეგ შუშხუნა ბორ-
ბლებით შეეხო დასაფრენ მინდორს და საპლანეტათშორისო სადგუ-
რის პირდაპირ გაჩერდა. აეროდრომს ჭარიშხალმა გადაუარა. გრუხუ-
ნის ხმა თან გაიყოლა და სადღაც შორს მიწყდა. შუშხუნას მოძრავი
კიბე მიუახლოვდა. ჰერმეტიულად დახურული კარი მძიმედ ამო-
ახრახნა და მგზავრებმა ჩამოსვლა დაიწყეს. მედიკო მოსაცდელი
დარბაზიდან გამოვიდა. მოპირდაპირე მხრიდან ნოდარი მორბოდა.

— მედიკო!

— ნოდარ!

ნოდარმა ხელი ჩამოართვა მედიკოს და თვალები აუციმციმდა.

— რამდენი ხანია, არ მინახიხარ?

მედიკო იცინოდა.

— ძალიან მოგენატრე?

— ძალიან.

მედიკომ ხელი გააშვებინა, თვალებში ჩახედა. ნოდარი უხერხულად იდგა.

— ცოტათი გამოცვლილი მეჩვენები, თუმცა ასე უფრო გიხდებ, თმები.

— შეიძლება მართლაც გამოვიცვალე.

ნოდარი ერთ ხანს დუმდა.

— აი, მოვრჩები ამ ექსპედიციას და ხელს მოვაწერთ.

— სხვა არაფერი გიშლის ხელს?

მედიკომ ქვევიდან ახედა ნოდარს.

— რა უნდა მიშლიდეს?

— თუნდაც მე.

— შენ?

— ჰო, მე. მე რომ არ მოვინდომო?

ნოდარს გაეცინა.

— მაგაზე არც ვფიქრობ. იცი, მედეა, როდესაც ხელს მოვაწერთ, შენც მთვარეზე გადმოხვალ სამუშაოდ. იქ ისე კარგია, ერთად ვიმუშავებთ. შენ მე დამეხმარები. ერთი სიტყვით...

მალე მათ ჯანდიერი წამოეწია და ნოდარმა სალაპარაკო თემა შესცვალა.

აეროდრომის მეორე მხარეს, პატარა მინდორზე, ექსპედიციის წევრებს ვერტმფრენი ელოდებოდა. ჯანდიერი წინა სავარძელზე დაჯდა. ნოდარი მედიკოს გვერდით მოთავსდა. ვერტმფრენმა ნელ-ნელა დაიწყო ზევით ასვლა. მედიკომ ქვევით გადაიხედა. რაკეტადრომზე უცნაური კონსტრუქციის ამწეს ვერტიკალურად დაეყენებინა შუშხუნა. შუშხუნას ფრთები „ჯიბეებში" შეენახა და გრძელ სიგარას დამსგავსებოდა. კინოკადრებივით გაირბინა თბილისის ზღვამ, ავჭალამ, ზაჰესმა. ჯვრის მონასტერი ხელმარჯვნივ დარჩა, ზედაზნის აღდგენილი ციხე-გალავანი — ხელმარცხნივ. გამოჩნდა ქართლის დაბლობი, არაგვის ხეობა, ტყით შებურული მთები.

გამოჩნდა დაუპყრობელი ანანური, ციხე-კოშკი „შეუპოვარ" არაგვის ერისთავთა საბრძანებელი. გიორგი საკაძე, სისხლი... ბევრი სისხლი... პაატას მოკვეთილი თავი... ესეც ფასანაური. ვერტმფრენი



K 103.557

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვის ხეობას მიჰყვებოდა. ამ ვიწრო ხეობის შესაყარში, სადაც თეთრი არაგვი შავ არაგვს ერთვოდა, ახლა ხელოვნური ტბა გადაჭიმულიყო. ლურჯად მოლაპლაპე ტბის ზედაპირს თეთრი გლისერები სერავდნენ. დასასვენებელ სახლებს სათვალავი აღარ ჰქონდა. ესეც ნაღორევი, მლეთა. მლეთის ჩახვეული აღმართი. ახლა ასეთი გზა ათასია. აი, კავკასიონის მთავარი ხერხემალი. ნაირ-ნაირი ყვავილებით დაქარგული ალპური საძოვრები, ბროლის ჩანჩქერები. კავკასიონის ზვიადი მწვერვალები ტყვიისფერ ბურუსს დაეფარა. პილოტმა ვერტმფრენი ჰაერში გამოჰკიდა.

— ყაზბეგი არ პასუხობს, — თქვა მან.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა თეიმურაზმა.

— გუდაურში დაჯდომა მოგვიხდება.

თეიმურაზმა წარბი შეყარა.

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენ მეტეორიტის დაცემის ადგილი გვაინტერესებს.

— უფლება არა მაქვს.

— ეს მე არ მეხება.

პილოტმა მხრები აიჩეჩა.

— მაშინ ნებართვა გუდაურიდან აიღეთ. ჩემთვის სულ ერთია.

თეიმურაზი დაუკავშირდა გუდაურს, მაგრამ ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა და იძულებული გახდა ბედს დამორჩილებოდა. თეიმურაზმა თვალით ანიშნა პილოტს, დაშვებულიყო.

## საზღვარზე

სასაზღვრო ნაწილის დაცვის უფროსი პოლკოვნიკი ინწკირველი თერთმეტ ივნისს დილის ოთხ საათზე სასწრაფოდ გამოიძახეს ნაწილში. დავითი უხალისოდ წამოდგა ლოგინიდან. ღამე ზღვაზე გაატარა. გვიან ღამით სასაზღვრო ზოლი უცნობმა წყალქვეშა ნავმა დაარღვია და ზღვის თავისუფალ ზონაში მიიმალა. ნავი მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, როდესაც უკან ბრუნდებოდა. მაგრამ გვიან იყო. ამაოდ ელოდა დავითი ხელმეორედ ნავის გამოჩენას და ახლა ერთი საათის წაძინებულს ისევ ნაწილში იბარებდნენ.

ფანჯრის მიღმა ღამის წყვდიადში ხეთა ლანდები ირხეოდნენ. ოთახს ღამის ნათურა ანათებდა. დავითმა სახეზე წყალი შეისხა. გამოფხიზლდა. მაგიდაზე დადებული იარაღი ბოხჩაში ჩადო და გარეთ გავიდა. ეზოში შედგა. ლაბადის საყელოები აიწია. ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და მანქანაში ჩაჯდა.

ნაწილში დავითს მორიგე რადისტმა გაშიფრული რადიოგრამა მიაწოდა. დავითმა მორიგე დაითხოვა. შუბლზე ჩამოფხატული ქუდი ხელისკვრით გადაიწია და მაგიდას მიუჯდა. რადიოგრამა გამოგზავნილი იყო მოხუცის სახელზე, რომელსაც მოკითხვას უთვლიდა და მალე შეხვედრას პირდებოდა ვინმე „პ“. დავითმა საათზე დაიხედა, ხუთის ნახევარი იყო. რადიოგრამა მაგიდაზე დააგდო და ვახტანგ კახიძე გამოიძახა. ისევ ჩაფიქრდა. ფიქრებიდან კარის ჭრიალმა გამოარკვია. ოთახში საშუალო ტანის გრძელსახიანი ახალგაზრდა იდგა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენი ბრძანების... — წამოიწყო მოსულმა, როგორც კი დავითმა თავი ასწია, მაგრამ პოლკოვნიკმა შეაწყვეტინა და რადიოგრამაზე მიუთითა. კახიძეს თვალები აუციმციმდა.

— დროა, ამხანაგო პოლკოვნიკო, აგერ, ერთი წელიწადი იქნება, მნიშვნელოვანი საქმე აღარ გვქონია. ვზივარ ნაწილში და ძველი ამბებით ვცხოვრობ.

— შენ გგონია ეს საქმე საინტერესო იქნება? — ჰკითხა დავითმა და ადგა.

— აბა ისე, ტყუილუბრალოდ არ შეგვაწუხებდნენ, — გაეღიმა ვახტანგს.

— მე კი მგონია, საზღვრის უბრალო დარღვევასთან გვექნება საქმე. ახლა ზღვით აგენტების გადმოსხმა თითქმის შეუძლებელია. მტერმა ეს კარგად იცის.

— ფაქტი ჯიუტია, — თქვა ვახტანგმა და ისევ გაეღიმა.

— შენ ალბათ წუხანდელი ღამე გაქვს მხედველობაში.

ვახტანგმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ტელეფონი აწკრიალდა. დავითი ფანჯარას მოშორდა, ყურმილი აიღო და წარბი შეკრა.

„საზღვრის შემოვლისას, — ისმოდა ყურმილში, — მეთხუთმეტე საგუშაგოს გვერდით, ზღვისპირას, ქვიშაზე მესაზღვრე დავითაშვილის გვამს წავაწყდით, ბოროტმოქმედის კვალი არ ჩანს. ველით თქვენს განკარგულებას“.

დავითმა პირი მოკუმა და ქვედა ტუჩი წინ გამოსწია.

— მელოდეთ! — გასცა ბრძანება მან და ვახტანგს გადახედა. ვახტანგი კარში გასხლტა. ეზოდან მანქანის მოტორის გუგუნი მოისმა. დავითმა რადიოგრამა სეიფში შეინახა, შუქი გამორთო და ეზოში გავიდა.

ათი წუთის შემდეგ ინწკირველი და კახიძე შემთხვევის ადგილას იყვნენ. მოკლულ მესაზღვრეს ჭრილობა არსად აჩნდა. გამოცდილი

ექსპერტების დასკვნით, მკვლელობა სხეულში კონცენტრირებული რენტგენული სხივის შეყვანით მოხდა, რამაც თავის მხრივ გულის დამბლა და სწრაფი სიკვდილი გამოიწვია. მესაზღვრის თვითმცლელი კარაბინი გატენილი იყო, მაგრამ გასროლა ვერ მოესწრო.

— როგორც ჩანს, მტერი თავს მოულოდნელად დაესხა, — დაასკვნა დავითმა.

ხუთი კილომეტრის რადიუსზე ძებნამ შედეგი არ გამოიღო. ამაოდ დაძრწოდნენ გერმანული ჯიშის ნაგაზები შემთხვევის ადგილას, კვალი მაინც ვერ აიღეს: ბოროტმოქმედი გაურკვეველი მიმართულებით მიიმალა ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში. მართალია, გზის პირას მსუბუქი მანქანის საბურავების ანაბეჭდი შეამჩნიეს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ეს რომელიმე დაგვიანებული დამსვენებლის მანქანის კვალი ყოფილიყო. ექსპერტებმა კიდევ კარგა ხანს იფუსფუსეს ახლომახლო და როცა ყველაფერს მორჩნენ, დავითმა კახიძის გარდა ყველა დაითხოვა.

ინათა. ჰორიზონტს წითელმა ფერმა გადაჰკრა. დავითმა თვალი გააყოლა ექსპერტების ჯგუფს და როგორც კი უკანასკნელი ჯარისკაცი თვალს მოეფარა, ვახტანგს მოუბრუნდა:

— წავიდეთ, იქ უფრო მშვიდად მოვიფიქრებთ.

დავითი თავჩაღუნული მიდიოდა ნაპირ-ნაპირ. ვახტანგი შორიახლო მიჰყვებოდა უკან.

ზღვა იყო მშვიდი, ლურჯი, უსასრულო, ერთი ნაოჭიც კი არსად აჩნდა.

დავითს ძალიან უყვარდა ეს ადგილი. ბავშვობაში ხშირად წამომჯდარა ზღვისპირას დაგდებულ დიდ ლოდზე და საათობით უცქერია ზღვისთვის. კარგად ჰქონდა შესწავლილი ამ ლოდის ყოველი წვრილმანი. აი, მას ჩრდილოეთით ხავსი აქვს მოკიდებული, დასავლეთით—ზღვისაგან დანაყილი ცხვირ-პირი. ზურგი? ნუ იტყვით, — ზურგი პირდაპირ უნაგირივით არის ამოთლილი. რამდენჯერ წამომჯდარა დავითი ბავშვობაში თავის „ბედაურზე“ და უსასრულობამდის „უჯირითნია“ ზღვაში. იგი ახლაც ჩამოჯდა ლოდზე და პაპიროსი გააბოლა.

ვახტანგი გასცქეროდა ზღვას და წვრილ ქვიშას თითებში ცრიდა. მასზე ჯადოსავით მოქმედებდა წყლის მოსხლეტილი ზედაპირი. მუდამ ერთი და იგივე სურვილი ებადებოდა, — ფოლადის პატარა

ბურთულა ესროლა და ეცქირა, როგორ ასხლტებოდა იგი ზღვის ზედაპირზე. ვახტანგმა ოცნებით ახლაც გასტყორცნა ფოლადის ბურთულა და იმ ადგილს დააკვირდა, სადაც, მისი აზრით, იგი უნდა დაცემულიყო. თვალები დაახამხამა. მოეჩვენა, თითქოს იმ ადგილას, სადაც ბურთულა დაეცა, ზღვის ზედაპირი ამოიზნიქა. უფრო დააკვირდა. ეს უკვე მოჩვენება აღარ იყო. ზღვის ზედაპირი რამდენიმე ადგილას ამოიზნიქა და ისევ გასწორდა. ნაპირს სუსტი ტალღა შეეთამაშა.

— რა იყო, ვახტანგ? — ჰკითხა დავითმა.

ვახტანგმა ზღვისაკენ გაიშვირა ხელი.

დავითმა ზღვას გაჰხედა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოტრიალდა და სმენა დაძაბა. იგი კარგა ხანს თვალს არ აშორებდა ნაპირთან ყველაზე ახლოს დაგდებულ ლოდს.

— ხედავ იმ ლოდს?

— ვხედავ.

— გინახავს სხვა დროს?

— მინახავს.

— მე კი არ მახსოვს. პირველად ვხედავ. ალბათ ახალი ჩამოვარდნილია.

— სისულელეს ლაპარაკობ, ახალ ჩამოვარდნილს რა უგავს, ვერ ხედავ, ჟანგი აქვს მოკიდებული.

დავითი ფრთხილად მიუახლოვდა ლოდს.

— ამხანაგო პოლკოვნიკო!

დავითი მოტრიალდა.

— ზღვაში რაღაც ხდება!

დავითმა იქით გაიხედა, საითაც ვახტანგს ხელი ჰქონდა გაწვდილი, და ისევ ლოდს დააკვირდა. მას მოეჩვენა, თითქოს ლოდი გაინძრა. ვახტანგი მოიხმო.

— შეამჩნიე რამე?

— რა უნდა შემემჩნია?

— ლოდს თუ შეამჩნიე რამე?

— არაფერი, — ვახტანგმა მხრები აიჩეჩა, — თუმცა... მოიცათ, მოიცათ... მაგრამ არა... მომეჩვენა.

— რა მოგეჩვენა?

— ისე, არაფერი.

— მაინც?

ვახტანგს გაეღიმა და ხელი ჩაიქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომეჩვენა, თითქოს ლოდი გაინძრა, მაგრამ ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. მშიერ კუჭზე ხშირად უარესიც მეჩვენება ხოლმე.

დავითმა ლოდს ირგვლივ შემოუარა. კენჭი აიღო. მიუკაკუნა. ლოდმა ყრუ ხმა გამოიღო.

— ნუთუ მეც მომეჩვენა? — ჩაილაპარაკა დავითმა და უსიამოვნოდ გააქნია თავი. ისევ შემოუარა ლოდს, მხრები აიჩეჩა, — ნამდვილად დავინახე, რომ გაინძრა.

— ხდება ხოლმე, ამხანაგო პოლკოვნიკო, ბუნებაში ყველაფერი მოძრაობს.

— რა გეხუმრება, — გაწყრა დავითი და მუშტრის თვალით აათვალ-ჩაათვალიერა ლოდი. თითქოს საეჭვო არაფერი იყო. ლოდი, რომლის წონა ნახევარი ტონა მაინც იქნებოდა, ღრმად იყო ჩაფლული ქვიშაში, ალაგ-ალაგ ჟანგის ფერი გადაჰკრავდა. დავითმა ხელი ჩაიქნია და წასვლა დააპირა, მაგრამ შედგა. ამჯერად გარკვევით მოესმა ცხენების თქარათქურის ხმა. დააკვირდა, ხმა ზღვის მხრიდან მოდიოდა, ცხენები არ ჩანდნენ. დავითმა ზევით აიხედა. ასიოდე მეტრის სიმაღლეზე ჰაერში ვერტმფრენი გუგუნებდა.

— მგონი, ჩვენ გვეძებენ, — თქვა დავითმა, როგორც კი ვერტმფრენზე სასაზღვრო ნაწილის განმასხვავებელ ნიშანს მოჰკრა თვალი. ვახტანგმა ცხვირსახოცი ამოიღო. ხელი დაუქნია. ვერტმფრენი სწრაფად დაეშვა. კაბინიდან პილოტი გადმოხტა. დავითს ოთხად დაკეცილი ქაღალდი მიაწოდა. დავითმა ქაღალდი გაშალა. იცნო თამაზის ნაწერი და სულმოუთქმელად ჩაიკითხა.

„სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შენობაში ღამით შემჩნეულ იქნა უცხო პიროვნება. მე ოპერატიული ჯგუფით ინსტიტუტში ვიმყოფები.

თ.“

დავითმა ერთხელ კიდევ გადაიკითხა ბარათი, გულის ჯიბეში შეინახა და ვახტანგს ანიშნა ვერტმფრენში ჩამჯდარიყო. თვითონ პილოტის გვერდით დაიკავა ადგილი. პილოტმა მოტორი ჩართო. კაბინა აძიგძიგდა. პროპელერი დაბზრიალდა, ქვევით ქვიშა გაიხვეტა და ვერტმფრენმა ნელ-ნელა დაიწყო სიმაღლის აღება. დავითს ისევ მოესმა ცხენების თქარათქური და ქვევით გადაიხედა.

— ლოდი! — აღმოხდა მას.

ვერტმფრენი ორიოდე მეტრით თუ იქნებოდა მიწას აცილებული. დავითმა კაბინის კარი გამოაღო და სანამ პილოტი რამეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოისაზრებდა, კაბინიდან გადახტა. ვახტანგი კარს ეცა. მან გაოგნებული კვევით დაინახა, როგორ მიხოხავდა ლოდი ზღვისკენ და დაუფიქრებლად გადაჰყვა დავითს.

*

* *

თამაზმა დილის ოთხი საათისათვის საბოლოოდ დაასკვნა, რომ ღამემ უინციდენტოდ ჩაიარა. გათენებამდის სულ ცოტაღა დარჩა. უკვე შეიძლება წათვლიმოს კაცმა, მაგრამ სწორედ ამ დროს აწკრიალდა ტელეფონი. ყურმილი აიღო. ლაპარაკობდა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დარაჯი. დარაჯი ისე სწრაფად ლაპარაკობდა, რომ თამაზი წესიერად ვერაფერს მიხვდა. ერთი რამ ცხადი იყო, ინსტიტუტის შენობაში ღამით ვიღაც შეპარულიყო. თამაზმა დავითს დაურეკა ბინაზე, მაგრამ არ დახვდა. დრო არ ითმენდა. გადაწყვიტა, დამოუკიდებლად ემოქმედა. სწრაფად შეკრიბა ოპერატიული ჯგუფი. ორი სიტყვით აუხსნა შექმნილი მდგომარეობა და ინსტიტუტისაკენ გაეშურა.

ინსტიტუტის შენობა დუმილით მიეგება. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მთვარეც სხვანაირად ანათებდა. თამაზმა ოპერატიული ჯგუფი ორად გაჰყო. ერთი ნაწილი ბაღში გაფანტა, მეორე შენობის ახლოს ჩაასაფრა. თვითონ დარაჯის ჯიხურისაკენ გაეშურა. თამაზი მიდიოდა სწრაფად. მალიმალ იხედებოდა უკან. პატარა ხმაურზე სმენას ამახვილებდა და მკაცრად უსწორებდა თვალს დუმილით მოცულ ჩაშავებულ ჩრდილებს. აი, ჯიხურიც. თამაზმა ფრთხილად დააკაკუნა. კარი გაიღო. მთვარის შუქზე დარაჯის შეშინებული სახე გამოჩნდა.

— მშვიდად, მოხუცო, მშვიდად.

— მადლობა ღმერთს! — ამოილუღლუღა მოხუცმა და კარში ჩაიკეცა. თამაზი მოხუცს ეცა, ფეხზე წამოაყენა და შეანჯღრია.

— რა მოგივიდათ?

მოხუცმა თავი გააქნია.

— არაფერია, გამივლის. ნერვებმა მიმტყუნეს. ოოო... ეს წყეული ღამე. მე უკვე ხელმეორედ ვაპირებდი დარეკვას.

— გამაგებინეთ, რა მოხდა?

— რა მოხდა? თქვენ მეკითხებით, რა მოხდა?

— ჰო, რა მოხდა?

— რა მოხდა? არა... მე ეს ღამე არასოდეს დამავიწყდება. ჩრდილები დადიოდნენ, ხეები იცინოდნენ, ზეცაში ცხენებს დაეჭენებდნენ, მგელი, დიდი მგელი!

თამაზმა ეჭვის თვალით გადახედა მოხუცს.

— მგელი რა შუაშია?

— თქვენთვის ახლა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ერთი მეც მკითხეთ! მსგავსი რამ არასოდეს მინახავს. ბეწვიც სხვანაირი ჰქონდა, ფერიც, წელში იმართებოდა, ადამიანივით დადიოდა: დავაწექი, არ გავარდა თოფი. ჯიხურში რომ ჩავიკეტე, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ სასხლეტის მაგივრად სულ სხვა ადგილს ვაწვებოდი. მერე... შუქი გამოვრთე და თქვენ დაგირეკეთ.

— საქმეზე ილაპარაკეთ, ეს არ არის საინტერესო.

— არ არის საინტერესო? მაშ რა გაინტერესებთ?

— უცნობზე მითხარით, თუ ისიც მოგეჩვენათ?

— რომელ უცნობზე მელაპარაკებით?

— შენობაში რომ შეიპარა.

— არავითარი უცნობი მე. არ მინახავს. მხოლოდ ლანდი დავინახე, დიდი ლანდი. ჯიხურიდან ვუთვალთვალებდი. ჯერ შენობის პირველ სართულში შევამჩნიე შუქი. მერე შუქი გაქრა და დიდხანს აღარ გამოჩენილა. პირველად მეგონა მომეჩვენა, მაგრამ ხელმეორედ დავინახე იმ საიდუმლო ოთახის ფანჯარაში, სადაც უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია. კედელზე დაბობღავდა ორთავა ადამიანის ვეება ჩრდილი, შუქი ხან ქრებოდა, ხან ინთებოდა. ბოლოს ყველაფერი ერთმანეთში აირია და გაქრა.

მოხუცი ერთ ხანს დადუმდა, დაკოჟრილი ხელით შუბლი მოიწმინდა და გაკვირვებულმა შეხედა თამაზს.

— ნუთუ თქვენ არაფერი იცით?

— საიდან უნდა ვიცოდე?

— თქვენთვის არაფერი უთქვამთ?

— ვის?

— ოფიცერს.

— ოფიცერს?

— დიახ, ოფიცერს! დავრეკე თუ არა, ჯიხურში შემოვიდა, დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი. მეც მოვუყევი, რაც ვიცოდი. დამაიმედა. ასე მითხრა — თხუთმეტ წუთში დანარჩენებიც მოვლენო, პაპიროსი შემომთავაზა და წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზმა ტუჩზე იკბინა.

— სად არის პაპიროსი, მოსწიეთ?

— პაპიროსისთვის ვის ეცალა. მაგიდაზე გდია.

მოხუცმა პაპიროსი აიღო, ასანთს გაჰკრა, მაგრამ თამაზმა პირიდან გამოსტაცა პაპიროსი. მოხუცმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

— მაპატიეთ, ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. პაპიროსზე შეიძლება უცნობი ოფიცრის თითების ანაბეჭდი აღმოჩნდეს, ან იქნებ...

მოხუცმა გაკვირვების ნიშნად ხელები გაშალა, თამაზმა პაპიროსი შეინახა. უბის წიგნაკი ამოიღო და საწერად მოემზადა.

— ამიწერეთ ის კაცი.

— ვინ?

— უცნობი ოფიცერი.

მოხუცმა კეფა მოიფხანა და ჩაახველა.

— როგორ გითხრათ, მგონი საშუალოზე ცოტა მაღალი იყო. ქერა თმები ჰქონდა. თუმცა არა, — წაბლისფერი, ცისფერი თვალები, ცისფერი კი არა ჭრელი თვალები. ნერვულად ეწეოდა პაპიროსს, მარჯვენა ხელი უკანკალებდა. საერთოდ კარგად ლაპარაკობდა ქართულად. თუ არ ვცდები, ახლად შეკერილი ფორმა ეცვა. ჩაშვებული შარვალი...

თამაზი მიხვდა, რომ მოხუცი რაღაცას ურევდა. მაინც ყველაფერი სიტყვა-სიტყვით ჩაიწერა. დაამშვიდა მოხუცი. დაარიგა, როგორ მოქცეულიყო, თუ უცნობი ისევ გამოჩნდებოდა, და წავიდა.

ჩრდილები თანდათან გაუფერულდნენ. სიბნელეში მიმალული შიში გაქრა. თამაზი ჩაფიქრებული მიდიოდა. ყოველ წვრილმანს აკვირდებოდა. იხრებოდა. ზომავდა. ყველაფერი აინტერესებდა. აი, იგი შეჩერდა. პირველი სართულის ღია სარკმელს დააკვირდა და თვალით მოზომა სიმაღლე.

— ამხანაგო მაიორო!

თამაზი სწრაფად მოტრიალდა. მის წინ გრძელსახიანი ზემდეგი იდგა. იღიმებოდა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

—რამდენიმე ადგილას უცნაური ფორმის ნაკვალევს წავაწყდით. ნაკვალევის ანაბეჭდი უკვე გადავიღეთ.

— სხვა არაფერი?

— არაფერი, ამხანაგო მაიორო!

— შეგიძლიათ წახვიდეთ. თუმცა, მოიცათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზმა უბის წიგნაკი ამოიღო, სწრაფად დაწერა რამდენიმე სტრიქონი, ფურცელი ამოხია, ოთხად დაკეცა და ზემდეგს მიაწოდა.

— ამ ბარათს ინწკირველს გადასცემ.

ზემდეგმა ბარათი ჩამოართვა, შეტრიალდა და წავიდა. თამაზმა თვალი გააყოლა და როდესაც ზემდეგი თვალს მოეფარა, სარკმელისაკენ შეტრიალდა. ერთხელ კიდევ მოზომა სიმაღლე. შეხტა, რაფაზე ჩამოეკიდა, ხელებზე აიწია, მუხლი დაიხმარა და სარკმელში გაუჩინარდა.

*

* *

სწორედ ამ დროს დავითი მიწაზე დაეცა, მუხლი ეტკინა. ხელი მოისვა, ფრჩხილები აეწვა. ფრჩხილებში ქვიშა შესულიყო. გვერდით ვახტანგი ცდილობდა წამოდგომას, ლოდი ზღვაში შედიოდა, ყოველი წუთი ძვირფასი იყო. დავითი ფეხზე წამოხტა და ზღვისკენ გაიქცა, ტკივილისაგან სახე დაემანჭა, ტუჩი მოიკვნიტა. ლოდი ნახევრამდის წყალმა დაფარა. სულ ცოტა მანძილიღა დარჩა, — რაღაც ნახევარი მეტრი, ხელი რომ გაიშვიროს, ალბათ მისწვდება. გაიშვირა კიდეც, მაგრამ მუხლმა უმტყუნა. დაეცა. გულისპირი დაუსველდა. სცადა წამოდგომა, მაგრამ ვერ მოახერხა. ამოიგმინა. ლოდის ჟანგმოდებული ზურგი წყალმა დაჰფარა. ვახტანგი იარაღმომარჯვებული შედგაფუნდა ზღვაში და ტყვიებით დაცხრილა წყლის ზედაპირი. ლოდი ნელ-ნელა იძირებოდა, თანდათანობით უფერულდებოდა, ბოლოს მთლად გაუჩინარდა ზღვის სილურჯეში. ვახტანგმა შეუკურთხა. რევოლვერის ლულით ზღვის ზედაპირი აშალა და ნაპირზე გამოვიდა.

— დალახვროს ეშმაკმა, ასეთი არაფერი მინახავს, — თქვა მან. დავითს მხარში ამოუდგა, ქვიშაზე გამოიყვანა. და გვერდით მიუჯდა. ჩექმები გაიხადა, მარილიანი წყალი გადმოწურა და მზეზე გასაშრობად დააწყო. დავითი ხელისგულით იზელდა მუხლის თავს.

— საოცარია, — ამბობდა იგი, — დღეიდან ყველაფერი საეჭვო ხდება: ხე, ლოდი, ჰაერი, წყალი. თუ ეს ხელოვნური ლოდი იყო, ხვალ შეიძლება მტერმა ხე გამოიყენოს თავისი ბნელი საქმისათ-

ვის, ზეგ ჩაის ბუჩქი, მაზეგ, ეშმაკმა უწყის, რას მოიგონებს! უნდა გავაძლიეროთ მეთვალყურეობა. ყველაფერი თავიდან უნდა შევამოწმოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა ამოიოხრა.

— ერთი ნაბიჯით რომ დამესწრო, იქნებ რამე მომეხერხებინა, აი, ახლა, მუხლის ტკივილმა თითქმის გამიარა, რაღა მაინცდამაინც მაშინ მიმუხთლა.

— არაფერია, ამხანაგო პოლკოვნიკო, ლოდის საიდუმლოებასაც ამოვხსნით.

ვახტანგმა რევოლვერის გაწმენდილი ლულა თვალთან მიიტანა და გახედა. ვიწრო რგოლში ზღვის ზედაპირი გამოჩნდა. ზღვა თითქოს ღელავდა. ვახტანგმა იარაღი ჩამოიღო და დააკვირდა.

— იქ ზღვა რაღაც საეჭვოდ ღელავს, ამხანაგო პოლკოვნიკო!

ზღვაში რაღაც გაუგებარი ხდებოდა. ნაპირიდან კარგა მოშორებით ზღვის ზედაპირი საოცრად ღელავდა, იბუყებოდა, ქაფდებოდა და ვიწრო ზოლად გარბოდა ჰორიზონტის დასასრულს. ზღვაში რაღაც დაცურავდა. ერთი რამ ფაქტი იყო: ზღვასა და ლოდს შორის რაღაც კავშირი არსებობდა. მაგრამ რა?

დავითი თავჩაღუნული იჯდა ქვიშაზე და მექანიკურად განაგრძობდა მუხლის თავის ზელას. ფიქრებიდან მოტორის თუხთუხმა გამოარკვია. ნაპირ-ნაპირ ყველგანმავალი მოცურავდა. მძღოლმა როგორც კი დავითი დაინახა, მანქანა ნაპირზე ამოიყვანა და დავითს ქალალდი მიაწოდა. მანქანამ ქვიშაზე ორი სველი ზოლი დატოვა, დავითმა ბარათი გადაიკითხა, თვალებს არ დაუჯერა და ვახტანგს გაუწოდა. მერე გამოართვა, ისევ გადაიკითხა და მხრები აიჩეჩა.

— არაფერი მესმის.

— რა გასაკვირია, აქ ეშმაკიც კი დაიბნეოდა, — ჩაიბუტბუტა ვახტანგმა და ნახევრად გამშრალი ჩექმები ჩაიცვა.

ბარათში ეწერა:

„სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შენობაში ღამით დარაჯმა უცხო პიროვნება შეამჩნია. ვფიქრობთ, უცნობს საპროექტო განყოფილება აინტერესებდა. ოპერატიული ჯგუფით ინსტიტუტში ვიმყოფები. საქმე სერიოზულ ხასიათს ღებულობს. თქვენი აქ ყოფნა აუცილებელია.

თ.“

დავითმა ეჭვის თვალით გადახედა მძღოლს, მერე სცადა ვერტმფრენის პილოტის სახის მოგონება, მაგრამ ვერ მოახერხა.

— ვახტანგ, აბა მოიგონე, როგორი შესახედაობის იყო ბ-ნ ვერ პილოტი?

— პილოტი? — ვახტანგი დაფიქრდა, — ეშმაკმა უწყის! მგონი, საშუალოზე ცოტა მაღალი, ქერა თუ წაბლისფერი თმები ჰქონდა, ახალი ფორმა ეცვა. საერთოდ...

— რა მოგვივიდათ, რაღაც დალაგებულად ვერ ლაპარაკობთ. დაცემისას ხომ არაფერი იტკინეთ?

— არაფერი. ცოტა თვალები მეწვის, ალბათ ქვიშა ჩამეყარა. დავითი მძღოლს მოუბრუნდა.

— სად არის ახლა თამაზი?

— ინსტიტუტის ეზოში. სიტყვიერადაც დამაბარა, აჩქარდნენო... რაღაც აბნეული საქმეა.

— არც აქ არის ყველაფერი დალაგებული, — ჩაილაპარაკა დავითმა და ყველგანმავალში მძღოლის გვერდით დაიკავა ადგილი. ვახტანგი უკან დაჯდა.

მძღოლმა მოტორი ჩართო და რუხი ფერის მანქანა ფართო შარაგზაზე გამოიყვანა.

## გზაში

ვერტმფრენი თანდათან ბურუსში გაეხვია. პილოტმა ლოკატორი ჩართო და მანქანა აეროდრომზე დასვა. პირველი კაბინიდან თეიმურაზი ჩამოვიდა და წუმპეში ჩავარდა. ნოდარმა ხელი წააშველა. მედიკოსაც დაეხმარა ჩამოსვლაში. ბარგი ზურგზე აიკიდა და წინ წასულებს წამოეწია. ჟინჟღლავდა. ასეთი დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ურიგო არ იქნებოდა დასვენება, მაგრამ თეიმურაზი უგუნებოდ იყო და ამის გაგონებაც არ უნდოდა.

— მხოლოდ შუშხუნის დაცემის ადგილზე დავისვენებთ, მხოლოდ იქ! — ამბობდა იგი.

ნოდარმა სამგზავრო ჩემოდანი მეორე ხელში გადაიტანა. საწვიმარის საყელო აიწია და სველი ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა. წინ მედიკო მიდიოდა. ნოდარი მხოლოდ მის ფეხებს ხედავდა, დასვრილ ფეხსაცმელებს, ატალახებულ გზაზე დარჩენილ ნაკვალევს. სადღაც შორს იელვა, დაიქუხა. ნოდარის წინ მიმავალი ფეხები შედგნენ.

— შეგეშინდა? — ჰკითხა ნოდარმა.

მედიკომ ირონიულად გადახედა ნოდარს და გზა განაგრძო.

ნოდარი თავდახრილი იდგა. მის წინ მიმავალი ფეხები სიბნელეში გაუჩინარდნენ. ნაკვალევში წყალი ჩადგა. ნოდარმა ამოიოხრა და ნაკვალევს გაჰყვა. ტანსაცმელი წყლით გაიჟღინთა. დამძიმდა. აცივდა. წინ შენობის შავი სილუეტი გამოიკვეთა. ნოდარმა სადარბაზო კარის სახელური მოსწია და შენობაში შევიდა.

მოსაცდელი დარბაზი ხალხით იყო სავსე. ნოდარმა თვალი გადაავლო დარბაზს, კუთხეში მედიკო შენიშნა და მისკენ წავიდა. ბარგი კედელთან დააწყო, სკამზე ჩამოჯდა და შუბლი მოისრისა.

— რაღაც, არ მომწონს ის კაცი; — დაარღვია მედიკომ სიჩუმე და თვალით საწინააღმდეგო მხარეზე ანიშნა ნოდარს.

— რაც აქ შემოვედი, სულ მე მიყურებს.

ნოდარმა გაიხედა იქით, საითაც მედიკომ ანიშნა.

მოპირდაპირე მხარეს, ფანჯარასთან, შუახნის მამაკაცი იდგა, ზურგით კედელს მიყრდნობოდა. კაუჭა ცხვირზე დიდი სათვალე ეკეთა. წინ გამოზნექილი ნიკაპი და ხმელი სახე მისი თვალების მკაცრ გამომეტყველებას ხაზს უსვამდა. ნოდარმა თვალი მოარიდა უცნობს.

მოსაცდელი დარბაზის კარი ხმაურით გაიღო. ოთახში შემოვიდა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი. ნოდარის მაგიდას მიუახლოვდა. ზურგჩანთა მოიხსნა, სანადირო თოფი კედელზე მიაყუდა, დაჯდა და მხოლოდ შემდეგ იკითხა:

— შეიძლება?

ნოდარს გაეღიმა და თავი დაუქნია.

ახალგაზრდას გემოვნებით შეკერილი მთამსვლელის ტანსაცმელი ეცვა. ბავშვური სახე და გულუბრყვილო თვალები ჰქონდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს დიდი იყო.

კედელთან მდგომმა უცნობმა ჩაიცინა, შეტრიალდა და ფანჯარაში გაიხედა. ერთ ხანს ასე იდგა. მერე თითით შეორთქლილ მინაზე ერთი ასო „პ“ დაწერა და ნოდარის მაგიდას მოუახლოვდა.

— მაპატიეთ, ბატონებო, თუ არ ვცდები, თქვენ პროფესორ ჯანდიერის ექსპედიციის წევრები უნდა იყოთ.

ნოდარმა თავი დაუქნია. უცნობი დამტვრეული რუსულით ლაპარაკობდა.

— მე თქვენთან ერთი კითხვა მაქვს.

— ბრძანეთ! — ინგლისურად უპასუხა ნოდარმა, რადგან უცნობი ჩაცმულობით და კილოთი ძალიან ჰგავდა ინგლისელ ტურისტს.

უცნობს ნერვულად აუთამაშდა მარჯვენა ხელი, რომელშიაც სიგარა ეჭირა, და ფერფლი მედიკოს კაბაზე დაეცა.

— მაპატიეთ, — ახლა უკვე ინგლისურად მოიბოდიშა უცნობმა, — არ მეგონა, თუ თქვენ ინგლისური იცოდით. სასიამოვნოა სამშობლოდან ასე შორს მშობლიური სიტყვის გაგონება. ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ — „ფოლადისა და მარნის“ კორპორაციის კორესპონდენტი უილიამ ჯემსი. ხომ ვერ მეტყვით, სად შეიძლება პროფესორ ჯანდიერის ნახვა?

ნოდარმა თვალი თვალში გაუყარა უცნობს.

— ადმინისტრატორთან.

— ო, კეი! — თქვა უცნობმა და წავიდა.

მედიკომ თვალი გააყოლა. მათ მაგიდასთან მჯდომ ახალგაზრდას ნერვულობა დაეტყო. ერთ ადგილას ვეღარ ისვენებდა. პაპიროსი ამოიღო. მოუკიდა. კვამლი გადაყლაპა და დაახველა. რამდენჯერმე დააპირა სიტყვის თქმა, მაგრამ ვერ მოახერხა. ხელი ჩაიქნია. თოფი და ზურგჩანთა მხარზე გადაიკიდა და ოთახის მეორე კუთხეში გადაჯდა.

— უცნაური ყმაწვილია, — თქვა მედიკომ.

ნოდარმა დამცინავად აზიდა წარბი.

— ბავშვია.

სადღაც სულ ახლოს დაიქუხა. ფანჯრის მინები აწკრიალდა. ეხო გუდაურის უფსკრულს შეაფრინდა, გამოძახილად დაგორდა და სადღაც ხეობაში დაიკარგა. პირველ საათზე დღეს მესამედ იძრა მიწა. ყაზბეგთან კავშირი ძველებურად გაწყვეტილი იყო. რა ხდება ყაზბეგში? ეს კითხვა აწუხებდა ყველას. იქნებ მიწისძვრა შუშხუნის ჩამოვარდნასთან იყო დაკავშირებული? ან ეს გაუთავებელი ბურუსი რისი ბრალია? გარეთ ელავდა, ქუხდა. ქარიშხლის გიჟურ სიმფონიაზე მთის ვეება ჩრდილები მთვრალებივით ქანაობდნენ. სეტყვა გულის შემაღონებლად აკაკუნებდა ფანჯრის მინებზე.

მაგიდას ჯანდიერი მიუახლოვდა.

— ესეც ასე, — თქვა მან, — ამ საღამოს გავემგზავრებით.

ნოდარმა მედიკოს გადახედა. ჯანდიერმა სათვალე მოიხსნა. ჩაახველა.

— მედიკო აქ დარჩება და როგორც კი გამოიდარებს, ჩამოვა.

მედიკომ თავი გააქნია.

— არავითარ შემთხვევაში, სადაც თქვენ, მეც იქ.

— ასეთ ამინდში... — თქვა ნოდარმა.

— ასეთ ამინდში, — გამოაჯავრა მედიკომ და ხელი ჩაიქნია.

— იქნებ გამგზავრება ხვალამდის გადაგვედო, — ჯიუტობდა ნოდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიძლებოდა გადადებაც, მაგრამ ახლა გვიანაა. სადილამდე შემდეგ მეგზური მოვა და ცხენებს მოიყვანს. — მტკიცედ თქვა თეიმურაზმა.

მედიკოც კატეგორიულ უარზე იდგა. ნოდარი იძულებული იყო დამორჩილებოდა. შეთანხმდნენ, უღელტეხილამდის გზას ეშმაკის ხეობაზე გავლით მოსჭრიდნენ. შემდეგ ბაიდარის ხეობით კობამდის დაეშვებოდნენ. კობში შეისვენებდნენ. თუ ნავის გამართვა დიდ დროს არ წაიღებდა, ამ ღამესვე გააგრძელებდნენ გზას და ყაზბეგამდის ნავით ივლიდნენ. ყოველ ორ საათში პორტატული რადიოგადამცემით გუდაურს დაუკავშირდებოდნენ.

შვიდი საათისთვის გამყოლმა ოთხი ცხენი მოიყვანა. სახელდახელოდ შეჰკიდეს ბარგი. სამგზავრო ტანსაცმელში გამოეწყვნენ და ოთხი კაცისაგან შემდგარი ექსპედიცია ტაატით დაიძრა ჯვრის უღელტეხილისაკენ.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ შენობიდან კიდევ ერთი კაცი გავიდა, იგი თავიდან ფეხებამდის საწვიმარში იყო გახვეული და სახე არ უჩანდა. გარეთ კი ძველებურად ღმუოდა ქარი და ელვა აპობდა წყვდიადს.

*

* *

წინ მოხუცი მეგზური მიდიოდა, შემდეგ მედიკო, თეიმურაზი და ბოლოს ნოდარი, რომელსაც ბარგით დატვირთული სათადარიგო ცხენი მიჰყავდა. გზის მოჭრის მიზნით, ბილიკზე გადაუხვიეს, ხშირ-ხშირად ისვენებდნენ, ერთმანეთის დაკარგვისა ეშინოდათ, ისე ბნელოდა, რომ წინ წასული მხედარი უკანას ვერა ხედავდა. წვიმა გადაღებას არ აპირებდა, ცხენები თავჩაქინდრული მიდიოდნენ. დროდადრო ელვა ანათებდა ბილიკს. ეშმაკის ხეობა უხიფათოდ განვლეს. ჯვრის უღელტეხილის ობსერვატორიამდის ცოტაღა დარჩა. მეგზურმა სიმღერა წამოიწყო. მთებმა ბანი მისცეს, მედიკოს შეეშინდა. უცნაური იყო მეგზურის ხმა. ამას ემატებოდა გარემოს ზღაპრული იერი, მარტოობის საშინელი გრძნობა და ყოველ ნაბიჯზე ხიფათი. უცებ სიმღერა შეწყდა.

— სდექ! — ძლივს მოასწრო მეგზურმა დაყვირება.

მთიდან გრუხუნით ჩამოეშვა ღოლი და სადღაც ქვევით უფსკრულის ძირში მოიღო ზათქი. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. და ირგვლივ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ქარი ღმუო-

და და წუწუნებდა. ისევ გააგრძელეს გზა. ნოდარმა თვითმცლელზე კარაბინი ავტომატივით მკერდზე ჩამოიკიდა და აღვირი დაქაჩა. აქედან დალმართი იწყებოდა. ჯვრის უღელტეხილი უკან დარჩა. ბილიკი დაიხლართა. ცხენებს უჭირდათ სიარული. ბილიკზე პატარა ნაკადული მიიკვლევდა გზას.

„აქ დაყვირებასაც ვერ მოასწრებ, ისე გადაიჩეხები". — გაიფიქრა ნოდარმა.

„იქნებ ტბა დაშრა", — ფიქრობდა იგი და რაკი ერთხელ შეეპარა ეჭვი, ველარ მოისვენა. ამ უკუნეთ ღამეში ყველაფერი სადაოდ ეჩვენა: შუშხუნის ჩამოვარდნა, ექსპედიციის მიზანი, წვიმა, ქარი, სამყარო. გული შეეკუმშა. შესცივდა. თავი ასწია. უნაგირზე გასწორდა. გვერდით მხედრის შავი სილუეტი გამოჩნდა.

— მედიკო, შენა ხარ? — იკითხა ნოდარმა.

კითხვაზე პასუხი არავინ გასცა.

ნოდარი დააკვირდა, მედიკო თვლემდა. საწვიმრის თავსაფრიდან თმა ჩამოშლოდა, წვიმის წვეთები მკერდზე ჩამოკიდებული კარაბინის კონდახს ეწვეთებოდა.

— კარაბინი? — გაიკვირვა ნოდარმა და უფრო ახლოს მივიდა. საწვიმარი გაუსწორა. ცხენს სადავე დაუმოკლა.

მედიკო გამოერკვა.

— გაუშვი ხელი, — თქვა მან და ცხენს ქუსლი კრა.

— მედიკო!

ცხენმა ნაბიჯს მოუჩქარა. ნოდარმა სადავე მოზიდა. ცხენმა ხმამაღლა დაიფრუტუნა და გზიდან მარჯვნივ უტია. ნოდარი დროზე ჩამოხტა და ლაგამში სწვდა ცხენს, თორემ ცხენიანად ხევში გადაიჩეხებოდა. მედიკომ ცხენი შეაყენა და დაქვეითდა.

— დალახვროს ეშმაკმა, ბედზე გადავრჩი, — თქვა ნოდარმა და ცხენს მოეალერსა. ცხენი ვერ ისვენებდა. წარამარა ფრუტუნებდა და ფეხებით ტორავდა მიწას. ნოდარმა სადავე მედიკოს მიაჩეჩა ხელში და თოკი დაქაჩა. თოკი მოჭრილი ტოტივით გაწვა მიწაზე. ნოდარი გამალებული ეწეოდა თოკს და მალე ხელში გადაჭრილი ბოლო შერჩა.

— ესეც ახალი ამბავი. თოკი გადაჭრილია.

თოკი მახვილი დანით იყო გადაჭრილი. ნოდარმა თოკი მიწაზე დააგდო და იმ მიმართულებით წავიდა, სადაც, მისი აზრით, სათადარიგო ცხენი უნდა ყოფილიყო.

— მოიცა... რა ხდება, ვერაფერი გამიგია... — მედიკოს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ნოდარი სიბნელეში გაუჩინარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედიკო მარტო დარჩა. მარჯვენა ხელმა ინსტინქტურად მოძებნა კარაბინი და საჩვენებელი თითი ჩახმახს გამოსდო. ცხენები თავჩაღუნული იდგნენ. ხანდახან თუ შეინაცვლებდნენ ფეხს და ატალახებულ გუბეს აჭყაპუნებდნენ. მედიკო დაძაბული მიშტერებოდა წყვდიადს. წყვდიადი ჩურჩულებდა, ყვიროდა, იცინოდა, მერე ისევ ჩურჩულებდა, ისევ ყვიროდა, ისევ იცინოდა. ქაფად ქცეული ბაიდარა ვეება ლოდებს მოაგორებდა და გულისმომკვლელად ღმუოდა. სიბნელეში მოძრავი სილუეტი გამოჩნდა.

— ნოდარ! — იყვირა მედიკომ.

ჩრდილი სულ ახლოს მოვიდა და დაილაპარაკა.

— ცხენი არსად ჩანს, თუ ბარგი ვერ ვიპოვეთ, ექსპედიცია ჩაიშლება.

— ნოდარ... — მედეას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს სადღაც, სულ ახლოს თქარათქურით გაირბინეს უხილავმა მხედრებმა. ფერდობიდან ზმუილი მოისმა, წვიმით დამბალი ნიადაგი მოსკდა და ჩამოიშალა. რამდენიმე ქვა ნოდარის ფეხებამდის მოგორდა და გუბეში ჩაიძირა. ნოდარმა სმენა გაამახვილა. ფერდობზე მიწაზე გართხმული ჩრდილი მოხოხავდა. ქშინავდა, ისვენებდა, დროგამოშვებით ზმუოდა. მედიკომ კარაბინი შემართა, გვერდზე გადგა და ჩაიმუხლა. ჩრდილმა ნახტომი გააკეთა და შედგა, ერთ ხანს ადგილიდან არ იძვროდა, მერე ისევ განაახლა ხოხვა. ცხენები ერთმანეთს აეკვრნენ და ყურები ცქვიტეს. ჩრდილი სულ ახლოს იყო. მედიკომ ნიშანში ამოიღო და სასხლეტი მოსწია. ნოდარმა ხელი აუკრა, თოფმა ჭექა-ქუხილივით დაიგრგვინა ვიწრო ხეობაში. ჩრდილი განზე გახტა და დაყეფა. მედიკოს თვალები გაუფართოვდა.

— ძაღლი! — გაიკვირვა მან და ნოდარს შეხედა.

ნოდარმა ნაბიჯი გადადგა ძაღლისკენ. ძაღლმა უკან დაიხია, დაულრინა. კობის მხრიდან მხედრები გამოჩნდნენ.

შორიდან ჯანდიერის ძახილი გაისმა:

— რა მოხდა?

— ცხენი დაიკარგა! — გასძახა ნოდარმა.

— დაიკარგა? — იკითხა მეგზურმა და ცხენი ადგილზე გააქვავა. სიბნელეში ძაღლმა დაყეფა. მეგზურმა ხმაზე იცნო ძაღლი.

— მგელავ, აუ, მგელავ! — გასძახა მეგზურმა და დაქვეითდა.

ძაღლი გაუბედავად მიუახლოვდა პატრონს, დასუნა და სველი ტანი ფეხებზე შეაწმინდა. მეგზურმა თავზე გადაუსვა ხელი, წებოვანი სითხე მოხვდა თითებზე და დაიხარა.

— ძაღლი დაჭრილია, — ჩაიბუტბუტა მეგზურმა და ბოლოს ხელი ცხვირსახოცით შეუხვია.

ძაღლმა გარშემო შემოუარა პატრონს, შეჰყეფა და ისევ ზევით გაიქცა. მეგზური უკან მიჰყვა.

— ეძებე, მგელავ, ეძებე! — აქეზებდა მეგზური ძაღლს.

ძაღლი ყეფით გარბოდა ზევით, მეგზური სირბილით მისდევდა უკან. ასიოდე მეტრის მოშორებით ძაღლი შედგა, ერთ ხანს ადგილზე იწკმუტუნა, როცა პატრონს მოჰკრა თვალი, შეჰყეფა და ხევის პირს ჩაჰყვა. მეგზურმა საწვიმრის კალთები აიკეცა და ბილიკზე გაუჩინარდა. გადიოდა წუთები. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ მდინარე ღმუოდა სადღაც ქვევით და ნაპირებს გლეჯდა. ნოდარს მოთმინება დაეკარგა, ბილიკისკენ გაიწია. მედიკომ შეაჩერა.

— ცოტა კიდევ მოვიცადოთ!

თეიმურაზი თავჩაღუნული იდგა. ცხენის დაკარგვამ დაამუნჯა მოხუცი. თუ ბარგს ვერ იპოვნიდნენ, მთელი გეგმა იშლებოდა. თეიმურაზს კი ისე ეჩქარებოდა შუშხუნის დანახვა, რომ მზად იყო, მარტო წასულიყო. ქვევიდან ყრუდ მოისმა:

— თოკი ჩამოუშვით, თოკი!

ნოდარმა თოკს ერთ ბოლოზე მოზრდილი ქვა გამოაბა და ხევში ჩაუშვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ მოისმა მეგზურის ხმა:

— ასწით!

ნოდარმა თოკი დაქაჩა, მაგრამ ვერ მოერია და მედიკო დაიხმარა. თეიმურაზიც მიეშველა და რის ვაი-ვაგლახით ამოათრიეს ტვირთი. ნივთების უმეტესობა ნაპოვნი იყო, არ ჩანდა მხოლოდ თეიმურაზის ჩემოდანი და საგზლის ნაწილი. ბილიკზე ტალახში მოსვრილი მეგზური გამოჩნდა. წინ ძაღლი მოდიოდა.

— ცხენი მომკვდარა, დანარჩენი ბარგი წყალს წაუღია, — თავისთვის ჩაიდუდუნა მეგზურმა და საწვიმრის კალთები ჩამოიწია. — კარგი ცხენი იყო, კარგი.

შემცირებული ბარგი ადვილად გაანაწილეს ცხენებზე და დაიძრნენ. წინ ძაღლი მიდიოდა, მერე მეგზური, მეგზურს მიჰყვებოდა ჯანდიერი, მერე მედიკო და სულ ბოლოს — ნოდარი. კობამდის დარჩენილი მანძილი უხიფათოდ განვლეს და წყალთან შედგნენ.

— აქ წყალი არ უნდა ყოფილიყო, — შეწუხდა მეგზური. მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ჯანდიერი გამხიარულდა. ნავით მოგზაურობა უფრო უხიფათოდ ეჩვენებოდა თეიმურაზს, რაც მთავარია, ენერგიის დახარჯვა აღარ მოუხდებათ. კიდევ კარგი, ნავი გადარჩა. მოტორიც წესრიგშია. ნოდარმა ტვირთის დაკეცილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავი მოხსნა. შეკუმშული ჰაერი გაუშვა და ნავი წყალში შეაცურა. მერე ბარგი გადაიტანა, სახურავი დაჭიმა და ნავზე შეხტა. თეიმურაზმა მეგზური ნავში მიიპატიჟა.

— ცოტა ხნით დაისვენეთ, უკან დაბრუნებას ყოველთვის მოასწრებთ.

მეგზურმა თავი გააქნია. ცხენებს გაუჯავრდა და მალე მისი სილუეტი სიბნელეში გაუჩინარდა. ქარი სისინებდა. ნავი ოდნავ ირხეოდა. მგზავრები თბილად მოეწყვნენ და მხოლოდ ახლა იგრძნეს დაღლა.

— უნდა ვიჩქაროთ! — თქვა თეიმურაზმა.

ნოდარმა მოტორი ჩართო. ნავის უკან წყალი აქაფდა და მალე ნაპირი თვალს მოეფარა. სწრაფად გაინაწილეს სამუშაო. მედიკოს საჭე ჩააბარეს, ჯანდიერს რადიოგადამცემი და მარშრუტისათვის თვალყურის დევნება დაავალეს. ნოდარს საერთო ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. ნოდარი საწვიმარში გაეხვია და ნავის ქიმზე ჩამოჯდა. ირგვლივ უკუნეთი სიბნელე იყო. ნავი სწრაფად მიიკვლევდა გზას აქოჩრილ ტალღებში.

„აი, ხელმარცხნივ ყანობია, — ფიქრობდა ნოდარი, — ან იქნებ ისიც წყალმა დაფარა. ხელმარჯვნივ კაბარჯინის მთაა. უკან კობი და თრუსოს ხეობა. წინ, კარგი ამინდი რომ იყოს, კუროს მთა გამოჩნდებოდა დაგრეხილი მწვერვალებით. კუროს მთამ სტუდენტობა გაახსენა ნოდარს. მოიგონა, როგორ ეწვია სტუმრად თავის არამელ მეგობარ ღუდუშაურს. როგორ წავიდნენ კუროს მთაზე ჯიხვზე სანადიროდ, როგორ დაინახა პირველად მთაზე გადმომდგარი ჯიხვი, ხელის კანკალით როგორ გამოსწია ჩახმახს და... ნოდარს მოეჩვენა, თითქოს შორს, მთაში, ვილაცამ თოფი დასცალა. ყური მიუგდო — სროლა აღარ განმეორებულა და ნოდარმა ფიქრი განაგრძო.

თეიმურაზმა რადიოგადამცემი ჩართო. მიმღები ახმაურდა.

— მარსი, მარსი, — მოისმა ქალის წრიპინა ხმა.

ასეთი იყო ექსპედიციის პირობითი სახელი.

— გუდა, გუდა, გელაპარაკებათ მარსი! — გამოეხმაურა თეიმურაზი.—ვიმყოფებით ნავში. ვუახლოვდებით სიონს. ირგვლივ არაფერი ჩანს. ბაიდარის ხეობაში, სათადარიგო ცხენი გადაგვეჩეხა. ბარგის ნაწილი დაიკარგა. დაწვრილებით მეგზური მოგიყვებათ. მშვენიერ გუნებაზე ვართ. გუდა, გესმით, გუდა! გელაპარაკებათ მარსი. გელაპარაკებათ მარსი. გადავდივარ მიღებაზე, გადავდივარ მიღებაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზმა ბერკეტი გადაატრიალა და წერა დაიწყო. დროდადრო შუბლი ეჭმუხნებოდა. უსიამოვნოდ აქნევდა თავს. მედიკომ რაც ლექსები იცოდა, ყველა მოიგონა. მერე თვლა დაიწყო. ეშინოდა, არ ჩაეთვლიმა.

— ხუთას ოცდაერთი, ხუთას ოცდაორი, — გუნებაში ითვლიდა მედიკო და თეიმურაზს თვალს არ აშორებდა. თეიმურაზი წერას მორჩა, რადიოგადამცემი გამორთო და ხმამაღლა დაიწყო გუდაურიდან მიღებული ცნობის კითხვა.

„ღამით დასაზვერად ორი ვერტმფრენი გავუშვით.

ისევ განუწყვეტლივ წვიმს. მაშველი ექსპედიციისაგან ცნობა მივიღეთ, კარგად არიან. გველეთის მახლობლად მიწისძვრის შედეგად მთა ჩამოწვა, თერგი დააგუბა და ახლა წყალი სიონის ეკლესიამდის აღწევს, ღუდუშაურის ხეობაში სნოს ციხის კოშკიდა მოჩანს. კობი წყლით არის დაფარული. გერგეთის მახლობლად ოთხი დიდი ჰეიზერი მოქმედებს. შუშხუნა არ ჩანს. დილით თქვენი მიმართულებით ორი ექსპედიცია გამოემგზავრება. მოგიკითხათ „ექიმმა“.

თეიმურაზმა რუკა გადმოიღო და მარშრუტში შესწორება შეიტანა.

თენდებოდა. დროის მიხედვით სიონი დიდი ხანია უნდა გაევლოთ. თეიმურაზი შეწუხდა.

— „მხარი ხომ არ გვეცვალა“, — გაიფიქრა მან და თავი ასწია. მოეჩვენა, თითქოს ზეცაში მხედრებმა გაირბინეს. ნავის ქიმი მძიმე ტვირთისგან განთავისუფლდა და ზევით ამოიწია.

— ნოდარ!

ნოდარი არ გამოეხმაურა.

— ნოდარ! — უფრო ხმამაღლა დაუძახა თეიმურაზმა და, რადგან ამჯერადაც პასუხი არავინ გასცა, მოტრიალდა. ნოდარი არ ჩანდა.

— გამორთე მოტორი!

— რა მოხდა? — იკითხა მედიკომ.

— ნოდარი არ ჩანს.

მედიკოს ფერი ეცვალა.

— ამ წუთში აქ იყო და...

— ალბათ ჩაეძინა და წყალში გადავარდა. ჩართეთ პროჟექტორი, სადმე აქვე ახლოს იქნება.

მედიკომ პროჟექტორი ჩართო. შუქმა ბურუსი ათიოდე მეტრზე გაჰკვეთა. ტბის ზედაპირი მშვიდი იყო. თეიმურაზმა სმენა დაძაბა, ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ნაპირს უნდა მივადგეთ და გუდაურს ვაცნობოთ.

მედიკომ მოტორი ჩართო, საჭე მოხარა და ნავი მთელი სისწრაფით გაქანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიოდა წუთები, მოტორი უკანასკნელ სიჩქარეზე მუშაობდა. კილომეტრები გარბოდნენ უკან.

ბურუსში ნაპირი გამოიკვეთა. მედიკომ ძლივს მოასწრო მოტორის გამორთვა, ნავი გვერდით აეკრა ნაპირს. სწორი ადგილის საპოვნელად მარცხნივ დაუყვნენ. დროდადრო პროჟექტორით ანათებდნენ ნაპირს. შვეულ კედელს დასასრული არ უჩანდა. ირგვლივ უფრო ჩამობნელდა, წვიმამ გადაიღო, ჰაერი დაიხუთა. ნავი რამდენჯერმე ძირით გაეხახუნა ფსკერს. ახლა უკვე ნელა მიიწევდნენ წინ. წყალქვეშა ქვები გახშირდა. ნავის სახურავს ვიღაც ფხაჭნიდა. თეიმურაზმა სმენა დაძაბა, მედიკომ კარაბინი მოიმარჯვა. ფხაჭუნი განმეორდა. ნავის წინა მხარე ვიღაცამ შემოგლიჯა. მედიკომ სასხლეტი მოსწია. თოფმა დაიგრიალა. ჰაერის ტალღამ ნავი კინაღამ ააყირავა. ექო თანდათანობით მიწყდა. შორიახლო მძიმე სხეული ტყლაშუნით ჩავარდა ტბაში. თეიმურაზმა თვალები გაახილა და შიშისაგან უკან დაიხია. ნავში ვეებერთელა ქვა გაჩხერილიყო.

მედიკომ პროჟექტორი ჩართო. თვალი თანდათანობით შეეჩვია შუქს. გამოჩნდა გაუთავებელი ქვის ლაბირინთი. თაღიდან სხვადასხვა ზომის სტალაქტიდები ეშვებოდნენ წყალში. თეიმურაზი უცებ გამოერკვა, რადიოგადამცემი მომართა და შემდეგი შინაარსის ცნობა გადასცა:

„ვიმყოფებით ნახევრად წყლით ავსებულ სტალაქტიდების გამოქვაბულში. ხელსაწყოების უქონლობის გამო კოორდინატების დადგენას ვერ ვახერხებ. წყლის დონე ყოველ წუთს მატულობს. ნოდარი უგზოუკვლოდ დაიკარგა. ვეძებთ გასასვლელს“.

## საიდუმლო ხვრელი

ავიდა თუ არა თამაზი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სარკმლის რაფაზე, ქვევით ჩახტა, ფარანი ჩართო და ოთახი დაათვალიერა. პატარა მტვრიან ოთახში ყურადღებას არაფერი იპყრობდა. თამაზი კარს მიუახლოვდა. დააკვირდა. მტვრის სქელი ფენა იდო. ვინ იცის, რამდენი ხანია კარი არ გაულიათ. თამაზმა სახელური მოსწია, ფრთხილად გააღო და დროზე შეიკავა თავი, თორემ შვეულ

კიბეზე დაეშვებოდა. ოთხკუთხა ჭრილი ზედ კარის პირთან იწყებოდა. ჭრილში აბლაბუდამოდებული რკინის კიბე ჩანდა.

„ამ გზით დიდი ხანია არავის უსარგებლია“, — დაასკვნა თამაზმა და ფარნის შუქი ჩააყოლა კიბეს. ოცდაორი საფეხური დათვალა, მერე ფარანი ჭერს მიანათა და კვადრატის პირდაპირ ჭოჭონაქი შენიშნა. მეორე ოთახი პირველთან შედარებით პატარა იყო, ბნელი, მტვრიანი და უიატაკო. ვინც ამ ოთახის თავისებურება არ იცოდა, აუცილებლად კიბეზე დაგორდებოდა. თამაზი ბედად გადაურჩა ხიფათს. შედგა, სული მოითქვა. ფარანი მკერდზე დაიკიდა და კიბეს ჩაჰყვა. კიბე ირყეოდა, საფეხურები ჭრიჭინებდნენ. ირგვლივ უსიამოვნო სუნი ტრიალებდა. მესამე ოთახი მრგვალი ფორმის იყო. ერთმანეთის გვერდით ჩასმული სამი კარი ჰქონდა. ყველა ერთი ზომის იყო და მჭიდროდ მიხურული. თამაზი ყოყმანობდა, მერე ალალბედად რომელიღაც კარი შეარჩია და სახელური მოსწია. კარი გაიღო. ვიწრო დერეფანმა თამაზი დიდ სარდაფში გაიყვანა. სარდაფი სავსე იყო ძველი ნივთებით. უწესრიგოდ ეყარა დამტვრეული სავარძლები, რკინის სალტეებით მოჭედილი ზანდუკები, რამდენიმე კასრი, დამსხვრეული ჭაღი. ფარნის შუქზე ბროლის მძივები ალმასებივით ციმციმებდნენ. ტახტზე თაგვებისგან სანახევროდ შეჭმული ორი ფარდაგი ეგდო. ერთ სავარძელზე ოფიცრის მუნდირი იყო გადაკიდებული. თამაზმა ფეხი გამოსდო რაღაცას და ასაღებად დაიხარა. ხელში ჩარჩოში ჩასმული, მეფისდროინდელი გენერლის პორტრეტი შერჩა. თამაზს მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ სახლი, სადაც შემდეგ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი გადმოვიდა, ერთ დროს თადარიგში გასულ მეფის რუსეთის გენერალს ეკუთვნოდა და მისთვის ზოგიერთი რამ ნათელი გახდა. ეხლაღა გაახსენდა, რევოლუციის წლებში როგორ გაიპარა გენერალი ალყაშემორტყმულ სახლიდან. მაშინ თურმე ბევრს წერდნენ ამაზე გაზეთებში. ლაპარაკობდნენ საიდუმლო ხვრელზე, რომელიღაც ახალ გამოგონებაზე. მაგრამ ეს ხმები ტყუილი აღმოჩნდა და ხვრელს ვერ მიაგნეს. თამაზი ზანდუკებში იყურებოდა. უმეტესობა ცარიელი იყო. ზოგში ძვირფასი ფაიფურის ჭურჭლის ნამსხვრევები ეყარა. გასასვლელი არ ჩანდა. თამაზი შუა სარდაფში შედგა, ხალათის ღილი შეიხსნა და ფარანი მოიმარჯვა. წიგნების კარადას მიუახლოვდა, კარადის სახელურს მოსწია და გაოცდა. წიგნების კარადა კარივით გაიღო. გამოჩნდა კედელი. კედელზე თავის ქალა ეხატა, ქვევით მოჩანდა ალაგ-ალაგ წაშლილი წარწერა — „სასიკვდილოა!“ თამაზმა უკან დაიხია. ერთ ხანს

შორიდან ათვალიერებდა, მერე ახლოს მივიდა, მიაკაკუნა. კედელმა ყრუ ხმა გამოიღო. თამაზმა იატაკს ფეხი დაჰკრა. კედლის იქით საკეტი გატკაცუნდა. იატაკი შეირყა. ზარმა დარეკა. თამაზმა ყური მიუგდო და კედელს მიაწვა. კედელი ღერძის გარშემო შეტრიალდა და თამაზი დახვეული კიბის წინ აღმოჩნდა. გაუბედავად გადადგა ნაბიჯი. ისევ დარეკა ზარმა. კედელი შეტრიალდა და უკან დასახევი გზა ჩაკეტა. თამაზმა ოფლი მოიწმინდა. ფარნის შუქი ჩააყოლა კიბეს. კიბე სიბნელეში იკარგებოდა. თამაზმა იარაღი მოიმარჯვა და ფრთხილად დაიწყო ქვევით ჩასვლა. კედლებიდან წყალი ჟონავდა. საფეხურზე ფეხი სხლტებოდა. ყოველ მოსახვევში მოსალოდნელი იყო მტერთან პირისპირ შეხვედრა. კიბე გათავდა. თამაზი შედგა. ქვევით წყალი იყო. თამაზმა წყლის ზედაპირი გაანათა. წყალზე ოთხკუთხა ფირფიტა ტივტივებდა. ფეხით მოსინჯა და ფირფიტაზე გადავიდა. ზემოთ აიხედა, ზემოთ ალუმინის კიბე ჩანდა. კიბემდის თამაზს ათიოდე მეტრი აშორებდა. ჭაში წყალი ბუყბუყებდა. ფარანი სუსტად ბჟუტავდა. კიბის ბოლოზე შუქი აინთო. ფირფიტა შეტოკდა და თამაზმა იგრძნო, როგორ მიიწევდა ზევით. კიბის პირველმა საფეხურმა ცხვირწინ ჩაუარა, მკერდთან, ქამართან და მუხლებთან შეჩერდა.

„ოჰო, აქ უკვე თანამედროვე ადამიანის ხელი ურევია", — გაიფიქრა თამაზმა და ქვევით გადაიხედა.

ქვევით წყლით სავსე ჭა ჩანდა. ფირფიტა ჰაერში იყო გამოკიდებული „კიბერნეტიკა", — დაასკვნა თამაზმა და კიბეზე ავიდა. კიბის თავში გვერდებდახრახნილი ბაქანი იყო. ცოტა ზევით, კაცის სიმაღლეზე, იმავე ზომის მრგვალი ნახვრეტი ჩანდა. ბაქანი ტოკავდა. თამაზი ძლივს ინარჩუნებდა წონასწორობას. უცებ ფეხქვეშ დარტყმა იგრძნო, ბაქანმა ზევით აიტაცა იგი და ისე სწრაფად გააძვრინა ხვრელში, რომ ბედზე გადარჩა. თამაზი ციბრუტივით ტრიალებდა. ბაქანი იატაკს ეხრახნებოდა. საკანი, სადაც თამაზი მოხვდა, იმდენად ვიწრო იყო, რომ ფეხზე დამდგარი კაცი ძლივს დაეტეოდა. დაცხა. ჰაერი ჩაიხუთა. ბაქანი იატაკს ჩაეხრახნა და გაჩერდა. ბნელოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა.

„ალბათ საფლავშიც ასეთი სიწყნარეა", — გაიფიქრა თამაზმა და სწორედ ამ დროს კედლის იქით ვიღაცამ დაილაპარაკა. თამაზი სმენად იქცა, მაგრამ სიტყვები ვერ გაარჩია. საჭირო იყო მოქმედება. სივიწროვე კი ამის საშუალებას არ იძლეოდა. თამაზმა რევოლვერი მოიმარჯვა და ახალი მოულოდნელობის წინაშე გაისუსა, ჰაერი უფრო დამძიმდა. სუნთქვა გაჭირდა. თამაზი ოფლში გაიღვარა.

„ასე თუ გაგრძელდა, გავიგუდები“, — გაიფიქრა და თავში საშინელი ტკივილი იგრძნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლის იქით ვიღაც ხარხარებდა.

*

* *

მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა შარაგზაზე. დავითი აჩქარებდა მძღოლს.

სიზმარივით გაირბინა ევკალიპტებით დაბურულმა გზატკეცილმა. მანქანამ მარჯვნივ გაუხვია და აღმართზე აიჭრა. გორაკზე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შენობა გამოჩნდა. დავითმა მანქანა გააჩერებინა, ჩამოხტა, ჩქარობდა.

ალაყაფის კართან ვახტანგი წამოეწია. სწრაფად გაიარეს კვიპაროსების ხეივანი და გრანიტის მასიურ კიბესთან შედგნენ.

— ვახტანგ, სასწრაფოდ მოძებნე თამაზი, მე ზემოთ ვიქნები.

დავითი შენობაში შევიდა. მრგვალ დარბაზში მყოფ ორ მამაკაცს მიესალმა და ოთახს თვალი გადაავლო. ნათელი ოთახის კედლების გასწვრივ ადამიანის ზომის რამდენიმე ქანდაკება იდგა — მერკურის, ვენერას, იუპიტერის, სატურნის, ურანის, პლუტონის, ერთი სიტყვით, იმ მითოლოგიური ღმერთებისა, რომელთა სახელებიც ციურ მნათობებს დაერქვა. ცალკე, დარბაზის სიღრმეში, მარსის ბრინჯაოს ქანდაკება მოჩანდა. ჭერიდან წახნაგოვანი ჭაღი ეშვებოდა. ჭაღის ქვევით, შავი ხის ბრტყელფეხიანი მაგიდა იდგა. მაგიდაზე საბჭოთა კავშირის დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის მაკეტი იდო. დავითის წინ ნაცნობი სურათი გადაიშალა. ადრე ხომ ამ შენობაში ობსერვატორია იყო. კოშკი თეიმურაზ ჯანდიერის მითითებით მიუშენეს შენობას. ეს ქანდაკებებიც მან შეიძინა. დავითმა სწრაფად გადაკვეთა დარბაზი და ზევით ავიდა. ოთახში დავითს კრიმინალური ჯგუფის უფროსი დახვდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, მთელი სახლი გადავატრიალეთ, კვალს ვერ წავაწყდით. მხოლოდ სეიფია ნაწვალები.

— საბუთები ადგილზეა? — იკითხა დავითმა.

— ადგილზე.

— ნახაზები?

— ყველაფერი, მხოლოდ კოსმოსური შუშხუნის უკანასკნელი მაკეტი არ ჩანს.

— კვალი?

— არ ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავისუფალი ხართ.

კრიმინალური ჯგუფის უფროსი წავიდა.

ოთახში ვახტანგი შემოვიდა.

— თამაზი არ ჩანს. ორი საათის წინ უფროს ზემდეგს, მთვრალაშვილს, თვალი მოუკრავს შენობის ჩრდილოეთით. ამის შემდეგ მისი მნახველი არავინ ყოფილა.

— გამიგონე, ვახტანგ, საქმე სერიოზულ ხასიათის ღებულობს. სასწრაფოდ შეკრიბე ოპერატიული ჯგუფი დარბაზში, მე მალე მოვალ. რადაც არ უნდა დაგიჯდეს, იპოვე თამაზი.

— მესმის, ამხანაგო პოლკოვნიკო!

დავითი მარტო დარჩა. გაიარ-გამოიარა. დაჯდა. ვერ მოისვენა. ტელეფონთან მივიდა. ნომერი აკრიფა. ერთ ხანს ელოდა, მერე გაიჭიმა და მობოდიშებით დაიწყო:

— ბოდიში, პატივცემულო მასწავლებელო, მაგრამ მდგომარეობა მაიძულებს შეგაწუხოთ. ორას ოცდაერთი ამოცანის ამოხსნისას მოცემულობა იგრეკი უგზოუკვლოდ დაიკარგა. ამოცანა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ძველი ხერხი არ ჭრის. პასუხს ვერ ვღებულობ. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე. მესმის, მესმის. ძალიან საინტერესოა. აუცილებლად ვცდი... რვა საათზე? როგორც ყოველთვის. გმადლობთ.

დავითმა ყურმილი დადო. ოთახის კარი გამოკეტა და ქვევით დაეშვა. მოსაცდელ ოთახში ოპერატიული ჯგუფი ელოდებოდა. დავითმა კახიძე მოიხმო.

— იპოვე?

— კვალს წავაწყდით. თამაზი სარკმლით შენობაში გადამძვრალა და სარდაფში გასულა. სარდაფში კვალი იკარგება. სხვა გასასვლელი არ არსებობს. ერთი სიტყვით, თვალსა და ხელს შუა გაქრა.

დავითმა საათზე დაიხედა. თამაზის დაკარგვიდან თითქმის ორი საათი იყო გასული. დავითმა თავი ასწია. თვალები დაახამხამა. მოეჩვენა, თითქოს ბრინჯაოს ქანდაკება გაინძრა და ასოციაციით მოძრავი ლოდი მოაგონდა. დააკვირდა. ქანდაკება უძრავად იდგა. მარსი მშვიდად შეჰყურებდა დავითის შეწუხებულ სახეს. დავითმა მზერა სხვა საგანზე გადაიტანა.

— ამხანაგებო! — დაიწყო დავითმა. — მე ახლახან ველაპარაკე გენერალს. წუხელის რამდენიმე ადგილას უცდიათ ჩვენი საზღვრის დარღვევა, ძირითადად ზღვაზე. მტერს, ეტყობოდა, ჩვენი ინსტიტუტი აინტერესებს. ეს გასაგებიცაა. ერთი სიტყვით, ინსტიტუტი ჩვენი ძირითადი ობიექტია. მართალია, მტერმა მოულოდნელი მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედებით ინიციატივა ხელთ იგდო, მაგრამ... — დავითს მოეჩვენა, თითქოს ბრინჯაოს ქანდაკება ისევ გაინძრა. ხმაურიც მოესმა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია და საუბრის გაგრძელება სცადა. სიტყვის თქმა ვერ მოახერხა. ქანდაკება ირხეოდა. ახლა ამას ყველა ამჩნევდა.

„იმ ლოდის შემდეგ გასაკვირი არაფერია", — გაიფიქრა დავითმა და ოპერატიული ჯგუფი დარბაზში ჩაასაფრა.

ქანდაკება ძიგძიგებდა. მარსი ცალ ფეხზე შემოტრიალდა, მოსასხამი მოიხსნა და დავითმა ძლივს მოასწრო იარაღისათვის მიმართულების შეცვლა. ტყვიამ ზუზუნით ჩაუარა ომის ღმერთს, კედელს მოხვდა და ბათქაში ჩამოჰყარა.

თამაზი იატაკზე დაეცა.

დავითი თვალებს არ უჯერობდა, მერე გამოერკვა და თამაზი წამოაყენა. საფეთქლები დაუზილა, წყალი დაალევინა. ვახტანგმა ფანჯარა გამოალო. ოთახში ნიავი შემოიჭრა. თამაზმა თვალები გაახილა.

— თქვენა ხართ? — იკითხა მან და უფრო ფართოდ გაახილა თვალები. წამოიწია. დახუჭა, ისევ გაახილა.

— წყალი.

ვახტანგმა ჭიქა მიაწოდა. თამაზმა ორი ყლუპი მოსვა.

— კინაღამ სული ამომხდა, — თქვა მან, — პირდაპირ ჯოჯოხეთი იყო. თქვენი ლაპარაკი მესმოდა, მაგრამ, როგორ ვიფიქრებდი, რომ თქვენ იყავით.

— აქ საიდან მოხვდი? — იკითხა დავითმა და ქანდაკებაზე მიუთითა.

ქანდაკება შეტრიალებულიყო და ჩვეულებრივად იდგა. თამაზმა კითხვაზე არ უპასუხა. დავითმა ოპერატიულ ჯგუფს დავალება მისცა და თამაზი გვერდზე გაიხმო. ყურში რაღაც უჩურჩულა. თამაზმა თავი დაუქნია. დავითი სწრაფად გავიდა შენობიდან.

## გენერალ ალექსეევთან

საღამოს შვიდი საათისთვის დავითმა სამსახურში გაუარა თამაზს. თამაზი კაბინეტში არ დაუხვდა. დავითი მაგიდას მიუახლოვდა, ჭადრაკის ფიგურებს დააკვირდა. ჩაფიქრდა, ერთ დღეში იმდენი მოულოდნელი რამ მოხდა, რომ დავითს უჭირდა მდგომარეობაში გარკვევა. დავითს ანცვიფრებდა მტრის ორგანიზებულობა და ის თავბრუდამხვევი ტემპი, რომლითაც მან მოქმედება დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ერთი თავსატეხი თავისებურებაც მის მოქმედებაში: იგი კვალს არ ტოვებდა. კრიმინალურ მეცნიერებას დღემდე არ ახსოვს, რომ ბოროტმოქმედს კვალი არ დაეტოვებინოს. იყო შემთხვევები, როდესაც მტერი გულდაგულ ინიღბებოდა, მაგრამ მაშინაც კი ტოვებდა კვალს. ახლა პირიქით მოხდა, მტერი აშკარად და თავხედურად მოქმედებს, არ ერიდება არავითარ ბინძურ ხერხებს. ფართოფრონტით გვიტევს, კვალს კი არ ტოვებს. დრო არ ითმენს. საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება. დავითმა ჭადრაკის დაფაზე ფიგურა გადააადგილა და თავი ასწია.

ოთახში თამაზი შემოვიდა.

— მაშ, შენ ამბობ, რომ გვირაბი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით არის აღჭურვილი, მერე ამისთვის ხომ დრო იყო საჭირო?

— თავისთავად ცხადია.

— ჩანს, მტერი ადრეც მოქმედებდა ინსტიტუტში. უცნაურია, ინსტიტუტის შტატში ბოროტმოქმედი არ უნდა იყოს. თანაც ერთი კაცი ამხელა მიწის სამუშაოს ვერ შეასრულებდა. სად შეიძლება გაეტანათ ზედმეტი მიწა?

— ერთადერთი ვარიანტი რჩება: ზედმეტი მიწა გვერდებზე გატკეპნეს.

დავითი მოტრიალდა.

— ამისთვის ტექნიკა იყო საჭირო. როგორ მოახერხა მტერმა ინსტიტუტში საამისო ხელსაწყოების ისე შეტანა, რომ ვერავინ შეენიშნა.

თამაზმა მხრები აიჩეჩა.

დავითმა ჭადრაკის დაფას ხელი აჰკრა. ფიგურები მაგიდაზე მიმოიფანტა.

— დიდებულია! მტერი ცხვირწინ მოქმედებს და ჩვენ ერთი ხელჩასაჭიდებელი საბუთიც არ გაგვაჩნია. გვირაბის ქვედა ნაწილი თუ დაათვალიერე?

— დავათვალიერე. ხუთი მეტრის სიღრმეზე წყალია, ორ მეტრზე სილა და სულ ქვევით გრანიტის ფენა იწყება.

— ასე, — ჩაილაპარაკა დავითმა, — როგორც ჩანს, არსებობს ორი გვირაბი: ერთი ძველი, მეორე ახალი.

— დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო. პირველი ჩვეულებრივ საიდუმლო ხვრელს წარმოადგენს, პრიმიტიული მოწყობილობით. მეორე კი...

— ვიცი.

დავითი კარისკენ წავიდა. მერე შედგა.

— მაშ ასე, რვა საათზე გენერალ ალექსეევთან!

ზუსტად რვა საათზე დავითმა და თამაზმა გენერლის კაბინეტის კარი შეაღეს და სმენაზე დადგნენ.

— დასხედით! — მოისმა ხმა მეორე ოთახიდან.

დავითი და თამაზი ანგარიშმიუცემლად დასხდნენ.

ოთახში შემოვიდა გენერალი, საშუალო სიმაღლის გამხდარი მამაკაცი. შუბლის ერთ მხარეზე ნატყვიარი აჩნდა. მკაცრად მოკუმული ტუჩების ძირში ღრმა ნაოჭი გაწოლილიყო. გენერალმა სალამზე თავი დაიქნია და ისე მადლიანად გაიღიმა, რომ უცებ გაჰქრა ოფიციალობით გამოწვეული უხერხულობა.

— მომახსენეთ! — თქვა მან, სავარძელში ჩაჯდა, ხელები ჭაღარა საფეთქლებზე შემოიწყო და თვალები დახუჭა.

დავითმა პირველმა ილაპარაკა. დაწვრილებით მოჰყვა, რაც იცოდა, შესაფერისი დასკვნები გააკეთა და მომავალი მოქმედების გეგმა დასახა. მერე თამაზმა ილაპარაკა. გენერალი ყურადღებით უსმენდა. შენიშვნებს იწერდა, ეღიმებოდა და როცა თამაზი თხრობას მორჩა, ფეხზე ადგა. პაპიროსი ამოიღო, ასანთს გაჰკრა, მაგრამ არ მოუკიდა.

— რაც მიამბეთ, ჩემთვის ახალი არ არის, — თქვა მან, — ყოველ შემთხვევაში, დიდი ხანია ველოდი. მტერმა დააგვიანა. თქვენ მგონი, კარგად იცით ინგლისური ენა? — მიმართა გენერალმა დავითს და როდესაც თანხმობა მიიღო, გააგრძელა: — ამ თვის უკანასკნელი რიცხვის ამერიკული ჟურნალ-გაზეთები თუ წაიკითხეთ? არა? — გენერალმა უსიამოვნოდ გააქნია თავი.

— სამწუხაროა. ერთი სიტყვით, ამ ბოლო თვეში ამერიკის პრესას დიდი გამოცოცხლება დაეტყო. უახლოეს დროში დანიშნულია მარსზე გაფრენა. ახლა დაბეჯითებით არ შეიძლება ითქვას, განახორციელებენ ამერიკელები დანიშნულ დროზე გაფრენას თუ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: პრესის გააქტიურება ჩვენი მეცნიერების უკანასკნელ აღმოჩენებთან არის დაკავშირებული. ახლა ამერიკაში ამაზე ბევრს წერენ. თეთრ სახლში დახურული სხდომები მიმდინარეობს. ისინი ყოველნაირად ეცდებიან დაკარგული ავტორიტეტის აღდგენას.

გენერალი დადუმდა, მერე მოულოდნელად იკითხა:

— რა აინტერესებს მტერს? — და თვითონვე გასცა პასუხი: — რასაკვირველია, ჩვენი ტექნიკის მიღწევები შუშხუნათმშენებლობის საქმეში. ეს კი ნაწილობრივ დაკავშირებულია ჯანდიერის გამოკვლევასთანაც. ასე რომ, მტერს ერთიც აინტერესებს და მეორეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა გადავიდეთ მეორე საკითხზე. — ვინ არის მტერი? ოო, მტერი საკმაოდ ჭკვიანი და საშიში კაცია. მე იმ წუთში მივხვდი, როგორც კი საიდუმლო ხვრელი ახსენეთ, რომ ამ საქმეში მისი ხელი ურევია, მაგრამ ამაზე სხვა დროს. ახლა ყური დამიგდეთ. სარწმუნო წყაროებით დადგენილ იქნა, რომ ოთხ ივნისს, ე. ი. ერთი კვირით ადრე, სანამ საზღვარზე მკვლელობა მოხდებოდა და თქვენ მოძრავ ლოდს შეამჩნევდით, ნიუ-იორკის სამხედრო პორტში, ზღვაში ჩაუშვეს უცნაური კონსტრუქციის წყალქვეშა ნავი. ნავმა გამოცდის შემდეგ სპეციალისტებისაგან მაღალი შეფასება მიიღო. მისი გამოცდა საიდუმლოდ მოხდა. ზონის დაცვა სი-აი-სის ჰქონდა დავალებული. ჯერ ამ უცნაური ნავის შესახებ სხვა ცნობები არ გაგვაჩნია. ვიცით მხოლოდ, რომ ოთხი დღის შემდეგ, რვა ივნისს, ნავის ეკიპაჟი დაკომპლექტდა და გაურკვეველი მიმართულებით სამოგზაუროდ გაემგზავრა. ერთი დღით ადრე ფილადელფიის შტატში მოგზაურობის დროს ტრაგიკულად დაიღუპა ამერიკაში კარგად ცნობილი კერძო აგენტი ო,ბრაინი. როგორც შემდეგ გამოირკვა, კატასტროფა ინსცენირებული ყოფილა, ხოლო ო,ბრაინი ნავის ეკიპაჟში ჩაეწერა. არ დაგავიწყდეთ, ეს ის ო,ბრაინია, რომელიც თხუთმეტი წლის წინათ „მახრას“ სახელით მუშაობდა აზიის ქვეყნებში. შემდეგ „შავ სიკვდილად“ მოევლინა ევროპას. იგი საკმაოდ ბოხერხებული და ეშმაკია. ამიერკავკასიის რესპუბლიკების კარგ მცოდნედ ითვლება. ბრწყინვალედ იცის ქართული, აზერბაიჯანული, სომხური ენები, რუსულს და უკრაინულს რომ თავი დავანებოთ. თერთმეტ ივნისს საზღვარზე მკვლელობა მოხდა და თქვენ მოძრავი ლოდი შენიშნეთ. იმავე ღამით ინსტიტუტის დარაჯმა შენობაში უცხო პიროვნება შეამჩნია. თითქოს ეჭვს გარეშეა, რომ მტერი ო,ბრაინია, მაგრამ ნუ ავჩქარდებით. მას ჩვენ პირობითად „პილოტი“ დავარქვათ.

გენერალმა პაპიროსს მოუკიდა, კვამლი ღრმად შეისუნთქა და შეწყვეტილი საუბარი გააგრძელა.

— ახლა გავარკვიოთ, რა კავშირი არსებობს იმ კაცსა, რომელსაც ინსტიტუტის დარაჯი ელაპარაკა, პილოტსა, რომელმაც თქვენ თამაზის წერილი გადმოგცათ, და იმ კორესპონდენტს შორის, რომელიც მთაში იქნა შემჩნეული. ყველა მონაცემის თანახმად, ეს ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს სამი პიროვნება ერთდროულად სამ სხვადასხვა ადგილას იქნა შემჩნეული. თანაც ისე შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ, თითქოს მთელ ამ საქმეს ერთი კაცი ხელმძღვანელობდეს. ეს ართულებს

საქმეს, მაგრამ, სამაგიეროდ, იქ იმალება ამ ოპერაციის გასაღები და ჩვენც ამ კაციდან უნდა დავიწყოთ.

დღეს დილით არასასიამოვნო ცნობა მივიღე. „მარსის“ ექსპედიცია უკვალოდ დაიკარგა. მისი აღმოჩენა „ექიმს“ აქვს დავალებული. ახლა ყაზბეგის რაიონში დიდებული ამინდებია. მდინარეები ძველ კალაპოტს დაუბრუნდა. შუშხუნის ძებნა გრძელდება. ამ ობიექტს ჩვენ პირობითად „მარსი“ ვუწოდოთ.

გენერალმა პაპიროსი საფერფლეზე დასრისა, გაიარ-გამოიარა და უკანასკნელ საკითხზე გადავიდა.

— ყველაზე დიდ სირთულეს ლოდის საიდუმლოება წარმოადგენს, — თქვა გენერალმა, — ეს ხერხი იმდენად ორიგინალურად არის მოფიქრებული, რომ არაფრის თქმა არ შემიძლია. ამ საიდუმლოების ამოხსნა ამხანაგ ინწკირველს მივანდოთ. იგი ასეთ საქმეში გამოცდილია; დავით, თქვენ თადარიგში გახვალთ, იქირავებთ პატარა ბინას ზღვის სანაპიროზე და „დაისვენებთ“. შეიძინეთ პატარა ნავი, ითევზავეთ, გაერთეთ. მერე ნავი გაჰყიდეთ და ახალი შეიძინეთ. ახალ ნავს ჩვენი მეკავშირე მოგყიდით. ჯერ-ჯერობით სხვა არაფერი. მომავალი მოქმედების გეგმას ცალკე გაცნობებთ. კახიძე დროებით თამაზთან იმუშავებს. ამის შესახებ თქვენ გააფრთხილეთ. შეკითხვები გაქვთ?

— ერთი შეკითხვა.

— ბრძანეთ.

თამაზი ფეხზე ადგა.

— ინსტიტუტის საიდუმლო ოთახიდან მტერმა შუშხუნის უკანასკნელი მაკეტი გაიტაცა. ეს ობიექტი ცალკე ხომ არ უნდა გამოვყოთ?

გენერალმა თავი გააქნია.

— არ არის საჭირო. ჯერჯერობით იყოს მტერთან. საზღვარგარეთ კი არ გავატანთ. სხვა შეკითხვები ხომ არა გაქვთ?

ყველაფერი ნათელი იყო.

გენერალმა სტუმრები მეორე ოთახში მიიპატიჟა. საიდუმლო ღილაკს თითი დააჭირა და ფარდა გახსნა. კედელზე ვეებერთელა რუკა გამოჩნდა. გენერალმა ჯოხი აიღო და იმ რაიონების მოხაზვა დაიწყო, რომლებშიც დავითს და თამაზს უნდა ემოქმედათ. ეს უკანასკნელნი გულდასმით უსმენდნენ გენერალს და უბის წიგნაკში შენიშვნებს იწერდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გამოქვაბულის ტყვეობაში

მედიკო და თეიმურაზი ფრთხილად მიიწევდნენ წინ. საჭე გატეხილი იყო. მოტორი არ მუშაობდა. რადიოგადამცემი „ჭირვეულობდა". წყლის დონე მატულობდა. მანძილი ნავსა და თაღს შორის მცირდებოდა. გამოქვაბული თანდათანობით დავიწროვდა.

— გზის გაგრძელება შეუძლებელია, — თქვა თეიმურაზმა და ნიჩბებს ხელი გაუშვა. მედიკომ უკან მოიხედა. ნავის მობრუნება შეუძლებელი იყო. ესეც არ იყოს, გამოქვაბულს უკან იმდენი განშტოება ჰქონდა, რომ ძნელი დასადგენი ხდებოდა, რომელი მხრიდან შემოვიდნენ გამოქვაბულში. მანძილი ნავსა და თაღს შორის იმდენად შემცირდა, რომ თეიმურაზი თავდახრილი იჯდა. ჰაერი დაიხუთა. სუნთქვა გაჭირდა. ექსპედიცია აშკარა კატასტროფის წინაშე იდგა. თეიმურაზი ელოდა დასასრულს და იმედს მაინც არ ჰკარგავდა, ცოტა ხანს უნდა გავძლოთ, იქნებ გვერდით უფრო მაღალი გასასვლელი გამოჩნდეს, ან წყლის დონემ დაიკლოსო.

თეიმურაზმა ბარგის ერთი ნაწილი წყალში გადაყარა. მერე, რამდენადაც ამას საშუალება იძლეოდა, ნავიდან შეკუმშული ჰაერი გამოუშვა. მანძილი თაღსა და ნავს შორის ოდნავ გადიდდა, მაგრამ დროებით. წყლის დონე ძველებურად მატულობდა. მედიკო და თეიმურაზი ნავის ფსკერზე გაწვნენ. იწვნენ გულაღმა და ელოდნენ, მაგრამ რას, კარგად არც ერთმა არ იცოდა. ერთი რამ ცხადი იყო, სიკვდილზე არ ფიქრობდნენ. სადღაც აფორიაქებული გონების ძალმა იმედის ნაპერწკალი კიაფობდა. რატომღაც სჯეროდათ გადარჩენისა და გასაჭირს ვაჟკაცურად უსწორებდნენ თვალს. წყლის დონემ ისევ აიწია. ნავი ბოლოებით შეეხო თაღს და ბოლოს მთლიანად აეკრა. „მარსის" ექსპედიცია უცნაურ სამარეში დაიმარხა. ზემოდან უზარმაზარი მთა აწვებოდა, ქვევით ნავის ფსკერი, რომელსაც არაადამიანური ძალით კუმშავდა წყალი. სხვა უბედურებას ახლა ჟანგბადის ნაკლებობაც დაემატა. მედიკოს თავბრუ დაეხვა. გონება დაძაბულად მუშაობდა. თეიმურაზმა ნავის გაჭრა გადაწყვიტა, ჟანგბადის მარაგის გამოყენება უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა. წყალში დახრჩობას ისევ ასეთი სიკვდილი ამჯობინა. მედიკოს ოფლმა დაასხა, თვალები გაუფართოვდა. თეიმურაზმა პირი დაალო, ჰაერი ვერ ჩაისუნთქა და ყელზე იტაცა ხელი. თვალებზე ბინდი გადაეფარა. კრუნჩხვა დაეწყო. ჯერ ერთი ხელი დაეგრიხა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მეორე. წელში ორად მოიხარა, ზურგით თაღს მიებჯინა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიაწვა.

ვერ გეტყვით, ეს მისი აზროვნების უკანასკნელი ნაყოფი იყო, არსებობისთვის ბრძოლის ინსტინქტი, თუ ბედნიერი შემთხვევითობა — შედეგი საოცარი აღმოჩნდა. ნავმა ქვევით დაიწია. ზევით თავისუფალი არე გამოჩნდა. „სამარეში“ ჰაერი შეიჭრა. თეიმურაზმა საშინელი სისუსტე იგრძნო, ბეჭები მოადუნა და ნავის ფსკერზე დაეცა.

თაღსა და ნავს შორის მანძილი იზრდებოდა.

„წყლის დონე იკლებს“, — გაიფიქრა თეიმურაზმა. იგი გულაღმა იწვა. ღიმილი არ შორდებოდა განაწამებ სახეზე, როცა ხედავდა, როგორ იზრდებოდა მანძილი ნავსა და თაღს შორის.

უკვე შეიძლებოდა წამოდგომა, მაგრამ თეიმურაზი არ ჩქარობდა. სინათლემ იმატა. ნავი ოდნავ ქანაობდა. გამოქვაბული ფართოვდებოდა და იზრდებოდა. ნავი ერთ ხანს დინებას გაჰყვა, მერე ფსკერით ქვას გამოედო და გაჩერდა. შორიდან გრუხუნი მოისმა. გამოქვაბულის კედლები შეირყა. სადღაც ახლოს სტალაქტიდი მოსწყდა თაღს და ფსკერზე დაიმსხვრა. პატარა ნაკადული ელვის სისწრაფით დაიწურა.

თეიმურაზი პირველი გადმოვიდა ნავიდან, წელში გაიმართა, ბეჭები გაშალა და რადიოგადამცემი ჩართო. ამაოდ. მიმღები სდუმდა. რადიოგადამცემი არ მუშაობდა. მედიკო ჩვარივით დაგდებული ნავის გვერდით იჯდა და ხელები თავზე შემოეწყო. თეიმურაზმა გადამცემი გუბეში ისროლა.

— რაღაც უნდა ვიღონოთ, — თქვა მან, — როგორმე თავი უნდა დავაღწიოთ ამ გამოქვაბულს. ფეხით მოგვიხდება სიარული.

მედიკომ თავი ასწია.

— საით? — იკითხა მან.

— თუნდაც იქით... განა ჩვენ იქიდან არ მოვედით?

— ეშმაკმა იცის, საიდან მოვედით. ამ სოროში ადამიანს თავგზა აებნევა. ერთი რამ ცხადია, იქით გასასვლელი უნდა იყოს.

— საიდან დაასკვენით?

თეიმურაზმა სათვალე გაისწორა.

— თუნდაც იქიდან, რომ წყალი იმ მხარეს დაიწურა.

— მერე რა. ხომ შეიძლება წყალი მიწისქვეშ იკარგებოდეს.

— ყველაფერი შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, როდესაც არჩე-

ვანი არ არსებობს, რჩება მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი: წინ უნდა ვიაროთ, სადღაც ხომ გათავდება ეს გამოქვაბული.

მედიკომ ამოიოხრა.

— სხვადასხვა მიმართულებით რომ წავიდეთ, იქნებ უფრო საიმედო იყოს. ვინც ადრე იპოვის გასასვლელს, მეორეს დაეხმარება და...

— არა, მედიკო, — შეაწყვეტინა თეიმურაზმა, — ჩვენი ძალა ახლა ერთად ყოფნაშია. საგზალიც გაგვინახევრდა. ნოდარი რომ აქ იყოს, სხვაა. ახლა ჩვენი დაცილება არ შეიძლება.

მედიკომ ბარგის გადმოლაგება დაიწყო.

„იქნებ თეიმურაზი მართალია, — ფიქრობდა მედიკო, — იქნებ გასასვლელი მართლა იქით არის? ყოველ შემთხვევაში, მაინც ვცადოთ“.

თეიმურაზი ზურგჩანთებში ალაგებდა საგზალს და ცდილობდა ტვირთი თანაბრად გაენაწილებინა.

მედიკომ კარაბინი აიღო, საკეტი მოსინჯა და ზურგზე გადაიკიდა. თეიმურაზმა სათვალეს ზემოდან გახედა ქალიშვილს.

— თოფის თრევას ხომ არ აპირებ?

— ეს მე დიდად არ დამამძიმებს.

— სისულელეს თავი გაანებე. ამ ჯურღმულში ყველაფერი დაგვჭირდება, თოფის გარდა.

მედიკომ თავი გააქნია. ზურგჩანთა მხარზე მოიგდო და ფარანი ჩართო.

— წავიდეთ, — თქვა მან.

გამოქვაბულს ორი ფარნის სუსტი შუქი ანათებდა. სინათლეები ერთმანეთს მისდევდნენ. დროდადრო ფარნის შუქზე, სიბნელეში. ზღაპრული ფორმის კლდის ნაწილი გამოიკვეთებოდა. კედლებიდან წყალი ჟონავდა. ირგვლივ ნოტიო ჰაერი იდგა. ციოდა.

მესამე კილომეტრზე გვირაბი დავიწროვდა. ძირი უსწორმასწორო გახდა. ჩალრმავებული ადგილები გახშირდა.

მედიკო თავდახრილი მიდიოდა, საკუთარი ნაბიჯის ხმას ყურს უგდებდა და ფიქრობდა.

„ღმერთმა უწყის, რა სიგრძის არის ეს გვირაბი. ასე შეიძლება მთელი სიცოცხლე იაროს ადამიანმა. მეორე მხარეს უნდა წავსულიყავით. იქით ალბათ გასასვლელია. თუმცა სულ ერთია“.

მედიკომ თვალი გააყოლა ფარნის შუქს და გაიფიქრა, — ხომ შეიძლება, იმ მოსახვევში ნოდარი გამოჩნდეს და მომეგებოსო.

ნაბიჯს აუჩქარა, მაგრამ მოსახვევში ისევ წყვდიადი დახვდა.

შორს ახალი მოსახვევი ჩანდა. ასე მეორდებოდა დაუსრულებლად. დაჯავრიანებულმა ზურგჩანთა შეისწორა და გზა გაინათა. გამოქვაბული გაორდა. მედიკომ კარაბინი კლდეზე მიაყუდა და ქვაზე ჩამოჯდა.

— რა ამბავია? — იკითხა თეიმურაზმა.

— გამოქვაბული განშტოვდა.

— ორდება?

— რა ვქნათ?

— ვიაროთ წინ!

— საით?

თეიმურაზმა ზურგჩანთა მოიხსნა, ფარანი მოიმარჯვა და გვირაბის მარჯვენა განშტოებაში შეძვრა. მედიკო ზურგით კლდეს მიესვენა და თვალები დახუჭა.

შორიდან ყრუდ მოისმა გრუხუნის ხმა. მიწა იძრა. მედიკომ უხალისოდ გაახილა თვალები. სადღაც ახლოს გამოქვაბულის თაღი ჩამოწვა. უკან დასაბრუნებელი გზა ჩაიკეტა. ერთი იმედიღა რჩებოდა, ან წინ გასასვლელს იპოვნიდნენ, ან არადა, ვინ იცის, როგორი სიკვდილი ელოდათ.

მედიკო უსიამოვნოდ შეიშმუშნა.

განშტოებიდან თეიმურაზი გამოძვრა.

— რა ხმაურია, რა მოხდა?

— თაღი ჩამოწვა, უკან დასაბრუნებელი გზა ჩაიკეტა.

— არც აქეთ არის გასასვლელი.

— რა გვეშველება? უკანაც ველარ დავბრუნდებით.

— ზოგი ჭირი მარგებელია. რაც უფრო ნაკლები უკან დასახევი გზა გვექნება, მით უფრო იმედიანად ვივლით წინ.

მედიკოს ღიმილისმაგვარი რაღაც გამოეხატა სახეზე და ფეხზე წამოდგა.

თეიმურაზმა ზურგჩანთა აიკიდა, დაბარბაცდა. ფეხები აღარ ემორჩილებოდა. მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ ჯიუტად მიიწევდა წინ. თეიმურაზის მხნეობა მედიკოსაც გადაედო.

გასასვლელი უფრო დავიწროვდა. თეიმურაზი და მედიკო გვერდულად მიძვრებოდნენ. ცოტაც და, გასასვლელი ნაბზარს დაემსგავსა. თეიმურაზი შედგა. შორიდან ხმაური ისმოდა. ნაბზარში გრილი ჰაერი შემოდიოდა. ტემპერატურა საგრძნობლად დაეცა. თეიმურაზმა საყელო აიწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გათავდა, —-თქვა მედიკომ და დაჯდა.

თეიმურაზი ნაბზარს ათვალიერებდა, დაიხარა, დააკვირდა. დიდი წვალებით ნაბზარის ძირში დაგდებული ლოდი გამოსწია და ძუხლებზე დაიჩოქა. წინ დაბალი ხვრელი გამოჩნდა. თეიმურაზი ხვრელში შეძვრა და სიბნელეში გაუჩინარდა. მედიკო თეიმურაზის ნიშანს ელოდა. გადიოდა წამები, წუთები. მყუდროებას არავინ არღვევდა. ირგვლივ წყვდიადი და მრავალმნიშვნელოვანი დუმილი იყო. მედიკომ კარაბინი მოამარჯვა.

„ვინ იცის, ყველაფერი მოსალოდნელია,“ — ამართლებდა თავის ქცევას გუნებაში მედიკო და სიბნელეს თვალებს უსწორებდა.

— აუუუ! — მოისმა ნაბზარის იქიდან.

— აუუუ! — გამოეხმაურა მედიკო.

— ხვრელს გამოჰყევი, ოღონდ ფრთხილად, ერთ ადგილზე ჩასავარდნია, — მოისმა ნაბზარის იქიდან.

მედიკომ ზურგჩანთა შეაცურა ხვრელში, თოფი გვერდით მოიწვინა, გახოხდა. სიბნელეში მიცოცავდა. მუხლისთავები და ხელები დაეკაწრა. რამდენჯერმე თავი ისე მაგრად მიარტყა ქვას, რომ გრძნობა კინაღამ დაჰკარგა. მედიკომ წინ გაიხედა. იქვე ჭა იყო. ნაპირთან მიხოხდა. შემთხვევით დაცურებული ქვა ჭაში ჩავარდა და წყალში ტყაპანი მოიღო.

საჭირო იყო ბარგის მეორე მხარეს გადატანა. მედიკომ ზურგჩანთას ხელი ჰკრა, მაგრამ მძიმე ტვირთმა მეორე მხარეს ვერ მიაღწია და წყალში ჩავარდა. ხელსაწყოების უმეტესობა და საგზლის ნახევარი დაიღუპა. მედიკომ შეისვენა. ენერგია მოიკრიბა, კარაბინი თასმით მოპირდაპირე მხარეს ქვას გამოსდო და მოსწია. თასმა დაიჭიმა. მედიკომ წინ წაიწია, თასმაზე დაჭიმულ კარაბინს დაეყრდნო და ჭას გადაეკიდა. იყო წუთები, როდესაც ერთ პატარა მოუფიქრებელ მოძრაობას შეეძლო ყველაფერი დაეღუპა. მედიკომ მოისაზრა, ჰკრა ფეხი ძგიდეს და მეორე მხარეს გადავიდა. შეისვენა, ცოტაზე გაფორთხდა. ძალ-ღონე გამოელია. სახე მკლავებშუა ჩარგო. ბოლმა ყელში მოაწვა. თვალები ცრემლებით აევსო. მხრებში ვიღაცამ ხელი მოჰკიდა.

— ხომ არაფერი იტკინე? — ჰკითხა თეიმურაზმა.

მედიკომ თავი გააქნია.

— არაფერი, — თქვა მან.

თეიმურაზმა გასასვლელზე მიუთითა. მედიკომ გასისხლიანებული ხელები შარვალზე შეიწმინდა და ჩამოშლილი თმა უკან გადაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარა. ხვრელი თანდათანობით ფართოვდებოდა. თეიმურაზი ილიძებოდა. მედიკოსაც გაეღიმა.

— ხედავ, როგორ იმატა სინათლემ, — თქვა თეიმურაზმა, — ცოტაც და გავალთ.

— საინტერესოა, სად?

— სადმე გერგეთის მთის ჩრდილოეთით. მთელი ამ ხნის განძავლობაში ჩვენ სულ ჩრდილო-აღმოსავლეთით მივდიოდით, ასე რომ, თუ სიონის მოპირდაპირე მხარეს მოვხვდით გვირაბში, ჩემი ვარაუდი გამართლდება.

— როგორც ჩანს, შუშხუნის დაცემის ადგილას გავალთ.

— ჯანდაბამდის გზა ჰქონია შუშხუნას, — ჯანდიერმა ხელი ჩაიქნია, — მე ნოდარის ბედი მაინტერესებს.

მედიკო ადგა, დამტვერიანებული ტანსაცმელი დაიფერთხა და ჯანდიერის ზურგჩანთა აიკიდა.

— თოფი მაინც მომეცი.

— აკი არ დაგვჭირდებაო, — გაახსენა თეიმურაზს თავისი სიტყვები მედიკომ და თოფი მხარზე გაიდო.

„ვაითუ გასასვლელი შორს არის და ყველაფერმა ფუჭად ჩაიაროს. საგზალი მხოლოდ ერთ დღეს გვეყოფა“. — გაიფიქრა ჯანდიერმა და წინ წასულ მედიკოს წამოეწია. გამოქვაბული გაფართოვდა. ლაბირინთები გახშირდა. შუქმა იმატა.

წინ მიმავალი მედიკო ვიწრო ხვრელში გაძვრა და მოულოდნელობისაგან თვალები დახუჭა.

## კრატერში

მედიკომ თვალები გაახილა და გაოცებული ჩაჯდა. წინ, საოცრად ლურჯი და გამჭვირვალე ტბა ბუყბუყებდა, ქშინავდა. ტბაზე რგოლები იშლებოდა. ნაპირი წმინდა ქვიშით იყო მოფენილი. ქვიშას ქვაღორღი ცვლიდა და ბოლოს უცნაური ფორმის კედლები ზემოთ კამარას ჰკრავდნენ. ქვაბი გადმობრუნებულ ძაბრს ჰგავდა. სამხრეთის მხრიდან მზის შუქი შემოდიოდა და ქვაბს ანათებდა. ამ უცნაური ქვაბის ჩრდილოეთი მხარე ყინულით იყო დაფარული. ყინულის სვეტები სიმეტრიულად ეშვებოდნენ ქვევით და ზღაპრულ სასახლის თაღებს ჰკრავდნენ. ზოგან ყინული ფენებად დაკეცილიყო და გაქვავებულ ჩანჩქერს მოგაგონებდათ. სამხრეთიდან შემოჭრილი მზის ფართო ზოლი ყინულის ზოდებს ეცემოდა და ათასფრად ციალებდა მის ზედაპირზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზღაპარია! — აღმოხდა მედიკოს.

ხმა გუგუნით შეაფრინდა ქვაბის კედლებს და სამხრეთით დატანებულ ნახვრეტში გაძვრა. ყინულის სასახლის ერთი სვეტი ჩამოინგრა და ტბაში ჩავარდა. ტბამ გაბუტული ბავშვის ლოყასავით გაბერა ზედაპირი, დაიბუყბუყა და ორთქლის სვეტი ამოუშვა. თეიმურაზი გამოერკვა.

— ესეც შენი გასასვლელი, — თქვა მან, — საოცარია, რამდენ სილამაზეს მალავს ბუნება თავის წიაღში.

თეიმურაზმა სათვალე შეისწორა და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო.

— საჭიროა, როგორც ეს მოგზაურებს ჩვევიათ, ტბას სახელი მოვუძებნოთ.

— საფირონის ტბა! — წამოიძახა მედიკომ. — თუმცა, არა, უმჯობესია, ბროლისა დავარქვათ. ბროლის კი არა, სასწაულის, ხსნის... იმედის... ვაიმე, რა ვქნა, ბატონო თეიმურაზ, არც ერთი სახელი არ ძომწონს!

თეიმურაზს გაეღიმა.

მედიკომ კიდევ ბევრი სახელი მოუძებნა ტბას და ბოლოს, როგორც იქნა, „ლურჯთვალაზე" შეთანხმდნენ. თეიმურაზმა უბის წიგნაკის სუფთა ფურცელზე ჩასწერა:

„ცამეტ ივნისს, დღის ორ საათზე, „მარსის" ექსპედიციის წევრების მიერ მიწის ქვეშ „დევთა სადარბაზოში" აღმოჩენილი იქნა უსახელო ტბა, რომელსაც განსაკუთრებული სილურჯისათვის „ლურჯთვალა" ვუწოდეთ. „მარსის" ექსპედიციის წევრები, მ. ციმაკურიძე, თ. ჯანდიერი

ცამეტი ივნისი197 . წელი"

თეიმურაზმა ფურცელი ამოხია, თუნუქის კოლოფში ჩადო და შესამჩნევ ადგილას დადო, მერე ქვების პატარა პირამიდა აღმართა.

— ყველაფერი რიგზეა, — თქვა მან და მედიკოს გადახედა.

მედიკო მუხლმორთხმული იჯდა და ყინულის სასახლეს თვალს ვერ აშორებდა. ტბა ბუყბუყებდა. თეიმურაზმა ჩაახველა.

— ხომ არაფერი მითხარით? — შეეკითხა მედიკო.

— არაფერი, თუმცა მგონი გითხარით. მე ვფიქრობ, რაც ადრე წავალთ აქედან, მით უკეთესია.

მედიკომ მძიმედ ასწია თავი.

— საით, უკან დავბრუნდეთ?

— რატომ უკან, აქვე მოვძებნოთ გასასვლელი.

— აქ, სად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზმა თვალი მოავლო ქვაბს.

— ტბას ორივე მხრიდან შემოვუაროთ, შეუძლებელია კრატერს გასასვლელი არ ჰქონდეს.

— კრატერს? საიდან დაასკვენით?

— ეს დღესავით ნათელია, დააკვირდით ქვაბის ფორმას, ტბას, კედლებს, ყველაფერი ვულკანურ წარმოშობაზე ლაპარაკობს.

მედიკომ ბაზალტის ზღაპრული ფორმის კედლებს გადახედა.

— წარმომიდგენია, რა ჯოჯოხეთი იქნებოდა ამ ადგილას, როცა ვულკანი მოქმედი იყო.

— სხვა დროს წარმოიდგინე, ახლა მაგისი დრო არ არის.

მედიკოს ნაძალადევად გაეღიმა. თეიმურაზმა ლოყაზე ჩამოისვა ხელი და ნიკაპი მოიფხანა.

— შენ მარცხნივ იარე, მე მარჯვნივ. გაქვავებულ ჩანჩქერთან შევხვდებით. თუ ჩანჩქერამდის ვერ მოახერხო მისვლა, უკან დაბრუნდი და აქ დამელოდე. ყურადღებით იყავი, გასასვლელი არ გამოგეპაროს.

მედიკო თავაზიანად უსმენდა, მერე ტბის ქვიშიან ნაპირს გაჰყვა. სასიამოვნო იყო ქვიშაზე სიარული, მაგრამ ნებივრობისთვის დრო არ ჰქონდა და მედიკომ მარცხნივ გაუხვია. იგი ფრთხილად მიიკვლევდა გზას წახნაგოვანი ბაზალტის კედლის ძირში დაყრილ ლოდებს შორის. ყოველ ღრმულს აკვირდებოდა, ფრთხილად გადადიოდა ქვიდან ქვაზე. მედიკო შედგა. ტბის მეორე ძხარეს თეიმურაზი იდგა და გაკვირვებული იყურებოდა ქვევით.

— გასასვლელი ხომ არ იპოვეთ? — გასძახა მედიკომ.

თეიმურაზმა თავი გააქნია.

მედიკოს კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ პროფესორი ნაპრალს გადაახტა და კლდეს ამოეფარა. მედიკომ თმები შეისწორა და ნახევრად ჩამონგრეულ გვირაბში შეძვრა. გვირაბმა ბუნებრივ აივანზე გამოიყვანა იგი. აივნის გვერდით შვეული კედელი იწყებოდა ოდნავ გამოწეული ლავგარდანით. მედიკო კედლისკენ მიბრუნდა, ხელებით ნაბზარი მოძებნა და ფეხი შეინაცვლა. ზომიერად სუნთქავდა. ხანდახან ლავგარდანი ფეხქვეშ იმსხვრეოდა და ნამსხვრევები ხმაურით ეცემოდა ქვევით. ასეთ დროს მედეა თვალებს ხუჭავდა და სუნთქვას წყვეტდა. აი, ახლაც, ფეხი მოინაცვლა, სიცარიელეში მოხვდა და ძლივს შეინარჩუნა წონასწორობა. ერთხანს უმოძრაოდ იდგა, მერე ფეხი უფრო ფართოდ დადგა და თავისუფლად ამოისუნთქა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიცოცავდა იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მედეა! — დაარღვია ქვაბის მყუდროება თეიმურაზის ხმამ. მედეას გააჟრჟოლა. სცადა შემობრუნება, მაგრამ ვერ მოახერხა.

— მედეა! — ისევ გაისმა თეიმურაზის ხმა.

„რა უნდა მომხდარიყო?“ — გაიფიქრა მედიკომ და მოტრიალდა. წონასწორობა დაკარგა. ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა. ტბა აყირავდა. ქვაბი დატრიალდა. დაეცა. სიმაღლე საბედისწერო არ აღმოჩნდა. მედიკომ მხოლოდ მუხლი იტკინა.

— მედეა, აუუუუ!

ქვაბი გუგუნებდა.

— აუუუ! — გამოეხმაურა მედეა და წამოდგა.

მოპირდაპირე მხარეს რუხი ფერის ქვებს შორის თეიმურაზის თეთრი თმა გამოჩნდა. თეიმურაზი წელამდის ამოიწია.

— მედეა, საჩქაროდ მოდი!

— რა მოხდა?

— შუშხუნა!

ამის გაგონება მოასწრო მედიკომ და თეიმურაზი თვალს მოეფარა.

„შუშხუნაო? — გაიმეორა მედიკომ და უსიამოვნოდ გააქნია თავი. — ჭკუაზე ხომ არ შეცდა მოხუცი? ამ ჯურღმულში შუშხუნას რა უნდა?“

მედიკო ნაპირ-ნაპირ გაიქცა. აი, გაყინული სასახლე თავისი ზღაპრული დარბაზებით. ესეც გაქვავებული ჩანჩქერი. აქედან თეიმურაზი უნდა ჩანდეს. მედიკომ იქით გაიხედა, საითაც თეიმურაზი ეგულებოდა. თეიმურაზი არ ჩანდა. მედიკო ისევ გაიქცა. ქლოშინით აირბინა აღმართი და ქვევით გადაიხედა.

ქვევით, დიდ ორმოში, ქვებს შორის სიგარის ფორმის შავი სხეული ეგდო, რომლის წინა ნაწილი მიწაში იყო ჩაფლული. გვერდით თეიმურაზი იდგა და ათვალიერებდა. მედიკომ თვალები დაახამხამა.

— ჩამოდი, — დაუქნია ხელი თეიმურაზმა.

მედიკო გამოერკვა. ფრთხილად ჩავიდა ქვევით და თეიმურაზს გვერდში ამოუდგა.

— თქვენს წინაშეა პირველი სტუმარი კოსმოსიდან და თქვენ კი ადუმხართ.

მედიკომ თავი გააქნია.

— დაუჯერებელია.

— რა არის აქ დაუჯერებელი?

— ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზმა შუბლი მოისრისა.

— თქვენ მართალი ხართ, თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტი ჯიუტია.

თეიმურაზმა სამხრეთით გაიხედა და ნახვრეტზე მიუთითა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ...

— დიახ, — შეაწყვეტინა თეიმურაზმა, — დააკვირდით შუშხუნის ტანის მიმართულებას. მისი ბოლო სამხრეთისაკენ არის მიმართული.

— გამოდის, რომ შუშხუნა მთას დაეჯახა, გახვრიტა და აქ ჩამოვარდა.

— ეს არ არის გასაკვირი, თუ შუშხუნის სიჩქარეს და მასას მივიღებთ მხედველობაში. თანაც არ დაგავიწყდეთ, მთა, რომელსაც შუშხუნა დაეჯახა, შიგნით ცარიელი იყო.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს ის შუშხუნაა, რომელიც ძთვარის ობსერვატორიიდან შენიშნეთ?

თეიმურაზმა თავი დაუქნია.

— მაგრამ დაკვირვების თანახმად შუშხუნა ატმოსფეროში შეჭრისას აფეთქდა.

— მხოლოდ აალდა, — თქვა მან.

მედიკო ჯიუტობდა.

— ხომ შეიძლება ეს იმ შუშხუნათაგანი იყოს, რომელსაც დედამიწიდან უშვებენ. რა საფუძველი გაქვთ, რომ ამტკიცებთ ამ შუშხუნის იქაურობას?

თეიმურაზმა სათვალე გაიკეთა.

— არსებობს ყველა საფუძველი, მაგრამ ამაზე სხვა დროს. ერთი სიტყვით, ახლა ეჭვს გარეშეა სხვა პლანეტაზე ადამიანის არსებობა. ჩვენს წინაა ზღაპრული ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა. ეტყობა, ძარსზე საკმაოდ ჭკვიანი ხალხია.

— თქვენ ფიქრობთ ეს შუშხუნა მარსიდან არის გაშვებული?

— უდავოდ.

თეიმურაზმა შუშხუნისაკენ გადადგა ნაბიჯი.

— ვინ იცის, იქნებ შუშხუნაში ჩვენი შორეული სტუმრები სხედან და ჩვენგან დახმარებას ელიან.

იმ აზრის გამო, რომ შეიძლებოდა მარსელს პირისპირ შეხვედროდა, მედიკოს გააჟრჟოლა და სახე გაეყინა. თეიმურაზი შუშხუნაზე აძვრა, ფრთხილად გაცოცდა ბოლომდის. ყურადღებით დაათვალიერა კუდი, სადაც ერთ დროს სამართავი ფრთები იყო დამაგრებული. ახლა ყველაფერი ისე იყო ერთმანეთზე დადუღებული, რომ ძნელად თუ გაარკვევდა ვინმე, რომელი ნაწილი უნდა ყოფილიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმაგრებული. თეიმურაზმა ვერაფერი ნახა საყურადღებო, გარდა ორი ტეხილი ხაზისა, რომელიც შუშხუნის ბოლოს ამოეკვეთათ. ხაზები უცნობი პრიალა ლითონისაგან იყო ჩამოსხმული. თეიმურაზს მთვარის ობსერვატორია მოაგონდა, სამოცდამეხუთე კვადრატი, ნაკვალევი, გამოქვაბულის თაღზე ამოკვეთილი ტეხილი ხაზები, შავი, პრიალა ლითონის ნამსხვრევები და შუშხუნაზე დამაგრებულ ხაზებს შეადარა. ეჭვს გარეშე იყო, რომ ხაზებს ერთი და იგივე მოყვანილობა ჰქონდათ.

თეიმურაზი ქვევით ჩამოვიდა.

— იპოვეთ რამე? — იკითხა მედიკომ.

— უბრალო ნაბზარიც კი არ ეტყობა. მართალია, შუშხუნის ბოლოს ორი ტეხილი ხაზია, მაგრამ...

— ასოები?

— ეშმაკმა უწყის! იქნებ ასოებია.

თეიმურაზმა საათზე დაიხედა.

— რა დრო გასულა. ჩვენ კი წუხანდელს აქეთ ლუკმა არ ჩაგვიდვია პირში. ხომ არ ვისადილოთ? თუმცა ჯერ ხელ-პირი დავიბანოთ. დიდი ხანია მოკლებული ვიყავით ასეთ ბედნიერებას. ირგვლივ კი რამდენი წყაროა.

წყარო მართლაც ბევრი იყო. უახლოესი ყინულის ჩანჩქერის წვეროდან იღებდა სათავეს. ერთ ხანს მიწის ზედაპირზე მოედინებოდა, მერე ქვებს შორის იკარგებოდა და ხელმეორედ ტბის მახლობლად იბადებოდა. მედიკომ ზურგჩანთა მოიტანა, განახევრებული საგზალი ამოალაგა და სპირტქურაზე წყლით სავსე თუნუქის ჯამი შედგა. თეიმურაზი სახეს იმშრალებდა.

— დიდებული წყალია, ყინულივით ცივი.

— ტბა კი თბილია, — შენიშნა მედიკომ.

თეიმურაზმა პირსახოცი ზურგჩანთაზე დააგდო და ქვაზე ჩამოჯდა.

— ალბათ კრატერს გულში ძველი ცეცხლი კიდევ შემორჩა, — თქვა მან, — ხედავ, როგორ იბუყება ჩვენი ლურჯთვალა. ეს ცივი წყაროები რომ არა, ახლოს ვერ მივეკარებოდით.

მედიკომ ჯამში ერთი კოვზი ბრინჯის კონცენტრატი ჩაჰყარა და ძოურია. თეიმურაზი ორცხობილას ახრამუნებდა. მედიკომ ბრინჯის ფაფა ჩამოიღო და სპირტქურაზე კაკაო შედგა.

— ბატონო თეიმურაზ, თქვენ რძით ინებებთ, თუ... აქ ცოტაოდენი რძის კონცენტრატი კიდევ არის.

— რძით იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედიკომ რძის კონცენტრატი ორად გაჰყო, ერთი ნახევარი თეიმურაზის ჭიქაში ჩააგდო, მეორე თავისაში და კაკაო მოსვა.

— უცნაურია, — თქვა თეიმურაზმა,—ასე ახლოს „მარსთან“ არასოდეს ვყოფილვარ და დადგენით კი ვერაფერი დამიდგენია. ნუთუ შუშხუნას კარი არა აქვს?

— იქნებ კარი წინა ნაწილშია?

— შესაძლებელია, მაგრამ წინა ნაწილი ისე ღრმად არის მიწაში ჩაფლული, რომ მისი ამოთხრა არ შეგვიძლია.

— რა იქნებოდა, ბატონო თეიმურაზ, რომ....

თეიმურაზმა საჩვენებელი თითი ტუჩზე მიიდო.

— ჩუმად! — თქვა მან, — გესმით?

მედიკო გაისუსა.

— თითქოს სადღაც საათის მექანიზმი მუშაობს, — ყოყმანით თქვა მედიკომ ცოტა ხნის შემდეგ.

— სწორია.

თეიმურაზს სახე გაუბრწყინდა.

— ხმა კი შუშხუნიდან მოდის, ხომ ასეა?

— თითქოს, — ეჭვით უპასუხა მედიკომ.

თეიმურაზი ფეხზე წამოდგა. შუშხუნის მხრიდან ზედიზედ მოისმა ტკაცუნის ხმა.

„შუშხუნაში რაღაც ხდება“, — გაიფიქრა თეიმურაზმა და ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მედიკომ შეაჩერა.

— სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მოვცილდეთ აქაურობას.

თეიმურაზმა ხელი გააშვებინა მედიკოს და შუშხუნას მიუახლოვდა. ისევ გაისმა საკეტის ტკაცუნი. შუშხუნა შეინძრა. თეიმურაზი ლოდს ამოეფარა. მედიკომ თოფი მოიმარჯვა. შუშხუნა აცახცახდა, ნიადაგი შეირყა.

— ხედავ?! — აღმოხდა თეიმურაზს.

შუშხუნის ბოლო ნაწილი დატრიალდა. შუა წელში ხრახნის პირველი პრიალა ზოლი გამოჩნდა. ზოლი თანდათანობით ფართოვდებოდა. მერე უკანა ნაწილი წინას მოსცილდა და გრუხუნით დაეცა ორმოს მეორე მხარეს. ტბის ზედაპირზე ზოლებად გაირბინეს ტალღებმა. ყინულის სასახლის რომელიღაც თაღი ჩამოინგრა. გამოძახილმა ჟრუანტელივით დაუარა ქვაბს და თაღს შეაფრინდა. ტბამ დაიბუყბუყა.

„აი, ახლა გადმოვა მარსელი, აი, ახლა“, — ფიქრობდა მედიკო და თვალს არ აშორებდა წელში გადახსნილ შუშხუნას. მარსელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოსვლას არ ჩქარობდა. საათის მექანიზმი ძველებურად ტიკტიკებ-ბდა. ქვაბში ერთი წუთით ჩამობნელდა.

— ჰე, ჰე, ჰე! — გაისმა ძახილი.

მედიკოს მუხლი მოეკვეთა. თეიმურაზი გველნაკბენივით მოტრიალდა. ძახილი გამეორდა. ქვაბი განათდა. თეიმურაზმა თვალები მოჭუტა და იქ, სადაც შუქი შემოდიოდა, ადამიანის სილუეტი შეამჩნია.

— ჰე, ჰე, ჰე, ჰე! — გასძახა თეიმურაზმა.

— ჰე, ჰე, ჰე, ჰე! — გაისმა პასუხად.

უცნობი ქვევით იყურებოდა. მერე გრძელი თოკი ჩამოუშვა და ქვევით ჩამოცურდა. ნახვრეტში მეორე მამაკაცის სილუეტი გამოჩნდა. თოკი აქაჩა და ნეილონის კიბე ჩამოუშვა. მას მეორე მამაკაცი ეხმარებოდა. პირველი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა.

— ჩვენები! — წამოიყვირა მედიკომ, მაგრამ შუშხუნა გაახსენდა და საფარში ჩაჯდა.

უცნობი თეიმურაზს მიუახლოვდა.

— აი, თურმე თქვენ სად ყოფილხართ, მე კი სად გეძებდით. გაძარჯობათ!

თეიმურაზს თვალები გაუფართოვდა.

— თქვენა ხართ? — თქვა მან და მაგრად ჩამოართვა ხელი.

მედიკომ შორიდან გაუღიმა გუდაურელ „ექიმს“. კიბეზე მეორე მამაკაცი ჩამოდიოდა.

— რატომ გაწყვიტეთ კავშირი? — იკითხა „ექიმმა“.

— კავშირი? რომელ კავშირზე ლაპარაკობთ? ცოცხლებს რომ გვხედავთ, რატომ არ გიკვირთ.

— რა არის აქ გასაკვირი?

— გეტყობათ, თქვენ არაფერი იცით, — თეიმურაზმა ხელი ჩაიქნია, — სხვა დროს მოგიყვებით, ახლა მითხარით, როგორ მოაგენით ჩვენს კვალს.

— შემთხვევით. ახალმა გამოქვაბულმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება და დასაზვერად ამოვედით.

— ადრე ეგ მღვიმე არავის შეუმჩნევია?

— არავის.

— გასაგებია, — თეიმურაზმა წვერი მოიფხანა.

— რა?

— არაფერი, მეც ასე ვფიქრობდი.

„ექიმმა“ ამხანაგს გასძახა.

— ანდრო, აცნობე მთავარ შტაბს, რომ „მარსის“ ექსპედიცია აღმოჩენილია.

„ექიმი“ თეიმურაზს შეეკითხა:

— რა შეარქვით ამ კრატერს?

— დევთა დარბაზი.

— ძალიან კარგი. გესმის, ანდრო, ვიმყოფებით დევთა გამოქვაბულში. აქ მოხვედრა თავისუფლად შეიძლება ახლად აღმოჩენილ ძღვიმედან. გამოგზავნონ მაშველი ექსპედიცია, სათადარიგო ვერტმფრენი. შუშხუნაც აქვეა. იჩქარონ.

ანდრომ ჯიბის რადიოგადამცემი მომართა და ქვეყანას ამცნო ახალი ამბავი.

სიჩუმე სროლამ დაარღვია. გადახსნილი შუშხუნის ტანიდან ცეცხლის ენა გამოვარდა. თეიმურაზმა ძლივს მოასწრო დაწოლა. „ექიმი“ და მედიკო ლოდს ამოეფარნენ. მიწა იძრა. ზედიზედ ჩამოინგრა ყინულის სასახლის თაღები. სროლა აღარ განმეორებულა.

— რას ნიშნავს ეს? — იკითხა „ექიმმა“.

— ერთმა ღმერთმა იცის.

— არაფერი არ მესმის. ნუთუ თქვენს გარდა აქ კიდევ არის ვინმე?

მედიკომ შუშხუნაზე ანიშნა.

— გამაგებინეთ, რა ხდება, ვინ ისროლა?

— მარსელებმა, შუშხუნაში მარსელები სხედან.

„ექიმს“ გაეღიმა. ცოტა ხნის შემდეგ მედიკოს ნათქვამს ჩასწვდა და შეშინებულმა იკითხა.

— სერიოზულად?

— სავსებით სერიოზულად.

— რა იცით?

— ვიცი! — ავტორიტეტულად განაცხადა მედიკომ.

მიწაში ჩაფლული შუშხუნის ნახევარი ახმაურდა. რთული მექანიზმი ამუშავდა. გადაკვეთილი ტანიდან შავი სხეული გამოვარდა. ნახევარწრე მოხაზა, ტბის ნაპირას დაეცა და ჩაიძირა. ერთი წუთით სიწყნარე ჩამოვარდა. უცებ შუშხუნის ნახევარი აფეთქდა. ქვისა და ლითონის ნამსხვრევებმა ზუზუნით გადაუარეს საფარში დამალულთ. ჰაერი დამწვრის უსიამოვნო სუნით გაიჟღინთა. ქვაბის მყუდროება ყეფამ დაარღვია. „ექიმი“ იარაღმომარჯვებული მოტრიალდა.

„ნუთუ მარსელები ყეფენ“, — გაუელვა თავში და ძაღლი ნიშანში ამოიღო.

— რას სჩადით! — იყვირა მედიკომ.

— ძაღლი?

— ჰო, ძაღლი.

— თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს ცხოველი ძაღლია?

— რა მოგვივიდათ? “

მედიკომ კავკასიური ჯიშის ნაგაზს დაუყვავა. ძაღლი შეჩერდა, დაიყეფა და უკან გაიქცა. ლოდამდის მიირბინა, წინა თათებით მიწა მოქექა და შეჰყეფა. მედიკო და „ექიმი“ მიუახლოვდნენ. მედიკო დაიხარა. ლოდის ქვევით დაბალი ხვრელი ჩანდა. ხვრელიდან მოძალებული სუნთქვა ისმოდა და გრილი ნიავი შემოდიოდა. ცოტა ხნის შემდეგ ხვრელში თოფის ლულა გამოჩნდა, მერე ხელები, თავი და ტანი.

— დასწყევლოს ეშმაკმა, კინალამ სული ამომხდა, — დაილაპარაკა უცნობმა და წელში გასწორდა.

— ვინა ხარ? — შეეკითხა „ექიმი“.

— ადამიანი.

უცნობმა ტანსაცმელი დაფერთხა.

— მაგას ჩვენც ვხედავთ, სახელი არა გაქვს?

— ეგრე გეთქვა, შე კაი კაცო, რატომაც არ მაქვს. ზაზა მქვია, ზაზა ღუდუშაური.

— აქ როგორ მოხვდი?

— ხვრელით, ძაღლს გამოვყევი.

— ეს შენი ძაღლია?

— აბა ვისი იქნება.

უცნობი გაწყრა და გვერდზე გადგა.

— რა გინდათ, რას ჩამაცივდით.

„ექიმმა“ და მედიკომ ერთმანეთს გადახედეს.

მოსულმა მსუბუქად აიტაცა თოფი ხელში, „ექიმი“ გზიდან ჩამოიცილა და ბორცვზე აირბინა. ძაღლი უკან დაედევნა. ქვევით ლურჯთვალა ტბა გამოჩნდა. უცნობი იდგა და თვალებს არ უჯეროდა.

„ვაჰ მე, დედასა, ეს რა სანახაობა ყოფილა, — ფიქრობდა იგი, — სწორედ ისეა, როგორც პაპა ბერიკას ნაამბობ ზღაპარში. დახე, როგორი კამკამა წყალია“.

— ჰაიტ! — წამოიძახა ზაზამ და ორი ნახტომით ქვების გროვას გადაევლო. წყაროსთან ჩაიმუხლა და ზედ დააკვდა.

„ალბათ დევებიც ასე იოკებდნენ წყურვილს“, — გაიფიქრა მედიკომ და მზერა მოაცილა წყაროსთან ჩამუხლულ ვაჟკაცს.

— დაილოცა შენი მადლი!

ზაზამ პეშვით სახეზე წყალი შეისხა და ქუდი მოიხადა. ხუჭუჭმა თმებმა შუბლი დაუფარეს.

ბორცვზე თეიმურაზი გამოჩნდა.

— როგორც ჩანს, გასასვლელი მაინც ყოფილა, თქვენ კი არ გჯეროდათ,—შორიდანვე წამოიწყო თეიმურაზმა, მერე ზაზა მოიხმო და ჰკითხა.

— ცურვა იცი?

— ვიცი.

— აი, იმ შავ სხეულს ხედავ?

თეიმურაზმა ტბისკენ გაიშვირა ხელი.

— ვხედავ.

— თუ ვაჟკაცი ხარ, ამოიღე.

ზაზას გაეღიმა, მედიკოს გადახედა და მორიდებით გაიხადა ტანზე. მუხლებამდის შევიდა წყალში, დაყვინთა, მაგრამ ხელცარიელი ამობრუნდა.

— მოვტყუვდი, ჰაერი არ მეყო, — დარცხვენით თქვა მან და კალმახივით გასხლტა წყალში. შავ სხეულს დაწვდა, ფეხი ჰკრა ძგიდეს და ნაპირისაკენ გამოსცურა. პატარა შავი ყუთი თეიმურაზს მიაწოდა და მედიკოს გაუღიმა. მედიკომ ზურგი შეაქცია. ზაზას ეშმაკურად აუციმციმდა თვალები. ტანსაცმელი ჩაიცვა და ხმადაბლა შეეკითხა „ექიმს“:

— შენი ცოლია?

„ექიმი“ გაოცდა.

— საიდან მოიტანე?

— ისე შეგეკითხე, განა საწყენად.

— მე არ მწყენია.

ზაზამ მედიკოსკენ გააპარა მზერა და ისევ შეეკითხა:

— აქ რამ მოგიყვანათ, რას აკეთებთ?

— შუშხუნას ვეძებდით.

— იპოვეთ?

— ვიპოვეთ.

— სად?

— აქ.

— აქ?

„ექიმი“ და ზაზა ლაპარაკით გაემართნენ თეიმურაზისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზი ლოდზე იჯდა და მრგვალი ფორმის შავ სხეულს ათვალიერებდა. ყუთს თავში და ბოლოში ორ-ორი ტეხილი ხაზი ჰქონდა დამაგრებული. ყოველი ტეხილი ხაზის ძირში, მარჯვენა მხარეს წერტილი იყო დასმული. ასეთი ტეხილი ხაზი თეიმურაზმა შუშხუნაზეც შეამჩნია, მაგრამ იქ ხაზები გაცილებით დიდი იყო, აქ კი ძლივს ჩანდნენ.

„რას უნდა ნიშნავდეს ეს ტეხილი ხაზები? — ფიქრობდა თეიმურაზი, — მარსი, მთვარე, შუშხუნა, ყველგან ერთი და იგივე ხაზებია. საოცარი საფეხური იქმნება, ან იქნებ ყუთში ბარათია? რატომ ისროლა შუშხუნამ? მართლა ისხდნენ მარსელები შუშხუნის იმ ნაწილში, რომელიც აფეთქდა, თუ ეს შემთხვევით მოხდა?“

თეიმურაზმა მოიგონა:

ჯერ შუშხუნა გადაიხსნა, მერე შიგნიდან გაისროლეს, მერე ყუთი გადმოაგდო, ბოლოს აფეთქდა. გასროლა იმის ნიშანი ხომ არ იყო, ყურადღება მომაქციეთო? რაღაც ძალიან ჰგავს ამას. სხვანაირად რომ ყოფილიყო, ჩვენ გვესროდნენ.

თეიმურაზმა ხელისგულზე ღიტინი იგრძნო. დაიხედა. მრგვალი ყუთის ერთი ნაწილი ტრიალებდა. ხრახნის ზოლი ზოლს მისდევდა. ყუთი შუაზე გადაიხსნა. მიწაზე გრაგნილი დაეცა. თეიმურაზმა ფრთხილად აიღო გრაგნილი და დაშალა. ფურცელი ორი აღმოჩნდა. პირველზე უცნაური ფორმისა და შინაარსის სურათები იყო აღბეჭდილი, მეორე სუფთა იყო. თეიმურაზმა კარგად დაათვალიერა მეორე ფურცელი და უამრავი ტეხილი ხაზი შეამჩნია. ქაღალდი წვრილი ძაფებით იყო მოქსოვილი. თეიმურაზმა გრაგნილები ყუთში ჩადო და ბოლოები ერთმანეთს ჩაახრახნა.

— რა ეწერა? — იკითხა ზაზამ.

თეიმურაზმა სივრცეს გახედა.

— ვინ იცის, — თქვა მან.

ზაზამ ფართოდ დააღო თვალები.

— არ იცით?

თეიმურაზს გაეღიმა.

— ეჰ, ჩემო ზაზა, — თქვა თეიმურაზმა, — მაგის წაკითხვა რომ შემეძლოს, ჩემზე ბედნიერი კაცი არავინ იქნებოდა. ვინ იცის, რამდენი თვე ან წელი გავა, სანამ ამ უცნაურ წერილს წაიკითხავენ. მე ალბათ ვეღარ მოვესწრები, შენ მაინც მოესწარი. ერთი კი გახსოვდეს, ჯერი ჩვენზეა, ახლა ჩვენ უნდა ვესტუმროთ მარსელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მარსზე უნდა გაფრინდეთ? — იკითხა ზაზამ.

— აუცილებლად.

ზაზა კარგა ხანს დუმდა.

— მე ბავშვობაში ბევრჯერ მიოცნებია, — თქვა ბოლოს, — ერთხელ ღამით კარვიდან გავიპარე, მაღალ მთაზე ავედი, მინდოდა ვარსკვლავს ხელით მივწვდომოდი, მაგრამ შორი ყოფილა. მერე თითქმის ყველა წიგნი წავიკითხე, სადაც კოსმოსია ნახსენები. კოსმონავტი მინდა გავხდე... აი, ჩემი ძმის ამხანაგი, ნოდარი აღარ გამოჩნდა, თორემ ის მპირდებოდა...

— რომელი ნოდარი, რა გვარია? — იკითხა მედიკომ.

ზაზას სახე გაებადრა.

— ძლივს არ მაღირსე სიტყვა. რა ნაზი ხმა გქონია!

ზაზამ ნოდარის გვარი და სახელი უთხრა.

მედიკომ ტუჩზე იკბინა. „ექიმმა“ და თეიმურაზმა ერთმანეთს გადახედეს. ზაზამ გააგრძელა:

— ჰოდა, ერთი სათხოვარი მაქვს. თუ მართლა გაფრინდებით, მეც წამიყვანეთ. მე ბევრი რამ მეხერხება.

— წაგიყვან, აუცილებლად წაგიყვან, — დაპირდა თეიმურაზი. ზაზა ყურებს არ უჯეროდა.

ქვაბში სინათლემ იკლო. „ექიმი“ აჩქარდა. თეიმურაზის ბარგი მხარზე აიკიდა და დაკიდებულ კიბეზე დაიწყო ასვლა, უკან მედიკო მიჰყვებოდა, მერე თეიმურაზი და სულ ბოლოს ზაზა, რომელმაც ძაღლი ქამრით მოიბა ზურგზე. ზემოთ მაშველი ჯგუფი ჩასასვლელად ემზადებოდა. ფერდობზე ვერტმფრენი იდგა „ექიმი“ პილოტის გვერდით დაჯდა. თეიმურაზი და მედიკო უკან მოთავსდნენ და მხოლოდ ახლა გაახსენდათ ზაზა.

— რაღას უდგეხარ, ჩაჯექი, — გასძახა ექიმმა.

— ქალაქს რა მინდა, ჯერ ხომ არ გაფრინდებით, ისე კი არ დამივიწყოთ.

ზაზა სათითაოდ დაემშვიდობა ყველას. როცა მედიკოს მიუახლოვდა, თავი დახარა და გაურკვეველი რაღაც ჩაიბუტბუტა თავისთვის.

ვერტმფრენი დაიძრა. ძაღლი აყეფდა. ზაზა იდგა და უყურებდა, სანამ წერტილისოდენა ვერტმფრენი ღამის ბინდბუნდში არ გაუჩინარდა. მერე მოტრიალდა და მთაზე შეკიდებულ ბილიკს აჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერტმფრენი ზუზუნებდა.

თეიმურაზი მოხერხებულად გასწორდა სავარძელში და ჩაიძინა. მედიკო ბურანში გაეხვია. თვალწინ მოხვევე ბიჭის აშოლტილი ტანი ედგა და ეს ზმანება ვერ მოიცილა.

„დარდად გამყვება შენი სახეო“...ვინ თქვა?... ნოდარმა?... აერია ფიქრები მედიკოს და მასაც ჩასთვლიმა.

ვერტმფრენი გმირთა მოედანზე დაეშვა.

— მოვედით, — თქვა „ექიმმა“.

„ექიმმა“ თეიმურაზი და მედიკო სასტუმრო „კოსმოსამდის“ მიაცილა.

## ოპერაციის წინა დღე

დილაადრიანად მედიკო თეიმურაზთან შევიდა ოთახში.

— წუხელის ხომ არაფერი მომხდარა?

— ახლახან ვიღაც უცნობი მელაპარაკა ნოდარზე. წესიერად ვერაფერი გავიგე. ცუდად ისმოდა. მერე ყურმილი დამიკიდა.

მედიკო თავდახრილი უსმენდა.

— ალბათ ნომერი აერიათ, ან ისევ დაგირეკავენ.

— თქვენ ფიქრობთ, სერიოზული არაფერია?

მედიკომ თავი ასწია.

— დარწმუნებული ვარ, — თქვა მან და დაუმატა: — თუ ნებას მომცემთ, ქალაქში გავივლი და პირდაპირ აკადემიაში მოვალ.

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ჰო, მართლა, საჯარო ბიბლიოთეკაში შეიარეთ და ჟურნალ „ამერიკის ტექნიკის“ მეხუთე ნომერი წამომიღეთ.

— კეთილი.

მედიკო წავიდა. თეიმურაზი ფანჯარას მიუახლოვდა და ქალაქს გახედა. შორს, ზევით, მამადავითის მთა და ზედ წამოსკუპული ტელეხედვის ანძა მოჩანდა. ქუჩაში მანქანები ჭიანჭველებივით ირეოდნენ. ალაგ-ალაგ მანქანებში გაჩხირული ორსართულიანი ელექტრომობილები აქლემებივით ჩანდნენ. ჰაერში ტაქსის ვერტმფრენები ბზუოდნენ. მეტროს სადგურთან ხალხი ირეოდა. ლარივით სწორი მშვიდობის გამზირი მრავალსართულიან სახლებს შორის იკარგებოდა. უფრო იქით რუსთაველის გამზირი ჩანდა.

თეიმურაზი ფანჯარას მოსცილდა, ღილაკს თითი დააჭირა და ოფიციანტ-ავტომატს საუზმე დაუკვეთა. რამდენიმე წუთის შემდეგ საუზმე გაჩნდა.

თეიმურაზმა სახელდახელოდ ისაუზმა. საჭირო ქაღალდები ჩანთაში ჩაალაგა და დერეფანში გავიდა. გასაღები დერეფნის მორიგეს ჩააბარა და ლიფტით ქვევით დაეშვა. გასასვლელში საშუალო ტანის ჩაფსკვნილმა მამაკაცმა შეაჩერა.

— ჯანდიერი ბრძანდებით? — იკითხა უცნობმა.

— დიახ.

— წამობრძანდით.

— სად?

უცნობმა მანქანაზე მიუთითა.

— სანამ თბილისში იქნებით, მე უნდა მოგემსახუროთ. ასე მითხრეს აკადემიაში.

— ეს სხვა საკითხია, — თქვა თეიმურაზმა, — მართალია, მე ფეხით ვაპირებდი გავლას, მაგრამ მანქანითაც შეიძლება.

მძღოლი დაწინაურდა, მანქანის კარი გაუღო თეიმურაზს, თვითონ საჭეს მიუჯდა და ღილაკს თითი დააჭირა. მანქანა დაიძრა.

— თქვენი სახელი, მეგობარო? — წამოიწყო თეიმურაზმა.

— ვახტანგი.

— სასიამოვნოა. იცით რა, ვახტანგ, ჯერ მაინც ადრეა და მოდით, ქალაქში გავისეირნოთ.

მძღოლმა უსიტყვოდ მოხარა საჭე და მანქანა მშვიდობის მოედანზე გაასრიალა. იქიდან მტკვარზე გადებული ახალი ხიდით „მარადი გაზაფხულის“ ხეივანს ჩაუქროლა და ქალაქის ყველაზე ახალგაზრდა რაიონში გავიდა. თეიმურაზი აღტაცებული იყო.

მედიკომ ფრთხილად მოიხურა ჯანდიერის ნომრის კარი და დერეფანს გახედა. დერეფანში არავინ იყო. უბის წიგნაკი ამოიღო, რაღაც ჩაინიშნა და საქმიანი ნაბიჯებით დაეშვა ქვევით. მოსაცდელ დარბაზში ფოსტა მოიკითხა. გარეთ გავიდა. ცოტა ხანს ქუჩაში იხეტიალა და მერე მეორე კარით ისევ სასტუმროში დაბრუნდა. ნომერში რომ შევიდა, იქ მყოფი უცნობი მამაკაცი ფეხზე ადგა.

— დაბრძანდით! — მედიკომ სავარძელზე მიუთითა და უცნობი აათვალ-ჩაათვალიერა.

— გმადლობთ, მე მხოლოდ ერთი წუთით შემოვიარე.

უცნობი დაჯდა.

მედიკო თვალს არ აშორებდა უცნობს და გულისფანცქალით ელოდა საუბრის დაწყებას. უცნობმა პაპიროსის კოლოფი ამოიღო და მედიკოს მიაწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვეწევი.

— ასეც ვიცოდი. თქვენს ასაკში ნიკოტინი მავნებელია.

უცნობს გაეღიმა. უფრო მოხერხებულად მოეწყო სავარძელში და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— როგორ მიდის საქმეები? — იკითხა მან.

— დიდებულად.

მედიკო თვალს არ აშორებდა უცნობს.

უცნობმა პიჯაკის გულის ჯიბიდან დალუქული კონვერტი ამოიღო, მედიკოს გაუწოდა და თავაზიანად დაემშვიდობა.

— გისურვებთ წარმატებას.

— გმადლობთ.

უცნობი წავიდა. მედიკო ერთ ხანს კარებში იდგა, თვალებით მიაცილებდა სტუმარს და როგორც კი იგი დერეფნის მოსახვევში გაუჩინარდა, ნომერში შემობრუნდა. ფანჯარასთან მივიდა. მზის საწინააღმდეგო ჭილოფი ჩამოუშვა და ხელოვნური ჰავა ჩართო. ოთახში სასიამოვნოდ ჩამობნელდა და აგრილდა. შემდეგ სააბაზანოში გავიდა, ცივი შხაპი მიიღო და სამუშაო ოთახში დაბრუნდა. ყურმილი აიღო და პირადი მომსახურების ბიუროში დარეკა.

— დიახ, დიახ. პირველი საათისთვის მანქანა მზად იყოს.

მედიკო საწერ მაგიდას მიუჯდა. სუფთა ფურცელი აიღო და დიდხანს წერდა. მერე თავისი ნაწერი და ის ქაღალდი ერთმანეთს შეადარა, რამდენიმე ფრაზა წაშალა და ხელმეორედ წაიკითხა ტექსტი.

„ობიექტმა თბილისში გადმოინაცვლა. ბესიკის ქუჩაზე, ორმოც ნომერ სახლში, ამ დღეებში ნოდარის ბედი გადაწყდება. მასალები ჯერ არ გადაუგზავნიათ: დაუკავშირდით პ-ს. თქვენ იგი მალე შეგხვდებათ“.

მედიკომ რამდენჯერმე გადაიკითხა ტექსტი. მერე დაჭმუჭნა და ცეცხლი წაუკიდა. ტანსაცმელი გამოიცვალა. სწრაფად გაიარა მოსაცდელი დარბაზი. გარეთ გავიდა. საჯარო ბიბლიოთეკაში შეიარა, ჟურნალ „ამერიკის ტექნიკის“ მეხუთე ნომერი გამოითხოვა და ზუსტად დანიშნულ დროს აკადემიის სხდომათა დიდ დარბაზში მისთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა.

მძღოლი ვახტანგ კახიძე ლაპარაკის დიდი ოსტატი გამოდგა. იგი კარგად ერკვეოდა კოსმოსის საკითხებში. რამდენჯერმე პროფესიული ცოდნით თეიმურაზის გაკვირვებაც კი გამოიწვია. ასე რომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზს მოსაწყენად არ ეცალა. იქით ქალაქს ათვალიერებდა, აქეთ მძღოლის გაუთავებელ შეკითხვებს ისმენდა. ბოლოს სასეირნოდ განკუთვნილი დრო ამოიწურა და თორმეტი საათისათვის მძღოლმა მანქანა აკადემიის კართან დაამუხრუჭა.

— დაგელოდოთ? — ჰკითხა მან.

თეიმურაზი ერთი წუთით შედგა.

— უმჯობესია წახვიდეთ. რაც შეეხება კოსმოსს, თავისუფალ დროს ზოგიერთ ჩემს უკანასკნელ მოსაზრებასაც გაგიზიარებთ.

მძღოლმა მადლობა გადაუხადა.

თეიმურაზმა ფართო მუხის კარი შეაღო და მსუბუქად აირბინა თეთრი მარმარილოს კიბეები. მოსაცდელ დარბაზში დამხვდურთ მიესალმა და სამდივნოში შევიდა.

სამდივნოში თეიმურაზს ლენინგრადელი კოლეგა და უახლოესი მეგობარი სერგეი სობოლევი ელოდებოდა. სერგეი კოსმოსის დიდ მცოდნედ ითვლებოდა მსოფლიოში და სწორედ ამიტომ მოავლინეს იგი თბილისში.

— ოო... თეიმურაზ გიორგის ძევ, — ფეხზე ადგომით მიეგება სერგეი.

თეიმურაზმა მხურვალედ ჩამოართვა ხელი.

მეგობრები ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ და საუბარი გააბეს. საუბრობდნენ ყველაფერზე, ახალგაზრდობაც გაიხსენეს, მაგრამ არც ერთი სიტყვა კოსმოსზე არ უთქვამთ.

თეიმურაზი ცდილობდა კოსმოსზე ჩამოეგდო ლაპარაკი. მაგრამ სერგეი გაურბოდა ამ თემაზე საუბარს.

ოთახში ზარი აწკრიალდა. სხდომა იწყებოდა. მეგობრები სხდომათა დიდ დარბაზში შევიდნენ და პრეზიდიუმში ერთმანეთის გვერდით დაიკავეს ადგილები.

დარბაზი სავსე იყო ხალხით. მარჯვენა მხარის ამფითეატრი საბჭოთა და უცხოელ კორესპონდენტებს ეკავათ, მარცხენა მხარე ახალგაზრდობას. პარტერში სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები ისხდნენ.

დარბაზის ჭერი ზეცას ჰგავდა. იქ ელნათურები ციური მნათობებივით იყო განლაგებული და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სხდომა ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა. პრეზიდიუმის უკან დედამიწისა და მარსის პატარა მაკეტები მოძრაობდა. ცალკე იყო გაკრული მარსის ფოტორელიეფური რუკა, სადაც წითელი რგოლებით სავარაუდო დასახლების ადგილები იყო აღნიშნული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობოლევმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. დღის წესრიგში ერთი საკითხი იყო — პროფესორ ჯანდიერის მოხსენება.

— აბა, თეიმურაზ, თქვენებური სიმხნევით, ძველებურად! — ხმადაბლა უთხრა სერგეიმ.

ჯანდიერს გაეღიმა და კათედრასთან მივიდა. იგი თავისებურად, დიალოგის სახით ჰყვებოდა, თითქოს საკუთარ თავს ეკამათებოდა. სერგეი წარბებქვევიდან იყურებოდა და შენიშვნებს იწერდა. მაგრამ გადიოდა დრო, ძველ შენიშვნებს შლიდა, ახალს წერდა და ასე უსასრულოდ.

თეიმურაზი ძირითად საკითხს უახლოვდებოდა. ერთი წუთით შეჩერდა, დარბაზს თვალი გადაავლო და დაიწყო:

— ახლა ავხსნათ, რას წარმოადგენს ჩემს მიერ მარსზე შემჩნეული ჩრდილი. უდაოა, რომ იგი რომელიმე სხეულის ჩრდილია, მაგრამ საკითხი პრინციპულად დგას, — წარმოადგენს ეს სხეული მარსის ბუნებრივ თანამგზავრს, თუ მისი ხელოვნური თანამგზავრია.

თეიმურაზმა შეისვენა.

— დღემდე მხოლოდ მარსის ორი თანამგზავრი იყო ცნობილი. დღეს მესამე იქნა აღმოჩენილი და მე ვამტკიცებ, რომ ეს მესამე მარსის ხელოვნური თანამგზავრია.

დარბაზი ახმაურდა. თეიმურაზის განცხადება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სობოლევი ფეხზე ადგა. უნდოდა საწინააღმდეგო აზრი ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა. დაჯდა. შენიშვნებით აჭრელებული ქაღალდი ნაკუწებად აქცია და საფერფლეში ჩაყარა.

— ამრიგად, — ამბობდა თეიმურაზი, — მე არა მარტო მარსელების არსებობას ვამტკიცებ, არამედ ვამტკიცებ მარსზე ტექნიკის გაუგონარ ტრიუმფს. მაგრამ საკითხი ისმის ასე: მარსელები, რომლებმაც ტექნიკის განვითარების ასეთ მაღალ დონეს მიაღწიეს, რატომ დღემდე არ ეწვივნენ დედამიწას? აქ, ჩემის აზრით, მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ. უკანასკნელ პერიოდში მარსის პლანეტის ფერის ცვლა, ატმოსფერული რეჟიმის დარღვევა მაფიქრებინებს, რომ მარსზე ბოლო ხანებში სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობები საგრძნობლად გაუარესდა და მარსელებმა, რომელთა საერთო კულტურის დონე მაღლა დგას, გადაწყვიტეს სხვა პლანეტაზე გადასახლების გზების ძებნა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენს პლანეტას ამ მხრივ ყველაზე ხელსაყრელი ადგილი უკავია ჩვენი მზის სისტემაში. ეს არ შეიძლება მარსელებმა არ იცოდნენ და სწორედ ამიტომ პირველად ჩვენ დაგვიკავშირდნენ. თანაც მოგაგონებთ, რომ ჩვენ ყველაზე ახლო მეზობლები ვართ მათთვის. ვფიქრობ, საკმაოდ ნათელი სურათი დაი-

ხატა და თუ დღეს ვინმეს კიდევ ეპარება ეჭვი მარსზე მოაზროვნეთა არსებობაში, მე უკანასკნელ საბუთს წარმოგიდგენთ.

თეიმურაზმა მრგვალი თუნუქის ყუთი გახსნა და გრაგნილები ჰაერში შეათამაშა.

— აი, ამხანაგებო, ჩვენ ხელთ არის მარსიდან გამოგზავნილი ორი გრაგნილი. ერთზე გაურკვეველი ფორმისა და შინაარსის სურათებია აღბეჭდილი, მეორე უცნაური შრიფტით ნაწერი ბარათია.

ამჯერად დარბაზში გაუგონარი ამბავი მოხდა. მეცნიერები ადგილებიდან წამოიშალნენ. დარბაზი აგუგუნდა. ხალხმა დაკარგა ჩვეულებრივი სიდინჯე. ყველას უნდოდა ენახა ეს უცნაური ბარათი. ხელით შეხებოდა და თუნდაც ერთი სიტყვა ამოეკითხა.

თეიმურაზი ასეთ რეაქციას არ მოელოდა და გრაგნილები სწრაფად შეინახა.

დარბაზი თანდათან დაშოშმინდა.

თეიმურაზმა წყალი მოსვა და გაწყვეტილი აზრი გააგრძელა.

მედიკომ იგრძნო ვიღაცის დაჟინებული მზერა და უცებ მოტრიალდა. მეზობელმა უხერხულად დახარა თავი. ბოდიში მოიხადა და დარბაზიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მედიკოც ადგა და ფეხაკრეფით დატოვა დარბაზი. გასვლისას უცნობს მოჰკრა თვალი და ფარდას ამოეფარა.

უცნობი მოსაცდელ დარბაზში იდგა. აქეთ-იქით იყურებოდა და ნერვულად ეწეოდა პაპიროსს. ცდილობდა, კვამლი რგოლებად გამოეშვა, მაგრამ ვერ ახერხებდა. სახე დაძაბული ჰქონდა. საათზე დაიხედა, მაგიდას მიუახლოვდა, ჟურნალ-გაზეთებს თვალი გადაავლო და რომელიღაც გაზეთის კუთხეს რაღაც მიაწერა. მერე ჟურნალ-გაზეთები ერთმანეთში არია. ისევ დაიხედა საათზე და წავიდა. მედიკო ფეხდაფეხ მიჰყვა.

## „მარსელი“

აკადემიის რიგგარეშე სხდომა გვიან ღამით დამთავრდა. კამათი მეორე დღისთვის გადაიდო.

თეიმურაზი და სერგეი ყველაზე ბოლოს გამოვიდნენ აკადემიიდან. მძღოლი დაითხოვეს და ფეხით გაჰყვნენ კომუნიზმის გამზირს.

მეგობრები დუმდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი განცვიფრებული იყო თეიმურაზის უკანასკნელი აღმოჩენით. იგი ყველაფერს მოელოდა, ოღონდ ამას არა.

„მარსზე ადამიანები? — ფიქრობდა სერგეი, — შუშხუნა, ბარათი, სხვა პლანეტაზე სიცოცხლის არსებობა. ეს ხომ კაცობრიობის მეორედ დაბადებას ნიშნავს. არა, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტები...“ — და სერგეი თავიდან იწყებდა ფიქრს.

თეიმურაზი თავდაღუნული მიდიოდა. ტუჩები მაგრად მოეკუმა. გულში ყრუ ტკივილი აწუხებდა. თითქოს რაღაც ძვირფასი, სანუკვარი, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ბავშვივით ზრდიდა, ავაჟკაცებდა, წაართვეს, მარტო დატოვეს. წუთით ცხოვრებამ აზრი დაჰკარგა და არარაობად იქცა.

„ალარაფერია აღმოსაჩენი, — ფიქრობდა თეიმურაზი, — ჩემი მისია ამ პლანეტაზე დასრულდა. მერე, როგორ უცებ, მოულოდნელად დამთავრდა ყველაფერი“.

თეიმურაზმა საათზე დაიხედა, თუმცა არც დროის გაგება აინტერესებდა, არც სადმე ეჩქარებოდა. თავი გააქნია და ამოიოხრა.

სერგეი გამოერკვა.

— მითხარით რამე? — იკითხა მან.

— არაფერი.

— ვიცი, ვიცი. ნაცნობი განცდაა. ყოველთვის ასე ხდება, როდესაც მიზანს მიაღწევ, ცხოვრებას თითქოს აზრი ეკარგება.

თეიმურაზი შედგა. მეგობარს გადახედა და ულვაშებში ჩაეცინა.

— შენ ასე ფიქრობ?

— ასეა ხოლმე.

— მართალია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წუთით, ახლა უკვე ამჯერად სხვა რამ მაწუხებს. ეყოფა თუ არა ჩემი ცხოვრება იმ დიდ მიზანს, რომელიც ჯერ მხოლოდ გადაწყვეტის სტადიაშია. ჩემი აღმოჩენა მხოლოდ საფეხურია, წინ კი... ახალი სიცოცხლეა საჭირო, მთელი სიცოცხლე და შეიძლება უფრო მეტიც... ნოდარის იმედი მქონდა...

თეიმურაზი მოიღუშა.

— ეჰ, ჩემო სერგეი, ნოდარი, გარდა იმისა, რომ ჩემი მარჯვენა ხელი იყო, მეგობარიც იყო, შვილიც, მომავალიც, საოცრად გამჭრიახი გონებისა და პრაქტიკული ნიჭის პატრონი.

— ჩვენი მეგობრობა? — წყენით შენიშნა სერგეიმ.

თეიმურაზმა თავი უკან გადასწია და ვარსკვლავებს გაუშტერა თვალები.

— რა არის ჩვენი მეგობრობა? — თქვა მან, — უკვე ბევრჯერ
დით. სამოცდაათი წელი პატარა დრო კი არ არის. ახლა განვლილ
ცხოვრებას უნდა ვაჯამებდეთ. ნოდარი კი იქ იწყებდა სიცოცხლეს, სადაც ჩემი ოცნება მთავრდებოდა...

უხმოდ მიდიოდნენ.

— დიდებული საღამოა, — თქვა სერგეიმ, — ნეტავ მარსზე როგორი საღამოები იცის?

— ვინ იცის...

— ხომ შეიძლება, თეიმურაზ გიორგის ძევ, აი, ახლა მარსის რომელიმე ქალაქის, რომელიმე გამზირზე ჩვენსავით დასეირნობდეს ორი მარსელი მეგობარი და ჩვენს პლანეტაზე ფიქრობდეს. ვინ იცის, რას ფიქრობენ, რა წარმოდგენა აქვთ ჩვენზე. იქნებ კაციჭამიები ვგონივართ, იქნებ სიმართლეც იციან. ხომ შეიძლება მარსზე ტექნიკა ისე იყოს განვითარებული, რომ ჩვენც გვხედავდნენ.

თეიმურაზს გაეღიმა.

— ეს კი მეტისმეტი მოგვიდა, — თქვა მან.

— გეთანხმები, მაგრამ თუ იქ მართლა არსებობენ ადამიანები, როგორც შენ ამტკიცებ, მაშინ ისინი რაღაცით უნდა გვგავდნენ ჩვენ, თუნდაც ზოგიერთი განცდით.

— იქ რომ ადამიანები არსებობენ, ამას მარტო წერილი მოწმობს.

— მართლა, — გაახსენდა სერგეის, — რატომ ფიქრობ, რომ გრაგნილზე აუცილებლად ტექსტი წერია, ან რომ ტეხილი ხაზები ასოებია. ხომ შეიძლება იგი რთული მათემატიკური გაანგარიშება იყოს — ციფრები.

— შეიძლება, მაგრამ მე მაინც წერილი მგონია. ხაზები ისეა განლაგებული, რომ ტექსტის შთაბეჭდილებას ტოვებს. თანაც, არ დაგავიწყდეს, მეორე გრაგნილზე სურათების ქვევით მთელ სიგრძეზე ხაზებია ჩამომწკრივებული. ალბათ ახსნა-განმარტებაა. უცნაური შრიფტია, ნუთუ მის ამოკითხვას ვერავინ შესძლებს?

— შეუძლებელი არაფერია.

თეიმურაზმა თავი დააქნია.

მეგობრები ისე გაერთნენ საუბარში, რომ ვერც კი შენიშნეს ცად აზიდული სასტუმრო „კოსმოსი“.

თეიმურაზმა სართულის მორიგესთან მედიკო მოიკითხა.

— როდის დაბრუნდა ჩემი ასისტენტი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯერ არ გამოჩენილა, — ნამძინარევი ხმით უპასუხა სართულის მორიგემ.

თეიმურაზმა მედიკო მეორე დილითაც მოიკითხა, მაგრამ მედიკო დილითაც არ გამოჩენილა.

„აკადემიაში მოვა პირდაპირ“, — გაიფიქრა თეიმურაზმა და უკან დაბრუნდა.

მეორე დღეს თორმეტ საათზე აკადემიაში კამათი იყო დანიშნული.

კამათმა ცხოველი ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით სკეპტიკურად უცხოელი სტუმრები იყვნენ განწყობილი. ისინი ბევრ რამეს სადაოდ ხდიდნენ და ხშირად ისე გულუბრყვილოდ სვამდნენ საკითხს, რომ თეიმურაზს უკვირდა.

თეიმურაზმა პარტერში გაიხედა. მედიკო არ ჩანდა.

„რა მოუვიდა? — ფიქრობდა თეიმურაზი, — ნუთუ ისევ უბედური შემთხვევაა?“

ტრიბუნაზე ორატორს ორატორი სცვლიდა. მსურველებს დასასრული არ უჩანდა. სობოლევმა კამათი ისევ გადადო.

*

* *

საღამოს თეიმურაზმა სართულის მორიგესთან კვლავ მოიკითხა მედიკო.

— არ გამოჩენილა, — უპასუხა მორიგე ქალმა.

— არც არავის ვუკითხივარ?

— არა.

— რა იყო? — ჰკითხა სერგეიმ.

— მედიკო არ ჩანს.

— არაფერია, ალბათ ნათესავებთან შეიარა.

— მედიკოს თბილისში ნათესავები არა ჰყავს.

— იქნებ შეუძლოდ გახდა.

თეიმურაზმა მხრები აიჩეჩა, ნომრის კარი შეაღო და ოთახში შევიდა. ქაღალდები საწერ მაგიდაზე დადო. ხალათის ზემოთ ღილი შეიხსნა. ფანჯარასთან მივიდა, გახურებული შუბლით ფანჯრის მინას მიეყრდნო და ქალაქს გახედა.

სერგეიმ კოლოფი გახსნა. გრაგნილები ამოიღო და ჩაფიქრდა. უდაო იყო, რომ პირველ გრაგნილზე სურათები იყო დაბეჭდილი. მაგრამ არც ერთი სხეული მათთვის ცნობილ სხეულს არა ჰგავდა. აქ იყო უამრავი ტეხილი ხაზი, რომლებიც გარკვეულ კომპოზიციას ჰქმნიდნენ, მაგრამ სრულიად უაზროს და უშინაარსოს. ამაოდ ცდი-

ლობდა სერგეი კუთხის მონახვას და გრაგნილს ხელში ატრიალებდა. სურათები ყოველი მხრიდან ერთსა და იმავე კომპოზიციას ქმნიდნენ.

„საოცარია, — ფიქრობდა სერგეი, — ამ სურათებს არც თავი აქვს და არც ბოლო. ერთი ნივთი მაინც იყოს ნაცნობი. აი, ეს ხაზები თითქოს ადამიანს გვაგონებენ, მაგრამ უზომოდ დიდი თავი გამოდის და სხვა სხეულებთან შედარებით ძალზე პატარა ჩანს. იქნებ მარსზე ჯუჯა ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ ამ დალოცვილს ფეხები პირდაპირ თავზე აქვს გამობმული. არა, ეს ალბათ სხვა რამ ცხოველია. ადამიანი რომ იყოს, თვალები მაინც ექნება თავის ადგილას“.

სერგეი ახლა სხვა სურათს დააკვირდა.

„ეს კი ნამდვილად დერეფანია, — დაასკვნა მან, — მაგრამ ამხელა დერეფანი რა ჯანდაბად უნდათ. ერთი ამას დამიხედეთ, პირწავარდნილი ცხრაფეხაა. აგერ მეორეც. ერთმანეთის გვერდით დგანან. როგორი საქმიანი გამოხედვა აქვთ. თითქოს ერთმანეთს ესაუბრებიან. იქნებ სწორედ ესენი არიან მარსელები?“ — გაიფიქრა სერგეიმ და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— გაწვიმდა, — ხმამაღლა თქვა თეიმურაზმა.

— აგრილდება, — გამოეპასუხა სერგეი და გრაგნილი გაშალა.

თეიმურაზი ფანჯარას მოსცილდა.

— შენ როგორ ფიქრობ, რას უნდა ნიშნავდეს ეს ტეხილი ხაზები? შევძლებთ ამის ამოკითხვას?

თეიმურაზმა სივრცეს გაუშტერა თვალი.

— ჩემი აზრით, ასოებია, — თქვა მან, — მათი ხაზზე განლაგება, აბზაცების დაცვა მაფიქრებინებს, რომ ჩვეულებრივ ტექსტთან გვაქვს საქმე. შრიფტია უცნობი. ასეთი ტეხილი ხაზებით ჩვენს პლანეტებზე ველურებიც კი არ სარგებლობდნენ.

— მერე რა?

— თუ ეს შრიფტია, საკმაოდ პრიმიტიული უნდა იყოს.

— პრიმიტივიზმი გამორიცხულია, — დარწმუნებით თქვა სერგეიმ, — მე პირიქით ვფიქრობ. მოდი დავუშვათ რამდენიმე შესაძლებლობა.

თეიმურაზი სავარძელში ჩაჯდა.

— ვიფიქროთ ასე, — დაიწყო სერგეიმ, — მარსზე ტექნიკის განვითარებამ უმაღლეს დონეს მიაღწია. ამას შუშხუნაც მოწმობს. ტექნიკა თავის მხრივ საერთო კულტურის დონის ამაღლებას იწვევს.

— კეთილი, — დაეთანხმა თეიმურაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა ვიფიქროთ, რა მეცნიერება უნდა განვითარებულიყო მარსზე ყველაზე მეტად. რასაკვირველია, მათემატიკა და ფიზიკა. და თუ ეს ასეა, ამ დარგებს განსაკუთრებული დაღი უნდა დაესვა ენათმეცნიერებისათვის და გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა საერთო სალაპარაკო ენის შექმნაში.

— რა გინდათ მაგითი თქვათ? — დაინტერესდა თეიმურაზი.

— ის, რომ ყველა მარსელისათვის გასაგები იმგვარი ენა იქნებოდა, რომლის შრიფტიც ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული ნიშნებით გამოიხატებოდა. ასეთი ნიშნების მოცემა კი მხოლოდ ფიზიკას შეუძლია. მე დარწმუნებული ვარ, რომ გრაგნილის ტეხილი ხაზები ფიზიკური მოვლენების გამომსახველი ნიშნებია. ახლა მოვიგონოთ, რა ფიზიკური მოვლენის შედეგად შეიძლება მივიღოთ ასეთი ტეხილი ხაზები. პირველ რიგში, რომელიმე სუსტი ტალღისაგან, ჰოდა, ბგერაც ხომ ტალღას წარმოქმნის, რომლის მრუდის მიღება დღევანდელი ტექნიკისათვის არაფერს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, მე ვფიქრობ, რომ გრაგნილზე ჩამწკრივებული ტეხილი ხაზები ბგერის გამომხატველ მრუდებს წარმოადგენენ.

თეიმურაზს გაეღიმა.

— ასეთი შრიფტის გასაგებად საკმარისია ზოგადი ტექნიკური განათლება. აი, მაგალითად, ჩვენთან ავტომატურ ქარხნებში, მანქანები ლაპარაკობენ სხვადასხვა ფორმის მრუდით. მათი ენა მშვენივრად ესმის მსოფლიოს ყველა სპეციალისტს. ახლა წარმოიდგინეთ, რომ მარსზე ასეთი სპეციალისტია ყველა, ან უმეტესობა, და დამერწმუნებით, რომ მათთვის ასეთი შრიფტით სარგებლობა არა თუ მომგებიანია, არამედ სავალდებულოც. თქვენ გესმით რამდენ წინააღმდეგობას წავაწყდებით, როდესაც მთელი შრომატევადი სამუშაოები ავტომატიზირებული გვექნება? ჩვენ მოგვიხდება მანქანების მონაცემების თარგმნა სხვადასხვა ენაზე. მარსზე კი ხალხი ასეთი რთული პროცესისაგან თავისუფალია. კარგად მოგეხსენებათ, რომ თარგმანი რაგინდ კეთილსინდისიერად არ უნდა იყოს შესრულებული, ცოტათი მაინც განსხვავდება ორიგინალისაგან. ხოლო ცოტა ტექნიკაში ძლიერ ბევრს ნიშნავს.

თეიმურაზმა ხელები გაშალა.

— შენ ლოგიკურად მსჯელობ, — თქვა მან, — ასეთი შრიფტის არსებობა მარსზე მოსალოდნელია. დავუშვათ, შენ მართალი ხარ. ეს თავისთავად დიდი აღმოჩენაა. მაგრამ ჩვენ ტექსტის შინაარსი გვაინტერესებს, მისი წაკითხვა კი, შენ რომ გიყუროს კაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა, მხოლოდ მარსელს შეუძლია. სად ვიპოვოთ მარსელი? ვინ, ოღონ-
მელიც წერილს წაიკითხავს.

სერგეიმ თვალები დახუჭა. მერე უცებ რაღაც მოაგონდა და
მაგიდაზე ხელი დაჰკრა.

— მოვიგონე. დასწყევლოს ღმერთმა, რატომ აქამდე ვერ
მოვიფიქრე. კიბერნეტიკის ინსტიტუტში... მგონი რაზმაძე... დიახ,
რაზმაძეა. წავიდეთ, თეიმურაზ, თუ „მარსელის“ ნახვა გინდათ,
იგი კიბერნეტიკის ინსტიტუტში გველოდება. ვიჩქაროთ.

მეგობრები წასასვლელად მოემზადნენ. მცირე თათბირის შემ-
დეგ გადაწყვიტეს მარსელის ბარათის თან წაღება. ხმაურით გავიდნენ
დერეფანში და ლიფტით დაეშვნენ ქვევით.

ვერტმფრენი ტაქსების გაჩერებაზე რიგი იყო. თეიმურაზი და
სერგეი ურიგოდ ავიდნენ. სერგეის აღარც კი ახსოვს, რა წაიბუტ-
ბუტა განაწყენებული ხალხის დასამშვიდებლად. ვერტმფრენი
დაიძრა.

ათი წუთის შემდეგ მეგობრები კიბერნეტიკის ინსტიტუტის მო-
საცდელ დარბაზში იდგნენ და ჩუმად საუბრობდნენ.

— შენ ფიქრობ, რაზმაძე შეძლებს წერილის წაკითხვას?

— დარწმუნებული ვარ.

— რომ ვერ შეძლოს?

სერგეიმ ხელი ჩაიქნია.

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენ რას ვკარგავთ.

მოსაცდელ ოთახში დაბალი, ხმელი, ფერმკრთალი ახალგაზრდა
შემოვიდა და სტუმრებს თავაზიანად მიესალმა.

— ჩვენი მოსვლის მიზეზი ალბათ უკვე გითხრეს, — მიაგება
თეიმურაზმა, — ეს წუთია ვერტმფრენიდან დავუკავშირდით დი-
რექტორს.

ახალგაზრდამ თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

— გთხოვთ, — თქვა მან.

რაზმაძემ სტუმრები მეორე სართულზე აიყვანა და ოთახში
მიიპატიჟა.

ლაბორანტი გოგონა მოკრძალებით გავიდა ოთახიდან.

— სიმართლე გითხრათ, ჩვენ თქვენი აპარატის მუშაობის პრინ-
ციპი გვაინტერესებს, — წამოიწყო თეიმურაზმა, როგორც კი დაჯ-
და.

— პრინციპი საკმაოდ მარტივია. ინსტიტუტის დამთავრების
შემდეგ მსოფლიოს გარშემო ვმოგზაურობდი და ერთერთ კუნძულზე
მოვხვდი. იქ ბუნების სიდიადის გარდა ერთმა ფაქტმა გამაკვირვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნძულის მკვიდრნი ერთმანეთს სტვენით ელაპარაკებოდნენ. მათ შეეძლოთ შორ მანძილზე სტვენით გადაეცათ ერთმანეთისათვის ყველაფერი, რისი თქმაც სურდათ. და სწორედ იქ ჩაისახა ჩემი იდეა. ხომ შეიძლება ყველამ ისწავლოს ასეთი ენა. ტყუილად კი არ ამბობენ, — მუსიკა საერთაშორისო ენაა. მაგრამ ასეთი ენის ფონეტიკური წყობა იმდენად რთულია, რომ განზრახვაზე ხელი ავიღე. მერე დავიწყე ბგერისმიერ წარმოქმნილი ტალღის შესწავლა და მივედი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შესაძლოა თვითმბეჭდი მანქანის შექმნა. ამისათვის საკმარისია ყოველი ბგერის გამომხატველი ტალღა აღვნიშნოთ საგანგებო კლავიშზე. ბგერის წარმოთქმისას გავრცელებულ ტალღას შესატყვისი კლავიში აღიქვამს და ნახევარგამტარების და კიბერნეტიკის წყალობით მოძრაობაში მოიყვანს ბერკეტს, რომლის ბოლოზე დამაგრებული იქნება შესატყვისი ასო. აი, ხედავთ, როგორი მარტივი პრინციპია. თქვენ მხოლოდ დაილაპარაკებთ, დანარჩენს მანქანა გააკეთებს.

სერგეიმ და თეიმურაზმა ერთმანეთს გადახედეს.

ახალგაზრდამ გააგრძელა:

— წარმოგიდგენიათ, რა პრაქტიკულ შედეგს მივიღებდით. გაუქმდებოდა მბეჭდავთა ურიცხვი ბიუროები, ხალხი განთავისუფლდებოდა საკმაოდ უხალისო შრომატევადი სამუშაოსაგან. მწერლები პირდაპირ მანქანას უკარნახებდნენ თავიანთ ნაწარმოებს. მანქანა კი ქაღალდზე გადაიტანდა მწერლის აზრებს. რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

— ხომ ვერ შესძლებთ, — თითქოს სხვათაშორის შეეკითხა სერგეი, — უახლოეს დროში ასეთი მანქანის შექმნას, თუ ჩვენ შესატყვის შრიფტს გამოგინახავთ?

— რასაკვირველია. თუ თქვენ შრიფტს მომიტანთ, ოც დღეში დიდი-დიდი ერთ თვეში მანქანა მზად მექნება.

თეიმურაზი ფეხზე ადგა.

— კეთილი, — თქვა მან, — შევეცდებით, უახლოეს დროში ასეთი შრიფტი მოგიტანოთ.

რაზმაძემ სტუმრები მოსაცდელ დარბაზამდის მიაცილა.

თეიმურაზმა მადლობა გადაუხადა საინტერესო საუბრისათვის და წინ წასულ სერგეის წამოეწია.

— როგორ მოგეწონა „მარსელი“? — ჰკითხა სერგეიმ, როგორც კი თეიმურაზი გაუსწორდა.

— საინტერესო ყმაწვილია, მე ვფიქრობ, იგი შორს წავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეიმ ტაქსი გააჩერა, თეიმურაზი გვერდით მოისვა და მძღოლს უთხრა:

— სასტუმრო „კოსმოსი“.

## სახლი № 40

თამაზმა გულის ჯიბიდან იარაღი ამოიღო, საკეტი ავტომატურზე დააყენა და გარეთა ჯიბეში ჩაიდო. აზამ მომცრო ჩანთა გახსნა და ცხვირსახოცს პატარა რევოლვერი ამოაყოლა. დანარჩენები იდგნენ და ელოდნენ. თამაზმა თავისიანებს გადახედა, აზას თვალი ჩაუკრა და ოთხი კაცისაგან შემდგარი რაზმეული დაიძრა. ფრთხილად გააღეს სადარბაზო კარი. უხმოდ აიარეს კიბეები და მეორე სართულზე შეჩერდნენ.

— ეცადეთ, ცოცხლად ჩავიგდოთ ხელში, — ჩურჩულით თქვა თამაზმა.

იარაღი მოიმარჯვა, კარს ფეხი ჰკრა და ქარივით შეიჭრა ოთახში. დანარჩენები მიჰყვნენ.

თამაზი სახტად დარჩა.

ოთახში არავინ იყო. საფერფლეში სიგარა ბოლავდა, ერთადერთი მოწმე, რომ აქ ვილაც იყო. სკამები კედლებთან მიეწყოთ. დარაბები დაეკეტათ. არც სხვა ოთახებში იყო ვინმე. ოთახის პატრონი არ ჩანდა.

თამაზი მოცელილივით დაჯდა სკამზე და იარაღი ბრტყელი მხრით შუბლზე მიიდო.

— დავიგვიანეთ, — თქვა მან.

აზამ ხელები გაშალა.

— არა მგონია.

— მაშ სად გაქრა ამდენი ხალხი? კარგად მახსოვს, პილოტიანად სადარბაზო კარში ხუთი კაცი შემოვიდა. სახლის პატრონის ჩათვლით აქ ექვსნი უნდა ყოფილიყვნენ. ნუთუ პილოტმა იცოდა ჩვენი სამზადისი, ან იქნებ ვინმემ გაგვცა?

თამაზმა ოპერატიული ჯგუფის გეგმა მოიგონა. თითქოს ყველაფერი გათვალისწინებული იყო და მაინც შეცდომა...

— ამხანაგო მაიორო...

კახიძე თამაზთან მივიდა და ჩურჩულით უთხრა:

— კედლის იქით პატარა ოთახია.

მინიატურული რენტგენოტელეაპარატი ჩართო და კედელს დაუმიზნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეხედეთ!

ეკრანი ჩართო. ფოკუსი დააყენა. ეკრანზე ექვსი მამაკაცის სილუეტი გამოჩნდა. ყველანი გრძელი ყუთის გარშემო ისხდნენ.

ოთახში ბნელოდა და სახეები არ ჩანდა. კახიძემ ეკრანი გამორთო.

— ახლა გასაგებია? — იკითხა მან.

— კი, მაგრამ კარი?

კახიძემ გვერდზე გაიხმო თამაზი და დიდხანს უჩურჩულა. თამაზი თავს უქნევდა, ეღიმებოდა. კახიძე წავიდა. ქუჩიდან ბრძანება გაისმა:

— მოხსენით ალყა, ოპერაცია გადაიდო!

თამაზი აზას მიუახლოვდა.

— ამჯერად მტერმა გვაჯობა, — უთხრა მან, — ეჭვს გარეშეა, მტერი წინასწარ იყო გაფრთხილებული. ოპერაციას დამთავრებულად ვაცხადებ. წავიდეთ.

ოთხი კაცისაგან შემდგარი რაზმეული ხმაურით გავიდა ოთახიდან, მერე ფრთხილად შემობრუნდა და პირველ ოთახში ჩასაფრდა.

ქვევით მანქანა ახმაურდა. ქუჩა დაცარიელდა.

ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თამაზი სულგანაბული ელოდა. წამდაუწუმ მაჯაზე იყურებოდა. დრო ნელა გადიოდა. მყუდროებას არავინ არღვევდა. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი. ჩამიჩუმი არ ისმოდა. თამაზს მოეჩვენა, თითქოს კედელს იქით რაღაც გახმაურდა. ხმაურს ლაპარაკი მოჰყვა. თამაზმა სმენა დაძაბა. ხმაური აღარ განმეორებულა. კიდევ ნახევარი საათი გავიდა. თამაზს იმედი დაეკარგა და სწორედ ამ დროს ჭალში ჩადგმული რადიომიმღები ახმაურდა. ვილაცამ გულიანად გადაიხარხარა. თამაზმა სიმწრის ოფლი მოიწმინდა. კედელს იქით ხმაური გაისმა. რადიომიმღები ალაპარაკდა:

— ჩვენ არჩევანი არ გვაქვს, — ისმოდა დაღლილი მამაკაცის ხმა, — რამდენიმე წუთის შემდეგ საფარიდან უნდა გამოვიდეთ. მართალია, კედლის იქით ვიმყოფებით, მაგრამ მაინც გხედავთ. გირჩევთ, დროზე წახვიდეთ. ათი წუთის შემდეგ პირველი ოთახი აფეთქდება.

„ულტიმატუმია," — გაიფიქრა თამაზმა და საკუთარი გულისცემა იგრძნო.

აზას ფერი დაეკარგა. რაზმეულის ორმა წევრმა უსიტყვოდ გადახედა ერთმანეთს. ყველანი თამაზს უყურებდნენ. თამაზი დუმდა. და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმული დრო სწრაფად იწურებოდა. კიდევ რამდენიმე წუთი და თამაზმა სასხლეტს თითი გამოსდო.

„უნდა გავძლოთ, უნდა გავძლოთ," — უმტკიცებდა თამაზი საკუთარ თავს და საათს თვალს არ აშორებდა. საათის ისარი თორმეტს მიუახლოვდა. დათქმული დრო ამოიწურა. კედელს იქიდან ხმაური მოისმა. ზედიზედ გაიტკაცუნა საკეტმა. კედელი გაინძრა. თამაზმა გარკვევით გაარჩია თამბაქოს კვამლში გახვეული მამაკაცის სილუეტი, რომელიც საფარიდან გამოვიდა. მერე მხარში ძლიერი დარტყმა იგრძნო და დაეცა.

— ფრთხილად! — დაიყვირა მან დაცემისას, — უხმო იარაღით ისვრიან. მხარზე იტაცა ხელი. თითებს შორის სისხლმა გამოჟონა.

ოთახში შუქი გამოერთო. აზამ ალალბედად გაისროლა. რაზმეულის ორმა წევრმა ბანი მისცა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მოწინააღმდეგე არ ისროდა. მეორე მხარეს რაღაც დაეცა იატაკზე და დაიმსხვრა. ოთახი შავი კვამლით აივსო. სუნთქვა გაჭირდა. თამაზმა გრძნობა დაკარგა. ქვემოთ ზედიზედ გაჩერდა ორი მანქანა. კიბეებზე აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა. მოწინააღმდეგის მხარეზე ვიღაცამ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაირბინა. რაღაცამ დაიჭრიალა. გაისმა ფხაჭუნი. რაზმეულის წევრმა გაისროლა. მტრის მხარეს ვიღაცამ არაადამიანური ხმით დაიღრიალა, ეტყობა, დაიჭრა. მერე სქელი კვამლი ძაფივით ვიწრო თეთრმა ზოლმა გახაზა. კვნესა შეწყდა. რბილი სხეული იატაკზე დაეცა. ქუჩიდან ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა.

ოთახში ორი კაცის თანხლებით კახიძე შემოვარდა. დარაბებს ეცა და გააღო. კვამლი ნელ-ნელა გავიდა ოთახიდან. ნათურები თავისთავად ჩაერთო. ოთახი განათდა. თამაზი ჰოსპიტალში წაიყვანეს. ოპერატიული ჯგუფი მეორე ოთახში გავიდა. ეს ოთახი პირვანდელთან შედარებით ორჯერ უფრო დიდი იყო. ჭერს ერთი მხარე ახდილი ჰქონდა, ჩამოგლეჯილი გობელენის ადგილას დასაკეცი კიბე ჩანდა. აშკარა იყო, მტერი ამ გზით გაიპარა ოთახიდან.

კახიძე ორი კაცის თანხლებით სახურავზე ავიდა. გულდაგულ დაათვალიერა იქაურობა, მაგრამ კვალს ვერ წააწყდა.

აზა ოთახს ათვალიერებდა. მძიმე სავარძლის უკან კაცის გვამი შეამჩნია და ვახტანგს დაუძახა. ვახტანგი სწრაფად ჩამოვიდა.

მიცვალებული პირწავარდნილი პილოტი იყო.

„მომეჩვენა თუ სინამდვილეა?" — გაიფიქრა ვახტანგმა.

პილოტი ხელში იყო დაჭრილი. ვახტანგმა ზემოთა ტანსაცმელი გააძრო და მკერდის არეში წერტილისოდენა ჭრილობა შეამჩნია.

— იგივე მეორდება, — ჩაილაპარაკა მან.

— რა? — იკითხა ექიმმა.

ვახტანგი წელში გასწორდა.

— თერთმეტ ივნისს მესაზღვრეს ასეთივე ჭრილობა აღმოაჩნდა ჰკერდის არეში. მკვლელობის ერთი და იგივე ხასიათი მაფიქრებინებს, რომ აქ ერთი კაცის ხელი ურევია.

— შესაძლებელია, — დაეთანხმა ექიმი.

აზამ ტანსაცმელი გაჩხრიკა. მოკლულს საბუთები არ აღმოაჩნდა. უცნობის მასიურ ბეჭედზე ერთადერთი ასო „პ" იყო ამოკვეთილი. პიჯაკის საყელოში სწრაფად მოქმედი შხამის ამპულა ჰქონდა ჩაკერებული.

კახიძემ შუბლი მოისრისა.

— შეუდექით ბინის ჩხრეკას, — თქვა მან და მეორე ოთახში გავიდა. მისი ყურადღება უცნაური ფორმის კარადამ მიიპყრო, რომლის ღია კარში რთული მექანიზმი მოჩანდა. ვახტანგი კარადას მიუახლოვდა. ფრთხილად დააჭირა თითი წითელ ღილაკს და კარადა ახმაურდა. მექანიზმი ჩაერთო. ჭერზე აკრული კედელი ქვევით დაეშვა და ოთახი გადაკეტა. ვახტანგმა ახლა მწვანე ღილაკს დააჭირა თითი. კარადა ისევ ახმაურდა. მოძრავი კედელი ჭერს აეკრა. ვახტანგი დივანზე ჩამოჯდა და ხალათის ზემოთა ღილი შეიხსნა.

აზამ კედელში დამალული ცეცხლგამძლე კარადა აღმოაჩინა. საკეტი ელექტროჩაქუჩით ამოამტვრია და კარადა გახსნა. კარადა სავსე იყო ფულით, ოქრო-ვერცხლის სამკაულებით, სხვადასხვა სისტემის შიფრით. უცნაური ფორმის ბოთლებში გამჭვირვალე ფერის სითხე ესხა. წარწერები ლათინურად ჰქონდა გაკეთებული. აქვე იყო სხვადასხვა ფერის ფხვნილი, ყალბი საბუთები, მინიატურული საბეჭდი დაზგა, საბჭოთა პასპორტები, რამდენიმე რევოლვერი და ტყვიების საკმაო მარაგი. დიდი წვალების შემდეგ ექიმმა მაგიდის ფეხში პორტატული რადიოგადამცემი ამოხრახნა და მიკროფირების მთელი დასტა ამოიღო.

მაგიდაზე მამხილებელი საბუთების გროვა დადგა. ნათურის შუქს ძალა დაეკარგა. ოთახში დილის რიჟრაჟი შემოიჭრა. აზა ღონემიხდილი ჩამოჯდა სკამზე.

— ნოდარის კვალს კი მაინც ვერ წავაწყდით.

ვახტანგმა პაპიროსს მოუკიდა და კვამლი ღრმად შეისუნთქა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვინ იცის, — თქვა მან, — იქნებ ნოდარი აქ სულაც არ ყოფილა.

— შეუძლებელია.

— მაგრამ ფაქტია.

— ისიც ფაქტია, რომ დღეს ნოდარის ბედი უნდა გადაეწყვიტათ. იქნებ აქ მხოლოდ თათბირი ჰქონდათ, გადაწყვეტილება კი სხვაგან მოიყვანეს სისრულეში. ან იქნებ...

ვახტანგი განცვიფრებული დარჩა, როდესაც იატაკს ფეხი ვერ მიაწვდინა.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს დივანი ამ სიმაღლე იყო, თუ მეჩვენება? — იკითხა მან.

— გეჩვენებათ.

— კარგად გაჩხრიკეთ?

— საფუძვლიანად.

კახიძე დივნიდან ჩამოხტა. სახურავი ახადა და სკივრის სიღრმე გაზომა. ზომა გარედან დაატოლა დივანს და თქვა:

— დივანს ორმაგი ძირი ჰქონია. აქ უდავოდ რაღაც იმალება.

ვახტანგმა დივნის ადგილიდან დაძვრა სცადა, მაგრამ დივანი მძიმე აღმოჩნდა და ამან უფრო დააეჭვა. აზას დიქტორის სიტყვები მოაგონდა და ვახტანგს უთხრა:

— ფრთხილად არ აფეთქდეს.

რის ვაი-ვაგლახით დივანი შუა ოთახში გამოათრიეს და სული მოითქვეს. ყრუდ გაიტკაცუნა საკეტმა. წინა მხარე გადაიხსნა. ღია უჯრაში ვეებერთელა თუნუქის ყუთი გამოჩნდა. ყუთს ორი სახელური ჰქონდა. ვახტანგი ყოყმანობდა.

„ვინ იცის, შიგნით რა ჯანდაბაა, — ფიქრობდა იგი, — ერთიც ვნახოთ და მომართული ნაღმი იდოს".

ვახტანგმა ყური მიუგდო. ფრთხილად მიაკაკუნა. სახელურები მოსინჯა და მოსწია. ყუთი ადგილიდან ვერ დაძრა. მეორედ სცადა. აზა დაიხმარა და, როგორც იქნა გამოათრიეს. ყუთი ავტომატური საკეტით იყო დაკეტილი. ვახტანგმა ოფლი მოიწმინდა, ელექტრო-ჩაქუჩი მოიმარჯვა და საკეტი ჩაამტვრია. ყუთზე გადაჭიმული თეთრი ნაჭერი დანით ჩაჭრა და მოულოდნელობისაგან უკან დაიხია. აზამ შეჰკივლა.

— სასწრაფოდ აცნობეთ მთავარ შტაბს! — თქვა ვახტანგმა და ხუფი დახურა.

ხუთი წუთის შემდეგ სადარბაზო კართან მანქანა გაჩერდა. ორმა ჩაფსკვნილმა მამაკაცმა ძლივს ჩაათრია თუნუქის ყუთი ქვევით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანაში დადო. ვახტანგმა მამხილებელი საბუთები ჩაიტანა. აზამ ოთახი დაკეტა და დალუქა. მძღოლმა ვახტანგს ბარათი მიაწოდა. ვახტანგმა სწრაფად ჩაიკითხა ტექსტი. ათ საათზე გენერალთან თათბირზე იყო დაბარებული. საათს დახედა. ათი სრულდებოდა.

*

* *

გენერალმა ვახტანგს მხარზე დაჰკრა ხელი, ჩამქრალ პაპიროსს მოუკიდა და მაგიდასთან მივიდა.

ვახტანგმა მაგიდაზე დაალაგა მამხილებელი საბუთები.

— ამხანაგებო, — თქვა გენერალმა, — თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახლი ნომერი ორმოცის ოპერაციამ სასურველი შედეგი გამოიღო. მიზანი თითქმის მიღწეულია. ვნახოთ, რას იტყვიან ექიმები. ყოველ წუთს ველოდები ზარის ხმას. მოთმინება ვიქონიოთ და ნოდარის ბედიც გაირკვევა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ოპერაციას ჩრდილოვანი მხარეებიც გააჩნია. კარგია, რომ მტერი გამომჟღავნებულია, ძალიან კარგი, მაგრამ ცოცხალი რომ ვერ შევიპყარით, არ ვარგა. თუმცა ზოგი ჭირი მარგებელია. თავისუფალი „პილოტი“ კიდევ გამოამჟღავნებს თავს. მე საკმაოდ კარგად ვიცი მისი ხასიათი. იგი პატივმოყვარეა და საქმეს შუა გზაზე არ მიატოვებს. ჩვენც სწორედ ეს გვინდა.

— მაპატიეთ, — კახიძე ფეხზე ადგა, — თქვენ თქვით „პილოტი“ თავისუფალია.

— დიახ.

— მაშინ მოკლული...

— მისი ორეულია.

გენერალმა პაპიროსი დაფერფლა.

— საოცარი მსგავსებაა.

კახიძემ მხრები აიჩეჩა და დაჯდა.

— დიახ, ამხანაგებო, საოცარი მსგავსებაა, და სწორედ ეს ართულებს საქმეს. „პილოტს“ რამდენიმე ასეთი ორეული ჰყავს. წუხელ ღამით უცხოეთის დაზვერვის რადიოგრამა დავიჭირეთ. პილოტს აჩქარებენ, ორმაგ თანხას პირდებიან, თუ პროექტს ხელში ჩაიგდებს. ასე რომ, პილოტი უფრო მოინდომებს. აი, ეს მასალები, — გენერალმა მაგიდაზე დალაგებულ ნივთებზე მიუთი-

თა, — ბევრნაირად დაგვეხმარება მტრის ამოცნობაში. ერთი სიტყვით, წინ საინტერესო სამუშაოა.

ტელეფონი აწკრიალდა. გენერალმა ყურმილი აიღო, წარბები გაშალა და თვალები აუციმციმდა.

— მესმის, მესმის... გასაგებია... იმედი ვიქონიოთ? ეს მთავარია. მჯერა, რომ ყურადღებას არ მოაკლებთ. ნახვამდის.

გენერალმა ყურმილი დადო.

— მაშ ასე, ამხანაგებო, — თქვა მან, — ნოდარის ბედი საბოლოოდ გაირკვა. თუნუქის ყუთი რთული კონსტრუქციის მაცივარი აღმოჩნდა. მასში მოთავსებული ადამიანი განსაზღვრულ დაბალ ტემპერატურაზე სიცოცხლეს ინარჩუნებს და საღათას ძილით იძინებს. ასეთ მდგომარეობაში შეუძლია დაჰყოს რამდენიმე თვე. ერთი სიტყვით, ნოდარი ცოცხალია. ჩვენს ხელთ არის ერთი ყველაზე უფრო საინტერესო საბუთი — ცოცხალი ადამიანი, რომელმაც მტრის ბანაკში ათი დღე დაჰყო. ვნახოთ, რას იტყვის. ჯერჯერობით ლაპარაკის თავი არა აქვს. ერთადერთი სიტყვა, რომელიც მან თქვა, „მედიკო“ იყო. დაველოდოთ მეორე სიტყვას.

კახიძემ და ეჭიმმა ერთმანეთს გადახედეს.

— ახლა, ამხანაგებო, — თქვა გენერალმა და ხმას დაუწია, — გადავიდეთ ძირითად საკითხზე...

კახიძე ოთხი საათისთვის განთავისუფლდა და დაღლილ-დაქანცული, მშიერი ქუჩაში გამოვიდა. აგვისტოს მზე აცხუნებდა. ასფალტი რეზინივით რბილი იყო. ქუჩის რადიო საქალაქო ქსელში იყო ჩართული.

— განსაკუთრებულ სიცხეებთან დაკავშირებით, — ისმოდა დიქტორის ხმა, — ქალაქ თბილისის მცხოვრებთა თხოვნით დაკვეთილი წვიმა თხუთმეტ წუთში დაიწყება. მოემზადეთ წვიმიანი ამინდისათვის. წვიმა ნახევარ საათს გასტანს. ვიმეორებ...

კახიძემ ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და უახლოესი რესტორნისაკენ შეუხვია.

*

* *

მეორე დღეს მედიკო გვიან ღამით დაბრუნდა სასტუმროში. გაწამებული სახე და უძინარი თვალები ჰქონდა. ძლივს შელასლასდა ნომერში. ნახევრად გახდილი ჩაწვა ლოგინში და თვალები დახუჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის ფეხდაფეხ მოჰყვა მას თეიმურაზი.

— მადლობა ღმერთს, ცოცხალს რომ გხედავ, — თქვა მან, — აქამდის სად იყავი? ხმას არ მცემ? გერიდება? კარგი, კარგი, ხომ ხედავ, აღარ ვბრაზობ. ახალი ამბავი მინდა გითხრა. მარსელის წერილის გასაღები ვიპოვეთ. ორ თვეში მარსზე გაფრენა მოგვიხდება. თადარიგი ახლავე უნდა დავიჭიროთ. რომ იცოდე, რა ამბები გველოდება... მედიკო, მედეა! გესმის?

მაგრამ მედეას აღარ ესმოდა თეიმურაზის სიტყვები. უკვე ეძინა.

## უცნაური თევზი

გადიოდა დრო. დავითი ყოველდღიური წვრილმანი საქმეებით იყო გართული. ერთ მშვენიერ დღეს წინასწარ დათქმული წესით, დავითმა ნავში ბარათი „იპოვნა“. ბარათის შინაარსი ლაკონიური იყო:

„ზღვა ღელავს. იქნებ თქვენს ანკესზე ნანატრი თევზი წამოეგოს. გისურვებთ წარმატებას.

ოპა“.

— ძლივს, — თქვა დავითმა და ბარათი დაწვა.

მას ძველი ხალისი და ენერგია დაუბრუნდა. მის გულში დროებით მიყუჩებულმა „პროფესიონალურმა აზარტმა გაიღვიძა. ახლა საჭირო კაცად ჩათვალა თავი. წესრიგში მოიყვანა ყოველდღიურად სახმარი ნივთები, ანალიზი გაუკეთა წარსულს და კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მივიდა.

დავითმა მოუხშირა ზღვაზე სეირნობას. უფრო მონდომებით თევზაობდა და ყოველ წვრილმანს ძველებური ხალისით აკვარდებოდა.

„ზღვა ღელავს, ზღვა ღელავს“, — იმეორებდა დავითი გუნებაში და ყოველ წუთს მოელოდა რაღაც სიახლეს, მაგრამ სიახლე არაფერს ეტყობოდა. ზღვა იყო მშვიდი. არც ერთი საეჭვო პიროვნება არ გამოჩენილა სასაზღვრო ზოლში. ირგვლივ სრული მყუდროება სუფევდა.

„ნუთუ ამხანაგები შეცდნენ“, — ფიქრობდა დავითი. მაგრამ დადგა გარდატეხის მომენტი. მან ალღოთი იგრძნო, რომ ახლო მომავალში საინტერესო ამბები უნდა მომხდარიყო. უკანა-

სკნელად დაჭერილი მტრის რადიოგრამა რომელიღაც ბანდიტის დამყარებაზე ლაპარაკობდა.

დავითი ფანჯარასთან მივიდა და ზღვას გახედა.

ზღვაზე ვიღაც დაცურავდა ნავით.

„ვინ უნდა იყოს? — გაიფიქრა დავითმა.

ნავი ნაპირს მიუახლოვდა. უცნობი გადმოხტა და ფანჯრის წინ პალმის ტოტებში გაუჩინარდა.

დავითმა სწრაფად გადაიცვა სპეცტანსაცმელი. გარეთ გამოვიდა, ბილიკი ჩაირბინა და სანაპიროზე გავიდა. მეთევზეთა ნავები ნელა ირწეოდნენ ნაპირთან. გარშემო კაცის ჭაჭანება არ იყო.

„ნუთუ მომეჩვენა?“ — გაიფიქრა დავითმა და ნავზე შეხტა. ნავი შეირყა. დავითმა თოკი ახსნა, ნიჩაბი ჰკრა ნაპირს და მოტორი ჩართო. ნავის უკან წყალი ათუხთუხდა.

დავითმა მზერა ზღვის პირას ხელოვნურად გამენებულ ტყისკენ გადაიტანა. ხეთა შორის გზაზე მანქანამ გაირბინა და მოსახვევში გაუჩინარდა.

ნავი მძიმედ მიაპობდა ტალღებს. მთები და გორაკები თანდათანობით პატარავდებოდნენ, დაბლდებოდნენ, ლურჯ ბურუსში ეხვეოდნენ. ნაპირზე მდგომი მეთევზეები წერტილებს დაემსგავსნენ. შორს ჰორიზონტზე კატარღა ბოლავდა.

დავითმა ანკესები გადაყარა ზღვაში. ნეილონის ძაფს გამობმული თევზის სატყუარა ზღვის სილურჯეში გაუჩინარდა. მერე ყუთი გამოსწია და ეხოლოტი ჩართო.

ზღვის სიღრმეში სრული სიწყნარე იყო.

დავითმა ეხოლოტი გამორთო. ნავი ნაპირისაკენ მოატრიალა და ანკესები ამოიღო. მხოლოდ ერთი წვრილი თევზი მოდებოდა ანკესს. დავითმა თევზი მოხსნა და ზღვაში გადააგდო.

„ცუდად დაიწყო დღე“, — გაიფიქრა მან.

ნავი ნაპირს უახლოვდებოდა. სულ ახლოს ვიღაც ბოგონამ ამოყვინთა და ცურვით დაედევნა ნავს, მერე გადაიფიქრა და ზურგზე გაწვა. ნავი ნაპირს მიადგა. დავითმა ნავი თოკით დააბა და დაბუჟებული ფეხები დაიზილა.

— როგორი ნადავლია? — შეეკითხა მეთევზე დავითს და საკუთარი ნავის ქვეშ შეძვრა.

— ცუდი, — უპასუხა დავითმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გასაგებია, — თქვა მეთევზემ და ნავიდან გამოძვრა. ხანე ულიმოდა. მერე ნავს ხელი ჰკრა, ზედ შეხტა და მხოლოდ ახლა გაახსენდა.

— ჰო, მართლა, თქვენ აქ ვილაც კაცი დაგეძებდათ.

— მე, ვინ?

მეთევზემ მხრები აიჩეჩა და მოტორი ჩართო.

დავითი სპორტული კლუბისაკენ გაემართა.

ინათა. მზე პირდაპირ ზღვიდან ამოცურდა. სპორტული კლუბის თავმჯდომარე მხიარულად შეეგება დავითს.

— ამ ბოლო დროს იშვიათი სტუმარი გახდით, — უსაყვედურა მან.

— ალარ მცალია.

— ვიცი, ვიცი, ალბათ ახალმა იდეამ გაგიტაცათ.

— მიმიხვდით, მაგრამ წყლისქვეშ გასეირნებაზე ასე იოლად უარს ვერ მათქმევინებთ. რა არის თქვენთან ახალი?

კლუბის თავმჯდომარემ თავი გააქნია.

— ისეთი არაფერი. ახალი სისტემის აქვალანგები შევიძინეთ. ახლა შეგვიძლია ერთდროულად ორას კაცს მოვემსახუროთ. ბაღში ახალი სკამები დავდგით და სიყვარულის ლაბირინთი გავაკეთეთ. სულ ეს არის, მეტი არაფერი.

— ალბათ აქვალანგებზე მოთხოვნილება ძალიან გაიზარდა?

— მეტისმეტად. განსაკუთრებით ახალგაზრდობა ეტანება.

დავითი სასაუზმეში შევიდა, კლუბის თავმჯდომარე უკან მიჰყვა.

— თქვენ რას ინებებთ? — ჰკითხა დავითმა.

— გმადლობთ, მე ახლა ვისაუზმე.

დავითი ავტომატურ მოლარეს მიუახლოვდა, ჟეტონი აიღო და ის-ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ავტომატური მოლარის ხმამ შეაჩერა.

„მოქალაქე, თქვენ წინა თვის დავალიანება გადაუხდელი გაქვთ“.

დავითმა ბერკეტი გადაატრიალა. ისარი ორას ორმოცს გაუსწორდა და ავტომატი ჩაერთო.

„მანეთი და ათი კაპიკი“, — თქვა ავტომატმა და თავისი ნათქვამის დასამოწმებლად დავითს წინა თვის ანგარიში წარუდგინა. დავითმა მანეთი და ათი კაპიკი სალაროში დადო და ჟეტონი ვიწრო ჭრილში ჩაუშვა. საგანგებო მაგიდაზე ცხელი ფუნთუშა და კაკაო გაჩნდა.

— ჩვენს „მოლარეს“ წესიერება უყვარს, — თქვა დავითმა და საუზმე თავისუფალ მაგიდაზე გადაიტანა.

— რევიზიის მოსვლის ეშინია, დანაკლისს აღმოუჩენენ და სამსახურიდან მოხსნიან.

დავითს გაეღიმა და კაკაო მოსვა.

კლუბის თავმჯდომარე მეორე ოთახში გავიდა.

დავითმა დარბაზს თვალი გადაავლო. მის გარდა კიდევ ორი კაცი იჯდა. ახალგაზრდები რაღაცაზე კამათობდნენ. დავითი ნიდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ჭიქა ორივე ხელით დაიჭირა.

— აი, თურმე სად ყოფილხართ!

დავითმა თავი ასწია.

ახალგაზრდამ სკამი გამოსწია და მოწყვეტით დაჯდა.

— ალბათ დილით შენ მეძებდი, — თქვა დავითმა.

ჯუმბერმა თავი დააქნია.

— შეწუხებული ჩანხარ, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

— კინალამ დავიღუპე.

— რა მოხდა?

— წუხელის თევზსაცავის ბადე რომელიღაც დიდ თევზს გაუგლეჯია და სასოებით გამოზრდილი თევზები თავისუფალ ზღვაში გაფანტულა.

— დანაკლისი დიდია?

— წინასწარი გამოთვლებით სამ ტონას აღწევს. ეს კიდევ არაფერი. ზოოპლანქტონის რიცხვმა საკმაოდ დაიწია. დილის ანალიზმა კვადრატულ მეტრზე 0,1 პროცენტი უჩვენა. თუ ასე გაგრძელდა, მთელი წყალქვეშა მეურნეობა დაიღუპება.

დავითმა ჭიქა მაგიდაზე დადგა და გვერდზე გააცურა.

— გათენებისას ზღვაში ხომ არ ვასულხარ? — შეეკითხა დავითი.

— სად მეცალა ზღვისთვის. შუალამისას დამირეკეს და მას შემდეგ სულ წყლის ქვეშა ვარ. ბადე შევაკეთეთ და ხელოვნურად შევიტანეთ მინერალური სასუქები. ორი საათია მოვრჩით მუშაობას და მერე თქვენ დაგეძებთ. ბედი არ მწყალობს. როგორც კი რაიმე ახალს ჩავიფიქრებ, რაღაცამ უნდა შემიშალოს ხელი. მაინც მიკვირს, საიდან გაჩნდა ამხელა თევზი შავ ზღვაში.

— შენი აზრით, რამხელა უნდა ყოფილიყო?

ჯუმბერმა მხრები აიჩეჩა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვიცი, — თქვა მან, — ლურჯი ვეშაპისხელა იქნებოდა, მაგრამ ვეშაპი შავ ზღვაში დაუჯერებელია.

— იქნებ წყალქვეშა ნავი იყო, — შეეპარა დავითმა.

— შეუძლებელია! წყალქვეშა ნავებს სამეურნეო ზღვის ზონაში რა ესაქმება?

— არაფერი, მაგრამ... ზღვა ღელავს, ზღვა ღელავს, — ჩუმად თქვა დავითმა და თვალები გაუბრწყინდა.

— რა თქვით?

— ეს ისე, ერთი ლექსი გამახსენდა.

— ჰო, ლექსი კარგია, მაგრამ ახლა ისეთ ხასიათზე ვარ ლექსი კი არა, საკუთარი თავი აღარ მახსოვს. დროზე ადრე მოგვიხდება წყალმცენარეთა აღება, თორემ თუ დავაგვიანეთ, მოსავალი მთლიანად დაიკარგება.

— რამ გამოიწვია ასეთი აჩქარება?

— ცილების რაოდენობამ დაიკლო. დილის ანალიზმა კატასტროფული ციფრი უჩვენა. სასწრაფოდ უნდა მოითიბოს და გადამუშავდეს. მე უკვე გავეცი განკარგულება.

— კარგია, კარგი, — თავისთვის თქვა დავითმა.

— რა არის კარგი?

დავითი გამოერკვა.

— კარგია, რომ ასე იოლად გადარჩენილხართ.

— სხვა რაღა უნდა მოგვსვლოდა?

— სიმართლე გითხრა, არც მე ვიცი. მაგრამ გულთან ახლოს არ უნდა მიიტანო. ყველაფერი გამოირკვევა. იმ თევზს აუცილებლად დაიჭერენ. წინასწარ ვგრძნობ, რომ ეს განსაკუთრებული, ახალი ჯიშის თევზი იქნება. იგი დიდად დაგვეხმარება ბევრი რამის გარკვევაში.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— დარწმუნებული ვარ. ზღვა ღელავს, ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს.

— რას უნდა ნიშნავდეს?

— ყველაფერს თავის დროზე გაიგებ. ჰო, მართლა, არ შეგიძლია, დაახლოებით მაინც მომიხაზო თქვენი წყალქვეშა მეურნეობის გეგმა?

— სიამოვნებით.

დავითმა ქაღალდი და ფანქარი მიაწოდა.

ჯუმბერმა ხაზვა დაიწყო. ხელის ერთი მოსმით მოხაზა ზღვის სანაპირო და კვადრატებად დაყო.

— აი, ეს პირველი კვადრატი სათეს ფართობს წარმოადგენს. აქ სამი ათას ჰექტარ ფართობზე დათესილია ტექნიკური, საფურაჟე, სამკურნალო და საკვები წყალმცენარეების თხუთმეტამდე სხვადასხვა ჯიში. ზღვის ფსკერს აქ დაბალი დაქანება აქვს და სათესი ფართობის მაქსიმალური სიღრმე ორმოც მეტრს არ აღემატება. წყალმცენარეებს კი ყველაზე მეტად მზის შუქი უყვარს. ისინი ჯიშების მიხედვითაა განაწილებული. მზის მოყვარულები უფრო ზევით არიან, ხოლო დანარჩენები — ქვევით. ზღვის ფსკერის სისწორემ საშუალება მოგვცა ღრმად დაგვენერგა მექანიზაცია. ახლა ჩვენ პლანტაციებზე ზღვისქვეშა კომბაინები მუშაობენ. მათ შეუძლიათ საათში ოც ჰექტარ ფართობზე აიღონ მოსავალი. სხვადასხვა მინერალის შეტანამ დიდად გაზარდა მოსავლიანობა. მინერალები პირდაპირ ზღვაში შეგვაქვს, თუმცა ნიადაგის განაყოფიერებასაც ვახდენთ. ახლა სეზონში ორ მოსავალს ვიღებთ. ჩემი ახალი წინადადებით კი სამი მოსავლის მიღებაც შეიძლება. ეს მეორე კვადრატი კულტურისა და დასვენების პარკია. პარკი ჩვენი კლუბის თაოსნობით გაშენდა...

— ვიცი, — გააწყვეტინა დავითმა, — მე მისი ხშირი სტუმარი ვარ.

— მესამე კვადრატი კი თევზსაცავს წარმოადგენს. აქ გაშენებულია ყველაზე ძვირფასი თევზის ჯიშები, რომელთა საერთო წონა სამოცდათხუთმეტ ათას ტონას აღწევს. თევზსაცავი თხელი ბადით არის შემოფარგლული. ბადეში სუსტი ძაბვის დენია გაშვებული. დენი ელექტრომაგნიტურ ველს ქმნის, რითაც უზრუნველყოფილია თევზსაცავის დაცვა. ამ ბადის წყალობითვეა უზრუნველყოფილი სხვა ჯიშების თევზსაცავში შესვლა და სწორედ ეს ბადე დაიგლიჯა.

— რა ადგილას?

ჯუმბერმა მესამე კვადრატის ბოლოში ჯვარი დასვა.

დავითი ფეხზე ადგა.

— დღეს რაღაც უგუნებოდ ვარ, — თქვა დავითმა, — წავალ, წყლის ქვეშ გავისეირნებ, იქნებ ხასიათზე მოვიდე. შენ ხომ არ წამოხვალ?

ჯუმბერმა თავი გააქნია.

— ვერა, ვერ წამოვალ.

— აბა, ნახვამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნახვამდის. სალამოს სახლში გინახულებ. ზოგიერთ რაღაცეებ-
უნდა მოგველაპარაკო.

ჯუმბერმა ხელი ჩამოართვა და წავიდა.

დავითი მეორე ოთახში გავიდა და სადისპეტჩეროს ფანჯარაში
თავი გაყო.

— მომეცით ორმაგი აქვალანგი და პნევმატური თოფი. ვაზ-
ნები რაც შეიძლება მეტი იყოს.

— ნადირობა გადაგიწყვეტიათ?

— ამ დროს ზღვაში ხეირიანი თევზი არ არის, მაგრამ ვე
მაინც ვცდი.

დისპეტჩერმა დავითს ორმაგი აქვალანგი და პნევმატური
თოფი მიაწოდა.

დავითი გასახდელ ოთახში გავიდა. თავისუფალი კარადის
გვერდით დაჯდა და გახდა დაიწყო. საყვინთი კოსტიუმი ჩაიცვა,
აქვალანგი, ან როგორც სპორტსმენები ეძახიან, „ზღვის ფილტვე-
ბი“ — ზურგზე მოირგო და ბატისფეხა ჩუსტები აირჩია. ინს-
ტრუქტორმა დავითს ზურგზე თასმები შეუკრა და აპარატის მუ-
შაობა შეამოწმა.

— ყველაფერი რიგზეა, — თქვა მან.

დავითმა მადლობა გადაუხადა, ტყვიების პატარა მასრა ქამა-
რზე ჩამოიკიდა, თოფს ხელი წამოავლო და ოთახიდან გავიდა.

დავითი გარეთ შეადგა. თაკარა მზემ თვალები დაუბრმავა.
მერე თანდათანობით შეეჩვია შუქს და ხალხით სავსე სანაპიროს გადა-
ავლო თვალი. ნაპირზე ბავშვები ჭყუმპალაობდნენ, ქალებს ქოლ-
გის ქვეშ შეერგოთ თავები. ჰაერში ერთსაჯდომიანი ვერტ-
მფრენები ზუზუნებდნენ. ზოგი ისე დაბლა დაფრინავდა, რომ თას-
მებზე გამობმულ კაცს მუხლებამდის წყალში ჰქონდა ფეხები.
უფრო იქით სწრაფმავალი გლისერები და იალქნიანი გემები
სერავდნენ ზღვის ზედაპირს. ნავმისადგომთან ხალხი ირეოდა.

დავითმა ფრთხილად დაადგა შიშველი ფეხი გახურებულ ქვას
და ძუნძულ-ძუნძულით გაიქცა ნაპირისაკენ. „ბატის ფეხები“ და-
იმაგრა და წელამდის შევიდა წყალში.

სულ ახლოს ერთმა წყვილმა დაყვინთა და წყლის სიღრმეში
გაუჩინარდა.

დავითმა წყლის შხეფები ხელით მოიწმინდა და თოფის კონ-
დახში დატანებული შეკუმშული ჰაერი შეამოწმა. ნიღაბი გაიკე-
თა, წყალზე გაწვა და გაცურდა. დავითს თავი წყალში ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარგული და ისე მიცურავდა. ზღვის ფსკერზე მისი ჩრდილი ბობღავდა. დამფრთხალი თევზები აქეთ-იქით გარბოდნენ. ორმაგი აქვალანგი ბრწყინვალედ მუშაობდა. ქვევით წყლისქვეშა ბაღის შესასვლელი თაღი გამოჩნდა და დავითმა დაყვინთა. თანდათანობით ეშვებოდა ქვევით. „ბატისფეხა“ ჩუსტები დიდად შველოდნენ. დაშვება უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა, თუმცა დავითი აკლიმატიზაციის მიზნით, ყოველ ექვსი მეტრის შემდეგ ისვენებდა. წნევამ თანდათანობით მოიმატა. სარქველიდან ამოსული ამონასუნთქი ჰაერის ბუშტულები ბუყბუყით ქრებოდნენ ზღვის ზედაპირზე. დავითი ფეხებით შეეხო ფსკერს და შეისვენა. აქედან უკვე სპორტული კლუბის დასასვენებელი პარკის ტერიტორია იწყებოდა. ზღვას საამო ლურჯი ფერი ჰქონდა. დავითი მთავარ ხეივანს გაჰყვა. გზის ორივე მხარეს დეკორატიული წყალმცენარეები იყო დარგული. წვრილი თევზები უმოძრაოდ გარინდულიყვნენ ფოთლებს შორის, ან უეცრად დამფრთხალნი სწრაფად გადაკვეთდნენ გზას და მოპირდაპირე მხარეს გაუჩინარდებოდნენ. გზაჯვარედინზე ნიშნები იყო დამაგრებული.

წყლის ქვეშ სეირნობას ერთი მეტად თავისებური მხარე აქვს. ადამიანები აქ იშვიათად დადიან ფეხით. ისინი თევზებივით დაცურავენ სხვადასხვა სიმაღლეზე და როდესაც დაიღლებიან, მხოლოდ მაშინ სხდებიან და ისვენებენ. დასაჯდომად ათასნაირი ზღაპრული ფორმის სკამები იყო დადგმული წყალქვეშ. ზოგი წითელი ფერის მარჯნისაგან გამოკვეთილი, ზოგიც მოყვითალო ფერისა. ნიჟარებისაგან გაკეთებული სკამებიც იყო. ხელოვნურად აგებულ ბორცვებსა და გორაკებს ზღაპრული ფორმის ფანჩატურები ამშვენებდა. ფანჩატურებისაკენ ვიწრო ბილიკი მიიკლაკნებოდა. წყალმცენარეებს იქით მარჯნის გაქვავებული „ტყე“ მოჩანდა. ნემსტყავა უხერხემლო ცხოველები ვეებერთელა წაბლის ნაყოფს ჰგავდნენ. ზღვის ყვავილები საგანგებოდ იყვნენ გაფანტული წყალმცენარეებს შორის, რომ უფრო მიმზიდველი შთაბეჭდილება დაეტოვებინათ. ზღვის ღრუბლები ყანწებივით დაგრეხილიყვნენ და წვრილი წვერით სილაში ჩაფლულიყვნენ. ყველაფერი ლიცლიცებდა, მოძრაობდა.

დავითი მთავარ მოედანზე დაეშვა და სკამზე დაჯდა.

მოედანს სწორი წრეხაზის ფორმა ჰქონდა, რომლის შუა ადგილას სამამულო ომში დაღუპულ გმირთა ძეგლი იყო აღმართული. ძეგლი ნიჟარების ერთმეტრიან კვარცხლბეკზე იდგა. ეს იყო საშუალო ზომის, ძველი სისტემის წყალქვეშა ნავი, რომლის ამოღებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა და კლუბის წევრებს ძეგლად დაედგათ. ნავს ფოლადის ასოებით ეწერა:

„შავი ზღვის მეხუთე ფლოტის წყალქვეშა ნავი: ჩე-პე-ას ექვსი, დაილუპა კრეისერ „ადოლფ ჰიტლერის“ ჩაძირვის დროს.

1941 წელი. 21 მარტი“.

ქვევით ჩამოთვლილი იყო ნავის შემადგენლობის გვარები და სახელები. მათ შორის ერთი ქართველიც ერია, ურთმელიძე გიორგი.

წყალქვეშა ნავს ცხვირი შენგრეული ჰქონდა, სათვალთვალო კოშკურა—მოგლეჯილი, ხოლო უკანა მხარეს დიდ ნახვრეტს დაეღო პირი. ნახვრეტიდან თევზი გამოცურდა. ერთ ხანს ერთ ადგილზე გაირინდა. მერე ზანტად მოიქნია კუდი და ნავის ჩრდილში გაუჩინარდა. ძეგლის წინ ორი წყვილი იდგა. წყლისქვეშა ფოტოატელიეს ფოტოგრაფი სურათს უღებდა. გამჭვირვალე ნილბებს იქით გაღიმებული ახალგაზრდული სახეები ჩანდა. ფოტოგრაფმა სურათი გადაიღო. ახალგაზრდები ერთი მეორეს მიყოლებით გაუჩინარდნენ მარჯნისაგან აგებულ „სიყვარულის“ ლაბირინთში. ნავის გარშემო დელფინები დაცურავდნენ, ფსკერზე ზღვის ვარსკვლავები დაბობლავდნენ. ვილაცამ დელფინს საჭმელი გადაუგდო. ერთი დელფინი წრეს გამოეყო, ლუკმა გადაყლაპა და ისევ დელფინების წრეში ჩადგა.

„არც ისე დიდი დრო გავა, — გაიფიქრა დავითმა, — რომ ადამიანები ზღვის ცხოველებსაც ისევე მოიმინაურებენ, როგორც ძაღლსა და კატას“.

შორიახლო მორიგე ინსტრუქტორი დაცურავდა.

დავითმა საათზე დაიხედა. ადგა, ტელეფონის ღია ჯიხურთან მივიდა და ყურმილი აიღო. ავტომატის საცობი განთავისუფლდა და წვრილი მავთული ზევით გაიტაცა. დავითმა ყურმილი ნიღაბთან შეიერთა, საყვირს დაელოდა და ნომერი აკრიფა.

— გისმენთ! — მოისმა ყურმილში.

— დავითი გელაპარაკებათ. მე...

— თავს როგორა გრძნობთ?

— დიდებულად. ახალი სისტემის აქვლანგები მშვენივრად მუშაობენ. რამდენ საათზეა გაანგარიშებული?

— საათნახევარს შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთ.

— გმადლობთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა ყურმილი დადო. უხილავი მექანიზმი ამუშავდა. [illegible]
თული კოჭას დაეხვია და საცობზე დამაგრებული ანტენა ბუდეში
ჩაჯდა. დავითმა მაჯაზე დაიხედა და თევზსაცავის მიმართულებით
გაცურდა.

დავითი ნელა მიცურავდა. ზღვის ფსკერი თანდათანობით
დაბლდებოდა. სინათლემ იკლო. თევზებმა ზღვის ზედაპირს მიაშუ-
რეს. ზღვა გამუქდა. გაბნეული ქვები და მსხვილი თევზები ჩრდი-
ლებს დაემსგავსნენ.

„მზეს ღრუბელი თუ წამოეფარა", — გაიფიქრა დავითმა და
უფრო ენერგიულად მოუსვა. კულტურისა და დასვენების ბალი
უკან დარჩა. ფლორა და ფაუნა მკვეთრად შეიცვალა. ზღვის
ფსკერი უსწორმასწორო გახდა. მცენარეულობა თითქმის გაქრა,
სამაგიეროდ, ფსკერი უხერხემლო მოლუსკებით მოიფინა. აქ იყო
ათასგვარი კიბო, ასთავა. ერთ განდეგილ კიბოს სულ ახლოს ჩაუ-
არა დავითმა. კიბო მოიკრუნჩხა და ფსკერზე დაეშვა. დავითი
წარწერასთან შეჩერდა.

„უფსკრული. აქ ცურვა აკრძალულია!" — წაიკითხა დავითმა
და უფსკრულისაკენ გაცურდა. უფრო ქვევით დაყვინთა. სასიამოვ-
ნო თავბრუდახვევა იგრძნო. დროზე შეჩერდა. ორგანიზმი თანდათა-
ნობით შეეჩვია სიღრმეს, თავბრუდახვევამ გაუარა და დავითმა ისევ
გაცურა. იგი ჩქარობდა. ზღვა უფრო გამუქდა, მაგრამ ჯერ კიდევ
შეიძლებოდა ზოგიერთი რამის გარჩევა. დავითი ბადის გასწვრივ
მიცურავდა. ბადის იქით თევზების შავი მასა ტორტმანობდა, ღელა-
ვდა. სინათლემ იმატა. ეტყობა, წვიმამ გადაიღო და მზე ისევ
გამოჩნდა. ბადის უჯრედების რიცხვმა იკლო. დავითი ბადეს და-
აკვირდა. შემთხვევის ადგილას მოხვდა. გაგლეჯილ ბადეს სწორი
წრეხაზის ფორმა ჰქონდა. იგი უფრო გამოჭრილს ჰგავდა, ვიდრე
გაგლეჯილს. დავითი უფრო ახლოს მიცურდა და ძველი ბადის
მავთულის ბოლოებს დააკვირდა. მავთულებს ბოლოზე შედუ-
ღებული ბურთულები ეკიდა, თუმცა ბურთულები იმდენად პატა-
რები იყო, რომ ერთი შეხედვით ვერც გაარჩევდით. ასე ხდება,
როდესაც მავთულში დიდ დენს გაატარებენ. კონტაქტის ადგილას
მავთული წყდება და დიდი ტემპერატურის გამო ბოლოები მრგვალ-
დება. სულ სხვა სურათია გაგლეჯის ან გაწყვეტის დროს. მაგრამ
დავითმა ასეთი ნიშნები ვერ აღმოაჩინა.

„უცნაური თევზი ყოფილა, — გაიფიქრა დავითმა, — თანაც
საკმაოდ დიდი. ამ ნახვრეტში საშუალო სიდიდის წყალქვეშა ნავი
თავისუფლად გაეტეოდა. მაგრამ წყალქვეშა ნავი ისე როგორ მიუა-

ხლოვდა ნაპირს, რომ ჩვენებმა ვერ შენიშნეს, ან რა ესაქ-
მებოდა წყალქვეშა ნავს აქ? ნუთუ მარტო თევზსაცავის განადგ-
ურება? თუ ასეა, რამ შეუშალა ხელი?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავითმა კოორდინატები დააზუსტა. გამოირკვა, რომ იგი თევზ-
საცავის ყველაზე უფრო გამოწეულ ადგილთან იმყოფებოდა.
ზღვის ფსკერამდის ოცდოდე მეტრი იყო, საერთო სიღრმე — სამოც-
დახუთი მეტრი. ათიოდე მეტრის იქით უფსკრული იწყებოდა.

მაჯაზე დაიხედა. ოც წუთს კიდევ შეეძლო ზღვის ქვეშ ყოფნა.
ოცი წუთის შემდეგ ჟანგბადის „შიმშილი“ დაეწყებოდა. ეს
დრო კი სავსებით საკმარისი იყო, რომ ნავსადგურამდის
მისულიყო. დავითმა თევზსაცავის ბადის გასწვრივ გაცურა. გზის
მოჭრის მიზნით თავისუფალ ზღვაში გავიდა. ახლა იგი უფსკრუ-
ლის თავზე მიცურავდა. ზღვა იყო მშვიდი, წყალი—თბილი. დავითი
მშვენივრად გრძნობდა თავს. შორიახლო დელფინები დაცუ-
რავდნენ.

დავითმა ყოველი შემთხვევისათვის იარაღი მოიმარჯვა და უცებ
იგრძნო, როგორ ქანაობდა.

„ნუთუ ზღვა ღელავს“, — გაიფიქრა მან და მოიგონა როგორი
მშვიდი იყო იგი, როდესაც დაყვინთა.

„არა, ზღვა არასოდეს არ ღელავს, ასე“, — დაასკვნა მან.

იგი ქვევიდან ზევით მოძრაობდა და თანდათანობით მაღლა
მიიწევდა.

დავითმა უფსკრულისაკენ გაიხედა. უფსკრულის შავი ხახიდან
დამფრთხალი თევზები ამოდიოდნენ და ნაპირისაკენ მიცურავდნენ.
ღელვა საკმაოდ შესამჩნევი გახდა. დავითმა უფსკრულის სიღრმეში
გაურკვეველი ფორმის მოძრავი სილუეტი შეამჩნია. სილუეტი
თანდათანობით ზევით მოიწევდა და გარკვეულ ფორმას ღებულობ-
და. ახლა უკვე გარკვევით შეიძლებოდა გეთქვათ, რომ მოძრავ სი-
ლუეტს გრძელი სიგარის ფორმა ჰქონდა, თუმცა დამახასიათებელი
დეტალების გარჩევა შეუძლებელი იყო. დავითმა ნაპირისაკენ
გაცურა. უფსკრულის სახიფათო ზონა უკან ჩამოიტოვა და მშვი-
დობიანად დაეშვა ფსკერზე. სიღრმე ორმოცდაორი მეტრი
იყო. აქვალანგები ჯერჯერობით მშვენივრად მუშაობდნენ. ჟანგბა-
დის მარაგი თხუთმეტი წუთით განისაზღვრა. მართალია, სათადარი-
გო ჟანგბადის ჩართვა შეიძლებოდა, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ
რვა წუთით თუ გაზრდიდა წყლის ქვეშ ყოფნის დროს. დავითი კი
ცნობისმოყვარეობით იწვოდა. იგი თვალს არ აშორებდა უფსკრულს.
უეცარმა ტალღამ დავითი შეარყია და უფსკრულიდან ვეებე-

რთელა თევზი ამოცურდა. ექვსიოდე მეტრით აცილდა უფსკრულს, ნაპირისაკენ გამოცურა და დავითის ახლოს გაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაურ თევზს უზარმაზარი პირი ჰქონდა, რომელსაც დროგამოშვებით აღებდა და ხურავდა, თვალები — არაპროპორციული და გადმოკარკლული. მესამე თვალი შუბლზე აჯდა. ამ სამთვალა თევზის ტანი ზღვისფერი ქერცლით იყო დაფარული. ტანის გასწვრივ ორი პარალელური წითელი ზოლი გასდევდა. ფარფლები ოდნავ ირხეოდნენ.

დავითი წყალმცენარეებისაკენ გაიქცა და დაიმალა.

თევზს მისი მოძრაობა არ გამოპარვია. სამივე თვალი დავითის მიმართულებით მოატრიალა, დიდხანს უყურა, მაგრამ არ განძრეულა. თევზმა ოდნავ ქვევით დაიწია.

დავითმა ყურადღება გაამახვილა.

თევზი ოდნავ შესამჩნევად ირწეოდა. მერე უცებ შეირხა, შუა ნაწილიდან შავი, უფორმო მასა გამოეყო და ფსკერზე დაიძირა. უფორმო მასა მოძრაობდა, ტოკავდა, თანდათანობით დიდდებოდა და ბოლოს კარგა მოზრდილი ლოდის ფორმა მიიღო.

„გასაგებია“, — გაიფიქრა დავითმა და მხოხავი ლოდი გაახსენდა. საჭირო იყო სწრაფად მოქმედება. დავითმა სავაზნეში ფეთქებადი ტყვიები ჩადო და თევზს მარცხენა თვალში დაუმიზნა. ტყვია თვალზე მოხვდა თევზს, გუგაზე ასხლტა და გვერდით ჩაუარა.

თევზის სამივე თვალი ამოძრავდა. კარგა ხანს იტრიალეს აქეთიქით და ბოლოს დავითის მიმართულებით გაიყინნენ.

ლოდმა მოძრაობა შეწყვიტა.

„შემამჩნია“, — გაიფიქრა დავითმა, მაგრამ გვიან იყო.

თევზმა ლაყუჩები აამუშავა, თვალები ერთი წუთით გაუბრწყინდა და ისევ ჩაქრა.

დავითს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. სხეული გაეყინა. სული შეეკრა და დაბარბაცდა.

„ჟანგბადის მარაგი თუ ამოიწურა“, — გაიფიქრა დავითმა და სათადარიგო ჟანგბადი ჩართო. მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. დავითი თანდათანობით სუსტდებოდა.

ლოდი ნაპირისაკენ მიხოხავდა.

თევზი მძიმედ მოტრიალდა, ფარფლები მძლავრად მოიქნია და უცებ ირგვლივ ყველაფერი აიმღვრა. ძლიერმა ტალღამ ფსკერზე ქვიშა ახვეტა. რომელიღაც წვრილი თევზი გულზე აეკრა დავითს.

წყალმცენარეები ფსკერზე გაწვნენ.

დავითმა ნაპირისაკენ გაცურა. ჩქარობდა. ყოველი წუთი ძვირფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი იყო. ლონე თანდათან ელეოდა. ფსკერზე დაეშვა და ფეხით დაეპირა სიარული. მუხლები მოეკვეთა. წყალი თანდათანობით გაშავდა. თვალებზე ბინდი გადაეფარა. თოფი ხელიდან გაუვარდა. ჩაიჩოქა. მერე რაღაც ბრჭყვიალა საგანს გამოედო და ზედ გადაეკიდა. ბრჭყვიალა საგანი შეირყა, ლამიდან ამოიწია და ზევით აცურდა.

დავითმა გონება დაკარგა.

ლოდი ნაპირისკენ მიხოხავდა.

უცნაური თევზი უფსკრულში გაუჩინარდა.

## განგაში

ვეებერთელა ტრანს-საოკეანო, სიგარის ფორმის, ატომთბომავალი ნავსადგურში რეიდზე იდგა. გემის ჩატვირთვა დასასრულს უახლოვდებოდა. ტივტივებზე აჩაჩხული გიგანტი ამწეები ჟუჟუნებდნენ და ფოლადის ხორთუმებით სერავდნენ სივრცეს. სანაპიროზე ზღვა ხალხი იდგა და ამ უჩვეულო სანახაობით ტკბებოდა. ეს იყო „საქართველოს“ პირველი რეისი დედამიწის გარშემო.

გემზე იმდენი წვრილმანი იტვირთებოდა, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს თავგზა აებნეოდა. იტვირთებოდა კინოფირები წრიული კინოსათვის, ცირკორამასათვის და ფართოეკრანიანი კინოებისათვის. იტვირთებოდა პროდუქტები ნაციონალური რესტორნებისათვის. აქ იყო ყველაფერი: რაჭული პური და ჩინური დელიკატესები, ხორცი გერმანული სისხლიანი პაშტეტებისათვის, მედიკამენტები, ჟურნალ-გაზეთები და მსოფლიო ლიტერატურის სიახლენი.

ყველაზე ბოლოს კერძო მანქანების დატვირთვა დაიწყეს. გემის ღრმა სარდაფები სხვადასხვა მარკის მანქანებით გაივსო. აქ შეხვდებოდით ძველი სისტემის „ჩაიკას“ და ახალი მოდის ბრწყინვალებას — „კომეტას“. არ გაივლის რაღაც ერთი თვეც კი, რომ ეს ნაირფერი მანქანები ნეაპოლისა თუ ბარსელონის ქუჩებს ჭიანჭველებივით შეესევიან.

ჯიხურში რადიოტელეფონი ახმაურდა. კაპიტანმა ბერკეტი გადასწია.

— გემზე სამი ატომოჰიდროპლანი მივიღეთ, — გაისმა მიმღებში.

— ეკიპაჟის რაოდენობა?

— ექვსი კაცი.

— პილოტებს კაიუტები მიუჩინეთ. ჰიდროპლანები მეხუთე პაქანზე მოათავსეთ.

კაპიტანმა ბერკეტი გადაატრიალა და თავისთვის რაღაც ჩაი-
ნიშნა.

ხელმარცხნივ ტელეფონი ახმიანდა. კაპიტანმა ყურმილი აიღო.

— გისმენთ! როგორც ყოველთვის.. რა?

გიგანტმა ამწეებმა უკანასკნელად აღმართეს „ხორთუმები“ და
უსიცოცხლოდ ჩამოეკიდნენ. პატარა საბუქსირო გემებმა ნაპირისა-
კენ გაათრიეს ამწეები. უკანასკნელი მგზავრებიც ამოვიდნენ გემზე.
კაპიტანი მხოლოდ ნიშანს ელოდა და საათზე იყურებოდა.

— ამხანაგო კაპიტანო!

სადისპეტჩეროს თავზე მწვანე შუშხუნა ავარდა.

კაპიტანმა მიკროფონი გამოსწია.

— აკრიფეთ კიბე! ჩართეთ პირველი რიგის ძრავა!

გემს თითქოს გააჟრჟოლა. აკანკალდა.

— ამოიღეთ ღუზები!

სადღაც გემის სიღრმეში მძლავრმა მექანიზმებმა ფოლადის
ჯაჭვი დაჭიმეს და რკინის კოჭას დაახვიეს.

— მარცხენა ღუზაზე ადამიანია! — მოახსენა ერთ-ერთმა კაპი-
ტანმა.

„რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს“, — გაიფიქრა მან და ჯიხუ-
რიდან გავიდა. სწრაფად დაეშვა პირველ გემბანზე, დერეფანი გაირ-
ბინა და მთავარი ექიმის კაბინეტის კარი შეაღო.

— ვინ არის?

ექიმმა მხრები აიჩეჩა.

— ვერ გეტყვით. საბუთები არ აღმოაჩნდა. ისე, ეტყობა, აქა-
ური მცხოვრები უნდა იყოს.

— იცოცხლებს?

— ვნახოთ. სისხლის მოწამვლის ნიშნები აქვს, მაგრამ საშიში
არაფერია. ცოტაც რომ დაგეყოვნებინათ ღუზის ამოღება, უკვე
გვიანი იქნებოდა. მთელ ტანზე დამწვრობის ნიშნები აქვს, სხეული
დალურჯებული. საერთოდ, უცნაური შემთხვევაა ზღვის ქვეშ ასეთი
რამ.

მეზობელი ოთახის კარი გაიღო და თეთრხალათიანი გოგონა გა-
მოვიდა.

— მაჯისცემა საგრძნობი გახდა, — თქვა მან.

ექიმმა წამმზომზე დაიხედა.

— სისხლი გადაუსხით. თვალყური ადევნეთ გულის მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონა წავიდა. სწორედ ამ დროს ოთახში ორი კაცის თანხლებით პორტის მთავარი დისპეტჩერი შემოვიდა.

— რა მოხდა? — იკითხა კაპიტანმა.

დისპეტჩერმა თანმხლებ პირებს რაღაც გადაულაპარაკა. ერთერთი მათგანი ექიმს მიუახლოვდა და კარზე ანიშნა.

— შეიძლება ავადმყოფის ნახვა?

ექიმი სტუმრებს წინ გაუძღვა. მოწყალების და ფეხზე ადგა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო!

დავითმა თვალები გააxილა და მერე ისევ დახუჭა.

კაპიტანი და ექიმი გაკვირვებული უყურებდნენ ერთმანეთს. დავითმა ისევ გააxილა თვალები და ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა:

— ქვევით წყალქვეშა ნავი და ლოდია... სასწრაფოდ მიიღეთ ზომები.

— ნუ ღელავთ, ყველაფერი რიგზე იქნება.

სწორედ ამ დროს ზღვაზე სწრაფმავალი გლისერები გავარდნენ. მათი სრბოლა სპორტულ შეჯიბრებას ჰგავდა. ზღვის ზედაპირი აფეთქდა. გლისერებიდან, საყვინთ კოსტიუმებში გამოწყობილი ჯარისკაცები ხტებოდნენ ზღვაში. ხელში სxივმფრქვევლები ეჭირათ, ზურგზე მინიატურული რაციები და აქვალანგები ჰქონდათ დამაგრებული. ერთი წუთის შემდეგ ისინი ზღვის ფსკერს მოეფინენ. წყალქვეშა ნავს მყვინთავი თვითმფრინავები დაედევნენ. კატარღაზე ბრძანებას ელოდნენ, რომ ზღვაში სიღრმის ნაღმები ჩაეშვათ. თავისუფალ ზღვაში მყოფ ესკადრას საჭირო ბრძანება მიეცა.

— როგორც კი მომჯობინდება, ნაპირზე გადმოგზავნეთ. — თქვა დისპეტჩერმა და ოთახიდან გავიდა.

სტუმრები წავიდნენ. კაპიტანი ჩაფიქრებული დაბრუნდა თავის ჯიხურში. აქედან კარგად ჩანდა ზღვა და პორტი. გემბანზე გამოფენილი ხალხი მოუთმენლად ელოდა გემის გასვლას. სანაპიროზე გამცილებლები იდგნენ. ასობით ჭოგრი მომართულიყო „საქართველოსკენ“.

ზღვის გიგანტი ზანტად მოტრიალდა. ცხვირი თავისუფალ ზღვისკენ მიმართა და თანდათანობით მოუმატა სიჩქარეს.

კაპიტანს კარი გაეღო. ნაპირს გასცქეროდა. ადამიანები თანდათანობით პატარავდებოდნენ, მერე ჰორიზონტზე მxოლოდ მთებიღა მოჩანდა. გემმა უკანასკნელად მისცა საყვირი. რთული მანქანები მთელი სიმძლავრით ამუშავდნენ. გემი კურსზე გასწორდა.

ზღვის ქვევით ძებნა გრძელდებოდა. იარალმომარჯვებული-ჯარის-კაცები ზღვის ფსკერზე გაფანტულიყვნენ და ყოველ კვადრატულ მეტრს გულმოდგინედ ათვალიერებდნენ. ვაჩნაძე მოძრავი ლოდის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. საჭირო იყო განსაკუთრებული ყურადღება, რომ ლოდი აღმოეჩინათ. იგი ყოველ კუნჭულს, ყოველ ქვას ამოწმებდა და ნელა მიიწევდა წინ. სხვა ათეულებთან მუდმივი კავშირი ჰქონდა დამყარებული. ყოველი მოულოდნელობა წინასწარ გაითვალისწინეს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ ეძებდნენ.

ლოდი არ ჩანდა.

ზემდეგ ზურაბ ვაჩნაძის ათეული წყალმცენარეების ზონაში მოხვდა და ნელა მიიწევდა წინ. მძიმე ფეხსაცმელები ღრმად ეფლობოდა სილაში. წყალმცენარეები აქვალანგის სასუნთქ მილებში იხლართებოდა, ნიღბის სათვალეს ეკვროდა. ყურებთან დამაგრებული ეხოლოტები სდუმდნენ. ზღვაში სრული სიწყნარე სუფევდა. წვრილი თევზები გუნდ-გუნდად დაცურავდნენ.

ზურაბმა წაიფორხილა და დაეცა. ზღვის ქვეშ დაცემა უმტკივნეულოა, მაგრამ ზურაბს რატომღაც ხელი აეწვა. სახესთან ახლოს მიიტანა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ შხამიან ნემსტყავას დაეგესლა. ზურაბმა ყურადღება არ მიაქცია შეწითლებულ ხელს. წამოდგა. შუქმფრქვეველის ლულით წყალმცენარეები გადასწია და ადგილზე გაიყინა.

რამდენიმე მეტრის მოშორებით ფსკერზე გაკრული ლოდი მიცოცავდა.

ზურაბმა რაციით თავისი ათეული მოიხმო და ხელით ანიშნა, მის წინ მდებარე ტერიტორიისთვის ალყა შემოერტყათ. ათეული გაიფანტა. ზურაბმა ლოდის მიმართულებით გადადგა ნაბიჯი. ლოდს მისი მოძრაობა არ გამოპარვია და ოთხმოცდაათი გრადუსით მოტრიალდა. ზურაბის მიმართულებით რაღაც შავი სითხე გამოისროლა და ისევ შეტრიალდა. ზურაბმა გაისროლა. ლოდი უფრო სწრაფად გახოხდა. შავი სითხე თანდათანობით გაიშალა და ზურაბი ბურუსში გაეხვია. სახე შეუხურდა. ტანი ჰაერის პატარა ბუშტულებმა დაუფარეს. ზურაბმა შუბლზე დამაგრებული ნათურა ჩართო, მაგრამ უშედეგოდ. შუქმა წყვდიადში ვერ გაატანა. მაშინ ალალბედად გაემართა წინ. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ წყლის შავი კედელი უკან ჩამოიტოვა, მაგრამ ლოდი აღარ ჩანდა.

„შორს ვერ წავიდოდა, — გაიფიქრა მან. ათეულის ყოველ წევრს დაუკავშირდა. ლოდი აღარავის შეუმჩნევია. ზურაბი ადგილზე ტრია-

ლებდა. შავი წყლის ბურუსი გაიფანტა. ზღვამ ისევ ლურჯი ფერი მიიღო. ზურაბის ნიღბის ქვეშ დამაგრებული მიმღები ახმიანდა.

— ჩემგან ხელმარცხნივ ლოდია! — მოახსენა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა.

— კოორდინატები!

— ორმოცდახუთი ოცდაექვსზე.

ზურაბი რამდენიმე წუთის შემდეგ დანიშნულების ადგილზე იყო. ჯარისკაცმა ხელით ანიშნა ლოდზე. ზურაბი უკან დაედევნა. ლოდი მთელი სისწრაფით მიხოხავდა ნაპირისაკენ. ფსკერმა თანდათანობით ზევით აიწია. შუქმა იმატა. სწრაფი მოძრაობისაგან ზურაბს სული ეხუთებოდა, ალყა თანდათანობით შემჭიდროვდა. ზურაბმა იარაღი მოიმარჯვა და რომ ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო, ფსკერზე გაწვა და გახოხდა. ლოდსა და მას შორის მანძილი თანდათანობით მცირდებოდა. უკვე შეიძლებოდა გასროლა, მაგრამ იგი არ ჩქარობდა, „ცოცხლად" უნდოდა ლოდის ხელში ჩაგდება, თვალს არ აშორებდა და იარაღი მზად ჰქონდა.

ლოდი ვეებერთელა კლდის ნატეხს მიუახლოვდა. კლდემ გადაიწია და ლოდი ორმოში გაუჩინარდა. ზურაბმა ერთი წამით დაასწრო კლდეს. ის ისევ ამოძრავდა და ორმოს გადაეფარა. ჯარისკაცები განცვიფრებული შედგნენ. ზურაბი წყლით გავსებულ გვირაბში მოხვდა. კედელს მიეყრდნო და შექმნილი მდგომარეობა შეაფასა. ჯარისკაცები კლდეს ეცნენ, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრეს, კლდე ორმოცდაათი ტონა მაინც იქნებოდა. დაელოდნენ, მაგრამ მდგომარეობა არ შეიცვალა და ყველაფერი უფროსს მოახსენეს. უფროსმა სასწრაფოდ დაყვინთა შემთხვევის ადგილას და თავის მხრივ მთავარ შტაბს აცნობა.

ზურაბმა მიმოიხედა.

ირგვლივ არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. ლოდს გზა აღარ გაუგრძელებია, ან სადმე აქვე იყო მიმალული და მსხვერპლს ელოდებოდა. ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ... იქნებ ლოდმა ვერ შეამჩნია ზურაბი და ახლა სამშვიდობოზე გასული აღარც კი ფიქრობს მის არსებობაზე. ეს ყველაზე სწორი დასკვნა იყო, მაგრამ ზურაბი არ ჩქარობდა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას. ერთ მოუფიქრებელ ნაბიჯს ყველაფრის დაღუპვა შეეძლო.

„სად გადის ეს ხვრელი? — ფიქრობდა ზურაბი. — ან ეს მხოლოდ ცრუ ლაბირინთია და ლოდი ისევ ზღვაში გავიდა?“

ერთი რამ ცხადი იყო, დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა.

ზურაბმა ნაბიჯი გადადგა. ხელის ფათურით მოძებნა კედელი და წინ გაიწია. იგი ბრმასავით მიაბიჯებდა წყლით გავსებულ გვირაბში. ხშირად ჰკარგავდა წონასწორობას. ათასგვარი უბედურება ეჩვენებოდა, მაგრამ მაინც მიიწევდა წინ. რაცია მწყობრიდან გამოვიდა. გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი საშუალება გაფუჭებული იყო. უცებ ზურაბმა იგრძნო, როგორ ვარდებოდა ქვევით. ორმო საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა, გასასვლელი კი არ ჩანდა. წნევა საკმაოდ გაიზარდა, სუნთქვა გაჭირდა. ზურაბმა კარგად იცოდა, რომ ჟანგბადის მარაგი კიდევ ერთ საათს ეყოფოდა, მაგრამ მაინც შეეშინდა. სწრაფად ამოვიდა ჭიდან და ჰორიზონტალურ გვირაბში გავიდა. ახლა უფრო ფრთხილობდა. ყოველ ნაბიჯს წინდაწინ ზომავდა და ნელა მიიწევდა წინ.

დრო გადიოდა. გვირაბს დასასრული არ უჩანდა. იყო წუთები, როდესაც ნებისყოფამ უმტყუნა. ცდილობდა არ ეფიქრა ამაზე. ჯერჯერობით უხიფათოდ მიიწევდა წინ. გვირაბში თანდათანობით იმატა შუქმა. სიბნელეს შეჩვეულმა თვალებმა ზოგიერთი რამის გარჩევა მოახერხეს. გვირაბს სწორი გეომეტრიული ფორმა ჰქონდა. წყალი ცივი და გამჭვირვალე იყო. ზურაბმა ლაბირინთს გახედა. მოეჩვენა თითქოს მის წინ ვიღაც მოძრაობდა და ნაბიჯს მოუმატა.

„ნუთუ ჩემი ჩრდილია,“ — გაიფიქრა მან და კედლისაკენ მიიწია.

ჩრდილი მოძრაობდა. ადამიანი, ოდნავ წელში მოხრილი, სწრაფი ნაბიჯით მიიწევდა წინ. ხელში გაურკვეველი ფორმის საგანი ეჭირა. სახეზე თხელი ნილაბი ეკეთა და ზურგზე მინიატურული აქვალანგი ჰქონდა დამაგრებული.

„ვინ უნდა იყოს?“ — გაიფიქრა ზურაბმა და უფრო ჩქარა წავიდა.

უცნობი თავს თავისუფლად გრძნობდა. დროდადრო ისვენებდა. გაურკვეველ ფორმის საგანს ერთი ხელიდან მეორეში ინაცვლებდა და ისევ აგრძელებდა გზას.

„ლოდი სად გაქრა?“ — ფიქრობდა ზურაბი და უცნობს მისდევდა.

შუქმა უფრო იმატა. ახლა უცნობი კარგად ჩანდა. იგი საშუალო სიმაღლის ჩაფსკვნილი კაცი იყო. საყვინთი კოსტიუმი პირდაპირ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანსაცმელზე ეცვა. ხელში ჩემოდნის მსგავსი რაღაც ეჭირა. ეტყობოდა მძიმე იყო. წელში მოხრილი მიდიოდა. გვირაბის ბოლოს შედგა და კედელზე მოაფათურა ხელი. ზურაბისაკენ მოიხედა.

ზურაბი გვირაბის ფსკერზე გაწვა.

უცნობმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა მისკენ. დააკვირდა, უკან დაბრუნდა და გვირაბის კედელში დატანებულ პორტატულ ღილაკს თითი დააჭირა.

ზურაბი სულგანაბული უთვალთვალებდა.

ზემოდან რაღაც დაეშვა. უცნობი ზედ შეხტა და თვალისდახამხამებაში სადღაც გაქრა.

ზურაბი წამოდგა და იქ მივიდა, სადაც უცნობი იდგა. მის წინ კედელი იყო. გვირაბის თაღს ნათურის მკრთალი შუქი ანათებდა. ზურაბმა ღილაკი მოძებნა და თითი დააჭირა. კედელი ამოძრავდა და ქვევით დაეშვა. გაჩერდა. ზურაბი პატარა ბაქანზე შეხტა. ბაქანი შეტორტმანდა და ზევით აიტაცა იგი. თავბრუდამხვევი სისწრაფით მიქროდა ზევით. ბოლოს გაჩერდა. ზურაბი ნახევარი წუთის შემდეგ სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდა. მუხლამდის წყალში იდგა. მის ზევით პერპენდიკულარულ გვირაბში ალუმინის კიბე იყო გამოკიდებული. ცოტა ზევით, მარჯვნივ კლდეში ნაკვეთი კიბე მოჩანდა. ზურაბმა იგრძნო, როგორ იძირებოდა და დროზე ჩაეჭიდა კიბის უკანასკნელ საფეხურს. ღონე მოიკრიბა, ზევით აიწია და კიბეზე დადგა. კიბეს დააკვირდა. კიბე სპირალურად იყო დახვეული და ზევით სიბნელეში იკარგებოდა. ზურაბმა ნიღაბი მოიხსნა და მხარზე გადაიგდო. რამდენიმე კიბით აინაცვლა ზევით და გაისუსა. მას გარკვევით მოესმა ფეხის ხმა. მერე ხმა შეწყდა. ეტყობოდა, უცნობიც შედგა. ზურაბმა ისევ აინაცვლა რამდენიმე კიბით. მოსახვევში უცნობს მოკრა თვალი და კიბეზე დაეცა. სწორედ ამ დროს უცნობმა გაისროლა. ტყვია ნოტიო კედელს მოხვდა, სიპ ქვაზე ასხლტა და სადღაც, ზურაბის უკან, წყალში ჩაიძირა.

უცნობი გაიქცა.

დამალობანას თამაშს აზრი აღარ ჰქონდა. ზურაბმა იარაღი მოიმარჯვა და უკან გამოეკიდა. უცნობი დროდადრო ისროდა. ზურაბი არ პასუხობდა. სადღაც შორს ყრუდ გაჩხაკუნდა. ზურაბი სწრაფად ავარდა კიბის ზემოთა ბაქანზე. უცნობი შეტრიალებულ კედელში გადიოდა. ზურაბი ეცა, ერთი დარტყმით იარაღი ხელიდან გააგდებინა და სწორედ ამ დროს კედელი შეტრიალდა.

ზურაბი და უცნობი იატაკზე დაეცნენ.

— დამნებდი! — იყვირა ზურაბმა და ყელში წვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობმა ფეხი კრა მუცელში. ზურაბმა მუცელზე იტაცა ხელი, ამით ისარგებლა უცნობმა, წამოხტა და ბრახაბრუხით გაირბინა ათასგვარი წვრილმანებით გავსებული ოთახი. ერთი მოიხედა და უცებ გაუჩინარდა დერეფანში.

ზურაბი წამოდგა. დაბარბაცდა, მაგრამ თავს სძლია და უკან გამოედევნა. მუცელი საშინლად სტკიოდა, ხელი ეწვოდა. დერეფნის ბოლოს უცნობმა გაიელვა და გაქრა. ზურაბი კარს ეცა. მის წინ პატარა ოთახი იყო. მოპირდაპირე მხარეს დაჟანგულ კიბეზე უცნობი ადიოდა. ზურაბმა იარაღი დაუმიზნა.

— დამნებდი!

თოფის სამიზნე უცნობის თავს გაუსწორდა, მაგრამ ზურაბს კარგად ახსოვდა დავალება. ჯამუში ცოცხლად უნდა ჩაეგდო ხელში და სასხლეტს თითს არ აკარებდა.

უცნობმა ჩემოდანი ესროლა. ჩემოდანი ხელზე მოხვდა ზურაბს და იარაღი გაუვარდა. დროის დაკარგვა ალარ შეიძლებოდა. ზურაბმა კიბეზე დაიწყო ასვლა.

უცნობი უკვე კიბის თავში იყო.

„გამექცა", — გაიფიქრა ზურაბმა და სიმწრისაგან ტუჩზე იკბინა.

უცნობმა აასწრო ზევით, კიბეს ფეხი ჰკრა და გაუჩინარდა.

ზურაბმა ძლივს შეიკავა თავი. მუცლის ტკივილმა ისევ წამოუარა და კიბეს კინაღამ ხელი გაუშვა. უკანასკნელი ლონე მოიკრიბა და ცოცვა განაგრძო.

უცნობი პატარა ოთახში იყო. თვალი შეავლო სარკმელს, ვარაუდით მოზომა სიმაღლე, რაფაზე შეხტა, სალტო გააკეთა და თავით გადაეშვა მეორე მხარეს.

— ხელები ზევით, წინააღმდეგობას აზრი არა აქვს! — მოესმა უცნობს, როდესაც მიწაზე დახტა.

მის წინ იარაღმომარჯვებული ჯარისკაცი იდგა.

უცნობმა უხალისოდ ასწია ხელები.

ცოტა ხნის შემდეგ სარკმლიდან ზურაბი გადმობობღდა, ჩამოხტა და იქვე ჩაიკეცა.

## დაკითხვა

ერთი კვირის განმავლობაში უცნობი არავის შეუწუხებია. იგი ცალკე ოროთახიან საკანში იყო მოთავსებული და ფიქრისათვის საკმაოდ დიდი დრო ჰქონდა. ელოდებოდნენ დავითს. სამი დღის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ დავითი თვითმფრინავით გადმოფრინდა „საქართველოდან“, სწრაფად გაერკვა საქმის ვითარებაში და გადაწყვიტა უცნობი დაეკითხა.

ფართო, ნათელ ოთახში დავითი საწერ მაგიდას უჯდა. მაგიდაზე სქელყდიანი საქმე ედო და თვალს არ აშორებდა უცნობს, რომელიც მის პირდაპირ სავარძელში იჯდა და ფრჩხილების წმენდით იყო გართული.

— თქვენი გვარი და სახელი, პროფესია? — ჰკითხა დავითმა და საწერად მოემზადა.

უცნობმა ფრჩხილებზე დაიხედა.

დავითმა საწერკალამი დადო.

— თუ ასე აპირებთ გაგრძელებას, იძულებული ვიქნები...

— უცაცრავად, სულ დამავიწყდა, რომ მე თქვენი ტყვე ვარ. აქ ისე კარგად მეპყრობიან, რომ... მაპატიეთ, თქვენი ჩინი, შეფ?

— თქვენთვის მე მხოლოდ გამომძიებელი ვარ. აპირებთ თუ არა კითხვებზე პასუხის გაცემას?

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ვესაუბრო ისეთ საინტერესო ადამიანს, როგორიც თქვენა ხართ. უბრალო ჰიგიენამ გამიტაცა, კოლეჯში სულ იმას გვიჩიჩინებდნენ, რომ ჭუჭყიანი ფრჩხილები ცუდი ტონის ნიშანიაო.

— კეთილი, — თქვა დავითმა, — მე არ მეჩქარება. მოიქეცით ისე, როგორც გნებავთ და ილაპარაკეთ, რაც გსურთ. როდესაც ყბედობა მოგბეზრდეთ, მითხარით და საქმეზე გადავიდეთ.

— ო, საუცხოოა. მე ბევრი მსმენია საბჭოთა ადამიანების კეთილშობილებაზე, მაგრამ თქვენ ყველა მოლოდინს გადააჭარბეთ. იცით, თქვენ ერთი რომანის გმირს მაგონებთ... ღმერთო, გამახსენე... თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს. იგი ერთ-ერთ შტატში მოსამართლედ გახლდათ. ძალიან კეთილი იყო და იცით, სიკვდილის შემდეგ რა გამოირკვა? თურმე მოსამართლის ტანსაცმელში გამოწყობილი ანგელოზი ყოფილა. უცნაურია, არა?

— ჩემი იმედი ტყუილად გაქვთ.

— ასეც ვფიქრობდი. კომუნისტებმა ღმერთი განდევნეთ და ანგელოზებს რას დააყენებდით.

დავითმა ღილაკს თითი დააჭირა. ოთახში ჯარისკაცი შემოვიდა და კართან გაჩერდა.

— წაიყვანეთ! — უთხრა დავითმა.

უცნობი ადგა.

— ძალიან ვწუხვარ, ბატონო გამომძიებელო, რომ ჩვენი აუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენცია ასეთი ხანმოკლე აღმოჩნდა. თქვენ მგონი რაღაც გაინტერესებდათ?

— მე კი არა, გამოძიებას აინტერესებს. უკანასკნელად გიმეორებთ: აპირებთ თუ არა უპასუხოთ ჩემს კითხვებს?

— დიდი სიამოვნებით.

ჯარისკაცი გავიდა.

დავითი უცნობს მიუახლოვდა.

— გამიგონეთ, — უთხრა დავითმა, — არც ისე გულუბრყვილო ჩანხართ, როგორიც გინდათ მოგვაჩვენოთ. ჩვენს ხელთ არის უამრავი მამხილებელი საბუთი, რომლებიც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ საბჭოთა მართლმსაჯულებამ თქვენს შესახებ სათანადო გადაწყვეტილება გამოიტანოს. გულმართალმა აღიარებამ შეიძლება სასჯელი შეგიმსუბუქოთ. მიპასუხეთ: რომელი ქვეყნის აგენტი ხართ?

უცნობს გაეღიმა.

— ყველაფერი გასაგებია, — თქვა მან, — მაგრამ თქვენ გინდათ იცოდეთ იმაზე მეტი, რაც მე ვიცი.

— თვალთმაქცობთ? კეთილი.

დავითი მაგიდას მიუჯდა. უცნობიც დაჯდა, მოხერხებულად მოეწყო სავარძელში და ფეხი ფეხზე გადაიდო. დავითმა საქმე გადაშალა.

— თქვენი ეროვნება? — იკითხა მან.

— მე ვეკუთვნი იმ ნაციას, რომელიც ინგლისურად ლაპარაკობს.

— უფრო ზუსტად.

— უფრო ზუსტად — ინგლისელი არ უნდა ვიყო.

— თქვენ ამერიკის ჯაშუში ხართ.

— რატომ მაინცდამაინც ამერიკის, განა ინგლისურად მარტო ამერიკაში ლაპარაკობენ?

დავითმა თვალები მოჭუტა. უცნობი მართალი იყო. თუ ეს ასეა. მაშ რომელი ქვეყნის აგენტია? ვისი დავალებით მოქმედებს?

— თქვენ დაარღვიეთ საბჭოთა კავშირის საზღვარი. წინააღმდეგობა გაუწიეთ მესაზღვრეს. თქვენს იარაღს ამერიკული წარმოების დაღი ადევს. ჩემოდანში გვიან მოქმედი ნაღმი გედოთ, რა დავალების შესასრულებლად შემოგგზავნეს ჩვენს ქვეყანაში?

— გაჩხრეკისას იარაღი არ აღმომჩენია. რაც შეეხება დაღს, ამერიკა ბევრ ქვეყანასთან ვაჭრობს. ასე რომ, იარაღი შესაძლოა სხვა სახელმწიფოს ეკუთვნოდეს. ჩემოდნის შესახებ არაფერი ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იარაღი ობსერვატორიის სარდაფში დააგდეთ, ნაღმი მეორე ოთახში.

უცნობმა თავი გააქნია.

— რევოლვერზე თქვენი თითების ანაბეჭდია.

— ტყუილია. ჩემთვის აქ თითების ანაბეჭდი არ აუღიათ.

— გნებავთ, ექსპერტის დასკვნას გაგაცნობთ?

უცნობი სახეზე წამოწითლდა.

— ეგ კიდევ არაფერს ნიშნავს, — თქვა მან.

— ვთქვათ, რომ ასეა, — დაეთანხმა დავითი, — მაგრამ მე უფრო მეტს გეტყვით. თქვენ დაიბადეთ ტეხასის შტატში, მუშის ოჯახში.

დავითმა უცნობს შეხედა. უცნობს წარბი არ შეუხრია. დავითმა გააგრძელა.

— მამათქვენი გაფიცვაში მონაწილეობისათვის ტაფტისა და ჰარტლის კანონის თანახმად დააპატიმრეს და ციხეში გარდაიცვალა. დედათქვენი იძულებული გახდა სამუშაოს საძებნად სხვა ქალაქში გადასულიყო თქვენს უმცროს ძმასთან ერთად. მაშინ ოცი წლის იყავით და ერთმა გავლენიანმა პირმა შეგიკედლათ. მერე სპეციალურ სასწავლებელში სწავლობდით ორი წლის განმავლობაში, მაგრამ შემდეგ ისევ უმუშევარი იყავით. შტატში აგიყვანათ ერთ-ერთმა აგენტმა. ამ დროისათვის თქვენი ძმა რევოლუციური მოღვაწეობისათვის მეორედ დააპატიმრეს. კარიერის გულისათვის უარი თქვით მის ძმობაზე და ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტეთ მასთან. შემდეგ...

— კმარა! — იყვირა უცნობმა, — მე არასოდეს არ ვყოფილვარ ამერიკაში. არ ვიცი, სად იმყოფება ტეხასის შტატი. არ ვიცი, რომელ ძმაზე მელაპარაკებით. მე მშობლები არ მყოლია. საერთოდ, არაფერი არ ვიცი.

— თქვენ ღელავთ.

უცნობმა ნაძალადევად გაიღიმა.

— მითხარით, ვისთვის უნდა გადაგეცათ ნაღმი? ვინ არის „მოხუცი“, რომელსაც უნდა შეხვედროდით?

უცნობმა ნერვულად გადაიხარხარა.

— თქვენ მე მანცვიფრებთ, ბატონო გამომძიებელო.

— კეთილი. იყოს თქვენებურად, მაგრამ მაშინ რას იტყვი, როდესაც თქვენს რეზიდენტს შეგახვედრებთ? — დავითმა საწერი მაგიდის შუა უჯრიდან „პილოტის“ სურათი ამოიღო და უცნობს მიაწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცნობთ?

უცნობმა სურათს თვალი გადაავლო და გაფითრდა.

— არა, — თქვა მან.

დავითმა სურათი შეინახა.

უცნობი ჩაფიქრდა. კარგა ხანს იყო ასე, მერე თავი ასწია და ირონიულად გაეღიმა.

— კარგით, — თქვა მან, — ყველაფერს მოგიყვებით. დიახ, მე დავიბადე ამერიკაში, ტეხასის შტატში. დავამთავრე სადაზვერვო სპეციალური სკოლა რუსეთისმცოდნეობის განხრით და მერე ერთმა აგენტმა შტატში ამიყვანა, ეს იცით.

— ო, ბრაინმა? — ჩაურთო დავითმა.

უცნობმა ხელი ჩაიქნია.

— ნუ მაწყვეტინებთ. დავალება მომცეს — საბჭოთა კავშირში გადმოვსულიყავი და ყველა საშუალებით ხელი შემეშალა „საქართველოს“ ზღვაში გასვლისთვის. უნდა მემოქმედა დამოუკიდებლად. წარმატების შემთხვევაში დიდ თანხას მპირდებოდნენ.

— სტყუით! ხომალდი თქვენს ოპერატიულ გეგმაში არ შედიოდა. დაასახელეთ მათი გვარები, ვისთანაც კავშირი უნდა დაგემყარებიათ.

უცნობი ადგა.

— მე უფრო ჭკვიანი მეგონეთ, ბატონო გამომძიებელო, — თქვა მან.

— რა გინდათ მაგითი თქვათ? — შეეკითხა დავითი.

— მე გავიარე მკაცრი სკოლა. ჩემი სიცოცხლე ათასჯერ ეკიდა ბეწვზე. ხშირად მკვდრად ვთვლიდი ჩემს თავს. ყოველივე ამან ნერვები გამიკაჟა. კარგად ვიცოდი, რა საქმეზე მოვდიოდი და თქვენგან მოწყალებას არ მოველი. მაგრამ არც თქვენი მეშინია. ვერ დამხვრეტთ, რადგანაც ძლიერ ბევრი რამ ვიცი ისეთი, რაც თქვენ ძალიან გაინტერესებთ, მკვდრები კი არ ლაპარაკობენ, ჩემი დუმილით სიცოცხლეს ვიხანგრძლივებ.

— ვნახოთ, — თქვა დავითმა და ღილაკს თითი დააჭირა. ოთახში ჯარისკაცი შემოვიდა.

— წაიყვანეთ!

უცნობი კარისაკენ გაემართა. მერე უცებ მოტრიალდა და შედგა.

— გისურვებთ წარმატებას, ბატონო გამომძიებელო! — თქვა მან და გავიდა.

დავითმა ფანჯრიდან გადაიხედა. წვიმდა. პატარა ნაკადულები

ქუჩის გასწვრივ გარბოდნენ. ფოთლები თრთოდნენ. სახლის სახურავები ლაპლაპებდნენ. ქუჩაში შიშინით გარბოდნენ მანქანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა ღრმად ამოისუნთქა. საწერ მაგიდას მიუჯდა, საქმე გადაშალა და თავიდან დაიწყო კითხვა. კითხულობდა გულმოდგინედ, ყოველ წინადადებას აკვირდებოდა და ცალკე ქაღალდზე შენიშვნებს იწერდა. მერე ადგა, კარადა გამოაღო, უცნობის ნივთები მაგიდაზე დაალაგა. წყალქვეშა გვირაბის გეგმა გაშალა და დააკვირდა.

„ასე, — ფიქრობდა დავითი, — გვირაბის სიგრძე ექვსასი მეტრია. იგი თევზსაცავსა და პორტს შორის იმყოფება. კარგად არის მოფიქრებული. აქედან ერთდროულად პორტის თვალყურის დევნებაც შეიძლება და თევზსაცავისაც. წყალქვეშა ნავმა ამ ადგილას გადმოსვა აგენტი, — დავითმა გეგმაზე წითელი ფანქრით პატარა ჯვარი დასვა. — აქედან აგენტი იმიტირებული ლოდით წყალმცენარეებს ამოფარებული, შესასვლელამდის მივიდა. მტერს რომ „საქართველოს“ აფეთქება სდომოდა, პირდაპირ პორტისაკენ გასწევდა. „საქართველოს“ ზღვაში გასვლისას აგენტის მოქმედება თვალის ახვევის მიზნით არის გაკეთებული, რომ ჩავარდნის შემთხვევაში აგენტს „საქართველო“ მოემიზეზებინა. მაშასადამე, ეს ვარიანტი ყალბია და აგენტი სტყუის. გავყვეთ გვირაბს: უცნობი გვირაბში შევიდა თუ არა, დარწმუნდა, რომ მარტო იყო და გზა გააგრძელა. ვაჩნაძე ფეხდაფეხ მიჰყვა. ობსერვატორიის ჭის ფსკერი მოძრავი ყოფილა. სწორედ ამ ჭით გაგვეპარა ალბათ. ჭიდან ამოსვლისას აგენტმა საყვინთი კოსტიუმი გაიხადა და აქვალანგი მოიხსნა. კიბეზე იგი მიხვდა, რომ მარტო არ იყო და ვაჩნაძის თავიდან მოცილება გადაწყვიტა. როდესაც მიზანს ვერ მიაღწია, გაქცევით უნდოდა ეშველა თავისთვის. გზადაგზა მამხილებელი ნივთები მოიშორა. შემდეგ იგი ჩვენი ნაწილების ჯარისკაცებმა შეიპყრეს...

აქამდის ყველაფერი გასაგებია, — მაგრამ სად არის „მოხუცი“? ვინ უნდა დახვედროდა აგენტს ობსერვატორიაში?

ოთახში თამაზი შემოვიდა და დავითს მხიარულად მიესალმა.

— მომილოცავს პირველი გამარჯვება. იმედია „მერცხალმა“...

დავითმა თავი გააქნია.

— საუბედუროდ, „მერცხალი“ მხოლოდ „ჭიკჭიკებს“.

— პირველად ყველა ასეა.

— იცი რა, თამაზ, — წამოიწყო დავითმა, — მე მგონი ქუჩაში ჯაშუშის ძმას შევხვდი.

თამაზმა წინ წამოიწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძმას? — გაიკვირვა მან.

— მგონი. საოცარი მსგავსებაა. გვარებიც ემთხვევა.

— დააპატიმრეთ?

— რას ამბობ! იგი ამერიკის მუშათა დელეგაციის ხელმძღვანელია.

— როგორ მოვიქცეთ?

დავითმა გაიარ-გამოიარა და თამაზის წინ შეჩერდა.

— საინტერესო იქნებოდა ძმების შეხვედრა, — თქვა მან, — აქ მისი მოყვანა არ შეიძლება. ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის.

— ვთხოვოთ.

— ვთხოვოთ? — გაიმეორა დავითმა, — უხერხულია. თუმცა იგი ამერიკის კომუნისტური პარტიის წევრია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ქვეშევრდომი არ არის და უფლება არ გვაქვს, სხვა ქვეყნის ადამიანს ასეთ საქმეში დახმარება ვთხოვოთ. აქ პიროვნების თავისუფლება ილახება. სხვა საკითხია, თვითონ შემთხვევით რომ გაიგოს თავისი ძმის აქ ყოფნა და ოფიციალურად, საელჩოს დახმარებით, მასთან პაემანი ითხოვოს. მე დარწმუნებული ვარ, ძმის საქმიანობის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ ახლა სხვა მიზანი მესახება.

— გასაგებია, — თქვა თამაზმა.

— კიდევ ერთი თხოვნა. დაკითხვას აუცილებლად უნდა დაესწრო.

— მესმის.

თამაზი წავიდა.

დავითმა საქმე ამოიღო, მაგრამ არ გადაშალა და ფიქრებში წავიდა.

მზე დასავლეთით გადაიხარა. ოქროსფერი შუქი იატაკიდან კედელზე აცოცდა. ზღვის პირიდან გრილმა ნიავმა წამოუბერა. კედელზე დაკიდებული რუკა შეირხა.

დავითმა თითები ერთმანეთს გადააჭდო, მომუჭა და ზემოდან დაადო საქმეს.

„იქნებ ამდენი ყურადღების გამოჩენა არც ღირდა. ვინ იცის, იქნებ ახლა ფიქრობს, რომ ჩვენთვის მეტისმეტად საჭიროა და ფასს იდებს. იქნებ არც სტყუის, ხომ შეიძლება, მართლაც რომელიმე დამოუკიდებელი დივერსიული ჯგუფის წევრია და „პილოტთან“ არავითარი კავშირი არა აქვს. ვინ იცის, ეს ყველაფერი თვალის ასახვევადაა გაკეთებული? ან...“

„ან იქნებ, ან იქნებ,“ — გამოაჯავრა დავითმა საკუთარ თავს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხზე ადგა. ღილაკს თითი დააჭირა. კარში ქერათმიანმა გოგონამ შემოყო თავი.

— ახალი ჟურნალ-გაზეთები მომიტანეთ, — უთხრა დავითმა.

კარი მიიხურა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გაიღო. ქერათმიანმა გოგონამ ჟურნალ-გაზეთები მაგიდაზე დააწყო და გავიდა.

დავითი ერთ ხანს უმოძრაოდ იდგა. მერე მაგიდასთან მივიდა და უაზროდ დაუწყო თვალიერება ჟურნალ-გაზეთებს. ბოლოს ესეც მობეზრდა. დრო ზანტად მიიზლაზნებოდა. დავითი ისევ საწერ მაგიდასთან მივიდა და ნელ-ნელა დაუწყო საქმეს ფურცვლა. როდესაც უკანასკნელი ფურცველიც ჩაიკითხა, გაშლილი ხელი ზედ დაადო და ხმამაღლა თქვა:

— ყველაფერი ნათელია და მაინც...

მან თითქმის ზეპირად იცოდა საქმე.

ოთახში თამაზი შემოვიდა.

— რა გაარკვიე პატიმრის ძმასთან დაკავშირებით?

— საგარეო საქმეთა სამინისტროს დავუკავშირდი. აღმითქვეს, რომ თუ ძმამ სურვილი გამოთქვა, ყველაფერი მოგვარდებაო. ერთი სიტყვით, ნახევარ საათში ან თანხმობა იქნება, ან უარი.

— მაშ დავიწყოთ.

დავითმა დარეკა. რამდენიმე წუთის შემდეგ კარი გაიღო და ჯარისკაცის თანხლებით ოთახში ჯაშუში შემოვიდა.

ჯაშუში თავდახრილი იდგა. ხელები ზურგს უკან ეწყო და მძიმედ სუნთქავდა. დავითი თვალს არ აშორებდა უცნობს. თამაზი ჟურნალის ზემოდან ცალი თვალით უყურებდა. მერე დავითს შეხედა და თვალი ჩაუკრა. დავითმა საწერი მაგიდის პირდაპირ თავისუფალი სავარძელი გამოსწია.

— დაბრძანდით, — უთხრა მან.

ჯაშუში ძველებურად იდგა და რაღაცაზე ფიქრობდა.

— დაბრძანდით, — უფრო ხმამაღლა გაიმეორა დავითმა.

ჯაშუში შეკრთა, თავი ასწია, თამაზს გადახედა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

დავითმა ხელით ანიშნა სავარძელზე.

ჯაშუშმა ღრმად ამოისუნთქა. ხელები ჩამოუშვა, მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა სავარძელს და მოხერხებულად დაჯდა.

— თავს როგორა გრძნობთ? — შეეკითხა დავითი.

— რა გინდათ ჩემგან? — კითხვითვე უპასუხა ჯაშუშმა.

— მხოლოდ სიმართლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაშუშმა ძალდატანებით გაიღიმა.

— შემეკითხეთ, — თქვა მან.

დავითი სკამზე გასწორდა.

— რომელი ქვეყნის აგენტი ხართ? — შეეკითხა იგი.

— არც ერთის. მე კერძო აგენტი ვარ.

— ამერიკაში დაიბადეთ?

— არ მახსოვს.

— ამერიკის ქვეშევრდომი ხართ!

— ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მე ამერიკის დაზვერვას ვემსახურები. ჩემთვის ქვეყანას მნიშვნელობა არა აქვს. თუ თანხაზე მოვრიგდებით, შემიძლია თქვენც გემსახუროთ.

— გმადლობთ, ჩვენ ჯაშუშები არ გვჭირდება. მითხარით, რა დავალების შესასრულებლად შემოგგზავნეს საბჭოთა კავშირში?

— არ ვიცი.

— ვინ არის თქვენი შეფი?

— ყველა, ვინც ფულს მიხდის.

— ამჟამად?

— ამჟამად არავინ.

— ადრე?

— ადრე ბევრნი იყვნენ.

— ვინ არის „მოხუცი" და რა უნდა გადაგეცათ მისთვის?

— წარმოდგენა არა მაქვს, რომელ მოხუცზე მელაპარაკებით.

— ვისაც თქვენ უნდა შეხვედროდით.

— მე არავის არ უნდა შევხვედროდი.

— სტყუით!

— ერთი სიტყვაც არ მითქვამს ტყუილი.

— ასე ვერაფერს მოიგებთ.

— ვიცი.

ჯაშუშს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა. სავარძელში გასწორდა და დაფშვნილი სიგარეტი საფერფლეში ჩაყარა.

— იცოდეთ, — უთხრა დავითმა, — ჩვენ ყველაფერი ვიცით. უფრო მეტიც, იცით თუ არა, რომ წყალქვეშა ნავი ჩვენმა მესაზღვრეებმა დააკავეს, რომ ეკიპაჟი ცოცხლად დაგვნებდა და ყველაფერი გულახდილად აღიარეს.

„ეკიპაჟმა ჩემ შესახებ არაფერი იცოდა. მათთვის მე მხოლოდ ნომერი ვიყავი, ნომერი ცამეტი და სხვა არაფერი", — ფიქრობდა ჯაშუში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი კი ლაპარაკობდა:

— იცით თუ არა თქვენ, რომ ორი დღის წინათ ჩვენმა მზვერავებმა თქვენი რეზიდენტის ვერტმფრენი დააკავეს. სიმართლე გითხრათ, ჩვენთვის დიდხანს გაურკვეველი იყო ამ უცნაური „ცხენების“ თქარათქური. ახლა ვიცით, რომ ყოველივე ეს იმიტირებული ყოფილა. ხედავთ, მე არაფერს არ გიმალავთ და ამას მხოლოდ იმისათვის გელაპარაკებით, რომ დაგარწმუნოთ, ჩვენ გაცილებით იმაზე მეტი ვიცით, ვიდრე თქვენა გგონიათ.

დავითი ჯაშუშის პირდაპირ იდგა. ხელები ზურგს უკან ჰქონდა შემოწყობილი, ფეხები გაბოტილი. ოდნავ ირწეოდა. ლაპარაკობდა მშვიდად და დამაჯერებლად.

— გიყურებთ და გული მტკივა, — ამბობდა იგი, — დაახლოებით თქვენი ხნოვანების შვილი მყავს, მეცნიერების კანდიდატია, ქარხანაში მუშაობს. ახლა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს და ვინ იცის, იქნებ თქვენს სამშობლოში, ამერიკაშიც კი იმყოფება. თქვენ კი, — დავითმა ცალი წარბი აზიდა, — არა, არ იფიქროთ, თითქოს მე ამას აგიტაციისათვის ვლაპარაკობდე.

ჯაშუშმა უცებ ასწია თავი. ოდნავ მოჭუტულ, ღრმად ჩამჯდარ თვალებში ზიზღი და სევდა ედგა. მაგრად მოკუმული ტუჩები უთრთოდა. ხელის თითებს ნერვულად აწვალებდა.

„ფანდს მიგებს, ფრთხილად უნდა ვიყო“, — გაიფიქრა მან.

დავითმა ხელი ჩაიქნია.

— თქვენს თვალებში შიში და უნდობლობა დასადგურებულა, — განაგრძობდა დავითი, — ვერ წარმოგიდგენიათ, ალბათ, თუ შეიძლება ადამიანურად გელაპარაკონ. შეჩვეული ხართ მხოლოდ ბრძანებას და კერპად ფული გაგიხდიათ, ყოველთვის გატყუებდნენ ისევე, როგორც თქვენ სხვას ატყუებდით. არავის ენდობით და არავინ გენდობოდათ. თქვენ იმ ქვეყნიდან ხართ, სადაც ყველაფერი ფულზე იყიდება, — ადამიანებიც კი... თქვენ ალბათ...

მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა. დავითმა ყურმილი აიღო.

— დიახ, დიახ... მე თვითონ...

დავითმა ყურმილი დადო. ერთ ხანს ასე იდგა, ყურმილს ხელს არ აშორებდა. მერე წყნარად თქვა:

— გინდათ ძმასთან საუბარი?

ჯაშუში მოტრიალდა და გამომცდელი თვალებით შეხედა დავითს.

— იგი აქ არის და ჩემს ნებართვას ელოდება, — თქვა დავითმა.

— ჩემი ძმა? — ჩუმად გაიმეორა ჯაშუშმა და უცებ გადაიხარხარა, — მე ძმა არა მყავს.

— და მიუხედავად ამისა, იგი მოსაცდელ ოთახში იცდის და მოპატიჟებას ელოდება.

— ხუმრობთ.

— სრულიადაც არა.

— ჩემი ძმა?

— დიახ, თქვენი საკუთარი.

— აქ თქვენთან, მოსაცდელში?

— დიახ.

— არა, ეს შეუძლებელია.

— მე დაგიმტკიცებთ, რომ შეუძლებელი არაფერია!

დავითმა ღილაკს დააჭირა თითი.

ჯაშუში სავარძელში ჩაჯდა, სახე ხელებში დამალა და თვალები დახუჭა.

ოთახში ხმელი, მაღალი მამაკაცი შემოვიდა და შორიდანვე მიესალმა დავითს. სტუმარს სწორი სახის ნაკვთები და ოდნავ წინ გამოწეული ნიკაპი ჰქონდა. კოხტად შეკერილი უბრალო კოსტიუმი ეცვა. პიჯაკის ზემოთა ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი მოუჩანდა. უკან გადატკეცილი, შავი, თხელი თმა საფეთქლებთან გასთეთრებოდა. სტუმარმა ოთახი შეათვალიერა და უხერხულად გაშალა ხელები.

— მე მითხრეს... — წამოიწყო მან.

დავითმა თვალით ანიშნა სავარძელზე და თვითონ გვერდზე გადგა.

სტუმარი სავარძელს მიუახლოვდა და მხოლოდ ახლა შენიშნა იქ მჯდომი ადამიანი.

— გამარჯობა, ჯეკ, — ხმადაბლა მიესალმა იგი.

ჯეკი არ განძრეულა.

— ვიცოდი, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გააგრძელა უმცროსმა ძმამ, — საბრალდებულო სკამზე უნდა დაგემთავრებინა სიცოცხლე. ძლიერ ვწუხვარ. რაც არ უნდა იყოს, ჩემი ძმა ხარ. მე...

— კმარა! — ისტერიულად წამოიყვირა ჯაშუშმა და მაგიდაზე მუშტი დაარტყა.

იგი შეშლილს ჰგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომბეზრდა ყველაფერი. არა, ეს ყოვლად აუტანელია, ყოველგვარ წამებაზე უარესი. თქვენ ამის წარმოდგენა არ შეგიძლიათ! მეზიზღებით, ყველანი მეზიზღებით! შენ ჩემი ძმა არა ხარ. შენ ხარ ლაჩარი და არამზადა. დაპატიმრებული იყავი, ახლა ციხიდან გამოიპარე და სხვა სახელმწიფოს შეაფარე თავი. სულმდაბალო მოღალატევ!

— მე ხალხმა გამათავისუფლა.

— ხალხმა? — ჯაშუშმა გადაიხარხარა, — დამიხედეთ გმირს! შენ კომუნისტი ხარ.

— დიახ!

— შენ ამაყობ იმით, რომ სამშობლო გაყიდე და რუსებს ემსახურები. რამდენი დოლარი დაუჯდათ რუსებს შენი თავი?

ბობი გაფითრდა.

— მე სამშობლო არ გამიყიდია, — ძლივს თქვა მან, — აქ დელეგაციას ჩამოვყევი და რაგინდ კარგი არ უნდა იყოს ეს ქვეყანა, მე მაინც ჩემი მირჩევნია. დიახ, მე კომუნისტი ვარ!

ძმები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, სდუმდნენ.

„ნუთუ ესენი ძმები არიან“, — გაიფიქრა დავითმა.

მყუდროება უმცროსმა დაარღვია.

— გამიგონე, ჯეკ, მე შენი წყენინება არ მინდოდა... აქ სულ სხვა გრძნობამ მომიყვანა.

— კმარა. ახლა ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. სად იყავი მაშინ, როდესაც უმუშევარი დავეხეტებოდი ქუჩაში? შენ არ იცი, რა არის უმუშევრობა, შენ ყოველთვის გქონდა სამუშაო, მე კი... — ჯეკმა ხელი ჩაიქნია, — საკუთარი ძმა ერთხელაც არ გაგხსენებია. სად იყავი მაშინ, როდესაც ვშიმშილობდი, სად?

— სახლიდან ისე წახვედი, რომ არაფერი გითქვამს. ბევრი გეძებეთ, მაგრამ ვერ გიპოვეთ და დაღუპულად ჩაგთვალეთ.

— ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა რაღა გინდათ ჩემგან?

— დაფიქრდი, ჯეკ, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული. კიდევ შეიძლება...

— სახრჩობელა დახვრეტით შემეცვალოს არა?

ჯეკმა ზურგი შეაქცია ძმას. იგი კანკალებდა.

— უბრძანეთ, ბატონო გამომძიებელო, აქედან წამიყვანონ, — თქვა მან.

— კარგი, ჯეკ, წავალ, — თქვა ბობმა, — არ მეგონა, თუ ასე გეზიზღებოდი. შეიძლება შენთან მართლაც ვარ რამეში დამნაშავე, მაგრამ შენ მაინც აჭარბებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობმა თავი დაუკრა დავითს და კარისაკენ წავიდა.

ჯეკი დუმდა.

— წასვლამდის კიდევ გინახულებ. ხომ შეიძლება, პატივცემულო გამომძიებელო?

— როცა ინებებთ.

— გმადლობთ.

დავითმა სტუმარი გააცილა და საწერ მაგიდას დაუბრუნდა.

ჯეკი ნერვულად ეწეოდა სიგარეტს. დავითი სდუმდა. ჯეკმა დამწვარი სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა და ახალს მოუკიდა. ღრმად შეისუნთქა კვამლი. სავარძლის ზურგს მიესვენა და ბოლი ვიწრო ზოლად გამოუშვა.

— კარგით, — თქვა მან, — ყველაფერს მოგიყვებით.

დავითმა თავი გააქნია. ჯეკს ირონიულად გაეღიმა.

— აღარ მენდობით?

— გისმენთ.

— მაშინ მოემზადეთ საწერად. იჩქარეთ, თორემ შეიძლება გადავიფიქრო. არ გეგონოთ, სენტიმენტალობა მალაპარაკებდეს. იქნებ გგონიათ, ძმასთან შეხვედრამ იმოქმედა. ერთი წუთითაც არ იფიქროთ. ძმა რას მიქვია. მე ძმა არა მყავს. გესმით, არა! ის კაცი სტყუის! ის არასოდეს არ ყოფილა ჩემი ძმა. ამაში თვითონ დარწმუნდებით. ყველაფერს მოგიყვებით. მინდა იცოდეთ, ვისთანა გაქვთ საქმე. უბრალო აგენტი არ გეგონოთ. ჩემს კისერზეა ათობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. აი, თქვენც... ერთი სიტყვით, მე ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვებით. სასჯელის უმაღლეს ზომას მოვითხოვ... მე...

— საქმეს დაუბრუნდით, — შეაწყვეტინა დავითმა.

— კეთილი. თქვენ მზადა ხართ?

დავითმა თავი დაუქნია.

ჯეკმა სიგარეტი იატაკზე დააგდო და ფეხით გასრისა.

— დიახ, ტეხასის შტატში დავიბადე, — თქვა მან, — მშობლები... მშობლები თქვენ არ გაინტერესებთ. პირდაპირ საქმეზე გადავდივარ. მამა გაფიცვაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს, ამის გამო მე სამსახურიდან დამითხოვეს.

ოჯახი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. ჩემი ძმა თავიდანვე პოლიტიკით იყო გატაცებული. ჩვენს ოჯახს დევნა დაუწყეს. გვავიწროვებდნენ, ბოლოს ბინის ქირის გადაუხდელობა დაიხვიეს ხელზე და ქუჩაში გამოგვყარეს. ქალაქგარეთ ფიცრულ სახლში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავბინავდით. მე ამ დროს უმუშევარი ვიყავი. უკანასკნელი კრიზისის დროს ცხოვრება საერთოდ გაჭირდა, ჩვენს ოჯახს კი საარსებოდ ერთი ცენტიც არ გააჩნდა. კომუნისტები იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ და ხალხის დუხჭირი ცხოვრების გასაუმჯობესებლად ხმა აღიმაღლეს. დაიწყო გაფიცვები, დემონსტრაციები და მეც ვიშოვე საქმე. შტრეიკბეხერთა რაზმში ჩავეწერე. პატრონები კარგად გვიხდიდნენ ფულს და ცოტაოდენი თანხა შინ მიმქონდა. სად ვშოულობდი ამ ფულს, არ ვამბობდი. ბოლოს ჩემმა ძმამ ყველაფერი გაიგო და ჩვენ ერთმანეთს სერიოზულად გადავეკიდეთ.

„შენ საკუთარი მამის წინააღმდეგ იბრძვი“, — მითხრა მაშინ ძმამ. მე ქუდი ავიღე და სახლიდან წავედი. მაშინ ოცი წლის არც კი ვიყავი... მამა ციხეში გარდაიცვალა. მუშათა მოძრაობამ შედეგი არ გამოიღო. კომუნისტები ისევ იატაკქვეშეთში მიიმალნენ. შტრეიკბეხერთა რაზმები დაიშალა და კვლავ უმუშევარი დავრჩი. ერთი ამხანაგის რჩევით, გადავწყვიტე შევსულიყავი სადაზვერვო სკოლაში. გამოცდები ბრწყინვალედ ჩავაბარე. უფროსები დიდ იმედს ამყარებდნენ ჩემზე. სწორედ ამ დროს ჩემი ძმა მეორედ დააპატიმრეს და საბოლოოდ გავწყვიტე ოჯახთან კავშირი. ორი წლის შემდეგ წარჩინებით დავამთავრე სკოლა. ვმუშაობდი სხვადასხვა ქვეყანაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რატომღაც კვლავ ქუჩაში აღმოვჩნდი. ცოტაოდენი ფული ჯერ კიდევ მქონდა შემონახული, მაგრამ დოლარები ისე სწრაფად ილეოდა, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. დანაზოგი ფული თოვლივით დადნა. ჩემი მდგომარეობა უკიდურესობამდის დაიძაბა და სწორედ ამ დროს ერთ-ერთმა აგენტმა თვეში ათას დოლარად შტატში ამიყვანა. ეს იყო ციდან მოვლენილი ბედნიერება. მდგომარეობა უცებ გამოკეთდა. ჩემი შეფი სხვადასხვა კერძო ფერმებს პატარ-პატარა დაკვეთებს უსრულებდა. უკანასკნელად „ფოლადისა და მარსის“ კორპორაციის პრეზიდენტისაგან ერთი მსხვილი დაკვეთა მიიღო და პირადად მან იკისრა მთელი საქმე. ჩვენ საქმის მეტისმეტი დასაიდუმლოებით მივხვდით, რომ დღის წესრიგში რუსეთი იყო. ერთ მშვენიერ დღეს შეფმა გამომიძახა თავის კაბინეტში და მითხრა:

„ჯეკ, გინდა ბევრი ფული?“

რასაკვირველია, მინდოდა. თანხა საკმაოდ დიდი იყო. ორი დღის შემდეგ ზუსტი ინსტრუქცია მივიღე და... აი, უკვე მეორედ

ვარ საბჭოთა კავშირში. გახსოვთ, მოძრავი ლოდი. იმ ლოდშიც მე ვიჯექი. მაშინ ხელიდან გაგისხლტით, ახლა კი...

ჯეკი დადუმდა.

— ვის უნდა შეხვედროდით აქ? — შეეკითხა დავითი.

— არავის.

— თქვენ თქვით, რომ სიმართლეს ილაპარაკებდით.

— გადავიფიქრე. წეღან მე ისეთ გუნებაზე ვიყავი, რომ აუცილებლად უნდა მელაპარაკა. სიმართლე გითხრათ, ძმასთან შეხვედრამ ცოტათი იმოქმედა, ერთი წუთით წონასწორობა დავკარგე, მზად ვიყავი, ყველაფერი მეთქვა, ოღონდ ლაპარაკის უფლება მოეცათ. ახლა კი მეტს არაფერს გეტყვით. უბრძანეთ, წამიყვანონ.

## პირველად თბილისში

ზაზამ ბარდებში დაკარგული ბილიკი ჩამოირბინა და შუა გზაზე გაჩერდა. გველეთის ხიდზე ცისფერმა ავტობუსმა გაიელვა, მერე ხმაურით გამოვარდა მოსახვევიდან და პირდაპირ ზაზასკენ წამოვიდა. ზაზამ ხელი ასწია. მანქანა წამით შეჩერდა და, როგორც კი ზაზა დაჯდა, ისევ გააგრძელა გზა.

მძღოლის გვერდით მჯდომმა ახალგაზრდა კაცმა მინიატურული მიკროფონი სახესთან მიიტანა და რადიორეპროდუქტორის ხმამ მანქანის გუგუნი დაფარა. მანქანა მძიმედ, მაგრამ ჯიუტად მიბობღავდა ალმართზე.

— მეგობრებო, გაიხედეთ მარჯვნივ! თქვენ წინ არის კლდე „სფინქსი“, ცოტა იქით — „ღამურა“. ხელმარცხნივ გზის პირას „დარაჯი“ დგას. ზევით, სულ ზევით — „ეშმაკის თავი“.

ზაზამ უნდოდ შეხედა ექსკურსმძღოლს.

„რეებს არ მოიგონებენ ეს დალოცვილები,“ — გაიფიქრა მან და მეზობელს შეავლო თვალი. გოგონას ფერფლისფერი თმები შუბლზე აკვროდა, თვალები ცისთვის გაეშტერებინა და, ეტყობოდა, რაღაცაზე ფიქრობდა.

ზაზა მძღოლისაკენ გადაიხარა და ყურში უჩურჩულა:

— რომელი ქვეყნის ტურისტებია?

— გერმანელები არიან.

ხეობა თანდათანობით დავიწროვდა. გზა დატყდა და დაიგრიხა. მანქანა ღმუოდა და ეძალებოდა ალმართს. ტურისტები გერმანულ ხალხურ სიმღერას მღეროდნენ. ცაზე ქოჩორა ღრუბელი ჰიიჩქაროდა.

ზაზამ მეზობელს შეხედა. გოგონა ძველებურად იჯდა და თვალს არ აშორებდა ცას.

მანქანა თავქვე მიგორავდა. ტურისტები სულგანაბული ისხდნენ. ქვევით აბურდული ძაფივით დახლართული გზა ჩანდა, უფრო იქით — ლურჯ ბურუსში გახვეული არაგვის ხეობა.

„ნეტა მედიკოს კიდევ ვახსოვარ? — ფიქრობდა ზაზა, — მიცნობს? სიზმარს ჰგავდა ყველაფერი. იქნებ მართლა სიზმარი იყო? პროფესორი რომ გამიჯავრდეს? ვაითუ ტყუილად მივდივარ“.

მანქანამ კაიშაურის ველი უკან ჩამოიტოვა და არაგვის ხეობაში დაეშვა.

ზაზა ფიქრებიდან მძღოლის სიტყვებმა გამოაფხიზლეს.

— აქ ცოტა ხანს შევისვენებთ. თუ გშიათ, ისადილეთ.

ზაზამ თავი ასწია. მანქანა ფასანაურის ტურბაზის ეზოში იდგა. ირგვლივ ათასი ჯურის ხალხი ირეოდა. ჯანსაღ, მხიარულ სახეებს ბოლო არ უჩანდა. ზაზამ მეზობელ გოგონას გადახედა:

— წამოდი, ვისადილოთ.

გოგონამ თავი გააქნია.

ზაზამ მხრები აიჩეჩა და უხალისოდ ჩავიდა მანქანიდან.

როდესაც უკან დაბრუნდა, მანქანა უკვე ხალხით იყო სავსე და მძღოლი მის მოსვლას ელოდებოდა. სწრაფად ავიდა და თავისი ადგილი დაიკავა. მანქანა დაიძრა.

ფასანაურში ჯგუფი გამოიცვალა და ახლა მანქანაში ჩეხი ტურისტები ისხდნენ.

ანანური. მცხეთა. ძველი ქართული კულტურის სიამაყე. მცხეთის ჯვრის მონასტერი... ნატახტარის მხრიდან, გვირაბიდან მატარებელი გამოვარდა და ფოლადის ლიანდაგებზე მოჩვენებასავით გაიელვა. ავტობუსი ახალი ხიდით მტკვრის მეორე მხარეს გადავიდა. თბილისის გზატკეცილი. ვეებერთელა გზა ალვის ხეების რიგით იყო გაყოფილი. დიღმის ველი...

— აქედან იწყება თბილისი,—გამოაცხადა ექსკურსმძღოლმა,— თქვენ ხედავთ...

გზის პირას მწვანეში ჩაფლული ახალი სახლები წამოჭიმულიყვნენ, სწორი ქუჩები ერთმანეთს კვეთდნენ. ავტობუსმა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალ შენობას ჩაუქროლა, აღმართზე ავიდა და ტექნიკის მოედანზე გაჩერდა.

— მოვედით, — თქვა მძღოლმა, — ჩვენ აქედან ბაგებში გავუხვევთ.

ზაზა და მისი მეზობელი მანქანიდან ჩამოვიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნახვამდის, — დამტვრეული ქართულით ერთხმად დაუყვირეს ჩეხმა ტურისტებმა.

ზაზამ ხელი დაუქნია. მანქანა თვალს მოეფარა. ზაზა და უცნობი გოგონა მარტო დარჩნენ.

— თქვენ საით? — შეეკითხა ზაზა.

გოგონამ მხრები აიჩეჩა.

— სიმართლე გითხრათ, კარგად არც მე ვიცი.

— ჩამოსული ხართ?

გოგონამ თავი დაუქნია.

— ალბათ თბილისში პირველადა ხართ.

გოგონამ გაუღიმა.

— მოგწონთ?

— ძალიან.

ზაზას სახე გაებადრა.

— მაინც საიდან ჩამოხვედით?

— მთვარიდან.

ზაზამ აათვალ-ჩაათვალიერა მოსაუბრე.

„მასხრად მიგდებს," — გაიფიქრა და მოიღუშა.

— არ გჯერათ? — ჰკითხა გოგონამ.

ზაზა დაბღვერილი იდგა.

გოგონას გაეღიმა.

— მე მთვარის ობსერვატორიაში ვმუშაობ. აქ საქმეზე ჩამოვედი.

— ჰოო... — მიუგო ზაზამ.

იგი დარწმუნებული იყო, რომ გოგონა მასხრად იგდებდა.

— აქ ვისთან ჩამოხვედით? — იკითხა ზაზამ.

— პროფესორ ჯანდიერთან.

ზაზამ პირი დააღო.

— ჯანდიერთან? — გაიმეორა მან.

— თქვენ რა, იცნობთ?

— როგორ არა, — მხიარულად უთხრა ზაზამ, — მეც მასთან ჩამოვედი.

— ერთი გზა გვქონია.

— მისამართი იცით?

— ვიცი. ქალაქი — თანამგზავრი, ნომერი ორი.

— ეს საით არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თბილისის „ზღვასთან“. გეტყობათ, პირველადა ხართ თბილისში.

ზაზამ უხერხულად დახარა თავი.

— არა, მაგრამ, თბილისი ისე სწრაფად იზრდება, რომ... — იცრუა მან.

— ახლა ყველგან ასეა. წავიდეთ, რაღას ვუდგევართ.

ზაზა ყოყმანობდა.

— აგერ, მეტროს სადგურიც, მეტროთი უფრო ადრე მივალთ.

ზაზას მანქანით ერჩია, მაგრამ ხათრი ვერ გაუტეხა ახალ ნაცნობს და უკან გაჰყვა. მთელი გზა ზაზა დაძაბული იყო და როდესაც მეტროდან ამოვიდნენ, თავისუფლად ამოისუნთქა. ზაზამ ჩემოდანი დადო და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— რატომ გაჩერდით? — შეეკითხა გოგონა.

ზაზას შეწუხებული სახე ჰქონდა.

— აბა როდემდის ვიაროთ ასე, მე თქვენი სახელიც კი არ ვიცი.

გოგონას გაეღიმა.

— რუსუდანი მქვია, მოგწონთ?

ზაზა ყურებამდის გაწითლდა.

— თქვენ რა გქვიათ?

— ზაზა.

— სასიამოვნოა.

ახალი ნაცნობები წავიდნენ.

გრილოდა. გზის ორივე მხარეს ცამდის აშოლტილი კვიპაროსები იდგა. დროდადრო ხეებს შორის თბილისის „ზღვის“ ლურჯი ზედაპირი ჩნდებოდა. გზაზე კანტიკუნტად ღია ლიმუზინები ჩაიქროლებდნენ.

„შეხედე ერთი, — ფიქრობდა ზაზა, — ერთი ბეწოა და უკვე მთვარეზეც მოუსწრია ყოფნა. ეს რომ პაპაჩემს ვუთხრა, არ დამიჯერებს. რაღა პაპაჩემს, ლამის მეც არ დავიჯერო“.

— ძნელია იქ ცხოვრება? — ჰკითხა ზაზამ.

— როგორ გითხრათ... აი, როდესმე თუ მთვარეზე ამოხვედით, ყველაფერს საკუთარი თვალით ნახავთ და მიხვდებით.

ზაზამ ეჭვის თვალით გადახედა თანამოსაუბრეს.

— მოვედით, — თქვა რუსუდანმა და ერთსართულიან კოტეჯზე მიუთითა.

— იცით... — ყოყმანით წამოიწყო ზაზამ, — პროფესორმა ჩე-

მი ჩამოსვლის შესახებ არაფერი იცის. ახლა რა ვქნა, რა ვიქცე.

რუსუდანმა ხელი ჩაავლო მკლავში და ძალით წაიყვანა. ვეებერთელა ვაჟკაცი ქალის ნებას დაემორჩილა და გული გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით აუფრთხიალდა.

კოხტა, ერთსართულიანი კოტეჯის ფანჯრებში ფარდები იყო ჩამოშვებული. სახლის ახლოს პატარა წყარო მოროკრაკებდა. ცოტა იქით ვაზით დაფარული ფანჩატური ჩანდა. ფანჩატურისაკენ ვიწრო ბილიკი მიდიოდა. ბილიკზე მტრედები დაგოგმანობდნენ.

რუსუდანი კართან მივიდა და ღილაკს თითი დააჭირა.

„ოთხ საათზე ვიქნები სახლში. შემობრძანდით", — უპასუხა ავტომატმა პროფესორის მაგივრად.

კარი თავისთავად გაიღო და რუსუდანი შენობაში შევიდა.

ზაზა ყოყმანობდა, ბოლოს, როგორც იქნა, უხერხულობას სძლია და გაუბედავად შევიდა. კარი მოიხურა.

ნათელი ოთახი სადად და უბრალოდ იყო მოწყობილი, ყველა ნივთი ერთი ფერის, კოხტა და ლამაზი.

რუსუდანმა სავარძელი გამოსწია და დაჯდა. ზაზა პროფესორის გამოჩენას ელოდებოდა და კარს თვალებს არ აშორებდა.

— დაბრძანდით.

ზაზა ფრთხილად ჩამოჯდა სკამზე.

ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ, მერე ზაზამ იკითხა:

— რად იგვიანებს პროფესორი?

— პროფესორი ნახევარ საათში მოვა, მის მაგივრად კი ავტომატმა გვიპასუხა.

ზაზას თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი მოშორდაო, თავისუფლად ამოისუნთქა. ჩემოდანი სკამის გვერდით დადგა და ფანჯარასთან მივიდა.

რუსუდანი სავარძელში იჯდა, კალთაში შუაზე გადაშლილი, დასურათებული ჟურნალი ედო.

ზაზა გაშტერებული უყურებდა. ოცნებამ იგი მთებში გადაისროლა. მყინვარწვერის გამოქვაბულში მედიკოსთან შეხვედრა ეაახსენდა. მასაც ასე ეყარა თმა მხრებზე. მხოლოდ თვალები ჰქონდა მაყვალივით შავი, სახე ოდნავ უფრო მოგრძო, სწორი ცხვირი და მოღერებული ყელი...

— მედიკო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდანმა თვალები გაახილა.

— მითხარით რამე? — ჰკითხა მან.

ჩვენება გაქრა.

— არა, არაფერი, — წაიბურტყუნა ზაზამ.

რუსუდანი სავარძლის ზურგს მიესვენა და თვალები დახუჭა. ღუმდნენ. მერე მოულოდნელად რუსუდანმა იკითხა:

— ზაზა, სიმართლე მითხარით, ვინმე გყვარებიათ?

— რატომ მეკითხებით?

— არა, ჯერ მითხარით.

— ჰო, მერე რა მოხდა?

— ნამდვილად, ძლიერ გყვარებიათ?

— აბა სხვანაირად სიყვარული როგორ შეიძლება.

რუსუდანმა ამოიოხრა.

— რატომ შემეკითხეთ? — იკითხა ზაზამ.

— მე კი მგონია, მამაკაცებს დიდი სიყვარული არ შეუძლიათ ზაზა ფეხზე ადგა.

— რას ამბობთ! კაცის სიყვარული რა ცუდად სახსენებელია.

— აი, მაგალითად, საყვარელი ადამიანის სანახავად მთვარიდან თბილისს ჩამოხვიდოდით?

— ეგ რა სათქმელია, სულ ფეხით ვივლიდი.

— მართლა?

რუსუდანმა ნაძალადევად გაიღიმა და უაზროდ გადაფურცლა ჟურნალი.

კარი ხმაურით გაიღო. წინ ოთახში პროფესორი შემოვიდა და ხელზე გადადებული ლაბადა საკიდზე ჩამოკიდა. მერე აშლილ თმაზე ხელი გადაისვა და მოტრიალდა.

— აი, ამას ჰქვია საზოგადოება! — თქვა მან და ხელები გაშალა.

რუსუდანი პროფესორთან მივიდა და ხელი ჩამოართვა.

— თავს როგორ გრძნობენ მთვარეზე? ზაზა, რა შეშინებულივით დგახარ, ხომ მშვიდობაა მთაში?

— მშვიდობა, — ამოილუღლუღა ზაზამ.

— კარგია რომ ჩამოხვედი. წერილის მოწერას ვაპირებდი, მაგრამ ვერ მოვახერხე. დრო სულ აღარა მაქვს. წამოდით, ჩემო პატარა მეგობრებო, ჩემს ოთახში შევიდეთ.

— მართლა აპირებდით წერილის მოწერას? — შეეკითხა ზაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაო, ეჭვი გეპარება?

— არა, მაგრამ...

— მაგრამ არ გჯერა, არა?

ჯანდიერმა სტუმრები კაბინეტში მიიპატიჟა და მრგვალი მაგიდის ახლოს დაჯდა.

— აბა ყველაფერი დაწვრილებით მომიყევით, — თქვა მან.

რუსუდანი უხერხულად შეიშმუშნა.

— საიდან დავიწყო, არც კი ვიცი.

— რასაკვირველია, მარსიდან.

„ამათ წაკითხვას ხომ ერთი ადამიანის სიცოცხლე არ ეყოფა“, — გაიფიქრა ზაზამ და ძლივს მოსწყვიტა თვალი წიგნებით სავსე კედლის თაროებს.

— ჰო, მარსიდან, — რუსუდანი ერთი წუთით ჩაფიქრდა, მერე გაიღიმა და დაიწყო. — მარსზე დაკვირვებას ზუსტად თქვენს მიერ მითითებული განრიგის მიხედვით ვაწარმოებდით. მიღებულია ახალი რადიოსიგნალები, ჩვენ იგი ფირზე ჩავიწერეთ. სწორედ იგივე განმეორდა. რადიოსიგნალებს მარსის სამხრეთ ნახევარსფეროში სინათლის წყაროს მძლავრი აფეთქება მოყვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მარსის სამხრეთ ნახევარსფეროში რადიოსადგურის მძლავრი ცენტრი უნდა იმყოფებოდეს, ან რაღაც ამის მსგავსი. იყო შემთხვევები, როდესაც...

ზაზა მთელი სერიოზულობით უსმენდა რუსუდანს და ზოგიერთ რამეს მიხვდა.

„მარსზე ადამიანები ყოფილან, — ფიქრობდა იგი, — თუ პროფესორმა არ გადაიფიქრა, მეც მომიწევს გაფრენა. რა კარგი ვქენი, რომ ჩამოვედი, თორემ პროფესორი ვერასოდეს ვერ გამონახავდა დროს წერილის მოსაწერად და უჩემოდ გაფრინდებოდნენ“.

— სულ ეს არის, — დაამთავრა თხრობა რუსუდანმა.

პროფესორი კარგა ხანს დუმდა. მერე ღრმად ამოისუნთქა და თითები მაგიდაზე აათამაშა.

— ასე, — თქვა მან, — ჩემს ჰიპოტეზას კიდევ ერთი ახალი საბუთი შეემატა... მაგრამ ყველაფერი გაფრენის შემდეგ გაირკვევა. ხვალ შუშხუნის ძრავის სასტენდო გამოცდაა, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, — პროფესორმა ზაზას შეხედა, მაშინ უახლოეს დროში მარსზე გაფრენა მოგვიხდება.

— მე! — აღმოხდა ზაზას და გაწითლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვნახოთ, თუ ექიმები ნებას დაგრთავენ და სასწავლო წვრთნის გავლას მოასწრებ...

—ექიმი რა საჭიროა. ვეფხვივით ჯანმრთელი ვარ.

პროფესორს გაეღიმა და რუსუდანს მოუბრუნდა.

— იმედია, ჩემი თხოვნა შეასრულეთ?

— რაც მითხარით, ყველაფერი თან ჩამოვიტანე. უფრო მეტიც, მეც თქვენთანა ვარ.

— ამით დიდად გამახარეთ. რაც ნოდარს ის შეემთხვა, მერე მედიკოს ამბავიც დაერთო, თქვენ ჩემთვის აუცილებელი გახდით. მაგრამ მთვარეზეც იმდენი საქმეა, რომ...

მედიკოს ხსენებაზე ზაზამ ყურადღება გაამახვილა.

— ნოდარი... — წამოიწყო რუსუდანმა.

— კარგად არის, კარგად. ამ საღამოს თუ არა, ხვალიდან ჩვენთან ერთად იქნება. შენ წადი, დაკვირვებათა დღიური და ახალ მონაცემთა რვეული მომიტანე. გული აღარ მითმენს, მინდა ახლავე გადავავლო თვალი. თქვენ კი საღამომდე თავისუფალი ხართ. საღამოს ტელევიზორით მოსკოვიდან კონცერტს გადმოსცემენ...

## კოსმონავტიკის ინსტიტუტში

გათენდა.

რუსუდანი ლოგინიდან ადგა და ფანჯარა გამოაღო.

ოთახში სუფთა ჰაერი შემოვიდა. რუსუდანი ფანჯრის ჩარჩოს მიეყრდნო და ხეებით დაბურულ გორაკებს გახედა. წუხანდელი ამბავი სიზმარივით ახსოვდა. გაჰყურებდა მთებს და მთვარის უღიმღამო პეიზაჟს შეჩვეულ თვალს ყველაფერი უკვირდა.

„იქ კი ჯერ კიდევ ღამეა“, — გაიფიქრა რუსუდანმა და ვარდისფერ ჰორიზონტს გახედა. ცა იყო გაცრეცილი. ღამის მნათობი მთვრალი მაყარივით ფერდაკარგული ეკიდა დასავლეთით.

„ნეტავ ვახსოვარ კიდევ? — ფიქრობდა იგი. — ხომ შეიძლება ახლა ჩემზე ფიქრობდეს?.. რომ დამინახავს, გამიღიმებს და მეტყვის: „თავს როგორა გრძნობ, მთვარის დედოფალო“. მერე მე რა ვუპასუხო? ალბათ ვერაფერს ვეტყვი. თავს დავხრი და გავწითლდები. მერე მომეხვევა და როგორც იცოდა, მაკოცებს შუბლზე. მე რომ ცრემლები ვერ შევიკავო?...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

რუსუდანი ფანჯარას მოსცილდა.

— მობრძანდით, — დაიძახა მან.

ოთახში პროფესორი შემოვიდა. ღამენათევი თვალები დასწითლებოდა. უფრო დაბერებული და მოტეხილი ჩანდა.

— დილა მშვიდობისა, — მიესალმა რუსუდანს და სკამზე დაჯდა. მაგიდაზე ციფრებით და უცნაური ნახაზებით აჭრელებული ქაღალდი დადო.

რუსუდანი მაგიდის მეორე მხარეს იდგა.

— ძალიან საინტერესო მონაცემებია, — თქვა პროფესორმა, — თქვენ პირდაპირ ბედი გწყალობთ. ასეთი რამ იმდენად იშვიათი მოვლენაა, რომ ერთი შეხედვით დაუჯერებლად გეჩვენება კაცს.

— ჩვენ ამ დასკვნამდის ზუსტი მეცნიერული ანალიზის შემდეგ მივედით. რამდენჯერმე შევამოწმეთ და მხოლოდ შემდეგ...

— მესმის, მესმის, — თქვა პროფესორმა, — მაგრამ თუ ეს ასეა, ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება ირღვევა.

რუსუდანმა მხრები აიჩეჩა.

— არ მესმის, — თქვა მან.

— დასწყევლოს ღმერთმა, ეს ხომ ახალი სიტყვაა მეცნიერებაში. — სამხრეთ ნახევარსფეროში რადიოსიგნალების მძლავრი ცენტრი! ასეთ რამეს ფანტასტიკურ წიგნებში თუ წაიკითხავდა კაცი... გესმით, რას ნიშნავს ეს? ეს ხომ კოლოსალური ძალაა, რომელსაც ვეებერთელა კინეტიკური ენერგია ახლავს თან. რადიოტალღები ამხელა ენერგიით. გესმით?

პროფესორი ადგა.

— არა, თქვენ არ გესმით, — რატომღაც დაასკვნა მან. მერე ოთახში გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან შეჩერდა და თქვა:

— სად დაიკარგა ის ბიჭი. ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

— არა. რა იყო?

— ზაზა არ ჩანს.

— არ ჩანს? — გაიმეორა რუსუდანმა.

სადღაც შორს ყრუდ მოისმა კარის ჯახუნი. დერეფანში ვიღაცამ ფრთხილი ნაბიჯით გაიარა. მეზობელ ოთახში სკამი გახრაგუნდა. რაღაც რბილი ნივთი იატაკზე დაეცა.

პროფესორმა და რუსუდანმა ერთმანეთს გადახედეს. ჯანდიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა სათვალე შეისწორა და დერეფანში გავიდა. რუსუდანი უკან მიჰყვა. პროფესორი ზაზას ოთახის კართან შეჩერდა. კარი ღიაბ-ბ-ბ-

უცნობს ისევ გაელიმა. ხელები ჯიბეებიდან ამოიღო და ზაზას მიუახლოვდა.

— შენ მგონი ზაზა გქვია, არა? — უცებ შეეკითხა უცნობი.

— მქვია, შენ საიდან იცი?

— გამიგონია.

— მაინც?

— ეს საიდუმლოებაა. ჩამომეცალე გზიდან, მანქანას უნდა მივხედო.

სასადილო ოთახში რუსუდანის თანხლებით პროფესორი შემოვიდა.

— სასიამოვნოა, — თქვა მან, — როგორც გეტყობათ, უკვე მოასწარით გაცნობა. რა ამბავია, ვახტანგ, აკადემიაში, უჩემოდ ხომ არ მოეწყინათ?

ზაზამ ჯერ უცნობს შეხედა, მერე პროფესორს, მერე ისევ უცნობს და ეზოში გავარდა.

პროფესორმა თავი გააქნია.

— უცნაური ყმაწვილია, — თქვა მან.

რუსუდანმა სტუმარი სუფრასთან მიიპატიჟა.

— გმადლობთ, მე უკვე ვისაუზმე. მანქანაში დაგელოდებით, — თქვა მან.

ზაზამ სწრაფად ჩაირბინა კიბეები და ეზოში გავიდა. წყაროსთან მდგომ მანქანას მიუახლოვდა. კარი გამოაღო, საჭესთან დამაგრებულ სამართავ დაფას დააკვირდა და საჭეს ხელი გადაუსვა. მანქანას მეორე მხრიდან მოუარა და გაზონის პირას ბალახებში ჩაჯდა.

ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგიც გამოვიდა. ჩაფიქრებული მოდიოდა. მანქანაში ჩაჯდა, ხელები საჭეზე დაალაგა და სავარძლის ზურგს მიესვენა.

ზაზამ ჩაახველა.

ვახტანგი ფიქრებიდან გამოერკვა. მანქანიდან გადაიხედა და კარი გააღო.

— მოდი, ჩაჯექი, — უთხრა ვახტანგმა.

ზაზა ყოყმანობდა. მერე ადგა და ვახტანგის გვერდით დაჯდა.

— შენია? — მანქანაზე მიუთითა ზაზამ.

ვახტანგმა თავი დაუქნია, პაპიროსის კოლოფი ამოიღო და ზაზას მიაწოდა.

— გმადლობთ, არ ვეწევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგმა პაპიროსს მოუკიდა და კოლოფი შეინახა.

— იმედია, დღეიდან მეგობრები ვიქნებით.

— ოღონდაც, — თქვა ზაზამ.

ცოტა ხნის შემდეგ შენობიდან რუსუდანი და პროფესორი გამოვიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. კვიპაროსებმა ლანდებივით გაირბინეს. მანქანა დახვეული გზით დაეშვა ქალაქში. ვახტანგმა მიმღები ჩართო და მსუბუქი მუსიკის ტაქტი მანქანის სიჩქარეს შეეხმატკბილა. თბილისის ზეცას ყოველ მხრივ სერავდნენ ვერტმფრენები. ისინი შორიდან გიგანტურ კალიებს ჰგავდნენ. მანქანა ქალაქის მთავარ ქუჩაზე მიჰქროდა. შემდეგ მეგობრობის ხიდით მტკვრის მეორე მხარეს გადავიდა და მანქანების გაუთავებელ რიგში ჩადგა. ჩამოცხა. ვახტანგმა საჩრდილობელი ჩამოსწია და ზომაზე მოირგო. ზაზამ თავი დახარა. მთაში გაზრდილ ბიჭს ამხელა ქალაქი სულს უხუთავდა, აშინებდა. ამ დაუსრულებელ მოძრაობაში ზაზას საოცრად პატარა კაცად მოეჩვენა საკუთარი თავი. ყოყმანი დაიწყო.

„იქნებ უკეთესი იყო არ ჩამოვსულიყავი, — ფიქრობდა იგი,— აბა აქ მე რა უნდა გავაკეთო... რამხელა ყოფილა ეს დალოცვილი ქალაქი. მედიკო მაინც მენახა“. მედიკოს გახსენებაზე ზაზა შეკრთა, თავი ასწია და მანქანაში მსხდომთ თვალი გადაავლო. პროფესორი ძველებურად იჯდა, რუსუდანი ქალაქის ცქერით ვერ ძღებოდა.

„მეორე დღეა, რაც ჩამოვედი და პროფესორს ერთხელაც არ უხსენებია მედიკო, — გაიფიქრა მან, — თვითონაც არ გამოჩენილა. იქნებ თბილისში არ არის?.. ან რუსუდანის მაგივრად მთვარეზე გაგზავნეს? არა, მაშინ რუსუდანი ერთხელ მაინც ახსენებდა მის სახელს. ზაზა გამოუტყდა თავს, რომ თბილისში მარსზე გაფრენაზე უფრო მედიკოს ნახვის სურვილმა ჩამოიყვანა და ამ ახალმა აღმოჩენამ სული აუფორიაქა ყმაწვილს.

— მოვედით, — ფიქრებში ჩაესმა ზაზას.

ზაზამ თავი ასწია. იგი მარტო იჯდა მანქანაში. ვახტანგი და პროფესორი შორიახლო იდგნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ. რუსუდანი აკადემიის ფართო კიბეებზე იდგა.

— წამოდი, — დაუძახა პროფესორმა ზაზას.

ზაზა მანქანიდან ჩამოვიდა და გაკვირვებული შეჰყურებდა პროფესორს.

„ნუთუ ეს ის კაცია მანქანაში რომ თვლემდა“, — გაიფიქრა მან და პროფესორს მიუახლოვდა.

— შევთანხმდით, — თქვა პროფესორმა, — ხუთი საფრისაგენის გამომივლით და ერთად დავხვდებით ნოდარს.

ზაზამ შეამჩნია, როგორ ჩამოინაცვლა რუსუდანმა რამდენიმე საფეხურით ქვევით, მაგრამ პროფესორმა სალაპარაკო თემა გამოცვალა, ვახტანგი მანქანაში ჩაჯდა. ჯანდიერმა ზაზას ხელკავი გაუკეთა, მაგრამ ზაზამ შეაჩერა.

— ბატონო პროფესორო, —ყოყმანით დაიწყო მან, — იქნებ სჯობია უკან დავბრუნდე.

— არასოდეს არ უნდა იყოყმანო, როდესაც საქმეს ჰკიდებ ხელს. გამბედაობა საქმის წარმატების ნახევარს უდრის. აბა, რას ჩამოგიშვია ცხვირი. უფრო თამამად, კოსმოსის მომავალ მოლაშქრეს ამაყად უნდა ეჭიროს თავი.

ზაზა უკან გაჰყვა პროფესორს, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა. ამ მგლის მუხლის ვაჟკაცს სწორედ მუხლებმა უმტყუნეს. ნათელი, ფართო შუბლი ოფლის წინწკლებმა დაუცვარა. ზაზა შედგა. სული მოითქვა და წინ წასულ პროფესორს წამოეწია.

— არა, მე კი არ მეშინია, — თქვა მან, — მაგრამ...

— ვიცი, ვიცი, — შეაწყვეტინა პროფესორმა, — ყველას გამოგვიცდია ასეთი მდგომარეობა. ხომ არა გგონია, რომ მე ერთბაშად ამხელა დავიბადე, ან უცებ გავხდი პროფესორი.

ზაზას გაეღიმა და გუნებაში გაიფიქრა: ამის შემდეგ აღარასოდეს აღარ გამოვიჩენ ასეთ სისუსტესო. აკადემიის გრილმა დერეფნებმა საბოლოოდ დაუბრუნეს სულის სიმშვიდე და ზაზა ახლა თამამად მიაბიჯებდა პროფესორის გვერდით.

— მე ზევით დაგელოდებით, — თქვა რუსუდანმა და კიბის მოსახვევში გაუჩინარდა.

პროფესორი და ზაზა გრძელ დერეფანში მიდიოდნენ. ზაზა ყურადღებით ათვალიერებდა კარზე წარწერებს და ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა.

„ასტროგეოლოგიის კაბინეტი“, — წაიკითხა ზაზამ.

„ასტრობიოლოგიის“...

„საპლანეტათშორისო მიმოსვლის ტრანსპორტი...“

„საწვავ მასალათა ლაბორატორია...“

„კოსმოსური მექანიკის კაბინეტი...“

„ხელოვნურ თანამგზავრთა პრობლემები...“

„საპლანეტათშორისო მედიცინა...“

„ატმოსფეროს მიღმა სამყარო...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერეფანი დამთავრდა. პროფესორი ქვევით ჩავიდა. ზაზა ცდილობდა არ ჩამორჩენოდა პროფესორს. გამოჩნდა ახალი დერეფანი. ტაძრისეულ მყუდროებას არაფერი არღვევდა. შორს, დერეფნის ბოლოს, კარი გაიღო. თეთრხალათიანმა გოგონამ დერეფანი გადაკვეთა და მოპირდაპირე მხარეს კარში შევიდა. ზაზას რატომღაც მედიკო გაახსენდა, მიამსგავსა კიდეც და სახეზე სიწითლემ გადაუარა. ზაზა კარს გაუსწორდა და პატარა აბრას დააკვირდა.

„მთვარის გეოლოგია", — ეწერა აბრაზე.

ზაზამ მოპირდაპირე მხარეს გაიხედა.

„მთვარის ობსერვატორია", — ეწერა მეორეს.

ზაზა წინ წასულ პროფესორს წამოეწია. პროფესორი თავისთვის ღიღინებდა. მერე ღიღინს თავი დაანება და ზაზას კარზე მიუთითა.

— ღელავ?

ზაზას ყელში მიებჯინა გული.

— არა, — თქვა მან.

„მარსი", — მხოლოდ ეს ერთი სიტყვა ეწერა.

პროფესორმა კარის სახელური მოსწია, ზაზა წინ გაატარა და შიგნით შევიდა. აქაც სამარისებური მყუდროება იყო. შედარებით ვიწრო დერეფანი, მერე შუშის კარი. ზაზა და პროფესორი ფართო დარბაზში შევიდნენ. დარბაზს წრის ფორმა ჰქონდა და ათიოდე კარი. ჯანდიერი ერთ-ერთ კარში შევიდა, ზაზას სავარძელზე მიუთითა და თვითონ მაგიდის ახლოს დაჯდა. ზაზა ღელავდა, თავი უბრუოდა.

ზევით მწვანე შუქი აინთო. სადღაც შორს, ყრუდ მოისმა კარის ჯახუნი, მერე მძიმე ნაბიჯების ხმა. ოთახში კაცისმაგვარი რაღაც შემოვიდა. ზაზამ თვალები დაახამხამა. უცნაური ფორმის ადამიანს საკუთარი თავი ხელში ეჭირა. უკან თეთრხალათიანი კაცი მოჰყვებოდა. ზაზა უფრო გულმოდგინედ დააკვირდა. ძლივს მიხვდა. თავი კი არა, თავისმაგვარი ჩაჩქანი ეჭირა ხელში. საკუთარი თავი ისე ღრმად ჰქონდა უცნაური ფორმის ტანსაცმლის საყელოში ჩამალული, რომ მხოლოდ თმა მოუჩანდა.

პროფესორი და თეთრხალათიანი კაცი ხმადაბლა საუბრობდნენ. მერე პროფესორმა ზაზაზე ანიშნა და ხმამაღლა თქვა:

— მოდი, ზაზა, გაიცანი ჩვენი აკადემიის მთავარი ექიმი. ამ კაცის მეთვალყურეობის ქვეშ გაივლი წვრთნას. თან რომელიმე პროფესიას უნდა დაეუფლო. კარგია თუ ორს ერთად დაეუფლები.

აი, თუნდაც უჰაერო სივრცეში ფოტოგადაღებას და ელექტრონულ გეოლოგიას. ეს არც ისე ძნელია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს. ანდა რომელიმე სხვას. ამას მერე შენ თვითონ აარჩევ.

ზაზა თავს უქნევდა. აკადემიის მთავარი ექიმი მუშტრის თვალით უყურებდა მას. მერე გაუღიმა და მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი.

ზაზა დაბარბაცდა და გაკვირვებულმა გუნებაში გაიფიქრა: ამ ჩია კაცს რამოდენა ძალა ჰქონია მკლავშიო.

— კარგი ჭაბუკი მოგიყვანიათ, — თქვა ექიმმა.

— საერთოდ ხალხის შერჩევაში არ ვცდები.

— ჰო, მაგრამ, ერთხელ მგონი, თქვენც შეცდით.

პროფესორს და ექიმს გაეცინათ.

— კარგი, კარგი, — თქვა ჯანდიერმა, — რაც იყო, იყო. ყოველ შემთხვევაში, ამ ყმაწვილში მგონი აღარ შევცდები.

ჯანდიერი ფეხზე ადგა.

— მაშ ასე, ჩემო ზაზა, — თქვა მან, — ეცადე ბევრი იმუშაო და იბეჯითო. მე მინდა, შენ აუცილებლად გაფრინდე. ახლა კი ნახვამდის. საღამოს შინ გელი.

პროფესორი ისე სწრაფად გავიდა ოთახიდან, რომ ზაზამ სიტყვის თქმა ველარ მოასწრო. სათქმელი კი ბევრი ჰქონდა.

— ძალიან კარგი, ძალიან, — თქვა ექიმმა, — პროფესორი შენზე ადრეც მელაპარაკა. კარგია, რომ გიყვარს კოსმოსი. მე თვითონ დიდი სიამოვნებით გავფრინდებოდი მარსზე, ჯანმრთელობა რომ ხელს მიწყობდეს: მართალია, როგორც ხედავ, არც ისეთი ჯაბანი ვარ, მაგრამ მარსზე გასაფრენად სულ სხვანაირი ჯანმრთელობაა საჭირო. მე კი ცოტა თვალებს ვუჩივი, ცოტაც გული მაწუხებს, რასაკვირველია, კოსმოსური მედიცინის თვალსაზრისით. ისე ჩვენი პლანეტისათვის მე ყველაზე ჯანმრთელი ადამიანი ვარ.

„ვაითუ არ გამოვდგე“, — გაიფიქრა ზაზამ და ექიმს შეხედა.

— წავიდეთ, — უთხრა ექიმმა, — ჯერ შენი ჯანმრთელობა შევამოწმოთ, მერე ჩემს სამფლობელოს დაგათვალიერებინებ.

ექიმმა რადიოტელეფონის ბერკეტი გადაატრიალა და წყნარად თქვა:

— მოამზადეთ დიაგნოზისათვის აპარატურა... დიახ, დიახ.

— წავიდეთ, — თქვა ექიმმა.

სადიაგნოზო ოთახი პატარა იყო, მრგვალი. კედლები უცნაური

ფორმის აპარატურას დაეფარა. გუმბათოვან ჭერზე ჭაღი ეკიდა, თუმცა სინათლეს ღია ვარდისფრად შეღებილი კედლები აფრქვევდნენ. შუაში ხრახნზე დამაგრებული ერთადერთი სკამი იდგა. ექიმმა შავგვრემან გოგონას რაღაც გადაულაპარაკა, — გოგონა ოთახიდან გავიდა.

— გაიხადე, — თქვა ექიმმა და სამართავი დაფა გადმოშალა. ჭაღმა ნელ-ნელა ქვევით დაიწია და ადამიანის სიმაღლეზე გაჩერდა. ზაზამ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ეს ჭაღი კი არა, რაღაც წრიული აპარატი იყო, რომელსაც ძაფებივით ეკიდა წვრილი მავთულები.

ექიმმა ზაზას შეხედა.

— შენ რა, ჯერ არ გაგიხდია?

ზაზა შეცბა.

— მე ვიცი, რომ ჯანმრთელი ვარ და...

— ჰოდა, ძალიან კარგი, გაიხადე.

ზაზამ წელზევით გაიხადა.

— შარვალიც, ფეხსაცმელებიც.

ზაზამ ხმისამოუღებლივ გაიხადა და ხრახნიან სკამზე დაჯდა. ექიმმა ხელით გაუსინჯა მთელი სხეული და მერე ერთმანეთის მიყოლებით მიამაგრა მავთულის ბოლოები სხეულის სხვადასხვა ადგილას. მავთულის ბოლოს მიმაგრებული რეზინის პატარა ბალიშები წურბელებივით ეკვროდნენ სხეულს. როცა ექიმი მავთულების მიმაგრებას მორჩა, ზაზას თავზე ფოლადის გვირგვინი დაადგა და სალტეები მოუჭირა. მერე თავიდან შეამოწმა თვითეული მავთული და სამართავ დაფასთან მივიდა.

ზაზა სიბნელეში გაეხვია. მხოლოდ მკრთალად განათებული ეკრანი აშუქებდა ექიმის დაძაბულ სახეს. ეკრანზე უცნაური ფორმის მრუდები გარბოდნენ. კედლების გასწვრივ მდგარი აპარატები ჟუჟუნებდნენ. დროდადრო ათასფერი პატარ-პატარა ნათურა ინთებოდა სამართავ დაფაზე.

— ისუნთქე ღრმად, — გამოძახილივით გაისმა სიბნელეში ექიმის ხმა.

ზაზამ ღრმად ჩაისუნთქა.

— უფრო ღრმად.

ზაზამ ესეც შეასრულა.

— საკმარისია, — თქვა ექიმმა.

ოთახში სინათლე აინთო. ექიმი გვერდით ედგა და სხეულზე მიმაგრებულ მავთულებს აცლიდა.

— ეშმაკი ბიჭი ყოფილხარ, — უთხრა ექიმმა.

— მე, რატომ?

— შეყვარებული ხარ და მალავ.

— საიდან გაიგეთ? — გულუბრყვილოდ იკითხა ზაზამ და წამოწითლდა.

— მე ყველაფერი ვიცი.

— მაინც, საიდან?

— ხელსაწყოებმა მითხრეს.

— ხელსაწყოებმა? — გაიმეორა ზაზამ და ეჭვის თვალით გადახედა ხელსაწყოებს.

— პირველად მეგონა, გულის სუსტი არითმია სხვა მიზეზით იყო გამოწვეული, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ყველაფერი სიყვარულის ბრალია.

— ალბათ არ გამოვდგები, არა? — იკითხა ზაზამ და ხმაში ბზარი შეეპარა.

ექიმმა გაუღიმა.

— ადექი!

ექიმი სამართავ დაფასთან მივიდა. დაფა კედელში აიკეცა, „ჭაღი“ აიწია. ზაზამ სწრაფად ჩაიცვა.

— ნუ გერიდებათ, თუ არ გამოვდგები, პირდაპირ მითხარით.

ექიმი წერას მორჩა, საწერ-კალამი ჯიბეში შეინახა და ზაზას მოუბრუნდა.

— ძალიან ჯანმრთელი ორგანიზმი გაქვს. ასეთი ორგანიზმით..

— მართლა?

ექიმმა თავი დაუქნია.

— მაშ მარსზე გავფრინდები?

— აუცილებლად.

ზაზა ყურებს არ უჯერებდა.

— ახლა ჩემთვის გასაგებია, — თქვა ექიმმა, — რატომ შემოგვთავაზა პროფესორმა შენი კანდიდატურა. შენისთანა ფიზიკური მონაცემების ადამიანმა დრო უქმად არ უნდა დაკარგოს. შუშხუნის კორპუსის მშენებლობა უფრო ჩქარი ტემპით ვითარდება, ვიდრე მოველოდით. არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ. წინასწარი ვარჯიში კოსმოსში ფრენის დროს დიდად დაგეხმარება. ორგანიზმი იმუნიტეტს გამოიმუშავებს. ბევრ უჩვეულო მდგომარეობას აქვე შე-

ეჩვევი და ფრენის დროს ადვილად გადაიტან გაჭირვებას. ჩვენ ხვალვე შევუდგებით წვრთნას. მე თუ დამიჯერებ, გაფრენის დღისათვის მთელი კურსის გავლას მოვასწრებთ. აქ სხვები უკვე გადიან წვრთნას, მათაც გაიცნობ. ისინი შენი მომავალი მეგობრები უნდა გახდნენ. მეგობრობა კი არსად ისე არ არის საჭირო, როგორც კოსმოსური გაფრენების დროს, როდესაც მთელი სამყარო შედგება რამდენიმე კაცისაგან. ახლა წავიდეთ და ჩემი სამფლობელო დავათვალიეროთ.

ზაზას უნდოდა ექიმისათვის მადლობა გადაეხადა, მადლობა კი არა, რაღაც უფრო მეტი ეთქვა, მაგრამ შესაფერისი სიტყვები ვერ გამონახა და წინ წასულ ექიმს წამოეწია. გაიარეს მიწისქვეშა დერეფანი და ვრცელ დარბაზში ამოყვეს თავი.

— აი, აქედან იწყება ჩვენი საწვრთნელი ტერიტორია, — თქვა ექიმმა, — იმ კედელს რომ ხედავ, იმის იქით საწვრთნელი მოედნები და კაბინეტებია. მაგრამ უმჯობესია ყველაფერი ადგილზე აგიხსნა, ასე უფრო იოლად გაერკვევი შენს მოვალეობაში. ამ კოშკის დათვალიერებას დღეს არ შევუდგებით, ძალიან დიდ დროს წაგვართმევს. ორი სიტყვით გეტყვი: მისი სიმაღლე სამასი მეტრია. აქ საგანგებო სწრაფი ლიფტებით ეშვებიან მომავალი კოსმონავტები და მცირე ხნით უწონობის მდგომარეობას განიცდიან. ეს მეტისმეტად სასარგებლო წვრთნაა. ბევრის ორგანიზმი ვერ ეგუება და წვრთნის შეწყვეტა გვიხდება ხოლმე. მაგრამ ძირითადად ადამიანი ეგუება წონის დაკარგვას. ეს არც ისე საშიშია, როგორც ადრე ეგონათ. ახლა დავიწყოთ შემოვლა.

ექიმი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. თეთრი ხალათი გახსნოდა და მისი ბოლოები აკაპიწებული ჩოხის კალთებივით აკვროდნენ ტანზე. ზაზა სწორედ მაშინ წამოეწია ექიმს, როდესაც კარში შედიოდა და კითხვით შეაჩერა იგი.

— თქვენ წეღან კოშკზე ლაპარაკობდით. სად არის კოშკი?

— აკადემიის გვერდით მაღალი შენობა ხომ შეამჩნიე?

ზაზამ თავი დაუქნია.

— ჰოდა, სწორედ ის არის კოშკი. ჩვენ ახლა მიწის ქვეშ ვართ. ქვევით კიდევ ბევრი ლაბორატორიაა. ასე რომ, ახლა თავისებურ პატარა ქალაქში ვიმყოფებით. აქ უცხო ადამიანმა გზაც რომ გაიკვლიოს, მაინც ვერაფერს მიხვდება.

ექიმი და ზაზა ოთახში შევიდნენ. კვადრატული ფორმის ფართო, ნათელ ოთახში ერთმანეთისაგან სიმეტრიულად დაცილებული,

უცნაური ფორმის სავარძლები იდგა. სავარძლების პირდაპირ-ზე ზარის ფორმის გამჭვირვალე კათხები ეკიდა. ექიმი სავარძელს მიუახლოვდა, ხელი გაჰკრა და ბერკეტი გადაატრიალა. სავარძელი დაბზრიალდა, თან ყოველ მხარეს იხრებოდა. მის პირდაპირ კედელ-ზე წითელი წრე ხან ინთებოდა, ხან ქრებოდა.

— აქ ჩვენი მომავალი კოსმონავტები ორიენტაციაზე ვარჯი-შობენ. — თქვა ექიმმა და ზაზა ახალ ოთახში მიიპატიჟა. ოთახი შუაზე სქელი გამჭვირვალე მინით იყო გაყოფილი. მინის იქით ჰო-რიზონტალურად გაწოლილი სავარძლები ჩანდა.

— ეს კი ბარომეტრული კაბინაა, — ექიმმა შუშის იქით მიუ-თითა, — აქ გადიდებულ წნევას ეჩვევიან. ყველაფერ ამას საკუთარ თავზე გამოცდი.

ბარომეტრული კაბინიდან ექიმი და ზაზა მეზობელ ოთახში გავიდნენ. ექიმმა შუქი ჩართო. გრძელი სწორკუთხა ოთახი დღე-სავით განათდა. ოთახს ასი მეტრი მაინც ექნებოდა სიგრძე და ორმოცდაათ მეტრამდე სიგანე. ამ გრძელი დარბაზის ერთ თავში, შემაღლებულ ადგილას, ზარბაზნისმაგვარი რაღაც იდგა. მისი ფარ-თო ლულა ოთახის მეორე მხარეს იყო მიმართული.

— შენი აზრით, ეს რა არის?

— რა ვიცი, ქვემეხსა ჰგავს.

— მართალია, მხოლოდ ეს ქვემეხი ჩვეულებრივ ჭურვებს როდი ისვრის.

— მაშ რას?

— ცოცხალ „ჭურვებს", ადამიანებს.

— ადამიანებს?

— დიახ, ადამიანებს. ოთახის ბოლოს ნეილონის ბადეა გაბმული, აქედან არ ჩანს. ქვემეხიდან გამოსროლილი ადამიანი პირველადი აჩქარების შემდეგ ტრაექტორიის შუაში წონას კარგავს და სულ ბოლოს, ბადეზე დაშვებისას, სხეულის ზედმეტ გადატვირთვას გა-ნიცდის. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მინიატურული კოსმოსური გაფრენა პირველად ძალიან არასასიამოვნო შეგრძნებას იწვევს, მერე ადამიანი თანდათანობით ეჩვევა. ასეთი ვარჯიში დიდად დაგეხმარება. მთვარეზე ადამიანი ოცდაათმეტრიან ნახტომს აკეთებს. მარსზეც საკმაოდ გაიშვიათებული ატმოსფეროა, ასე რომ, სპორტის ამ სახეს კარგად უნდა დაეუფლო. უამისოდ კოსმოსში ძალიან გაგიჭირდება.

ექიმი კედელთან მივიდა და ჩამრთველი გადაატრიალა. ოთახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბნელდა. მხოლოდ განათებული კარი და დერეფნის ნაწილი ჩანდა. ზაზამ და ექიმმა სწრაფად გაიარეს დერეფანი, ქვევით ჩაინაცვლეს. ზაზა სრულიად უცნობ, ახალ სამყაროში აღმოჩნდა.

„მთვარე" — ეწერა კარს.

ექიმმა ორმაგი კარი ფრთხილად გააღო და ასევე ფრთხილად დახურა. პატარა ოთახი კარადებით იყო სავსე. საგანგებო მაგიდაზე გამჭვირვალე მუზარადები ელაგა. მაგიდის ქვეშ ტყვიის სქელლანჩიანი ფეხსაცმელები ეწყო. ოთახში რამდენიმე სკამი იდგა. ექიმმა ღილაკს თითი დააჭირა. მრგვალი კარი ამოიხრახნა. ზაზა და ექიმი სიბნელეში გაუჩინარდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათ პირდაპირ შუქი აინთო და კარი გამოჩნდა. ამ კარის იქით კიდევ კარი იყო, იმის იქით კიდევ ერთი და... ბოლოს, როდესაც უკანასკნელი კარი გაიარეს, ზაზა განცვიფრებული შედგა. მას ჯერ ეგონა, სადღაც მთაში გამოვედიო, მაგრამ როდესაც კარგად დააკვირდა, დარწმუნდა, რომ ასეთი მთები არასოდეს ენახა და არც ცა ყოფილა არასოდეს ასე ახლოს და ასეთი შავი. ვარსკვლავები არ ციმციმებდნენ. ყველაფერს რაღაც მოლურჯო, მკვდრის ფერი ედო. ნიადაგი ნაპრალებით იყო დასერილი. შორს შენობის გუმბათების სილუეტები ჩანდა.

ექიმმა ჩაახველა.

ზაზა შეკრთა და გულზე მიიდო ხელი. მას სულ დაავიწყდა, რომ სადღაც ახლოს ექიმი იყო და თავი სიზმარში ეგონა.

— ჩვენ ახლა მთვარეზე ვიმყოფებით, — დაარღვია მყუდროება ექიმმა.

ზაზას ეგონა მომეჩვენაო, ისე მოულოდნელი იყო ეს სიტყვები, იმდენად არაადამიანურად ჟღერდა ექიმის ხმა. ზაზამ იქით გაიხედა, საიდანაც ხმა მოესმა. ექიმს სახეზე მკვდრის ფერი ედო. ქანდაკივით უძრავად იდგა და მხოლოდ თვალები უბრწყინავდა. ზაზას რატომღაც მოეჩვენა, თითქოს მის წინ მკვდრეთით ამდგარი კაცი იდგა და სხეული გაეყინა.

— როგორ მოგწონს? — იკითხა ექიმმა.

— აააა! — აღმოხდა ზაზას და სახე დაემანჭა.

ექიმი მიუახლოვდა, ზაზამ თვალები დახუჭა.

— ასეთია დაახლოებით ჩვენი ღამის მნათობი, — თქვა ექიმმა, — რასაკვირველია, ჩვენ ახლა მთვარეზე არ ვიმყოფებით. ეს მხოლოდ მთვარის ნაწილის მაკეტია. აქ ლაბორატორიული წესით ზუსტად ისეთივე პირობებია შექმნილი, როგორიც მთვარეზე. ოთახი ჰერმეტიულად იხურება.

„ოთახი?“ — გაიფიქრა ზაზამ და თვალები გაახილა, მაგრამ ოთახთან მსგავსება ვერ შენიშნა და ისევ დახუჭა.

— ახლა აპარატურა გამორთულია, — ამბობდა ექიმი. — და მთვარეზე ჩვეულებრივი ატმოსფეროა. როდესაც აქ ჰაერს გამოტუმბავენ, საგანგებო კოსტიუმებისა და ნიღბების გარეშე ადამიანი ერთ წუთსაც ვერ გაჩერდება. თვალის დახამხამების უმალ გაიგუდება.

ზაზამ ნერწყვი გადაყლაპა.

— ხედავ თეთრ შენობას, ეს მთვარის ობსერვატორიის მაკეტია. აქ იგეგმება ყოველივე ახალი, გამოიცდება და მხოლოდ შემდეგ იგზავნება მთვარეზე. ცაც ხელოვნურად არის გაკეთებული ზუსტად ისე, როგორც მთვარიდან ჩანს. იქ ცა კუპრივით შავია და ვარსკვლავები ატმოსფეროს უქონლობის გამო არ ციმციმებენ. ახლა აპარატურა იმ მდგომარეობაში არის გამორთული, როდესაც მთვარეზე ღამეა. ეს სუსტი შუქი მე ჩავრთე. თორემ მთვარეზე ღამღამობით ისე ბნელა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტან. დღე კი ისეთი ნათელია და ისე ცხელი, რომ ერბოკვერცხი შეიწვება. ასეთ განათებას და მაღალ ტემპერატურას ხელოვნური მზის წყალობით ვაღწევთ. ახლა „მზე“ მთვარის ჰორიზონტს იქით არის ჩასული.

ზაზა გაბრუებული იყო. მართალია, გულმოდგინედ უსმენდა ექიმს, მაგრამ მისი გონება მხოლოდ ზოგიერთი სიტყვის დაჭერას ახერხებდა. სიტყვების უმეტესობამ მნიშვნელობა დაკარგა. ექიმი რაღაც მინიატურულ შუმხუნებზე უამბობდა, რაღაც მეტეორიტთა საშიშროება ახსენა. მთვარის ორანჟერეა, ხილისა და ბოსტნეულის ახალი ჯიშები. ტელეგადაცემები... მერე ზაზას აღარაფერი ახსოვს. როდესაც გამოერკვა, კარადებიან ოთახში იყო.

— ეს შუშა ფოლადზე უფრო მაგარია, ეს კი ანტენაა...

ზაზა ექიმს უყურებდა და სურდა დარწმუნებულიყო, რომ ეს სწორედ ის კაცი იყო, რომელიც იქ, „მთვარეზე“, ელაპარაკებოდა, რომ ყველაფერი ის ჩვენება იყო და სხვა არაფერი. მაგრამ განცდილი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ზაზამ თანდათანობით ირწმუნა სინამდვილე და დამშვიდდა.

— დღეისთვის მგონი საკმარისია, — უთხრა ექიმმა. — ხვალიდან კი ვარჯიშს შევუდგებით. ვარჯიშის შემდეგ დათვალიერებას განვაგრძობთ. ჯერ კიდევ ბევრი „პლანეტა“ დაგვრჩა უნახავი, რაც მთავარია, მარსი. მაგრამ იქ შენ თვითონ მოგიხდება ვარჯიში და ამიტომ დღეს გამოვტოვე. რაც შეეხება მთვარეს, გაფრენისას გვერდით ჩაუვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასეთ პირობებში უხდებათ მუშაობა იქ ადამიანებს? — იკითხა ზაზამ.

— პირობები გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე ჩვენ ვნახეთ. უფრო სწორედ, ჩვენ მხოლოდ დავათვალიერეთ და არაფერი არ განგვიცდია.

— იქ ქალებიც მუშაობენ?

— ქალებიც.

ზაზას რუსუდანი მოაგონდა. უბრალო ფერფლისფერთმიანი გოგონა, რომელიც ერთი შეხედვით ძლიერი ქარის დროს გადატყდებოდა, და თავი გააქნია. მის თვალში რუსუდანი საოცრად გაიზარდა. უბრალო ქალიდან გმირად იქცა და ზაზა დიდად კმაყოფილი იყო, რომ ასეთ ადამიანს იცნობდა.

— რა დრო გასულა, — თქვა ექიმმა, — მალე ექვსი საათი იქნება, შენ კი უსადილო ხარ. ჰო, მართლა, საჭმლის შესახებ: ხვალიდან დიეტა დაგეწყება. კონცენტრატებს უნდა შეეჩვიო. ასანთის კოლოფისოდენა სადილი უნდა გეყოს. მაგრამ ამაზე ხვალ ვისაუბროთ.

ზაზას უკვე აღარაფერი უკვირდა. იგი უცებ გაიზარდა და დავაჟკაცდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეს წუთია, ძალიან ძნელი და სახიფათო შორეული მოგზაურობიდან დაბრუნდა და, თუმცა ექიმის სიტყვები ეუცხოვა, მაინც თანხმობის ნიშნად დაუქნია თავი.

ექიმი და ზაზა დერეფანში გამოვიდნენ. ლიფტში ჩასხდნენ და ერთი წუთის შემდეგ უკვე ზევით იყვნენ. აი, ნაცნობი დერეფანი და ექიმის კაბინეტი. ზაზამ ხალათი გაიხადა და კარადაში ჩამოკიდა. ექიმი საწერ მაგიდას მიუჯდა.

— კმაყოფილი დარჩი? — ჰკითხა მან.

ზაზამ თავი დაუქნია.

ექიმმა რაღაც ჩაინიშნა ქაღალდზე და უჯრიდან სქელყდიანი რვეული ამოიღო.

— ახლა თავისუფალი ხარ. ხვალ დილას გელოდები, არ დააგვიანო. ჩემი კაბინეტი ხომ დაიმახსოვრე? როგორც კი შემოხვალ, ხელმარცხნივ, დერეფნის ბოლოს.

— თავი სიზმარში მგონია, — თქვა დაფიქრებით ზაზამ, — ისე მინდა გავფრინდე მარსზე. მინდა ვნახო ჯერ არნახული ქვეყანა. თუ საჭირო იქნა, სიცოცხლესაც გავწირავ.

— თავის გაწირვა არ დაგჭირდება. ეს გაფრენა უმსხვერპლოდ უნდა დამთავრდეს. სწორედ ამიტომ მუშაობს მეცნიერთა მთელი არმია ჩვენს პლანეტაზე, რომ იქ მშვიდობიანად დაეშვან წარგზავნილები.

ექიმმა და მომავალმა კოსმონავტმა მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

— ნახვამდის, — გამოემშვიდობა ზაზა და დერეფანში გავიდა.

ექიმი ღია კარში იდგა და ზაზას ვაჟკაცურ მხარბეჭს უყურებდა, სანამ იგი დერეფნის მოსახვევში არ გაუჩინარდა.

ზაზა ჩაფიქრებული მიდიოდა. უცნაურ გრძნობას მოეცვა. ეს იყო რაღაც საშუალო დიდ სურვილსა და შიშს შორის. ეს იყო ახალი ნაბიჯი ცხოვრებაში, ახალ სამყაროში, საითკენაც იგი სულითა და გულით მიისწრაფოდა და სადაც ყველაფერი უცნაური საიდუმლოებით იყო მოცული. უცებ ცხოვრება მეტისმეტად სერიოზული ეჩვენა. გარემო შეიცვალა. ზაზამ თითქოს პირველად დაინახა სამყარო და ადამიანთა სურვილების უსასრულობა. როდესაც ექიმს ესაუბრებოდა და ყველაფერს საკუთარი თვალით ხედავდა, წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდა. ახლა კი მარტო დარჩენილი საშინელ დაღლას გრძნობდა და მერყეობდა.

— იათამზე! — გაისმა უცებ.

ზაზამ თავი ასწია. იგი აკადემიის შემოსასვლელ დარბაზში იყო. კიბეებზე გოგონა ჩამორბოდა. გაშლილი შავი თმა მხრებზე ეყარა. ცალ ხელში ჩანთა ეჭირა. კიბის ქვევით მეორე გოგონა იდგა.

— იათამზე, გაიგე ახალი ამბავი? — უთხრა პირველმა, როგორც კი კიბეები ჩაირბინა და ამხანაგი გვერდზე გაიხმო.

— არა, რა იყო?

— მედიკოზე არაფერი გაგიგია?

ზაზამ სმენა დაძაბა. გოგონები ხმადაბლა საუბრობდნენ. ზაზას სიტყვები არ ესმოდა. პირველმა გოგონამ, ეტყობა, რაღაც არასასიამოვნო უთხრა მეორეს. მეორემ სინანულით გააქნია თავი.

— საწყალი, — თქვა მან, — მაინც რისგან მოუვიდა ნეტავი?

შავთმიანმა გოგონამ მხრები აიჩეჩა.

— სიმართლე არავინ იცის. ზოგი ამბობს...

აქ ისევ დაუწიეს ხმას და ზაზამ ვეღარ მოახერხა სიტყვების გარჩევა. გოგოებმა ზაზას გვერდით ჩაუარეს. ეშმაკურად გაუღიმეს, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და სიცილით გაიქცნენ გასასვლელისაკენ.

ზაზა გაქვავებულივით იდგა. მის სახეზე ერთი ნერვი არ შერხეულა, მხოლოდ გულისცემა გაუხშირდა.

მედიკო... ეს ერთი სიტყვა არ შორდებოდა მის აფორიაქებულ გონებას. მედიკო... იმეორებდა ის გუნებაში. ერთხელ ხმამაღლაც

წამოცდა და ტუჩზე იკბინა. მიმოიხედა. დარბაზში არავინ იყო. ცოტათი დამშვიდდა.

„ნეტავ ეს ის მედიკოა? — ფიქრობდა იგი, — საწყალიო? ნუთუ მედიკოს რაიმე ხიფათი შეემთხვა... რა?“

ზაზა გარეთ გამოვიდა, — ზურგით მიეყრდნო მარმარილოს სვეტს და ქალაქს თვალი გაუშტერა. კარგა ხანს იდგა ასე. მერე სულელივით გაეღიმა.

„ეს რამ მაფიქრებინა, ქვეყანაზე მარტო ერთი მედიკო ხომ არ არის. ისინი ალბათ სხვაზე ლაპარაკობდნენ. რასაკვირველია, სხვაზე“.

დღესაც თუ არაფერი ითქვა მედიკოზე, ხვალ მე თვითონ გამოვკითხავ პროფესორს, — გადაწყვიტა ზაზამ და კიბეზე ჩაირბინა. მერე ჭადრების ხეივანი გაიარა და ის-ის იყო მთავარ ქუჩაზე უნდა გასულიყო, რომ...

— ზაზა! — გაისმა ზურგს უკან.

ზაზა მოტრიალდა.

ხეივანში კახიძე მორბოდა.

— რა იყო? — შეაგება ზაზამ.

— ისეთი არაფერი, აუცილებელი საქმე გამომიჩნდა. საავადმყოფოში უნდა წავიდე. შენ მარტო მოგიხდება შინ წასვლა.

— საავადმყოფოში? — გაიმეორა ზაზამ და ვახტანგს გადახედა.

— ჰო, პატარა საქმეა.

— სხვა არაფერი?

— სხვა რა უნდა იყოს, ხვალ შეგხვდები.

## გაცრუებული იმედები

„ესეც ასე, — ამბობდა თავისთვის ჯანდიერი. — ახლა თითქმის ყველაფერი მოგვარდა. ყველა ფუნქცია განაწილებულია. ზაზა სხვა ბიჭებთან ერთად ასტროფოტოგრაფიას დაეუფლება და ელემენტარულ გეოლოგიას შეისწავლის. ერთი სიტყვით...“

ჯანდიერს ბოლო დროს იმდენი საქმე გამოუჩნდა, რომ აღარ იცოდა, საიდან დაეწყო. მშენებლებმა ვადაზე ადრე დაამთავრეს კორპუსის მშენებლობა და ახლა სამგზავრო კაბინებისა და დამხმარე სათავსოების დამონტაჟებას შეუდგნენ. ჯანდიერს არ უნდოდა მის გამო დაყოვნებულიყო საქმე და მუშაობაში ჩაეფლო. საჭირო იყო ახალი მეცნიერული მონაცემები, სამუშაო ნახაზები, კონცენტრატების რაციონის საბოლოოდ დადგენა, უამრავ კორეს-

პონდენციაზე პასუხის გაცემა, მარშრუტის ზუსტი გაანგარიშება, უნივერსიტეტში ლექციების კურსის დამთავრება, თათბირებზე დასწრება, ახალი მყარი საწვავი ნივთიერების გამოცდა და მარსიდან მიღებული ბარათის საბოლოო გაშიფვრა. მთელ ამ საქმეში ყველაზე ცუდად ბარათის საქმე იყო. დანარჩენს კიდევ ეშველებოდა რამე, მაგრამ ბარათი ძველებურად საიდუმლოებით იყო მოცული. მართალია, მის გაშიფვრაში თითქოს წარმატებასაც ჰქონდა ადგილი და პროფესორს ერთ ხანს ეგონა, ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. მაგრამ მდგომარეობა უცებ შეიცვალა. მეცნიერები ჩიხში მოექცნენ. რაზმაძე მართალი გამოდგა. ტეხილი ხაზები ბგერის აღმნიშვნელი მრუდები აღმოჩნდა. მთარგმნელი მანქანაც გაკეთდა, ტექსტიც ითარგმნა და სწორედ აქ იჩინა თავი გადაუწყვეტელმა პრობლემამ. თარგმნილი ტექსტის შინაარსი აბდაუბდა და გაუგებარი იყო. რა არ იღონეს მეცნიერებმა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ერთი დალაგებული, გასაგები წინადადება ვერ მიიღეს. ვერც დასურათებულ ტექსტს მოუხერხეს რამე. მდგომარეობა გამოუვალი იყო. ერთადერთი იმედი რჩებოდა — გაფრენილიყვნენ და ადგილზე შეემოწმებინათ ყველაფერი. მხოლოდ ამას შეეძლო დაემტკიცებინა ჯანდიერის მოსაზრების სისწორე. ჯერჯერობით კი მეცნიერებს შორის ცხარე კამათი მიმდინარეობდა. ჯანდიერის მოწინააღმდეგეთ უამრავი საბუთი გააჩნდათ. ისინი რაოდენობითაც მეტნი იყვნენ და უცანასკნელ პერიოდში თითქმის უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი მათ სისწორეში. მხოლოდ სერგეი სობოლევი დარჩა ბოლომდის ჯანდიერის ერთგული. ეს ვეებერთელა ენერგიის ადამიანი ყოველი წვრილმანის მიმართ ისეთ ყურადღებას იჩენდა, რომ ჯანდიერი განცვიფრებული იყო.

ახლა ხშირად, ძალიან ხშირად ნახავდით ძველ მეგობრებს ერთად. მათი სამუშაო ოთახები მეზობლად იყო. სობოლევი ძირითადად მარსიდან მიღებული ბარათის გაშიფვრაზე მუშაობდა. შედეგი ჯერჯერობით არ ჩანდა, მაგრამ სერგეი იმედს მაინც არ კარგავდა. ჯანდიერიც ელოდა.

„რუსუდანის ჩამოსვლის შემდეგ საქმე უფრო იოლად წავა, — ფიქრობდა ჯანდიერი, — მალე ნოდარიც ამომიდგება მხარში. აი, მედიკოც რომ...“ მედიკოს ხსენებაზე პროფესორმა ამოიხვნეშა. სათვალე გაიკეთა და რუსთავიდან ახლად მიღებული შუშხუნის კაბინის პროექტი გაშალა. იგი გულმოდგინედ სწავლობდა ნახაზს. ადარებდა სხვა პროექტებს. ანგარიშობდა თითოეულ კაცზე განკუთვნილ ფარ-

თობს. რაციონალურად ანაწილებდა ჟანგბადის მარაგს. მხედველობაში იღებდა უბედურ შემთხვევებს და ძირითადი ყურადღება სათადარიგო სათავსებზე გადაჰქონდა. სუფთა ქაღალდი მის წინ ციფრებით აჭრელდა. ფორმულები ერთმანეთში გადაიხლართა.

ოთახში რუსუდანი შემოვიდა.

— პატივცემულო თეიმურაზ, სასწრაფოდ თხოულობენ კონცენტრატების ნუსხას, — თქვა მან.

ჯანდიერმა ნახაზს ხელი გაუშვა და ადგა. ნახაზი თავისთავად დაეხვა.

— კარადაში ნახეთ, იქ უნდა იყოს ძველი ნუსხა.

— იქ ხომ ისეთი კონცენტრატებიც არის შეტანილი, რომლებიც მთვარეზე არ გამოდგა.

პროფესორმა სათვალე მოიხსნა.

— მართალი ხართ, — თქვა მან, — მაგრამ ამჟამად მე სხვა არაფრის მოცემა არ შემიძლია.

— იქნებ ახალი კონცენტრატები შეგვეტანა. მართალია, საკმაოდ გაბედული აზრია, მაგრამ ვცადოთ.

— აქ ექსპერიმენტები დაუშვებელია. ჩვენ ღრმად უნდა ვიყოთ დარწმუნებული მომავალი კოსმონავტების საჭმლის ვარგისიანობაში.

— გამოგვეცადა.

— გამოგვეცადა! — გაიმეორა ჯანდიერმა. — მერე და სად არის დრო?

— ეს დიდ დროს არ წაგვართმევდა. საჭიროა ნაწილი კონცენტრატებისა მთვარეზე გავგზავნოთ. ნაწილი აქ გამოვცადოთ. ეს სრულიად უწყინარი პროცესი იქნება ჩვენი „პაციენტებისათვის". საკითხი ხომ მხოლოდ მათ ეფექტურობას ეხება. შედეგსაც მალე მივიღებთ. საკმარისია ხუთი დღე...

— ხუთი, — გაჯავრდა პროფესორი, — ხუთი დღე მთელი საუკუნეა.

— როგორ მოვიქცეთ?

ჯანდიერი სდუმდა. მისთვის დროს ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ არც ის ავიწყდებოდა, რომ კონცენტრატების ავტორი ახალგაზრდა კაცი იყო და მისი მომავალი მუშაობისათვის მთავარი იყო კონცენტრატების ეფექტურობის დამტკიცება. მით უმეტეს, თუ მათ ასეთი პასუხსაგები მოგზაურობის დროს გამოიყენებდნენ...

— კეთილი, — თქვა ბოლოს, — ხუთი დღე ჩვენ არ დაგვღუპავს. საერთოდ კი ამ საკითხზე მე ნულარ შემაწუხებთ, თქვენთვის მომინდვია.

რუსუდანი უცებ გავიდა ოთახიდან. პროფესორს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვა პირში შერჩა.

საწერ მაგიდას დაუბრუნდა. ღილაკს თითი დააჭირა. ოთახში უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი შემოვიდა. ჯანდიერმა პროექტი გაუწოდა.

— გადაიღეთ ასლი და რუსთავს გაუგზავნეთ ერთ ეგზემპლარად. ორიგინალს დამიბრუნებთ.

მეცნიერ-თანამშრომელმა გრაგნილი ჩამოართვა და გავიდა. გასვლისას რუსუდანს დაეჯახა. ერთმანეთს გაუცინეს და ბოდიში მოუხადეს.

— კიდევ რას თხოულობენ? — იკითხა ჯანდიერმა და სავარძელში გასწორდა.

— მე მინდოდა... — რუსუდანმა აზრი აღარ დაამთავრა.

— ბრძანეთ!

რუსუდანი ყოყმანობდა.

— ბრძანეთ, მთხოვეთ, ბოლოს და ბოლოს, მითხარით.

რუსუდანი თავდახრილი იდგა.

საწერ მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა. ჯანდიერმა ყურმილი აიღო.

— გისმენთ. რა?... რასაკვირველია, ამ საღამოს... გადაგვედო?.. რას ნიშნავს ეს! ამ ბოლო დროს მე ნდობას ვკარგავ... თუ არ მეკადრება, მაშინ კეთილი ინებეთ და ისე მოიქეცით, როგორც მე მსურს... სერგეის მე ვთხოვ.

ჯანდიერმა ყურმილი დადო, მაგრამ ხელი არ გაუშვია მისთვის. ერთ ხანს ისე იდგა, მერე სერგეისთან დარეკა.

— ნუთუ შენც ეჭვი გეპარება... პირადად მეტყვი?... კეთილი. მაშინ ნულარ გადადებ, ჩემთან გელი.

ჯანდიერმა ყურმილი დადო და მოტრიალდა.

— თქვენ მგონი ჩემთვის რაღაც უნდა გეთქვათ? — იკითხა მან.

რუსუდანმა თავი ასწია.

პროფესორი გაფითრებული იყო. ნერვულად უთამაშებდა ცალი წარბი. თვალებში რისხვა ედგა.

— თქვენ აღელვებული ხართ, — ჩაილაპარაკა რუსუდანმა.

— დავუშვათ... მერე რა გინდათ მაგითი თქვათ? თუ თქვენც გეპარებათ ეჭვი?

— არა, მაგრამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ რა? ბოლომდე თქვით. გამიშიფრეთ, რას ნიშნავს ეს ჯადოქრული „მაგრამ“.

რუსუდანი სდუმდა.

პროფესორმა ოთახში გაიარ-გამოიარა. ფანჯარასთან დადგა, ხელები უკან დაიწყო და თითები ნერვულად გადააჭდო ერთმანეთს. მერე უცებ მოტრიალდა.

— მე ვიცი, თქვენ ყველას გეპარებათ ეჭვი. როდესაც საქმე გამოცდამდე მივიდა, ჩემი აღარ გჯერათ. ჰოდა, ძალიან კარგი. არც არის საჭირო. წარუმატებლობის შემთხვევაში პასუხს მხოლოდ მე ვაგებ.

— ჩვენ ყველანი ერთნაირად ვაგებთ პასუხს, — შეუსწორა რუსუდანმა.

— არა! — იყვირა ჯანდიერმა და ხელი მკერდზე დაირტყა. — მე, მხოლოდ მე ვაგებ პასუხს. თქვენ აქ არაფერ შუაში ხართ, — მერე საკუთარი თავის შერცხვა და ხმას დაუწია. — ასე მუშაობა შეუძლებელია. რწმენას კარგავთ, ეჭვი გეპარებათ ყველაფერში, ძველებურად აღარ ენდობით თქვენს პროფესორს, აღარ ენდობით ახლა, როდესაც საქმე დასასრულს უახლოვდება.

— თქვენ გადაიღალეთ და აუცილებელია დასვენება.

— ვიცი. მე ეს პირველად არ მესმის. გადაიღალეთ, გადაიღალეთ, ყველას ეს სიტყვა აკერია პირზე. ყველაფერი ეს ტყუილია. მაგრამ ახლა... იქნებ თქვენ გგონიათ, მე მოვხუცდი. ჩამოვრჩი ცხოვრებას. აღარ მესმის.

— ნერვები...

— ნერვები აქ არაფერ შუაშია.

— ამდენი მუშაობა თქვენს ჯანმრთელობას საბოლოოდ შეარყევს. აუცილებლად უნდა დაისვენოთ.

— დიდად გმადლობთ. მგონი ამის თქმა გინდოდათ, არა?

რუსუდანი პროფესორს უყურებდა. მის მზერაში ჯანდიერმა იმხელა სითბო და თანაგრძნობა დაინახა, რომ უხერხულად დახარა თავი.

— მართალი ხართ, — თქვა მცირე დუმილის შემდეგ პროფესორმა,—მე მართლაც გადავიღალე, მაგრამ ჯერ კიდევ შემიძლია მუშაობა. უბრალოდ, უფლება არა მაქვს, არ ვიმუშაო. დგება გადამწყვეტი მომენტი.... ჰო, რა საქმე გქონდათ ჩემთან? თუ...

რუსუდანმა თვალები დახუჭა და თავი გააქნია.

— სხვა არაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ჯანდიერი რუსუდანს მიუახლოვდა და მზრუნველობით მოუთათუნა მხარზე ხელი.

— წელან ცოტათი გავცხარდი, მაგრამ, საერთოდ, კმაყოფილი ვარ თქვენი მუშაობით. იცით, რუსუდან, — ჯანდიერი უცებ სენტიმენტალურ განწყობილებაზე დადგა. — ნოდარის დაკარგვის შემდეგ თითქოს გამოვიცვალე. ეჭვიანი გავხდი. ხომ იცით, რას ნიშნავდა ნოდარი ჩემთვის. ბოლოს, როგორც იქნა, ნოდარის ბედი გაირკვა და ახლა მედიკო... საწყალი გოგო. პირდაპირ არ მინდა დავიჯერო. დღეს ვახტანგი საავადმყოფოში წავიდოდა. ამბობენ, სერიოზული არაფერიაო, მაგრამ ჩემს მოხუც ნერვებს მეტის ატანა აღარ შეუძლია. მე ხომ შვილები არ მყავს. სამაგიეროდ, თქვენ ყველანი ჩემი შვილები ხართ. როდესაც თქვენს წინსვლას ვუყურებ, ჩემი თავი უკვდავი მგონია. აბა, მთვარის დედოფალო, — ასე გეძახის ნოდარი მგონი, — ახლა კი საქმეს შევუდგეთ.

ჯანდიერი კარადასთან მივიდა. ქაღალდების სქელი შეკვრა გადმოიღო და რუსუდანს მიაწოდა.

— გამომართვით.

რუსუდანმა შეკვრა მაგიდაზე დადო.

— ბატონო პროფესორო, დღეს ნოდარი სამუშაოზე რატომ არ გამოცხადდა?

— ხომ იცით ექიმების ამბავი, ათასი ფორმალობაა შესასრულებელი. ესეც არ იყოს, თვითმფრინავი ჩეხოსლოვაკიიდან კენტ რიცხვებში მოფრინავს, დღეს კი ათია. გუშინ ველაპარაკე და ასე მითხრა: თუ ნებით არ გამომიშვეს, გამოვიპარები და თერთმეტში უსიკვდილოდ მანდ ვიქნებიო.

— მაშასადამე, ხვალ.

— დიახ.

პროფესორმა ქაღალდების შეკვრა გაუწოდა რუსუდანს.

— ერთი, გეთაყვა, მარსის სამხრეთ ნახევარსფეროს რუკა მომიძებნე. — თქვა მან და წიგნოსკოპის მანქანა ელექტროქსელში ჩართო. „თვალებთან“ თხელი მუყაოს შეკვრა დაუდო. ბერკეტი გადაატრიალა და მოსასმენად მოემზადა. მანქანის „თვალები“ აენთო, „ტვინი“ გახურდა და მიმღებში ჯანდიერის ადრე წაკითხული ლექციის ტექსტი ამეტყველდა. ჯანდიერმა ხმას დაუწია და უფრო ახლოს მოიჩოჩა მანქანა. იგი ყურადღებით უსმენდა საკუთარ ლექციას, რაღაც შენიშვნებს იწერდა და ეღიმებოდა.

— გასაგებია, — თავისთვის თქვა და მანქანა გამორთო.

რუსუდანს რუკა გაეშალა მაგიდაზე და პროფესორს ელოდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ჯანდიერი მაგიდას მიუახლოვდა. რუკას თვალი გადაავლო და სათვალე შეისწორა.

— შუშხუნა აქ უნდა დაეშვას, — თქვა მან და რუკაზე თითი დაადო.

— აქ ხომ მარსის უდაბნოა. აქ ჩვენს კოსმონავტებს ძალიან გაუჭირდებათ. სულ სხვაა პოლუსებზე. იქ თოვლია. თოვლი კი ყველაფერია: წყალი, ჟანგბადი, საწვავი მასალა. ერთი სიტყვით...

— ვიცი, — შეაწყვეტინა ჯანდიერმა, — მაგრამ მე მაინც აქ ვამჯობინებ დაშვებას. ჩვენი კოსმონავტები ამ ადგილას გაცილებით უფრო მეტს ნახავენ, ვიდრე პოლუსებზე.

რუსუდანმა მხრები აიჩეჩა.

— არაფერი მესმის.

— ჯერჯერობით ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს, მერე ყველაფერს აგიხსნით. ახლა კი მარშრუტის პირველ ვარიანტში შესწორებები შეიტანეთ. მხედველობაში მიიღეთ, რომ ყოველივე ეს რამდენიმე ათასი კილომეტრით გაზრდის მარშრუტს, მაგრამ ამან ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს. ხუთი საათისათვის ყველაფერი მზად გქონდეთ. მე ორ საათზე ტაშკენტში მივფრინავ. პატარა საქმე მაქვს. ნახევარ საათში მოვრჩები და იმავე თვითმფრინავს გამოვყვები უკან. ექვსი საათისოვის ერთად წავალთ პოლიგონზე. ამ დროისათვის ახალი მარშრუტი უკვე მზად უნდა იყოს.

რუსუდანმა რუკა ფრთხილად დაახვია, გრაგნილი იღლიაში ამოიდო და ოთახიდან გავიდა.

როგორც კი ჯანდიერი მარტო დარჩა, ისევ დაიწყო მერყეობა. უცებ წარმოიდგინა, რომ მთელი ამხელა საქმე მისი მიზეზით ჩაიშალა. ამ ფიქრმა სისხლი გაუყინა. ეჭვები მოსვენებას არ აძლევდა. ყველაფერში შეცდომას ხედავდა. შუშხუნის ფორმა არ მოსწონდა. სამგზავრო კაბინა მოუხერხებელი ეჩვენებოდა, გაანგარიშება — ყალბი. ჯანდიერმა თავიდან დაიწყო ყველაფრის შემოწმება. გამომთვლელ მანქანებს აღარ ენდობოდა. ყველაფერს თვითონ ანგარიშობდა. უმატებდა და აკლებდა, ამრავლებდა და ყოფდა. შედეგს ამოწმებდა და ადარებდა. მთელი არქივი გადაქექა. სულ პირველი ვარიანტები შეამოწმა. ციფრები მკაცრი მათემატიკური ლოგიკით არწმუნებდნენ სისწორეში. დასკვნები ძველებურად დამაჯერებელნი იყვნენ. მთელი საქმე საათივით იყო აწყობილი, მაგრამ ჯანდიერს მაინც არ შორდებოდა რაღაც გაურკვეველი შიშის გრძნობა.

„ნუთუ მართლა გადავიღალე? — ფიქრობდა იგი, — საკუთარი თავისადმი დავკარგე რწმენა? რა მომდის?“

ჯანდიერს აურჟოლებდა. თვალები ეწვოდა.

ადგა, ფანჯარასთან მივიდა და გახურებული შუბლი მინას მიადო. ესიამოვნა. ქვევით გადაიხედა. სწორ გეომეტრიულ ნაკვეთებად დაყოფილი ბაღი ზემოდან მაკეტს ჰგავდა. პატარა ადამიანები მათ მოცულობასთან შედარებით სწრაფად მოძრაობდნენ. დროდადრო აკადემიის შესასვლელთან მანქანა ჩერდებოდა. იღებოდა კარი, გადმოდიოდნენ ადამიანები, არბოდნენ კიბეებზე და ამ ვეებერთელა შენობის შიგნით, სადღაც ჯანდიერის ქვევით უჩინარდებოდნენ. უფრო შორს ქალაქის ნაწილი ჩანდა. მზის შუქი ფანჯრის მინებზე ციალებდა და ჯანდიერს მოეჩვენა, თითქოს გამოსაჯავრებლად ბავშვებმა პატარა სარკეები დაუმიზნეს. ჯანდიერს გაეღიმა. ჭაღარა წვერზე ხელი ჩამოისვა და საწერ მაგიდასთან მივიდა. ერთ ხანს ვერ გადაეწყვიტა დამჯდარიყო თუ არა. მერე ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა.

— როგორ არის საქმე?

— ჩინებულად, — უპასუხა ქალის წრიპინა ხმამ.

ჯანდიერს რატომღაც უნდოდა, ძრავის გამოცდა დღეს არ შემდგარიყო, მაგრამ ტექნიკური ბიუროს მთავარი ინჟინრის პასუხმა იმედები გაუქარწყლა. არა, უარი რომ ეთქვა, ნამდვილად ეწყინებოდა, მაგრამ ახლა, როდესაც ყველაფერი რიგზე იყო... ჯანდიერი სდუმდა. მას ფაქტიურად არაფერი აინტერესებდა. წინდაწინ იცოდა ყველაფერი. დღე და საათი გამოცდისათვის თვითონვე დანიშნა და მაინც შეეკითხა:

— მაშასადამე, ექვს საათზე, არა?

— ზუსტად ექვსზე.

ჯანდიერმა ყურმილი დადო.

ოთახში ორი ახალგაზრდა შემოვიდა. გოგონას მრგვლად დახვეული ქაღალდი ეჭირა ხელში. ეტყობოდათ, რაღაცის თქმა უნდოდათ და ვერ ბედავდნენ. ბიჭმა რაღაც გადაუჩურჩულა გოგონას. გოგონამ ხელი ჩაიქნია და ჯანდიერს მიუახლოვდა. გრაგნილი მაგიდაზე გაშალა. ჯანდიერმა სათვალე გაისწორა და ნახაზს თვალი გადაავლო.

— რა არის ეს? — იკითხა მან.

— ჩვენ ვფიქრობთ... — დაიწყო ვაჟმა, მაგრამ გოგონამ სიტყვა ჩამოართვა.

— შუშხუნის კაბინის პროექტია, — თქვა მან.

ჯანდიერი ყურადღებით დააკვირდა პროექტს.

— ამ პროექტს მგონი ვიცნობ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე?

— ამაზე უკვე ვისაუბრეთ. ჩემი აზრი თქვენ იცით.

— მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ჩვენი წინადადება უფრო პრაქტიკულია და, ვიდრე გვიან არ არის, ამ პროექტით უნდა ვისარგებლოთ.

— ახლა ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. დღეს უკვე გადავაგზავნეთ შუშხუნის კაბინის პროექტის სამუშაო ნახაზები.

ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ჩვენ თან მოვიტანეთ პროექტის სამუშაო ნახაზებიც. საკმარისია მხოლოდ თქვენი თანხმობა... ბატონო პროფესორო, ჩვენი პროექტი ხომ გაცილებით უკეთესია, მარტივი და პრაქტიკული. დამაგნიტებული იატაკი ახალი კონსტრუქციის წრიული ბრუნვის იატაკით არის შეცვლილი. კაბინა კომბინირებულია... დღისით კოსმონავტები იმუშავებენ, დაკვირვებებს აწარმოებენ, საღამოს კი იქვე დაისვენებენ. მთელი ერთი კაბინა თავისუფლდება. თქვენ იგი სხვა დანიშნულებისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ. შუშხუნა სამას კილოგრამამდე მაინც დაიკლებს წონაში. ეს კი...

— სამასამდე? — იკითხა ჯანდიერმა.

— დიახ, სამასამდე, — უპასუხა გოგონამ, — ხოლო თუ ზოგიერთ შესწორებებს შევიტანთ, მაშინ ეს ციფრი შეიძლება ერთიორად გაიზარდოს.

— ერთიორად?

ჯანდიერმა სწრაფად დაიანგარიშა გუნებაში.

„თუ ახალგაზრდები მართალს ამბობენ, ეს დიდად დაგვეხმარება," — შუშხუნის წონის შემცირებაზე წინათაც უფიქრია, მაგრამ არ იცოდა, რის ხარჯზე მოეხდინა იგი. ახლა მის ხელთ იყო პროექტი, საკმაოდ რეალური და მისაღები, მაგრამ ჯანდიერი მერყეობდა. „დრო, — ფიქრობდა იგი, — პროექტის საფუძვლიანად შესასწავლად დრო არის საჭირო, ერთი კვირა მაინც. ერთ კვირაში კი..."

ჯანდიერმა ჩაახველა.

ოთახში საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის თანხლებით რუსუდანი შემოვიდა.

— როგორ მოგეწონათ, ბატონო პროფესორო? — შორიდანვე დაიწყო რუსუდანმა, — საკმაოდ ორიგინალური გადაწყვეტაა, ა? ქების ღირსი არიან ახალგაზრდები.

ჯანდიერმა წარბი შეკრა.

— პროექტი საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ ვენდოთ ახალგაზრდებს?

ჯანდიერს უნდოდა საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა. რუსუდანმა ნახაზი დაახვია და ახალგაზრდებს მაგრად ჩამოართვა ხელი.

— მომილოცავს, — თქვა მან, — მე დარწმუნებული ვიყავი, რომ პროფესორი მხარს დაგვიჭერდა.

— რასაკვირველია, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, — ჩაიბუტბუტა ჯანდიერმა, — პროექტი საკმაოდ ორიგინალურია, მაგრამ ჩვენ ხომ უკვე გავაგზავნეთ პროექტის სამუშაო ნახაზები.

— ამ საკითხს მე მოვაგვარებ, — თქვა საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა.

ჯანდიერმა მხრები აიჩეჩა.

— რა გაეწყობა, რაკი ასე კატეგორიულად მოითხოვთ, თანახმა ვარ.

ახალგაზრდა შუშხუნათმშენებლებმა ერთმანეთს გაუღიმეს და წავიდნენ. რუსუდანი და პროფესორი მარტო დარჩნენ. რუსუდანი თავდახრილი იდგა. პროფესორი ადგილს ვერ პოულობდა ოთახში. განაწყენებული იყო. რამდენჯერმე სცადა მუშაობის გაგრძელება, მაგრამ ვერ მოახერხა. ბოლოს შუა ოთახში შეჩერდა.

— რუსუდან, — თქვა მან.

რუსუდანმა არ უპასუხა.

ჯანდიერმა სავარძელი გამოსწია, დაჯდომა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და რუსუდანს ამოუდგა გვერდით.

— რუსუდან, — ჩუმად თქვა პროფესორმა.

— ბატონო.

სდუმდნენ. ბოლოს პროფესორმა კატეგორიულად განაცხადა:

— ასე მუშაობა შეუძლებელია. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, დღეს უკვე, ღმერთმა იცის, რამდენჯერ დამიყოლიეთ. ახალგაზრდებს, მართალია, უნდა ვენდოთ, მაგრამ მხოლოდ მცირე შემოწმების შემდეგ. მათი თავები ფანტაზიით არის გამოტენილი. ჩვენ უფლება არა გვაქვს...

— მე კი პირიქით ვფიქრობ.

— შენც ახალგაზრდა ხარ.

— „კოსმოსზე ფიქრი ფანტაზიისა და ახალგაზრდობის გარეშე შეუძლებელია“, — მგონი თქვენი სიტყვებია, ბატონო პროფესორო.

ჯანდიერმა უხერხულად ჩაახველა.

— რა გინდათ მაგითი თქვათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდანმა თავი ასწია. იგი დიდხანს დაკვირვებით უყურებდა პროფესორს და მერე უცებ შეეკითხა:

— მითხარით, ბატონო პროფესორო, ოღონდ სიმართლე მითხარით, ოდესმე ვინმე გყვარებიათ?

ჯანდიერი ასეთ კითხვას არ მოელოდა. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. სათვალე მოიხსნა, ისევ გაიკეთა და რუსუდანს დააკვირდა. ქალიშვილის უძირო ლურჯი თვალები სევდას დაენისლა. რუსუდანის სიტყვებმა პროფესორი წარსულში გადაისროლა. მოჩვენებასავით გაირბინა ბავშვობამ... სტუდენტობის პერიოდმა...

„რა უსუსური ვიყავი მაშინ, — გაიფიქრა მან, — ერთი სიტყვა მაინც მეთქვა, მხოლოდ ერთი სიტყვა და იქნებ ჩემი ცხოვრებაც სხვანაირად წასულიყო“. მაგრამ ეს ერთი სიტყვა არ ითქვა. შემდეგ... შემდეგ სასაფლაო. ღამე. ახალ მიწანაყარ საფლავზე ყვავილების პატარა კონა. თოვლი და მდუმარე ფიცი მუდმივ ერთგულებაზე. შემდეგ... მას შემდეგ ჯანდიერს არავინ ჰყვარებია.

რუსუდანმა თვალები დახუჭა.

— არა, თქვენ არასოდეს არ გყვარებიათ, — დაასკვნა მან და ამოიოხრა.

ჯანდიერი გამოერკვა. უაზროდ გაასავსავა ხელები ჰაერში და მხრები აიჩეჩა:

— რაში დაგჭირდათ ასეთი კითხვა, ვერ გამიგია.

რუსუდანმა ხელი ჩაიქნია.

— იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც თქვენ პროექტზე კინალამ უარი უთხარით, დღეს ქორწინების წლისთავი უსრულდებათ, სიყვარული კი ყველაფრის საწინდარია. იცით რას ნიშნავს საყვარელ ადამიანთან ერთად მუშაობა? იცით?

რუსუდანი მართალი იყო. ჯანდიერმა ყველაფერი ეს მშვენივრად იცოდა. ყოველთვის ესმოდა ახალგაზრდების. არასოდეს უსაყვედურებიათ მისთვის უყურადღებობა და ახლა ნეტავ რა მოუვიდა? ნუთუ სერიოზულად გადაიღალა?... ან იქნებ ავად არის? მთელი დღეა თავი სტკივა, ტანში აჟრჟოლებს... ნუთუ?...

რუსუდანი მაგიდასთან მივიდა და გრაგნილი გაშალა.

— აი, მარშრუტის ახალი ვარიანტი, — თქვა მან.

— ჰო, მართლა, — აჩქარდა პროფესორი, მაგრამ უცებ შედგა გაკვირვებული.

— ასე უცებ?

რუსუდანს გაეღიმა.

— როგორც ხედავთ.

ჯანდიერი მაგიდასთან დაიხარა. თვალი გადაავლო ახალი ძრუტის ელიფსოიდს. გამოიანგარიშა განსხვავება ძველსა და ახალ კურსს შორის. დაშვების ადგილი შეამოწმა და ნამუშევრით კმაყოფილი დარჩა.

— ჩინებულია, თუ, რასაკვირველია, ზოგიერთმა ამბავმა ხელი არ შეგვიშალა.

— მაინც რამ?

ჯანდიერი თავის მხრივ შეეკითხა:

— იცით, რისთვის მივფრინავ ტაშკენტში?

რუსუდანმა თავი გააქნია.

— ის მაინც გეცოდინებათ, რომ დღეს მზეზე მოსალოდნელია ქრომოსფეროს ძლიერი აფეთქება. ამ უკანასკნელ პერიოდში ასეთ აფეთქებებს შორის გარკვეული თანაფარდობა დამყარდა. თუ ასე გაგრძელდა, გაფრენის დღეს ისევ უნდა განმეორდეს მზის ქრომოსფეროს აფეთქება. ეს კი თავის მხრივ გავლენას იქონიებს შუშხუნის მარშრუტზე. ან გაფრენა უნდა გადავდოთ, ან გავითვალისწინოთ შუშხუნის მოსალოდნელი გადახრა მარშრუტიდან. მე მსურს პირადად ვაწარმოო დაკვირვება.

— და ამისათვის ტაშკენტში მიფრინავთ? — გაიკვირვა რუსუდანმა.

— თქვენ გავიწყდებათ, რომ აქ „თავისუფალი ცის“ ძებნაში კილომეტრები უნდა გაიაროთ. ამინდის ბიუროს ცნობით, სომხეთსა და საქართველოში ღრუბლიანი ამინდია მოსალოდნელი.

რუსუდანმა ფანჯარაში გაიხედა. თბილისის ცა მოღრუბლულიყო. სადღაც შორს ელვამ გააპო ჰორიზონტი, მაგრამ გრუხუნის ხმამ ვერ მოაღწია. ჩამობნელდა.

ჯანდიერმა საათს დახედა.

„რა დრო გასულა,“ — გაიფიქრა მან და სამუშაო მაგიდა დაალაგა. ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი საბუთი სეიფში შეინახა და წასასვლელად მოემზადა.

— ზუსტად ხუთ საათზე აქ ვიქნები. სერგეის სთხოვეთ დამელოდოს. აბა, ჯერჯერობით.

ჯანდიერი წავიდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უკანვე დაბრუნდა.

რუსუდანი და პროფესორი ერთმანეთს უყურებდნენ. პროფესორს შეწუხებული და დარცხვენილი სახე ჰქონდა.

— რაც შეეხება სიყვარულს, — თქვა მან, — თქვენ შეცდით. ჩემს ახალგაზრდობაში მე მიყვარდა ერთი ადამიანი. მიყვარდა ძლიერ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ეს მოხდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორმა თავი დახარა. ერთ ხანს ასე იდგა. მერე უცებ მოტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა ლიფტისაკენ.

რუსუდანი გაშტერებული უყურებდა ღია კარს. პროფესორის სიტყვებმა გული ატკინა და თვითონაც არ იცოდა, რატომ ატირდა.

მაგიდაზე ტელეგრამაფონი ახმიანდა. რუსუდანი აპარატთან მივიდა. ბერკეტი გადაატრიალა. პატარა ჭრილიდან ქაღალდი გამოცურდა.

„ვეცდები საღამოსთვის თბილისში ვიყო.

ოტო ბრუვცეხი.

ბერლინი“.

რუსუდანმა რადიოცნობა ჯანდიერის მაგიდაზე დადო და თვალები ამოიწმინდა. მერე ტელეფონთან მივიდა და ყვავილების მაღაზიაში დარეკა.

— დიახ, დიახ. წითელი ვარდების თაიგული... მისამართი, ახლავე, — რუსუდანმა უბის წიგნაკი გადაშალა და სწრაფად იპოვა მისამართი, — მშვიდობის გამზირი, ნომერი ას ხუთი, ბინა ნომერი თორმეტი... საღამოს რვა საათისთვის ჩაბარდეს ადრესატს.... უბრალო წარწერა გააკეთეთ. გილოცავთ ქორწინების წლისთავს. რუსუდანი. სხვა არაფერი.

ყურმილი დადო. უბის წიგნაკის შენახვას აპირებდა, რომ წიგნაკიდან პატარა სურათი დაცურდა და იატაკზე დაეცა. რუსუდანმა ფრთხილად აიღო და დააკვირდა.

ეს იყო ნოდარის სურათი. მაშინაც ასე დაუცურდა იგი მის პატრონს უბის წიგნაკიდან და იატაკზე დაეცა. არავის შეუმჩნევია, მხოლოდ რუსუდანმა დაინახა და როდესაც ყველანი წავიდნენ, სურათი აიღო. ეს იყო ერთადერთი სურათი, რომელიც რუსუდანს ჰქონდა.

მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა. რუსუდანმა ყურმილი აიღო.

— დიახ, დიახ, გისმენთ, — თქვა მან, — ეს საკითხი უკვე შეთანხმებულია. ულუფის შედგენისას იხელმძღვანელეთ ფორმა ნომერი შვიდით. ეცადეთ, ნაირფეროვანი სადილები იყოს... ნუ შეწუხდებით. დღის ბოლოს მე თვითონ შემოვივლი.

ვერ მოასწრო რუსუდანმა ყურმილის წესიერად დადება, რომ ტელეფონი ისევ აწკრიალდა.

რუსუდანს გაეღიმა.

— გისმენთ, — თქვა მან.

— ჯანდიერს სთხოვეთ.

— ჯანდიერი აკადემიაში არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ რუსუდანს სთხოვეთ.

— რუსუდანი გელაპარაკებათ. ალო, გესმით?

ყურმილი ერთ ხანს ხრიალებდა. მერე ჩაერთო. მოისმა მამაკაცის აღელვებული ხმა, მაგრამ ყურმილი ისევ ახრიალდა და კავშირი გაწყდა.

— ალო, ალო! გაიმეორეთ, ცუდად ისმის, ალო! გესმით?

ოთახში სერგეი შემოვიდა.

— ჯანდიერი სად არის? — იკითხა მან.

— ტამკენტში გაფრინდა.

რუსუდანმა ყურმილი დადო.

— ტამკენტში?

— დიახ, ტამკენტში. მზეზე დაკვირვების საწარმოებლად.

— უცნაურია. ჩემთვის არაფერი უთქვამს არც სხვასთან შეუთანხმებია ეს საკითხი. ალბათ შუშხუნის ძრავის გამოცდა გადაიდება.

— ხუთ საათზე აქ იქნება. პოლიგონზე ერთად წავალთ.

სერგეიმ სკამი გამოსწია და დაჯდა.

— არაფერი გამოდის, — თქვა მან, — ბარათს ვერაფერი მოვუხერხე. ერთი სიტყვაც კი ვერ გავშიფრე, ერთი სურათიც ვერ ამოვხსენი. საათობით ვზივარ და სულელივით დავშტერებივარ, ძილში მესიზმრება. ეს ბარათი ნამდვილად ჭკუიდან შემშლის.

— განა ამ ბარათის გაშიფვრას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს?

სერგეი თავდახრილი იჯდა.

— უდაოდ, — თქვა მან, — ბარათი მარსიდან... ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. დარწმუნებული ვარ, ბარათში დიდი საიდუმლო იმალება. შეიძლება ეს საიდუმლო მეცნიერული ხასიათის იყოს და კოსმოსის საკითხებს ეხებოდეს, შეიძლება აქ მოცემულია მარსის დეტალური აღწერილობა. ისიც მოსალოდნელია, რომ ეს ბარათი სრულიადაც არ იყოს მარსიდან გამოგზავნილი.

— ჯანდიერი ფიქრობს, რომ ბარათი სწორედ მარსიდან არის გამოგზავნილი.

სერგეიმ ხელი ჩაიქნია.

— მეც ასე ვფიქრობდი პირველად, მაგრამ ახლა ეჭვი მეპარება და საერთოდ, რისი თქმა შეიძლება აქ დაუეჭვებლად. აბა თქვენ თვითონ თქვით.

სერგეიმ აზრი აღარ დაამთავრა, ადგა და ფანჯარასთან მივიდა. წვიმას გადაეღო, მაგრამ ქალაქს ძველებურად ეხურა ღრუბლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილი. ფანჯარა გამოაღო. გრილი ნიავი სახეზე ეცა, თმებს შორის გაძვრა და ქოჩორი აუშალა.

რუსუდანი ნახაზს ახვევდა.

სერგეი მოტრიალდა.

— რაც ეს წყეული ბარათი გაჩნდა, წესიერად ჭამას გადავეჩვიე, — თქვა მან, — ხომ არ გვესადილა?

რუსუდანს გაეღიმა.

— ალბათ უჭმელობა წერილის გაშიფვრაში გეხმარებათ.

სერგეიმ ხელი ჩაიქნია და წავიდა. რუსუდანმა ნახაზი უჯრაში შეინახა, ხელოვნური ჰავა გამორთო და ოთახიდან გასვლას აპირებდა, რომ ისევ ახმიანდა ტელეფონი. რუსუდანმა ტელეფონთან მიირბინა და ყურმილი აიღო.

— გისმენთ! — თქვა მან.

ყურმილი ხრიალებდა.

რუსუდანმა გაბრაზებით დააგდო ყურმილი.

„თავს იგდებს ვილაცაა“, — გაიფიქრა მან და ოთახიდან გავიდა.

კარი ხმაურით მიიხურა. ფანჯარაზე დაკიდებული ფარდა გარეთ გაიზნიქა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ აწკრიალდა ტელეფონი. კარგა ხანს გაბმულად რეკდა. ბოლოს რეკვა შეწყდა და ოთახში მყუდროებამ დაისადგურა.

ზუსტად ხუთ საათზე ჯანდიერი აკადემიაში იყო. სამუშაო ოთახის კარი ჩაკეტა და ტაშკენტიდან ჩამოტანილი მასალების შესწავლას შეუდგა. ყურადღებას არ აქცევდა ტელეფონის გაბმულ რეკვას. ბოლოს, როდესაც ძალიან შეწუხდა, ყურმილი ბერკეტიდან ასწია და ისევ დადო. რეკვა შეწყდა. ჯანდიერმა უკვე დამუშავებული ძველი მონაცემები გადაქექა და ახალს შეადარა. განსხვავება ერთი შეხედვით ეცა თვალში. ახალი მონაცემები შუშხუნის ძრავაში შესწორებების შეტანას მოითხოვდა. შუშხუნის მარშრუტში ცვლილებები იყო მოსალოდნელი. ჯანდიერი მიყოლებით ფურცლავდა ქაღალდების შეკვრას. ანგარიშობდა და ცალკე ქაღალდზე იწერდა ციფრებს.

კარზე ჯერ ფრთხილად დააკაკუნეს, მერე კაკუნი გაძლიერდა.

ჯანდიერს თავი არ აუწევია. მოეჩვენა, თითქოს სადღაც სხვაგან აკაკუნებდნენ და მუშაობა გააგრძელა. ისე გაერთო მუშაობაში, რომ მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც კარი კინაღამ შემოამტვრიეს. უხალისოდ ადგა. კარი გააღო.

— ფუი, — ჩაიბუზღუნა სერგეიმ, — ჩვენ კი რა არ ვიფიქრეთ.

ჯანდიერმა სერგეის ხელი ჩასჭიდა და მაგიდასთან მიიყვანა. ტაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენტიდან ჩამოტანილი მასალა გაშალა, უჯრიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და ხელში შეაჩეჩა.

— როგორ მოგწონთ?

— მოიცათ, მოიცათ,—თქვა სერგეიმ და ქაღალდი მაგიდაზე დადო, — პირველ რიგში მითხარით, კარს რატომ არ აღებდით? რას ნიშნავს თქვენი უეცარი გამგზავრება ტაშკენტში?

ჯანდიერი შუბლშეჭმუხნილი იდგა.

— ასე არ შეიძლება, — ამბობდა სერგეი, — გაფრენამდის ერთი თვე რჩება, თქვენ კი ახალ მასალებს აგროვებთ. საერთოდ, ჩვენ ძველი მეგობრები ვართ და პირდაპირ უნდა გითხრათ: ამ ბოლო დროს უცნაური გახდით. იქნებ უმჯობესია...

ჯანდიერი მოიღუშა.

— გასაგებია, — თქვა მან.

სერგეიმ ხელები გაასავსავა.

— არა? სხვანაირად არ გამიგოთ. მე ვფიქრობ, რომ ახლა ახალი მასალების ძებნას აზრი არა აქვს. ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს რაღაც ახალი და ჩვენ ვერასოდეს ვერ დავსვამთ წერტილს. დრო კი არ ითმენს. მე, როგორც ხელმძღვანელი, ვალდებული ვარ მოგაგონოთ, ჩვენ მარტო არა ვწყვეტთ ამ საკითხს, გუშინ დამირეკეს მოსკოვიდან, რომ ჩვენი ქვეყნის სხვა აკადემიებმა წარმატებით დაამთავრეს მზადება. მე და შენ ხომ არ დაგვიცდიან. უჩვენოდაც გაფრინდებიან მარსზე.

— ამას, — ჯანდიერმა ქაღალდებზე მიუთითა, — გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომავალი საპლანეტათშორისო ფრენის წარმატებისათვის. თუ მზის ქრომოსფეროს აფეთქება შუშხუნის გაშვების დღეს დაემთხვა, რაშიც მე უკვე აღარ მეპარება ეჭვი, შუშხუნის მარშრუტის მესამე ვარიანტის ძებნა მოგვიხდება. სხვანაირად მთელი მუშაობა წყალში იქნება გადაყრილი. საერთოდ კი...

ჯანდიერს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ საათზე დაიხედა და აჩქარდა.

— ამის შესახებ სხვა დროს. საკითხი საკმაოდ პრინციპულია და კარგად უნდა დავუფიქრდეთ. ახლა ვიჩქაროთ, თორემ გამოცდას უჩვენოდ დაიწყებენ. რუსუდანი სად არის?

— ქვევით გველოდება.

— ძალიან კარგი.

ჯანდიერმა სახელდახელოდ აალაგა მაგიდა და მეგობრები ოთახიდან გავიდნენ. სდუმდნენ. ორივე საკუთარ ფიქრს გაეტაცნა, სალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარაკოდ არ იყვნენ განწყობილნი. ასევე უხმოდ ჩასხდნენ ლიფტში და აკადემიის მიწისქვეშა სადგურში დაეშვნენ. ფერადი მარმარილოთი მოპირკეთებულ ფართო, ნათელ დარბაზში რუსუდანი ელოდებოდათ.

ჯანდიერი ატომოტრამვაისაკენ გაემართა. ოთხ ლიანდაგს შორის გაჭედილი ატომოტრამვაი თეთრად ბზინავდა. მრგვალი სალტეებით შეკრული ლიანდაგები გვირაბის სიღრმეში უჩინარდებოდნენ.

— რაღას ვუდგევართ, — თქვა ჯანდიერმა და ატომოტრამვაის ოვალურ კარში პირველი შევიდა. იგი სამართავ დაფასთან დაჯდა. სერგეი და რუსუდანი უკან მოთავსდნენ. კაბინის მკრთალი შუქი ანათებდა. კარი თავისთავად მოიხურა. სავარძლებმა ჰორიზონტალური მდგომარეობა მიიღო. ჯანდიერმა თითი დააჭირა ღილაკს და სავარძელში გასწორდა. ყრუდ მოისმა შხუილის ხმა. ერთ ხანს კიდევ ჩანდა იისფერი ზოლი გვირაბის სიღრმეში, მაგრამ მალე ისიც გაქრა. რამდენიმე წუთის შემდეგ ტრამვაი გაჩერდა და ჩვენი მგზავრები მიწისქვეშა ესკალატორებით ზემო სადგურში ავიდნენ. სანამ საბოლოოდ განთავისუფლდებოდნენ მიწისქვეშა „ტყვეობიდან“, საჭირო იყო ზოგიერთი ფორმალობის შესრულება, რადგანაც ტერიტორია, სადაც შუშხუნის გამოცდა წარმოებდა, აკრძალულ ზონად იყო გამოცხადებული. ჯანდიერმა პირადობის მოწმობის ამოსაღებად ჯიბეში ჩაიყო ხელი, მაგრამ მცველმა დაასწრო:

— არ არის საჭირო, მიბრძანდით.

ვიწრო, სწორმა ხეივანმა ერთსართულიან შენობასთან მიიყვანა ჩვენი მგზავრები. მწვანეში ჩაფლულ, უფანჯრებო შენობის ჩრდილში უცნაური ფორმის სათავსოები ჩანდა. ერთადერთი კარი წინ იყო გამოწეული. ჯანდიერმა კარი გააღო და სერგეი და რუსუდანი წინ გაატარა. ფართო დერეფნის იქით კიდევ კარი იყო. ჯანდიერი ერთი წუთით შედგა, თანამგზავრებს თვალი გადაავლო და სადემონსტრაციო დარბაზში შევიდა. მყუდრო დერეფანი ხმაურით აივსო. დარბაზი, სადაც ჯანდიერი შევიდა, ხალხით იყო სავსე. წინ, სწორ იატაკზე, ნახევარი წრეხაზის ფორმის მაგიდა იდგა. უფრო წინ, კედელზე, ფართო ტელეეკრანი ეკიდა. ყველა დანარჩენი ადგილი უცნაური ფორმის აპარატურას შეევსო. სქელი რკინაბეტონის კედლის იქით, საგანგებო დარბაზში, გამოსაცდელი შუშხუნის ძრავა იყო დამონტაჟებული. სადემონსტრაციო დარბაზს მკრთალი შუქი ანათებდა. რუსუდანი და სერგეი წინ გაწეული მაგიდის გარშემო დასხდნენ. ჯანდიერი გზად ნაცნობებს გამოელაპარაკა და დაგვიანებით დაიკავა ადგილი სერგეის გვერდით. დარბაზში ხმამაღალი ლაპარაკი ჩურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩულმა შეცვალა. ელოდებოდნენ მთავარ ინჟინერს. მალე ისიც გამოჩნდა, ჩქარი ნაბიჯით გამოემართა ჯანდიერისაკენ და მაგიდის შუაში თავისუფალ სკამზე დაჯდა. ხელები სამართავ დაფაზე დაალაგა და ჯანდიერს გადახედა. ჯანდიერმა ქაღალდი გვერდზე გადადო და ინჟინრის დაჟინებულ მზერას თვალი გაუსწორა. ერთ ხანს ასე უყურა, თითქოს იქ, ინჟინრის თვალებში უნდოდა ამოეკითხა თავისი იდეის სიმართლე. მერე თავი ოდნავ დააქნია და სათვალე მოიმარჯვა. ინჟინერი წინ გადაიხარა. დარბაზში შუქი ჩაქრა. მხოლოდ ტელეეკრანი და ატომური საათის ფოსფორიანი ციფერბლატი იყო სუსტად განათებული.

— დავიწყოთ, — ჩუმად თქვა ჯანდიერმა.

ინჟინრის ნერვულმა ხელებმა ფათურით მოძებნეს სამართავ დაფაზე საჭირო ღილაკი და ძრავა ჩაერთო.

ეკრანი განათდა. კედლებთან განლაგებულ აპარატურებზე ათასფერი პატარ-პატარა ნათურა აციმციმდა. გამომთვლელი მანქანების რელეები ჟუჟუნებდნენ. ძრავა წინასწარ განსაზღვრული პროგრამით ჩაერთო. ყველას მზერა ეკრანისაკენ იყო მიმართული. ეკრანზე იმიტირებული შუშხუნის კორპუსი ჩანდა. აი, შუშხუნის უკანა ნაწილიდან ბოლქვებად გამოვარდა თეთრი კვამლი, თანდათანობით ვიწრო ზოლად გაიჭიმა და ღია ცეცხლისფერი იისფერს დაემსგავსა.

მთავარი ინჟინერი ერთმანეთის მიყოლებით რთავდა ახალ-ახალ აგრეგატებს და საცდელ სტენდზე კოსმოსური ფრენის რეჟიმს ქმნიდა. გამოცდა ბრწყინვალედ მიმდინარეობდა. ჯანდიერი ოცნებამ გაიტაცა. მან წარმოიდგინა როგორ ასცილდა ნელ-ნელა მიწას ვეებერთელა სიგარის ფორმის ხომალდი და სიჩქარის თანდათან მომატებით ზეცისკენ გაიჭრა.

გავიდა ყველაზე მძიმე წუთები. ჯანდიერი თვალს არ აშორებდა ეკრანს. კიდევ ცოტაც და შუშხუნა საბოლოოდ გასცდება დედამიწის მიზიდულობის სფეროს. ალუმინნარევი გრაფიტის საჭე ჯერჯერობით კარგად მუშაობდა. შუშხუნა ზუსტად, მარშრუტის მიხედვით მიფრინავს. რეაქტიული ძრავის ტემპერატურა მაქსიმუმს უახლოვდება.

„საჭიროა ძრავის მაქსიმალური დატვირთვა", — გაიფიქრა ჯანდიერმა.

მთავარმა ინჟინერმა ბერკეტი ფრთხილად გადაატრიალა და უფრო მოხერხებულად დაჯდა სკამზე. გამომთვლელი მანქანები უფრო ხმამაღლა აჟუჟუნდნენ. დარბაზი უკიდურესობამდის დაიძაბა. შუშ-

ხუნა სტენდზე გამოცდისას გაცდა დედამიწის მიზიდულობის სფეროს. წარმატებაში უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი.

„კიდევ ცოტა, სულ ცოტა“, — ფიქრობდა ჯანდიერი.

შუშხუნა წინასწარ გაანგარიშებული მარშრუტით კოსმოსში მიფრინავდა. უკვე დრო იყო, ჩაერთოთ მზის და სხვა პლანეტების მაგნიტური ველის მიზიდულობა.

„თუ ამანაც ნორმალურად ჩაიარა“,—გაიფიქრა ჯანდიერმა...

ინჟინერმა ღილაკს თითი დააჭირა. მის სახეზე გარკვევით გამოიკვეთა შიში და სიხარული. ბოლოს შიში გაქრა და სახეს სიმშვიდე დაეუფლა. და სწორედ ამ დროს მოხდა ის, რასაც უკვე აღარავინ მოელოდა. შუშხუნა „სტარტიდან“ ექვსი ათას შვიდას ოთხმოცდათხუთმეტ კილომეტრზე „კოსმოსში“ აფეთქდა. ეკრანი ერთი წამით გაბრწყინდა და მერე ჩაქრა. აპარატურა გამოერთო. დარბაზი მკრთალმა შუქმა გაანათა. დამსწრეებმა ერთდროულად ამოიოხრეს, მერე ისევ სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ გარედან აღწევდა საგანგაშო საყვირის გაბმული ზმუილის გულისშემაღონებელი ხმა. მთავარ ინჟინერს სახე ცივი ოფლის წვეთებმა დაუფარა. სერგეი თვალებზე ხელებაფარებული, სუნთქვაშეკრული იჯდა. რუსუდანს პროფესორისაკენ გახედვის ეშინოდა. ჯანდიერი ორად მოკეცილიყო და თავი ჩაექინდრა. არც ერთი ნერვი არ შეკრთომია სახეზე. მიცვალებულივით გაყინული იჯდა ერთ მდგომარეობაში და ნერვულად მოეკუმა ტუჩები. უკანა რიგებში ჩურჩული გაისმა, მაგრამ მალე მიწყდა.

ჯანდიერის გონება მანქანასავით მუშაობდა. ქაოტიური აზრები ერთმანეთში გადახლართულიყვნენ. იგი ხან მოღიმარ სახეებს ხედავდა, ხან კოსმოსში გაფანტულ ადამიანთა დაფერფლილ სხეულებს.

გააჟრჟოლა. უცებ ფეხზე ადგა და ხელებით მაგიდას დაეყრდნო. ერთ ხანს ასე იდგა თავდახრილი, თითქოს სიტყვის თქმას აპირებსო. მერე თავი ასწია და მზერა სივრცეს გაუშტერა.

— ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, — თქვა მან და ჩქარი ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან.

სერგეი და რუსუდანი უკან მიჰყვნენ.

დარბაზი ახმაურდა.

ჯანდიერი გარეთ გავიდა. კიბესთან შედგა, დაბარბაცდა. ვახტანგი, რომელიც მანქანაში ელოდებოდა, წამოხტა და ხელი შეაშველა. არაფერი უკითხავს. პროფესორის გაფითრებული სახით ყველაფერს მიხვდა. ჯანდიერი უკან დაჯდა და კუთხეში მიიკუნტა.

— შინ... — ამოიხავლა მან.

ჯანდიერს ჯერ გააცივა, მერე უცებ შეახურა. აღარ ახსოვს, როგორ მივიდა სახლში, როგორ გააღო კაბინეტის კარი. სასოწარკვეთილი საწერ მაგიდასთან სკამზე დაეშვა, სახე ხელებში დამალა და მაგიდაზე დაემხო.

ვახტანგს უნდოდა კაბინეტში შეჰყოლოდა პროფესორს, მაგრამ კარი დაკეტილი დაუხვდა და იქვე ჩამოჯდა სკამზე.

ცოტა ხნის შემდეგ სერგეი და რუსუდანი მოვიდნენ.

— როგორ არის? — იკითხა სერგეიმ.

ვახტანგმა მხრები აიჩეჩა.

რუსუდანმა საათს შეხედა.

ღამის თორმეტი საათი იყო.

## არაოფიციალური თათგირი

ზაზა მთვრალი კაცივით მიაბოტებდა ქუჩაში და გამვლელ-გამომვლელს ყურადღებას არ აქცევდა. ერთდროულად ათას რამეზე ფიქრობდა და აზრები ერთმანეთში ერეოდა. მერე გაფანტული აზრები თანდათანობით შემჭიდროვდნენ. თვალწინ აკადემიის შენობა წარმოუდგა. გონებაში კიდევ ერთხელ დაათვალიერა დილით ნანახი დარბაზები და სცადა წარმოედგინა ის ოთახები, რომლის დათვალიერებაც დღეს ვერ მოასწრეს. არაფერი არ გამოუვიდა. ფანტაზია არ ეყო.

ზაზამ ხელი ჩაიქნია და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა.

უკვე გვიანი იყო. გრილოდა.

პროფესორის ეზოში მანქანა იდგა. ვახტანგი უკან იჯდა და თვლემდა. ფეხის ხმაზე თავი ასწია.

— აქამდე სად იყავი? — ჰკითხა მან.

ზაზამ რაღაც აბდაუბდა მოიგონა და ოთახში შევიდა. იქ რუსუდანი დახვდა და ზაზას დანახვაზე ტუჩებზე თითი მიიდო.

— ჩუმად! — ჩურჩულით თქვა მან, — პროფესორი ცუდად არის.

— რა მოხდა?

— წადი დაიძინე, ხვალ ყველაფერს გაიგებ.

— არ წავალ! — გაჯიუტდა ზაზა.

რუსუდანმა ხელი მოჰკიდა და თითქმის ძალად მიიყვანა საწოლ ოთახამდის.

— დაიძინე! საცაა გათენდება. ხვალ ვარჯიშზე ხარ წასასვლელი. საერთოდ, ადრე უნდა მოხვიდე ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდანმა ზაზა ოთახში შეუშვა და კარი გადაკეტა.

„ნეტა რა მოხდა“, თავისთვის ამბობდა მარტო დარჩენილი ზაზა. მერე ტანთ გაიხადა, ლოგინში ჩაწვა და როგორც კი თავი ბალიშზე მიდო, იმ წუთშივე მკვდარივით ჩაეძინა.

*

* *

დილით ჯანდიერი უფრო ცუდად გახდა. გამოუძახეს ექიმს, მაგრამ ავადმყოფობის დადგენა არ მოხერხდა. პროფესორს არაფერი სტკიოდა, უგუნებოდ იყო და ხშირად კარგავდა გრძნობას. ძილში რაღაც ელანდებოდა და შეწუხებული იღვიძებდა. რუსუდანი ერთი წუთით არ შორდებოდა ავადმყოფის საწოლს. ზაზამ უარი თქვა ვარჯიშზე, მაგრამ ვახტანგმა იგი ძალად წაიყვანა აკადემიაში.

ჯანდიერის ავადმყოფობის გამო სერგეის ერთი წუთით აღარ ჰქონდა მოცლა. ტელეფონით თუ მოიკითხავდა მეგობარს. ბოლოს, გარდა საბჭოთა კოლეგებისა, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები გამოიძახა და სთხოვა არაოფიციალური თათბირისათვის თბილისში ჩამოსულიყვნენ. თათბირი ოთხშაბათს, საღამოს, ჯანდიერის ბინაზე იყო დანიშნული. მეცნიერების უმეტესობამ უკვე მოასწრო ჩამოსვლა. გაეცვნენ საქმის ვითარებას და შენიშვნები შეიტანეს შუშხუნის ძრავის კონსტრუქციაში. ამერიკელმა მეცნიერმა ჯეფერსონმა ვრცელი ბარათი გამოგზავნა, სადაც დეტალურად ეხებოდა თავის უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებს კოსმონავტიკის საკითხებში და ბოდიშს იხდიდა, გადაუდებელი საქმეების გამო ამ მეტად საინტერესო თათბირს ვერ ვესწრებიო. ნოდარი დანიშნულ დღეს არ ჩამოვიდა. რუსუდანი ძლიერ შეაწუხა ამ ამბავმა. სასწრაფოდ დაუკავშირდა ტატრას, მაგრამ იქიდან უპასუხეს, ნოდარი გუშინ გამოემგზავრაო. რუსუდანმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. იმედს მაინც არ კარგავდა და, როგორც კი ჯანდიერი ოდნავ მომჯობინდა, სამუშაო აკადემიიდან სახლში მოიტანა და ახლაც მისაღებ ოთახში სერგეის სასწრაფო დავალებას ასრულებდა.

ოთახში ვახტანგი შემოვიდა.

— თუ რამეს გამატანთ, წავიღებ, აკადემიაში მივდივარ.

რუსუდანმა ქაღალდების შეკვრა გაუწოდა.

— აი, ეს ამხანაგ სობოლევს გადაეცით. დანარჩენს უფრო გვიან დავუმზადებ.

ვახტანგი ოთახიდან გავიდა.

რუსუდანი ისევ ფიქრებმა გაიტაცეს. იგი გაშტერებული დასცქიროდა მაგიდაზე გაშლილ ნახაზებს. ცდილობდა საქმეზე ეფიქრა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ჯანდიერის საწოლი ოთახიდან სტუმრად ჩამოსული გერმანიის აკადემიის ნამდვილი და ჩვენი აკადემიის საპატიო წევრი ოტო ბრუვცეხი გამოვიდა. ოტო შუა ხნის მამაკაცი იყო. ელეგანტურად ჩაცმული, ფართო, მაღალშუბლიანი.

— პროფესორი თავს უკეთ გრძნობს, — თქვა მან და სავარძელი გამოსწია.

რუსუდანი ფიქრებიდან გამოერკვა.

— მე მინდა ერთხელ კიდევ გადავავლო თვალი შუშხუნის ძრავის სამუშაო პროექტს. შეიძლება?

— ინებეთ.

რუსუდანმა ნახაზი გაუწოდა.

— გმადლობთ.

ოტომ ნახაზი გაშალა და დიდხანს დაკვირვებით სწავლობდა. რაღაცას ანგარიშობდა. საკუთარი აზრი ფორმულებით შეამოწმა და ნახაზი რუსუდანს დაუბრუნა.

— მეც ასე ვფიქრობ, — თქვა მან, — ძრავა თავისუფლად გაუძლებს ზედმეტ დატვირთვას. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ძრავა თავისთავად უნიკალურია. მის უბრალო გადაწყვეტაში ვეებერთელა მარგი მოქმედების კოეფიციენტი იმალება.

— და მიუხედავად ამისა, შუშხუნა სასტენდო გამოცდის დროს აფეთქდა.

— ჩემთვის ჯერ უცნობია ამ არასასიამოვნო ფაქტის მიზეზი, მაგრამ ვფიქრობ, რომ აქ შუშხუნის ძრავა არაფერ შუაშია.

— დარწმუნებული ხართ?

ოტო ერთ ხანს სდუმდა, მერე თავი ასწია და გადაწყვეტით თქვა:

— დიახ.

— მაშ მიზეზი სად უნდა ვეძებოთ?

— ამის თქმა მე ჯერ არ შემიძლია. ალბათ ჩვენი არაოფიციალური თათბირი გადაწყვეტს ამ საკითხს. მოხსენება უკვე მზადა მაქვს.

— ჯეფერსონის ბარათს თუ გაეცანით?

ოტომ თავი დაუქნია.

— ჩემის აზრით, საინტერესოა. ძალიან ვწუხვარ, რომ თვითონ არ ესწრება თათბირს. ზოგიერთი რამ სადაოდ მიმაჩნია და მინდოდა პირადად მესაუბრა ბარათის ავტორთან.

კარი ხმაურით გაიღო. ოტო შეკრთა და მოტრიალდა.

— თავს როგორა გრძნობს მთვარის დედოფალი? — იკითხა ... სულმა და შუა ოთახში გაჩერდა.

რუსუდანმა პირი დააღო, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა. სიტყვა ყელში გაეჩხირა. თვალებზე ცრემლი მოადგა. მერე თვალთ დაუბნელდა. აღარ ახსოვს, როგორ წამოვარდა სკამიდან, როგორ მიიჭრა მოსულთან და კისერზე ჩამოეკიდა.

— ნოდარ!

ოტომ ჩაახველა.

— მაპატიეთ, — თქვა მან, — მე ეზოში გავისეირნებ.

რუსუდანი დაიბნა.

— ჰო, მართლა, გაიცანით. აკადემიკოსი ოტო ბრუვცეხი.

— სასიამოვნოა, — თქვა ნოდარმა.

ოტომ ოდნავ დახარა თავი და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

რუსუდანი ნოდარს უყურებდა, ნოდარი რუსუდანს და სულელურად ეღიმებოდათ.

— ჩვენი მოხუცი როგორ არის? — იკითხა ნოდარმა.

— უკეთ.

— ექიმები რას ამბობენ?

— საშიში არაფერია.

— ნახვა შეიძლება?

— არ ვიცი.

— შეიძლება. — მოისმა მეორე ოთახიდან.

საწოლი ოთახის კარში პროფესორი იდგა ხელებგაშლილი. ნოდარი პროფესორს გადაეხვია, ბავშვივით აიტაცა ხელში და ლოგინში ჩააწვინა. ჯანდიერი მძიმედ სუნთქავდა. შეწუხებული სახე ჰქონდა, თუმცა ტუჩებზე ღიმილი არ შორდებოდა.

— აღარ მოვკვდები, აღარ, — ჩურჩულებდა იგი, — მომკიდე ხელი, მე მინდა დავრწმუნდე, რომ ეს სიზმარი არ არის... ნოდარ, ნოდარ, ვინ იფიქრებდა, რომ... როგორა ხარ?

— კარგად.

— კარგად იყავი, შვილო ჩემო. მე, როგორც ხედავ, ძალიან დავძაბუნდი. მალე თადარიგში მომიწევს გასვლა.

— მაგას ნუ ამბობთ, ჩვენ ერთად უნდა გავფრინდეთ მარსზე.

ჯანდიერს ნაძალადევად გაეღიმა.

— არა.

— რატომ არა? თქვენ ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მადლობელი ვარ. ვიცოდი, რომ ჩემი გჯეროდა. დღეს ალბათ მოს თათბირია დანიშნული. მოხსენება უკვე მზადა მაქვს, მაგიდაზე დევს. გაეცანი და თუ რამე გაურკვეველი იყოს, სერგეის შეეკითხე. ნეტავ გამოცდა ნორმალურად ჩატარებულიყო და... შენ ალბათ არ იცი, რომ...

— ვიცი, უკვე ვიყავი აკადემიაში.

ჯანდიერმა თვალები დახუჭა.

— ალბათ იმასაც გაიგებდი, რომ...

— ყველაფერი შევამოწმე. გაანგარიშებაში შეცდომა არ არის. მე ვფიქრობ...

— საქმეზე სხვა დროს. ახლა მარტო დამტოვე. მე მინდა ვიოცნებო.

ნოდარმა საბანი გაუსწორა პროფესორს და ფრთხილად გამოვიდა ოთახიდან. იქვე რუსუდანი ელოდებოდა.

— როგორ არის? — იკითხა რუსუდანმა.

— გამოცვლილია, ძალიან გამოცვლილია. — დაფიქრებით თქვა ნოდარმა, — ეტყობა, შუშხუნის გამოცდის წარუმატებლობამ ძალიან იმოქმედა.

— და შენზე ფიქრმა...

— ჰო, ჩემზე ფიქრმაც, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის.

— მომავალში უფრო ფრთხილად უნდა იყო.

ნოდარი ზურგშექცევით იდგა და ფანჯარაში იყურებოდა.

— ფრთხილად? — გაიმეორა მან, — ჰო, ფრთხილად უნდა ვიყო, მაგრამ, ვინ იცის, კაცს როდის რა შეემთხვევა. ვინ?... არავინ!

— ნოდარ!

— რა?

რუსუდანი ყოყმანობდა.

ნოდარი უცებ მოტრიალდა. რუსუდანი თავდახრილი იდგა.

— რუსუდან, ხვალიდან შენ სხვებთან ერთად დაიწყებ ვარჯიშს. ჩვენ მარსზე უნდა გავფრინდეთ.

— მე?

— შენც და მეც, ასე გადაწყვიტეს. ესეც არ იყოს, მე მინდა...

— რა?

— მე მინდა, შენ ჩემთან ერთად იყო. გამიგონე, რუსუდან, მე იქ, ტატრებში, ბევრი ვიფიქრე. ვიფიქრე ყველაზე და ყველაფერზე, ვიფიქრე შენზეც.

— ჩემზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, შენზე და მტკიცედ გადავწყვიტე.

— რა?

— ჩვენ მარსზე ერთად გავფრინდებით. ეს ჩვენი საქორწინო მოგზაურობა იქნება. ხვალვე მოვაწერთ ხელს, დღესვე, ამ წუთში.

რუსუდანმა თავი ვეღარ შეიკავა, სახეზე ხელები აიფარა და გარეთ გავარდა.

„უცრემლოდ მაინც არ მოხერხდა“, — გაიფიქრა ნოდარმა და ღრმად ამოისუნთქა.

ოთახში შეშინებული ზაზა შემოვარდა.

— რამ გადარია ეს გოგო? — იკითხა ზაზამ, — ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობაა. — უპასუხა ნოდარმა.

— აბა რუსუდანს რა მოუვიდა?

ნოდარმა არაფერი უპასუხა.

გაოგნებული ზაზა დივანზე ჩამოჯდა.

მოსაღამოვდა. უკანასკნელად გაიზმორეს ხეთა ჩრდილებმა და გაჰქრენ. სტუმრებმა ჯგუფ-ჯგუფად იწყეს მოსვლა. რვა საათისთვის ყველანი შეგროვდნენ. მხოლოდ სერგეი არ ჩანდა. ჯანდიერის ოთახიდან ხმადაბალი ლაპარაკი მოისმოდა. რუსუდანი და ნოდარი სწორედ თათბირის დაწყების წინ მოვიდნენ. ნოდარი ჩაფიქრებული იყო. რუსუდანი დაბნეული და ნამტირალევი.

— შენ წადი, მოისვენე, პროფესორს მე ვეტყვი.

რუსუდანმა მორჩილად დახარა თავი.

ნოდარი ოთახში შევიდა. ყველას სათითაოდ მიესალმა, ჯანდიერის გვერდით ლოგინზე ჩამოჯდა და სუფრას გადახედა. მაგიდაზე მსუბუქი ვახშამი გაეწყოთ. სტუმრები მაგიდის გარშემო ისხდნენ. აქ იყვნენ: ინგლისელი აკადემიკოსი ჯემს გოლდონი, მაღალი, ხმელი მამაკაცი და მუდამ მოღიმარი ნუშისთვალება ჩინელი ვანი, ჩეხი ზომერი და ფრანგი ოჟერო, აკადემიკოს ტიხოვის ღირსეული მოწაფე სკოროხოდოვი, ერევნის მაღალმთიანი ობსერვატორიის თანამშრომელი ტიგრან ვართანიანი და უკრაინელი კოცუბა. ოტო ფანჯარასთან იდგა. ესენი იყვნენ ჯანდიერის უახლოესი მეგობრები და კოლეგები.

პროფესორმა სტუმრებს თვალი გადაავლო.

— ბატონებო, — თქვა მან და ლოგინზე წამოიწია, — უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის, სასიამოვნოა, რომ კვლავ ერთად შევიკრიბეთ. ჩვენ ყოველთვის კეთილსინდისიერად ვემსახურებოდით კოსმოსის ათვისების საქმეს, გამოცდილებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ენერგიას არ ვიშურებდით... ერთი სიტყვით, მოხდა არასასურველ მოვნო ფაქტი. შუშხუნა სასტენდო გამოცდის დროს აფეთქდა. მე ალბათ შეცდომა გამეპარა. საჭიროა მისი დროზე აღმოჩენა. მარსის დედამიწასთან უახლოესი თანდგომის პერიოდი ერთი თვის შემდეგ დადგება. გაფრენა დანიშნულია მომავალ თვეში. გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები გაგვიზიაროთ.

ჯანდიერი ბალიშზე მიესვენა და თვალები დახუჭა.

ნოდარი თავდახრილი იჯდა. სტუმრებმა ჩურჩული გააბეს. ოტო ბრუვცეხი მაგიდასთან მივიდა და ღვინო მოსვა.

ნოდარმა თავი ასწია.

— ამხანაგებო, — თქვა მან, — ცნობილია, რომ მარსის თანდგომის პერიოდში ყველაზე ხელსაყრელი პირობებია, როგორც ამ შორეული პლანეტის შესასწავლად, ასევე მის „დასაპყრობად". პროფესორ ჯანდიერის წინასწარი გამოთვლები საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში დაიფაროს მანძილი დედამიწასა და მარსს შორის. პროფესორი შეცდა, მაგრამ შეცდა არა ძრავის გაანგარიშებაში, არამედ იმ პირობების გათვალისწინებაში, რომლებიც მოსალოდნელი იყო ფრენის დროს. მზის ქრომოსფეროს აფეთქება და დედამიწის მაგნიტური ველის საზღვრების მერყეობა, როგორც ირკვევა, უშუალოდ არის დაკავშირებული სამყაროს მექანიკის კანონებთან. ჯერჯერობით აქ გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ მე ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, თუ მოგაგონებთ, რომ...

ნოდარმა თანდათანობით სძლია უხერხულობას და უფრო თამამად დაიწყო საკუთარი აზრის განვითარება.

სტუმრები გულისყურით უსმენდნენ.

— ახლა მთავარია დავსახოთ მარსზე ჩასატარებელი სამუშაოების სწორი გეგმა. ჩვენ დროით შეზღუდულნი ვართ. ვერ მოვახერხეთ მარსიდან მიღებული ბარათის გაშიფვრა, მარსზე ძლავრი, კინეტიკური ენერგიის რადიოტალღების ცენტრის დაზუსტება. მარსის პლანეტის ფერისცვლა, გამუდმებული ქარიშხლები — სამყარო სავსეა ჩვენთვის უცნობი სიგნალებით. ჩვენ უფლება არ გვაქვს გულხელდაკრეფილი ველოდოთ, როდის გაგვიღებს კარს შორეული მარსი. ეს კარი ჩვენ თვითონ უნდა შევაღოთ.

ნოდარს გაეღიმა.

— რასაკვირველია, თქვენი დახმარებით.

ოტომ ჩაახველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეფექტურ საწვავზე ბევრნაირად არის დამოკიდებული ფრენის ხანგრძლიობა. — თქვა მან.

ჯანდიერმა თვალები გაახილა.

— ყველაფერი, რაც შუშხუნის ძირეულ გადაკეთებას არ მოითხოვს, მისაღებია.

— ძრავას ხელს არ ვახლებთ. გახსოვთ, მე ადრეც გთავაზობდით, მაგრამ მაშინ, სიმართლე გითხრათ, თვითონაც არ ვიყავი კარგად დარწმუნებული. ახლა, როდესაც ბერილიუმის მარილი საბოლოოდ დაიშალა შემადგენელ ატომებად, მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ... თუმცა რაღა სიტყვა გაგიგრძელოთ, აქ ყველაფერი გარკვევით წერია, — თქვა ოტომ და შუაზე გაკეცილი ქაღალდი გაუწოდა ჯანდიერს. ჯანდიერმა თვალი გადაავლო ფორმულებს, კმაყოფილების ნიშნად თავი დააქნია და ქაღალდი ნოდარს გადასცა.

ილაპარაკა ვანმაც. იგი ლაპარაკობდა ნელა და საჭირო სიტყვების გამონახვა უჭირდა. ყოველ სიტყვაზე იღიმებოდა. ხშირად იშველიებდა ხელებს და ბოლო სიტყვებს მინამღერივით აგრძელებდა.

ფრანგმა ოჟერომ ორიგინალური კონსტრუქციის ავტომატური ობსერვატორიის მაკეტი შესთავაზა ჯანდიერს. ავტომატური ობსერვატორია მომავალ კოსმონავტებს უკან დაბრუნებისას მარსზე უნდა დაეტოვებინათ.

თათბირის დასასრულს ილაპარაკა ინგლისელმა გოლდონმა და ჩეხმა ზომერმა. მათ გააშუქეს კოსმოსური სიგნალების გამომწვევი მიზეზები და საკმაოდ საინტერესო ჰიპოთეზები წამოაყენეს.

გადაწყდა: შუშხუნის ძრავის მორიგ გამოცდამდის მეცნიერები თბილისში დარჩებოდნენ.

თათბირი დამთავრდა. სტუმრები უნდა დაშლილიყვნენ, რომ რთახში სერგეი შემოვიდა. სახე უბრწყინავდა. ღელავდა, ხელში შავი ყუთი ეჭირა.

— არა, რატომ აქამდის ვერ მოვიფიქრე, — ამბობდა იგი, — თქვენ წარმოგიდგენიათ... ეს ხომ სრულიად იოლი მოსაფიქრებელი იყო. არა, თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ!

— რა მოხდა? — იკითხა ჯანდიერმა.

— ერთი წუთით, ერთი წუთით, ბატონებო! — განაცხადა სერგეიმ, — მომეცით ზეწარი!

— ზეწარი რად გინდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ მეკამათებით. არა, თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ, ეს ალბათ არის ზეწარი?

— გაგვაგებინე, რა მოხდა?

სერგეიმ ხელი ჩაიქნია, საწოლთან მივიდა და ჯანდიერს ზეწარი გამოაცალა. ორად გაკეცა და რის ვაივაგლახით პლასტმასის კედელზე დაამაგრა. მერე მაგიდა მისწია.

— თქვენ აქეთ დასხედით, ბატონებო, — გამოაცხადა სერგეიმ და სტუმრებს ზეწრის მოპირდაპირე მხარეზე მიუთითა.

სტუმრები დაემორჩილნენ.

სერგეიმ შავი ყუთი მაგიდაზე დადო, ობიექტივი სახელდახელოდ გაკეთებულ ეკრანს დაუმიზნა, ელექტროქსელში ჩართო და შუქი გამოთიშა. ოთახში ჩამობნელდა. ეკრანი მრგვალმა შუქმა გაანათა.

— ბატონებო, თქვენ ახლა იქნებით ისტორიული ტრაგედიის მომსწრე... არა, რატომ აქამდის ვერ მოვიფიქრე, — ცხარობდა სერგეი.

სტუმრები მოთმინებით ელოდნენ. სერგეიმ მარსიდან მიღებული დასურათებული გრაგნილი ობიექტივსა და დენის წყაროს შორის ჩადო და ობიექტივი დააფოკუსა.

ეკრანზე უცნაური ფორმის ნაგებობანი გამოიკვეთა. კიდევ წუთიც და გაყინული სურათი ამოძრავდა. გვირაბისმაგვარ ნაგებობიდან უწესრიგოდ ამორბოდნენ ადამიანის მსგავსი ცხოველები, პირს აღებდნენ, ეტყობოდა, რაღაცას ყვიროდნენ და გარბოდნენ.

სერგეიმ გრაგნილი გადასწია.

ეკრანი ძლიერმა აფეთქებამ დაფარა. თუმცა სურათს არავინ ახმოვანებდა, მაგრამ დამსწრეებმა გარკვევით გაიგონეს გრუხუნის ხმა. რაღაც ნაგებობა ძირფესვიანად დაინგრა. ეკრანი მტვრის კორიანტელმა დაფარა.

სერგეიმ ისევ გადასწია გრაგნილი.

ეკრანზე გრძელი დერეფანი გამოჩნდა. დერეფნის ბოლოს ოთახში უცნაური ფორმის მაგიდასთან რაღაცეები ისხდნენ.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ესენი ადამიანები არიან? — თქვა ვიღაცამ.

ადამიანის მსგავსი ცხოველები „ჩაფიქრებულები“ იყვნენ. მერე ერთდროულად ასწიეს „თავები“ და ერთ წერტილს ჩააშტერდნენ. ეკრანზე მზის სამყარო გამოჩნდა, რიგრიგობით ყველა პლანეტა. ბოლოს ლურჯ ბურუსში გახვეული დედამიწა. მერე ისევ ოთახი. უცნაურმა „ადამიანებმა“ „თავები“ გააქნიეს. ჩვენება გაქრა. ეკრანზე მორიგი პლანეტა — ვენერა გამოჩნდა. ამჟამად ადამიანის მსგავს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა ცხოველებმა „კმაყოფილებით“ დააქნიეს „თავები“. ჩვენებაზე გაჩერა. გამოჩნდა ვრცელი, ხრიოკი მინდორი. მინდორზე უცნაური ფორმის მანქანები იდგნენ. შეშინებული „ხალხი“ მანქანებში სხდებოდა. ისევ აფეთქება. მანქანებს ცეცხლის ზოლი გამოებათ და ზევით ავარდნენ. მერე ეკრანი ერთი წუთით დაბნელდა, როცა განათდა, ჯერ დედამიწა გამოჩნდა, მერე ვენერა. ეკრანი ტეხილმა ხაზმა გაყო ორად. ხაზი ვენერას მოეხვია გარშემო. კიდევ ცოტა ხანი და ეკრანი საბოლოოდ დაბნელდა.

სერგეიმ ჩამრთველი გადაატრიალა. ოთახი განათდა. სტუმრები მოჯადოებულები ისხდნენ. სერგეიმ გრაგნილი დაახვია და ოფლი მოიწმინდა.

— მაშ ასე, ბატონებო! — თქვა მან, — ბარათის საიდუმლოებას ფარდა აეხადა. თქვენ მოწმენი გახდით იმ დიდი ტრაგედიისა, რომელიც, როგორც ეტყობა, ამ უკანასკნელ პერიოდში მარსზე დატრიალდა. ვიმეორებ, — მარსზე, თუ, რასაკვირველია, ბარათი მარსიდან იყო გამოგზავნილი.

— მე ამაში ეჭვი არ მეპარება, — თქვა ჯანდიერმა.

— როგორ გითხრათ, ადრე მეც გეთანხმებოდით, მაგრამ ამ ბოლო დროს ცოტა ეჭვი შემეპარა. მართალია, გადაჭრით არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ... ერთი სიტყვით, ვნახოთ, შორს აღარ არის ის დღე, როდესაც ჩვენი შუშხუნა მარსს მიაღწევს და მაშინ ყველაფერი თავისთავად გაირკვევა.

— დავუშვათ, ბარათი მარსიდან არ არის გამოგზავნილი, თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს მთელი ეს აბდაუბდა, რომელიც ჩვენ ეს წუთია ვნახეთ? — იკითხა ოტო ბრუვცეხმა. — ან, საერთოდ, რომელ ტრაგედიაზეა ლაპარაკი.

— ნუთუ ვერაფერს მიხვდით?

ოტომ თავი გააქნია.

სერგეიმ დანარჩენებს გადახედა. სტუმრები თავდახრილები ისხდნენ. ჯანდიერი თვალდახუჭული იწვა. ნოდარი ნერვულად აწვალებდა ახლად ამოსულ წვერს.

— კეთილი, შეეცდები გაგარკვიოთ, — თქვა სერგეიმ, — ვიმეორებ, ყველაფერ ამას შესაძლოა არავითარი კავშირი არა აქვს მარსთან, მაგრამ ერთი რამ ცხადია: რომელიღაც პლანეტაზე, რომელსაც ჩვენ შეიძლება საერთოდ არც კი ვიცნობდეთ, საგრძნობლად გაუარესდა სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობები. ადგილობრივი მკვიდრნი სიცოცხლის შესანარჩუნებლად პანიკურად სტოვებენ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო პლანეტას. მაგრამ ისმის კითხვა: სად აპირებენ ისინი გადასახლებას? ამ კითხვაზე პასუხს ბარათი იძლევა: ან დედამიწაზე, ან ვენერაზე. ახლა დავიწყოთ თავიდან: ჩვენ ვნახეთ უჩვეულო გვირაბები, საიდანაც რაღაც ცხოველები ამოდიოდნენ. ვიფიქროთ, რომ ეს ცხოველები აზროვნებენ. შემდეგ ვნახეთ ძლიერი აფეთქება, ეს ნიშნავს კატასტროფას. აფეთქების შემდეგ რაღაც შენობები დაინგრა. მერე გამოჩნდა გრძელი დერეფანი და ოთახი. აქ ეს მოაზროვნე ცხოველები ფიქრობენ. ვინ იცის, იქნებ მათ ამ პლანეტის „ადამიანთა" ბედი აბარიათ. შემდეგ ვნახეთ მათი ჩანაფიქრი. ეა არის ჩვენი მზის სისტემა — დედამიწა და ვენერა. დედამიწა, ეტყობათ, არ აწყობთ. ისინი უარყოფითად აქნევენ „თავებს". სამაგიეროდ, ვენერა აკმაყოფილებთ. მერე გამოჩნდა ვრცელი მინდორი, რაღაც მანქანები. მე ვფიქრობ, ეს მანქანები შუშხუნებია. მაგრამ ისინი თუ ჩვენ შუშხუნებს არ ჰგავს, ეს კიდევ არაფერს ნიშნავს. ვინ იცის, იმ პლანეტას როგორი მიზიდულობა აქვს. იქნებ იქ სრულიადაც არ არის საჭირო შუშხუნის იმ ფორმების დაცვა, რომლებსაც ჩვენ აქ დედამიწაზე ვიყენებთ. ერთი სიტყვით, მოაზროვნე ცხოველები შუშხუნებში სხდებიან და ჩვენთვის უცნობ პლანეტას სტოვებენ. ახლა მოგაგონებთ ჯანდიერის უკანასკნელ აღმოჩენას. პროფესორმა მარსის პლანეტაზე შეამჩნია ძლიერი აფეთქების წყაროები. ყოველ ასეთ აფეთქებას ჩვენს ატმოსფეროში მეტეორიტის დაფერფვლა ემთხვეოდა. ბოლოს ჩვენ მოწმენი გავხდით უცხო სამყაროდან გამოგზავნილი შუშხუნისა. თითქოს ეჭვს გარეშეა, რომ თქვენს მიერ ახლახან ნანახი მოვლენები მარსზე განვითარდა, მაგრამ თუ ასეა, მაშინ რატომ ეკრანზე ნანახი შუშხუნები არ გვანან კრატერში აღმოჩენილ შუშხუნას? უფრო მეტიც, სულ ბოლო კადრზე აღბეჭდილია პლანეტა ვენერა, რომელსაც ტეხილი ხაზი უახლოვდება და გარშემო ეხვევა. ტეხილი ხაზი რომ მარსის პლანეტიდან მოდიოდეს, მაშინ ბარათის ავტორებს არ გაუჭირდებოდათ ამ პლანეტის ჩვენებაც. მაგრამ მთელ ბარათში ერთხელაც კი არ უჩვენებიათ მარსის პლანეტა. რა შეიძლება დავასკვნათ აქედან? მე ვფიქრობ, ჩვენ აქ ორ სხვადასხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. მარსზე მომხდარ აფეთქებებსა და ბარათს შორის კავშირს ვერ ვხედავ. ბარათი, ჩემი აზრით, სულ სხვა სამყაროდან არის გამოგზავნილი. მართალია, ჯერჯერობით ძნელია იმ სამყაროს, ან იმ პლანეტის დასახელება, საიდანაც ბარათი გამოგზავნეს, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ბარათის შემდგომი შესწავლა ამ საკითხსაც გაარკვევს, ჯერ ტექსტი გაუშიფრავია. ვინ იცის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანდიერმა ველარ მოითმინა.

— თქვენი მოსაზრება მცდარია! — წამოიძახა მან, — ბარათი მარსიდან არის გამოგზავნილი. ყოველ შემთხვევაში, უახლოესი პლანეტიდან. არც ერთ სხვა სამყაროდან დედამიწის დანახვა არ შეიძლება.

— ცდებით, ბატონო პროფესორო, არც პლუტონი ჩანს დედამიწიდან, მაგრამ მეცნიერებმა ზუსტად განსაზღვრეს ჩვენი მზის მეცხრე თანამგზავრის ადგილსამყოფელი. ხომ არ გავიწყდებათ, რომ იგი თეორიულად იქნა აღმოჩენილი და დღესაც ვერავინ ახერხებს მის დანახვას ყველაზე ძლიერი ტელესკოპითაც კი.

— ეგ არაფერს არ ნიშნავს. პლუტონი რაც არ უნდა იყოს, ჩვენი მზის სისტემაში შედის.

— მე კი პირიქით ვფიქრობ.

კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო. ორივე მეცნიერს თავისი აზრის დასაცავად უამრავი არგუმენტი გააჩნდა.

მეცნიერთა აზრი გაიყო.

რუსუდანმა მთელი ორი საათი იწრიალა ლოგინში. არ იქნა და არა, თვალებს რული არ მოეკიდა. გონება სავსე იყო მოულოდნელი, ძლიერი შთაბეჭდილებებით. ხან ეს სიზმარი ეგონა, ხან ეჩვენებოდა, რომ ნოდარი მხოლოდ გაეხუმრა, ხან იჯერებდა ყველაფერს. იგონებდა ყოველ წვრილმანს. ეღიმებოდა, ტიროდა, იცინოდა და ისევ ტიროდა.

რუსუდანი ღია სარკმელში კვიპაროსების წვეროებს გაჰყურებდა, ცაზე გაფანტული ვარსკვლავები იღიმებოდნენ. მთვარის ვერცხლისფერი შუქი იატაკიდან ლოგინზე აცოცდა და სიყვარულით გაბრუებულ გულს მოეალერსა. სადღაც შორს, ძალიან შორს ადამიანების ხმები ისმოდა.

რუსუდანი ადგა. ხალათი გადაიცვა და გარეთ გავიდა. ღამე ჩურჩულით შემოეხვია ტანზე. წყაროსკენ გაემართა. ბალახი შრიალებდა ფეხქვეშ. ნამმა ქოშები დაუსველა. რუსუდანს გააჟრჟოლა. თავი ასწია და შედგა.

წყაროსთან ვიღაც იჯდა.

რუსუდანმა იცნო, წამოეპარა და ზურგს უკან დადგა. ერთ ხანს სდუმდა.

— ღამით აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ბოლოს.

ზაზა შეკრთა. მოტრიალდა. მაგრამ სიტყვა არ უთქვამს. ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახარა თავი, პატარა კენჭი აიღო და გუბეში ისროლა. წყლის მზეფებმა მთვარის შუქზე ვერცხლისფრად გაიელვეს.

— არ გეძინება?

— როგორც ხედავთ.

— რაზე ფიქრობდი?

— ვოცნებობდი.

რუსუდანი ზაზას გვერდით მოუჯდა. ხელები მუხლებზე შემოიდო და ნიკაპით მუხლის თავს დაეყრდნო.

ზაზამ ისევ აიღო კენჭი, მაგრამ გუბეში აღარ ისროლა და იქვე ფეხებთან დააგდო.

— შენ რატომ არ გძინავს?

— არ მეძინება.

— შეგცივა.

— არა!

ისხდნენ ჩუმად. წყარო უსმენდა მათ, რაკრაკით ესიტყვებოდა და მათი ნაფიქრალი თან მიჰქონდა. ჯანდიერის ოთახში შუქი ენთო. იქ ჯერ კიდევ კამათობდნენ. რუსუდანმა სმენა დაძაბა, უნდოდა ნოდარის ხმა გაეგონა, მაგრამ ხმები ისე იყო ერთმანეთში არეული, რომ ვერ გაარჩია.

— პროფესორს ღამის თევა აწყენს, — თქვა ზაზამ.

რუსუდანმა ამოიოხრა.

ზაზამ შეხედა. ერთ ხანს უყურა და მერე ისევ დახარა თავი.

— წელან რა გატირებდა? — იკითხა ზაზამ.

რუსუდანი სდუმდა.

— არ გინდა მითხრა? გგონია მე არაფერი ვიცი?

რუსუდანმა არც ამჯერად უპასუხა.

ზაზამ კენჭი აიღო და გუბეში ისროლა. უცებ რუსუდანს ძლიერ მოუნდა ლაპარაკი.

— ზაზა, — თქვა მან.

— რა?

— შენ სხვანაირად ხომ არ იფიქრებ?

ზაზამ თავი გააქნია, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, რის თქმას აპირებდა ქალიშვილი. რუსუდანი უცებ ალაპარაკდა. ჰყვებოდა დაწვრილებით. ჰყვებოდა როგორ უყვარდა ნოდარი, როგორ ოცნებობდა დღევანდელ დღეზე. როგორ ეშინოდა ამ დღის. მერე როგორ ყველაფერი უეცრად მოხდა. არაფერი დაიტოვა გულში და შვებით ამოისუნთქა.

— ო, რა კარგია, როცა უყვარხარ ვინმეს, — ჩურჩულით ამბობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იგი, — შეხედე ზეცას, როგორ სხვანაირად ციმციმებენ ვარსკვლავები. მთვარეც სხვანაირია დღეს. მე ხომ მას კარგად ვიცნობ, მაგრამ ახლა ნამდვილად სხვანაირია. შენ გგონია, წყარო რაკრაკებს მხოლოდ? არა, იგი სიყვარულზე მღერის, თავის ტოლს ეძებს და ამ უსასრულო ძებნაში ილევა.

— გეყოფა, — შეევედრა ზაზა.

— არა, შენ ერთი შეხედე ზეცას, — არ ეშვებოდა რუსუდანი.

ზაზამ თავი ასწია.

სამყარო სიყვარულით იყო გაჟღენთილი, ცა — უსასრულოდ შორს.

„არა, ხვალ უეჭველად უნდა ვნახო“, — გაიფიქრა ზაზამ და ბალახებში გულალმა გაწვა.

## მისტერ ო'ბრაინი

რუსუდანი, ზაზა და ნოდარი მეორე დღეს ერთად წავიდნენ აკადემიაში. ნოდარი უხასიათოდ იყო, ხმას არ იღებდა და თავისთვის ფიქრობდა. რუსუდანი შეშფოთებული უყურებდა მას. რამდენჯერმე დააპირა გამოლაპარაკება, მაგრამ ნოდარმა არ უპასუხა. ზაზა ვახტანგის გვერდით იჯდა. გაშტერებული უყურებდა გზას და მედიკოზე ფიქრობდა. სერგეი ჯანდიერთან დარჩა. პროფესორს გათენებისას სიცხემ აუწია და ცუდად გახდა.

არც აკადემიაში ამოუღია ხმა ნოდარს. მართალია, ექიმების ყოველ მოთხოვნას პირნათლად ასრულებდა, მაგრამ მის მოძრაობაში იყო რაღაც ძალდატანებითი, უხალისო. თორმეტი საათისთვის რუსუდანი და ნოდარი წვრთნას მორჩნენ და ზევით ავიდნენ. ზაზამ კოსმოფოტოლაბორატორიაში შეიარა. მთელი სამი საათი თავაუღებლივ იმუშავა და მხოლოდ ოთხი საათისათვის განთავისუფლდა. იმ წუთშივე დარეკა, პროფესორი მოიკითხა.

— კრიზისმა გაიარა, ახლა უკეთ არის, — უპასუხა ქალის ხმამ.

ზაზა უაზროდ დახეტიალობდა აკადემიის ბაღში. მედიკოზე ფიქრი გულს ულრღნიდა.

„არცერთ საავადმყოფოში არ არის,—ფიქრობდა იგი,—იქნებ უკვე გამოჯანმრთელდა და გამოსწერეს. ან იქნებ?.. არა, აქ რაღაც სხვა ამბავია... რატომ მალავენ ასე გულმოდგინედ მედიკოს ამბავს? აგერ, უკვე რამდენი ხანია თბილისში ვარ და ერთხელაც არ უხსენებიათ მისი სახელი. პროფესორი თითქოს განგებ ერიდება ამ თემაზე ლა-

პარაკს. არც სერგეის, არც რუსუდანს ერთი სიტყვა არ დაუცდენიათ. ვახტანგმა სიტყვა ბანზე ამიგდო... ნუთუ ფსიქიატრიულშია?.. არა, არა, არა! რას ამეკვიატა ეს ფსიქიატრიული? ალბათ აქ სხვა მედიკოზეა ლაპარაკი. მაგრამ თუ ასეა... რა უნდა ვუთხრა, უცებ რომ შემხვდეს? მიცნობს კი? რომ ვერ მიცნოს, მაშინ რა ვქნა? რა უნდა ვქნა, ავდგები და ყველაფერს ვეტყვი, ყველაფერს მოვაგონებ. რა უნდა მოვაგონო? მოსაგონიც კი არაფერია. მედიკო! როგორ გაკვირვებული მიყურებდა, როდესაც ვუთხარი: შენი სახე თან წამყვება-მეთქი... ნეტავ ერთხელ თუ მაინც გავახსენდი? ან რატომ უნდა გავხსენებოდი? რა ჩქარა გარბის დრო. როგორ ყველაფერი სიზმარსა ჰგავს. ან იქნებ მართლა ყველაფერი სიზმარი იყო".

ზაზას გაეღიმა, მაგრამ ისევ მოეღუშა სახე და ტუჩები უფრო მაგრად მოკუმა.

„ან რა ჯანდაბამ შემახვედრა ეს გოგო მთაში, — ფიქრობდა იგი, — ნეტა სულ არ მენახა".

ზაზას ფიქრებმა ოცნების ფრთები შეისხეს: აი, იგი მარსის პლანეტაზეა. შუშხუნიდან გადმოდიან, წინ რუსუდანი და ნოდარი მიდიან. ზაზა მედიკოს ჩამოსვლას ელოდება. თვითონ მედიკო შუშხუნის ბოლო საფეხურიდან ჩამოხტა და ზაზას გვერდით დადგა. სკაფანდრიდან უღიმის, რაღაცას ანიშნებს. ყურებთან დამაგრებულ მიმღებში მედიკოს ხმა ისმის.

ზაზამ ყურებზე მიიჭირა ხელი. ოცნება დაიმსხვრა. მოსახვევში ცარიელი მანქანა გამოჩნდა.

— ტაქსი! — იყვირა ზაზამ და შუა ქუჩაში გავარდა. მძღოლმა ძლივს მოასწრო მანქანის დამუხრუჭება. ზაზა სწრაფად ჩაჯდა მანქანაში.

— საით? — იკითხა მძღოლმა.

— ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

მძღოლმა ზაზა აათვალ-ჩაათვალიერა. მერე საათს შეხედა. ღამის ათი საათი იყო. მანქანა ადგილიდან მოწყდა.

მძღოლმა ცალი ხელი გაუშვა საჭეს და პაპიროსის კოლოფი გამოსწია.

— მოსწიეთ, — თქვა მან.

— არ ვეწევი.

მძღოლმა ელექტროასანთს გაჰკრა, პაპიროსს მოუკიდა და კვამლი ღრმად შეისუნთქა.

— ბედნიერი კაცი ხართ, — თქვა მან, — აი, მე სულ მინდა პაპიროსს თავი დავანებო და ვერ მოვახერხე. ამბობენ, ნებისყოფაზეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოკიდებულიო. ნებისყოფა თითქოს არ მაკლია, ოჯახში ძალიან „მაგარი“ ვარ, მაგრამ პაპიროსს მაინც ვერ დავანებე თავი. თქვენ არ ეწეოდით?

— არა.

— ყოჩაღ. აბა კაცი თქვენა ყოფილხართ. მე რომ არ ვეწეოდე, უეჭველად შევეჩვეოდი. არც ისე მავნებელია, როგორც ექიმები ამბობენ. აი, მე, ოცდაათი წელია... პა, პა, პა, პა, ლაპარაკში კინაღამ გავცდით. — შეწუხდა მძღოლი და მანქანა დაამუხრუჭა.

— გმადლობთ, — თქვა ზაზამ და მანქანიდან ჩამოვიდა. მიიხედ-მოიხედა, შენობა ვერსად ვერ შეამჩნია, მერე უფრო კარგად დააკვირდა და ბაღის სიღრმეში ორსართულიანი სახლი დაინახა.

ზაზა კარისაკენ გაემართა. კარი დაკეტილი დახვდა. სუსტად განათებულ პატარა აბრაზე დიდი ასოებით ეწერა:

„ფსიქიატრიული საავადმყოფო“.

დარაჯის ჯიხური არ ჩანდა. ზაზამ სხვა კარს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერსად შეინიშნა. მერე რკინის მაღალ ღობეს შეხედა და თვალით მოზომა სიმაღლე.

„გადავძვრები“, — დაასკვნა მან და მეორე მხარეს გადაცოცდა. ჩახტა, ამოჩაჩული ხალათი გაისწორა და მხოლოდ ახლა შეეკითხა საკუთარ თავს:

„მერე, მერე რის გაკეთებას აპირებ?“

ბაღში ბნელოდა და რაღაც განსაკუთრებული სიჩუმე იყო. ზაზა ფართოდ გაღებული თვალებით უყურებდა ჩაშავებულ ჩრდილებს. რაღაც მოელანდა კიდეც, მაგრამ როგორც კი დაახამხამა თვალები, ჩვენება გაჰქრა. ზაზამ სმენა დაძაბა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ფრთხილად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და შენობა რომ უკეთ დაენახა, ჩაცუცქდა. ხშირ ფოთლებს შორის ორსართულიანი სახლი გამოჩნდა.

„მერე რა? — გაიფიქრა ზაზამ, — ახლა ალბათ ძალიან გვიან არის, ყველას სძინავს“.

მერე მორიგე ექიმი გაახსენდა და ცოტათი დამშვიდდა.

„მორიგე ექიმს აუცილებლად ეღვიძება, — დაასკვნა მან, — მაგრამ არ იტყვის, ამ შუაღამეს რამ მოგიყვანაო. მერე, ერთიც ვნახოთ, მედიკო აქ არ იყოს. მაშინ რაღა ვქნა? რა სულელი ვარ, ღამე აქ წამოსვლა რამ მაფიქრებინა. ქურდივით გადმოვიპარე. ვინმეს რომ დავენახე, რას იტყოდა. სანამ გვიან არ არის, უკან უნდა დავბრუნდე. ხვალ, როგორც კი წვრთნას მოვრჩები, პირდაპირ აქ მოვალ“.

ზაზამ უკან დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ რაღაც იდუმალმა

ძალამ ფეხები შეუბორკა და ნაბიჯი ვერ გადადგა. გული არ უწევდა უკან. გონება არ ემორჩილებოდა სურვილს და მაინც გულმა გაიტანა. ზაზა შენობისაკენ წავიდა. მიდიოდა ფრთხილად. ყველაფერს აკვირდებოდა. ყურს უგდებდა. უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ბაღში მის გარდა არავინ იყო. ხშირ-ხშირად იყურებოდა უკან. ახლა რკინის ღობე უკვე აღარ ჩანდა. წყვდიადში გაეხვია.

გრილოდა.

ზაზა შენობას მიუახლოვდა და შესასვლელის ძებნაში გარშემო შემოუარა. კარი ვერსად შეამჩნია, ხელმეორედ შემოუარა, მაგრამ ამაოდ.

შედგა და საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ ეშინოდა.

რატომ?

თვითონაც ვერ გაგცემდათ ამ კითხვაზე პასუხს, მაგრამ აშკარად გრძნობდა შიშს. რამდენჯერმე ადამიანის ხმაც მოესმა. თითქოს მათ ჩრდილებსაც მოჰკრა თვალი, მაგრამ ნამდვილად არაფერი დაუნახავს.

ზურგს უკან რაღაც გაფაჩუნდა, ზაზა მოტრიალდა და სანამ რამეს მოიაზრებდა, მთელი ბუჩქი გამოექანა მისკენ, ხელში აიტაცა და ბაღის შუაგულისაკენ გააქანა. ზაზას უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ვილაცის დაძარღვული ხელი ტუჩებზე აეფარა და სუნთქვა შეეკრა. ზაზამ თავი დაანება წინააღმდეგობის გაწევას და სხეული მოადუნა. უცნობმა ნაბიჯს მოუკლო, გაჩერდა, ზაზა ფეხზე დააყენა და კატეგორიული ტონით უბრძანა:

— გამომყევით! წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს!

ასიოდე ნაბიჯის შემდეგ შედგნენ.

— ასე უცებ? — გაისმა სიბნელეში ხმა, — აბა ერთი ახლოს ვნახოთ ჩვენი „ღამურა“.

დამხვდურს აშკარად ეტყობოდა, რომ ზაზას დაჭერით კმაყოფილი იყო.

ზაზას ვილაც მიუახლოვდა. ხელები გაუხსნა, მერე წინიდან დაუდგა.

— ზაზა, შენა ხარ? — ჰკითხა მან.

— ვახტანგ! — ამოიხრიალა ზაზამ.

ვახტანგი უფრო ახლოს მივიდა.

— აქ საიდან მოხვდი, რას აკეთებდი?

ზაზა თავის მხრივ შეეკითხა:

— შენ, შენ რაღა გინდა აქ? ვინ არის ეს ხალხი, რა უნდათ ჩემგან?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჩუმად! ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ.

ზაზამ ჩრდილებზე მიუთითა.

— ესენი ვინ არიან?

ვახტანგმა პირზე მიადო ხელი და უფროსს მიუბრუნდა:

— ჩვენს განკარგულებაში ათი წუთია. ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული.

— მაგრამ ხმაურმა ალბათ ჩვენი ღამის სტუმრები უკვე დააფრთხო.

— არა მგონია. შენობიდან საკმაოდ შორს ვიმყოფებოდით.

— მაშ დროს ნუღარ კარგავთ. იმოქმედეთ!

— ადგილებზე! — ჩურჩულით გასცა ბრძანება ვახტანგმა.

ხეებთან მდგომი ხალხი თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა. ვახტანგი ზაზასთან მივიდა.

— შენ აქ დარჩები, ოღონდ არ იხმაურო. მე მალე მოვალ.

— მე შენთან ერთად წამოვალ.

— არ შეიძლება!

— წამოვალ!

ვახტანგმა წარბი შეიკრა.

— აქ დამალობანას სათამაშოდ არ მოვსულვართ, — მოიქეცი ისე, როგორც გეუბნებიან, თორემ ვუბრძანებ, რომ...

ზაზას გაეღიმა.

— ტყუილად გაირჯები. მე შენთან ერთად უნდა წამოვიდე.

— არა!

— მე მინდა ვიცოდე ყველაფერი.

— ეს სახელმწიფოებრივი საქმეა.

— მით უმეტეს!

ვახტანგმა ხელი ჩაიქნია, ხის ჩრდილში მდგომ მამაკაცთან მივიდა და რაღაც უჩურჩულა. ზაზამ სიტყვები ვერ გაარჩია. ვახტანგი ისევ მიუახლოვდა ზაზას.

— კარგი, წამოდი, — თქვა მან.

ზაზა უკან აედევნა ვახტანგს. მიდიოდნენ ფრთხილად. ცდილობდნენ, არ ეხმაურათ. ყოველ წინ დახვედრილ ტოტს თუ ბუჩქს ჯერ ხელით გადაწევდნენ და მხოლოდ შემდეგ გაძვრებოდნენ ვიწრო გასასვლელში. ასიოდე მეტრის შემდეგ ვახტანგმა ზაზას უბრძანა დაწოლილიყო და თვითონ პირველი დაწვა. ზაზა დაემორჩილა ბრძანებას. ერთ ხანს უმოძრაოდ იწვნენ. მერე ვახტანგი წინ გაფორთხდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზაზას ანიშნა მომყევიო. ორივე მიწაზე განრთხმულიყო. ზაზამ დაკარგა დროისა და მანძილის შეგრძნება. მობეზრდა ფორთხვა მაგრამ ხმის ამოღებას რას გაბედავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ვახტანგი გაჩერდა. ზაზამ თავი ასწია.

მის წინ ბუჩქი იყო, ბუჩქის იქით მთვარით განათებული ორსართულიანი შენობა. ზაზა სულგანაბული ელოდა. იგი რაღაც გაურკვეველ გრძნობას შეეპყრო. ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ყველაფერი სიზმარს ჰგავდა. ისიც კი, ის და ვახტანგი ერთად რომ იწვნენ და რაღაცას ელოდნენ. მაგრამ მაინც იყო რაღაც აზარტული ამ გაურკვეველ ლოდინში, ამ უცნაურ შეხვედრაში, ამ საიდუმლოებით მოცულ ღამეში.

ვახტანგი თვალს არ აშორებდა ჩაბნელებულ ფანჯრებს.

— დიდხანს უნდა ვიწვეთ ასე? — იკითხა ზაზამ.

ვახტანგმა არ უპასუხა. საათზე დაიხედა და უსიამოვნოდ გააქნია თავი.

— უკვე დროა, — თქვა მან, — ნუთუ მედიკო შეცდა?

— მედიკო? — გაიმეორა ზაზამ.

— ჩუ, ხმა გაიკმინდე და კარგად დააკვირდი სულ ბოლო ფანჯარას. თუ რამე შეამჩნიო, მანიშნე.

ზაზამ ფართო, დიდი, თვალები გაუშტერა ფანჯარას, სუნთქვაც კი შეიკრა.

— დროა, უკვე დროა, — ჩურჩულებდა ვახტანგი.

ზაზას მოეჩვენა, თითქოს უკანასკნელ ფანჯარას ვილაც მიუახლოვდა, ფრთხილად გადასწია ფარდა და ისევ ჩამოუშვა.

ზაზამ ხელი გაჰკრა ვახტანგს. ვახტანგი უფრო წინ გაფორთხდა.

გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი. ზაზას ლოდინით სული დაელია. თავი გააქნია. უფრო მოხერხებულად გაწვა ბალახებში და ისევ შეხედა ფანჯარას. ამჟამად ვილაცის უხილავმა ხელმა ფარდა ბოლომდე გადასწია და ზაზამ გარკვევით დაინახა თმააბურძგვნილი ადამიანის თავი. ადამიანი კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად ფანჯრის მინას შუბლმიყრდნობილი. მერე ცოტა ხნით გაჰქრა და ისევ გამოჩნდა. ხელში რაღაც ბრჭყვიალა ნივთი ეჭირა. კიდევ წამი და ბრჭყვიალა ნივთი განათდა. ჩაქრა, ისევ განათდა, ისევ ჩაქრა და ასე გაუთავებლად.

„მორზეს ანბანი", — გაუელვა თავში ზაზას, მაგრამ კითხვა არ იცოდა და ამაზე ფიქრს თავი დაანება.

— ყოჩაღ, მედიკო, — მოესმა ზაზას ვახტანგის ჩურჩული. იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან მოფორთხავდა, როდესაც ზაზას გაუსწორდა, ცოტა ხნით შეჩერდა სვენა.

— აქ დამელოდე. მე მალე დავბრუნდები. რაც მოხდეს, ყველაფერი დაიმახსოვრე. არაფერი გამოგრჩეს.

როდესაც ზაზა მარტო დარჩა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იგრძნო. ასე ეგონა, ამ უცნაური საღამოს ბედი მარტო მასზე იყო დამოკიდებული. ფანჯარაში შუქი ხან ინთებოდა, ხან ქრებოდა. ბოლოს საბოლოოდ ჩაქრა. თმააბურძგნილი ადამიანის თავი გაქრა. გავიდა ხუთი... ათი წუთი. ფანჯარაში მთრთოლვარე ხელები გამოჩნდა. ფანჯარა უხმოდ გაიღო. ხელებიც გაქრა.

ისევ ლოდინით სავსე წუთები. ბოლოს ზაზამ დაინახა, როგორ გადმოეშვა ფანჯრიდან ფარატინა ქაღალდი და კედელთან დაეცა. ისევ გამოჩნდა მთრთოლვარე ხელები. ფანჯარა მიიხურა და ფარდა ჩამოეშვა. ორად დაკეცილი ქაღალდი უძრავად იდო კედელთან.

„ხომ არ მომეჩვენა?“ — გაიფიქრა ზაზამ.

არა, ზაზას არ მოჩვენებია. იგი გარკვევით ხედავდა სახლს და ორად გაკეცილ ქაღალდს კედელთან. იყო წუთები, როდესაც ზაზა ცნობისმოყვარეობამ აიტაცა და ქაღალდის ახლოს ნახვა მოუნდა. მაგრამ როგორც კი ვახტანგი გაახსენდებოდა, აკვიატებულ სურვილს თავიდან იცილებდა და ახალი მოულოდნელობის წინაშე ყუჩდებოდა. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. ორიოდ წუთის შემდეგ მისგან კარგა მოშორებით, ბაღის ნაპირას ბუჩქი შეირხა.

კიდევ ცოტაც და ბუჩქის წინ ჯერ მკრთალი ლანდი დაეცა, მერე ადამიანი გამოჩნდა. იგი ფრთხილად გამოძვრა ბუჩქიდან და ქურდულად მიმოიხედა. ერთ ხანს ქანდაკივით იდგა. მრგვალი ქოჩორაშლილი თავი ლაბადის საყელოში ჰქონდა ჩამალული. ხელები ჯიბეებში ეწყო.

უცნობის უკან ბუჩქი ისევ შეირხა და ქანდაკად მდგომ უცნობს მეორე მამაკაცი ამოუდგა გვერდით. მეორესაც საყელოაწეული ლაბადა ეცვა და ხელები ჯიბეებში ეწყო.

ზაზა ოდნავ წინ გაფორთხდა და უფრო მოხერხებულად ჩასაფრდა. უცნობი კედელს მიუახლოვდა, ქაღალდი ჯიბეში ჩაიდო და უკან გაბრუნდა. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. მეორე მთელი ამ ხნის განმავლობაში ნერვულად იყურებოდა აქეთ-იქით და როგორც კი პირველი მიუახლოვდა, ქაღალდი გამოართვა და გულის ჯიბეში შეინახა.

ვახტანგი იგვიანებდა. ზაზამ გადაწყვიტა დამოუკიდებლად ემოქმედა.

„ამათი ხელიდან გაშვება არ შეიძლება“, — გაიფიქრა მან და წამოდგომა დააპირა, ზურგზე ვიღაცა ფრთხილად შეეხო. ზაზა დამდუღრული თევზივით ამოტრიალდა გულალმა.

უცნობები ხეებს შორის გაუჩინარდნენ. ზაზამ ისევ დააპირა წამოდგომა.

— მოიცა, — შეაჩერა ვახტანგმა, — აჩქარებით მხოლოდ საქმეს გავაფუჭებთ, ცოტაც მოვიცადოთ, მერე უცნობებს გავყვეთ უკან და როცა მე განიშნებ...

ვახტანგმა ნაბიჯს მოუმატა, თუმცა ძველებურად ფრთხილობდა. კიდევ ასიოდ მეტრი გაიარეს და უცებ ვახტანგი ხეს ამოეფარა. ზაზაც ასევე მოიქცა. იქვე ახლოს ორი მამაკაცის ჩრდილი მოძრაობდა.

წინ მიმავლები შედგნენ. ერთმა უკან მოიხედა. დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ზაზამ უცნობისაკენ ისკუპა. მერე აღარ ახსოვს, რა მოხდა...

*

* *

მიდიოდნენ ჩქარა. თითქმის მთელი ბაღი გაიარეს და ქუჩაში გავიდნენ. გზის პირას ღია ლურჯი ფერის კაბრიოლეტი იდგა. ვახტანგი მანქანასთან მივიდა. უკანა თვალზე გარედან პატარა ნივთი დაამაგრა და საჭესთან დაჯდა. მერე ზაზას ანიშნა, გვერდით დამიჯექიო და ქუდი მოიხადა.

ზაზას აღარაფერი უკითხავს. მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა. საბურავები შიშინებდნენ. ყურებში ქარი წიოდა. ქუჩა მანქანის ქვეშ იკეცებოდა. ვახტანგი თვალს არ აშორებდა გზას. ოდნავ წინ გადახრილიყო და ორივე ხელით ჩაებღუჯა საჭე. ხელები თრთოდნენ საჭეზე. ლამპიონები კინოკადრებივით გარბოდნენ უკან. შორს, ძალიან შორს, წერტილივით გამოჩნდა რაღაც. მერე თანდათან გაიზარდა და ადამიანის ფორმა მიიღო.

ზაზა უკვე გარკვევით ხედავდა ტროტუარზე მდგომ მაღალ მამაკაცს. ვახტანგმა მოტორი გამორთო. მანქანა მაღალ მამაკაცს გაუსწორდა და უცებ უკანა საბურავი გასკდა. ვახტანგმა სწრაფად მოხარა საჭე. მანქანა დაბზრიალდა და ცხვირით მიეჯახა ლამპიონის ბოძს.

უცნობმა მგზავრმა უკან დაიხია და ცნობისმოყვარეობით შეხედა ცხვირშეჭყლეტილ მანქანას, რომლის რადიატორიდან თუხთუხით გადმოდიოდა წყალი.

ჰაერში დამწვარი რეზინის სუნი იდგა. ვახტანგი მანქანიდან გადმოვიდა. ზაზა მანქანაში დარჩა. დაჯახებისას შუბლი მიარტყა მანქანის ქარსაცავ მინას და გაბრუებული იყო. ვახტანგმა მანქანას გარშემო შემოუარა და დაშვებულ საბურავთან ჩაცუცქდა. ხელით მოსინჯა უფორმო რეზინა. მერე ადგა.

— ჩამოდი მომეხმარე, — თქვა მან, — მანქანა გავათრიოთ. იქნებ მოტორი გადარჩა.

ზაზა მანქანიდან ჩამოვიდა და ვახტანგს მიეშველა, მაგრამ მანქანა ადგილიდან ვერ დაძრეს. ვახტანგი წელში გაიმართა და ოფლი მოიწმინდა.

— მეგობარო, ცოტა მოგვეხმარეთ, — მიმართა მან უცნობს და ისევ მიაწვა მანქანას.

უცნობი უხალისოდ მიუახლოვდა მანქანას და თავისუფალ ადგილას დადგა. ვახტანგმა კარი გამოაღო და მხრით მიაწვა მანქანას.

— აბა, ერთად, — ამბობდა იგი და მთელი ენერგიით აწვებოდა. მანქანა შეირხა. შეჭყლეტილი ცხვირი ლამპიონის ბოძს მოსცილდა და ნელ-ნელა გაგორდა უკან. ვახტანგი ცალი ხელით საჭეს მართავდა. უცნობი კაცი იქვე იდგა და გაჭუჭყიანებულ ხელებს ცხვირსახოცით იწმენდდა. უცებ ვახტანგი მოტრიალდა და სწორედ ამ დროს მოხდა ის, რასაც ზაზა ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა. ვახტანგი იარაღმომარჯვებული წინიდან დაუდგა უცნობს.

— წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს! ზაზა, გაუჩხრიკე ჯიბეები!

ზაზა ჯერ კიდევ კარგად არ იყო გარკვეული, რა მოხდა და ნელა მიუახლოვდა უცნობს. უცნობმა ზაზას დაბნეულობით ისარგებლა, მოასწრო ხელების ჯიბეში ჩაყოფა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. ზედიზედ გაისმა სროლის ხმა. უმისამართოდ ნასროლი ტყვიები ქვაფენილზე ასხლტნენ და სივრცეში გაიზუზუნეს.

ზაზამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჩაარტყა კეფაში უცნობს. უცნობი დაბარბაცდა და ვახტანგს ჩამოეკიდა კისერზე. ვახტანგმა ჯიბეები დაუჩხრიკა, პიჯაკის მარჯვენა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და ზაზას გადაუგდო. ზაზამ ჰაერშივე დაიჭირა რევოლვერი. იარაღის ლულა ჯერ კიდევ თბილი იყო. პიჯაკის მარჯვენა ჯიბიდან ლურჯი კვამლი ამოდიოდა.

სწორედ ამ დროს შემთხვევის ადგილას ორი მანქანა გაჩერდა. პირველი მანქანიდან დაბალი, ჩაფსკვნილი მამაკაცი გადმოვიდა და

მტკიცე, მოკლე-მოკლე, ნაბიჯებით წამოვიდა ვახტანგისაკენ. ჯანიერ-სმენაზე დადგა.

— ამხანაგო გენერალო...

— თავისუფლად, — თქვა გენერალმა და უცნობს მიუახლოვდა. ათვალ-ჩაათვალიერა და კმაყოფილებით ჩამოისვა ლოყაზე ხელი.

უცნობმა დაიფრუტუნა. თავი გააქნია, ინსტინქტურად ჩაიყო ხელი პიჯაკის მარჯვენა ჯიბეში და თავი ჩაჰკიდა.

— მისტერ ო' ბრაინ, მოხარული ვარ, რომ ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. გთხოვთ, — გენერალმა მანქანისკენ ანიშნა.

ო' ბრაინმა ჯერ გენერალს შეხედა, მერე დამტვრეულ მანქანას გადახედა და ტუჩები დაებრიცა. რაღაც ჩაიბუტბუტა თავისთვის და მტკიცე ნაბიჯით გაემართა მანქანისაკენ. გენერალი და თანმხლები პირები უკან მიჰყვნენ. გენერალი პირველ მანქანაში ჩაჯდა და უცებ ორივე მანქანა ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდა.

ვახტანგმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— მგონი, ამ საქმეს ბოლო მოეღო, — თქვა მან და გზის პირას ჩამოჯდა.

ათი წუთის შემდეგ შემთხვევის ადგილას ისევ გაჩერდა ორი მანქანა. ერთმა უკან გამოიბა დამტვრეული მანქანა და ჯაყჯაყით წაათრია სადღაც. მეორეში ვახტანგი და ზაზა ჩასხდნენ. გათენებისას ზაზა უკვე სახლში იყო. ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი, საწოლ ოთახში შევიდა და გაუხდელი მიეგდო ლოგინზე.

## საავადმყოფოში

მთელი სამი დღე კახიძე აღარ გამოჩენილა. მის შემცვლელად აკადემიიდან ახალი მძღოლი მოავლინეს. ზაზამ სცადა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ახალგაზრდა გულჩათხრობილი აღმოჩნდა და რამდენიმე ცდის შემდეგ თავი დაანება. იმ უცნაური ღამის შემდეგ, რომლის მოწმეც ძალაუნებურად გახდა, ზაზას ათასი კითხვა აწუხებდა, უფრო მეტი საიდუმლოებით შეიმოსა მედიკოს ავადმყოფობა. სიმართლის მთქმელი კი არავინ იყო. ჯანდიერი, მართალია, მომჯობინდა, მაგრამ იმდენი საქმე ჰქონდა, რომ ზაზა მასთან მედიკოზე ლაპარაკს ვერ ბედავდა. რუსუდანმა არაფერი იცოდა. ზაზას გადაწყვეტილი ჰქონდა, მეორე დღესვე წასულიყო საავადმყოფოში და ყველაფერი თვითონვე გაერკვია, მაგრამ ჯიბრზე სწორედ იმ დღეებში ის და ნოდარი ორი დღით მოსკოვში მიავლინეს. იქიდან ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლისთანავე გაძლიერებული წვრთნა დაიწყო, ასე რომ, ზაზა ... ლიდან საღამომდის აკადემიაში იყო. უკანასკნელ პერიოდში საბლ-შიც აღარ მიდიოდა, იქვე, აკადემიაში იძინებდა.

ზაზა მუშაობაში იკლავდა ჟინს. რაც უფრო მეტად ფიქრობდა მედიკოზე, მით უფრო ბეჯითად სწავლობდა. როცა ძალიან უჭირდა ბოლმე, პაპა ბერიკასგან მიღებულ წერილს ამოიღებდა და კითხულობდა. ზაზამ წერილი ზეპირად იცოდა. ოთხად გაკეცილ, უკვე გაცრეცილ ქაღალდს გაშლიდა, თვალებს დახუჭავდა და თვალნათლივ ხედავდა, ბავშვური ხელით გამოყვანილ უსწორმასწორო ასოებს. მერე სათუთად ინახავდა წერილს გულის ჯიბეში და გაათკეცებული ენერგიით იწყებდა მუშაობას. ყოველ კვირას ფიქრობდა მთაში ასვლას. ნაცნობ-მეგობრების ნახვას, ჯიხვზე ნადირობა ოცნებად ექცა, მაგრამ კვირა კვირას მისდევდა. სულ მალე ალბათ მარსზეც გაფრინდებიან და ერთი თავისუფალი დღე ვერ გამონახა, რომ სოფელში გაფრენილიყო. ერთი გაენავარდა გერგეთის მთაზე. ზაზას ღამღამობით მთები ესიზმრებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთ კვირა დღეს დილაუთენია შეუდგა სამზადისს. წინა დღით საჩუქრები უყიდა პაპა ბერიკას. არც ჯმუხას გოგო დაავიწყდა და ყველაფერი პატარა ჩემოდანში ჩაალაგა. პროფესორს, რუსუდანს და ნოდარს ღამიანად გამოემშვიდობა და როგორც კი ინათა, შინიდან გავიდა.

მზე ჯერ არ ამოსულიყო. თბილისის „ზღვის“ ახლომახლო მთები თხელ ბურუსს დაენისლა. ბალახზე ცვარი ციალებდა.

— შენ უკვე ადექი? — მოესმა ზაზას.

ზაზამ თავი ასწია. მის წინ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კახიძე იდგა, უცებ ვერ იცნო.

— მე კი არ ვჩქარობდი. მეგონა ლოგინში მოგისწრებდი.

ზაზა უმცროსი ლეიტენანტის სამხრებს დააკვირდა. ვახტანგს გაეღიმა.

— არ მოელოდი? — თქვა მან.

— აბა საიდან.

— მიდიხარ სადმე? — ჰკითხა ვახტანგმა და ჩემოდანზე მიუთითა.

— მივდივარ.

— სად?

— მთაში, პაპა ბერიკა მინდა ვინახულო.

ვახტანგი კარგა ხანს სდუმდა. მერე ფიქრებიდან გამოერკვა და საქმიანად უთხრა:

— გინდა მედიკოს ნახვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მედიკოსი?

ზაზამ იგრძნო როგორ აუჩქროლდა გული.

— ჰო, მედიკოსი.

— მართლა ავად არის?

ვახტანგმა მრავალმნიშვნელოვნად გააქნია თავი.

— არ ვიცი, — თქვა მან. — დღეს ნახვის დღეა. თუ მედიკოს ნახვა გინდა, მე საშვი მზად მაქვს. სოფელში მერე წადი... აი, საშვიც.

ვახტანგმა ჯიბიდან პატარა ქაღალდი ამოიღო და ზაზას გაუწოდა.

— აჰა, გამომართვი.

ზაზამ საშვი გამოართვა და მადლობის მაგვარი რაღაც ჩაიბუტბუტა.

— რა დაგემართა, ბიჭო? — ღიმილით უთხრა ვახტანგმა,—ჩვენც ვყოფილვართ შეყვარებული.

ზაზა ყურებამდე გაწითლდა.

— ჰო, კარგი, კარგი. დამემშვიდობე მაინც.

— მიდიხარ სადმე?

— მხოლოდ დროებით, მალე შეხვედრამდე.

ვახტანგი წავიდა.

ზაზა ბილიკზე დაეშვა. სულმოუთქმელად ჩაირბინა ქვევით და რადგან ჯერ ადრე იყო, ფეხით გაუყვა ქუჩას. ჩაფიქრებული მიდიოდა. მედიკოსთან შეხვედრის მოულოდნელმა შესაძლებლობამ თავგზა აუბნია. როგორ ელოდა ამ დღეს, როგორ ოცნებობდა, და ახლა, როცა მედიკოს ნახვამდე რაღაც საათები რჩებოდა, ზაზამ მერყეობა დაიწყო. გაურკვეველი შიში დაეუფლა.

„მედიკო ავად არის, — ფიქრობდა ზაზა, — იქნებ ავადმყოფობა სერიოზული არ არის, იქნებ არც ისეა საქმე, როგორც მე მეჩვენება. რატომ უნდა ვცდებოდე მე და არა ვახტანგი?.. არა, ვახტანგმა ეტყობა უფრო მეტი იცის, მაგრამ რატომღაც არ ამბობს. შეგნებულად არ ამბობს... ჩემი სიყვარულის ამბავი გაუგია. იქნებ მედიკომ უთხრა, იქნებ მედიკოსაც ვუყვარვარ? მიცნობს? — ფიქრობდა ზაზა, — რომ ვერ მიცნოს?“

ზაზა ხიდის მოაჯირს დაეყრდნო და დიდხანს უყურა დაგუბებული მტკვრის კრიალა ზედაპირს. წყალი შეტოკდა. მდინარეზე პატარა ტალღებმა გაირბინეს. ხიდის ქვემოდან სამდინარო ტრამვაი გამოცურდა და გაჩერებისკენ გაემართა.

ზაზა გამოერკვა. ხიდზე გადავიდა და ავტომატ სასაუზმეში შე-

ვიდა. უხალისოდ ისაუზმა. ღვეზელები ძველი და უგემური ეჩვენა. ბოლოს ლუდი მოსვა და საათზე დაიხედა.

„რა დრო გასულა?“ — გაიფიქრა ზაზამ, — სასაუზმედან გამოვიდა, გაჩერებაზე პირველსავე ელექტრომობილში თავისუფალ სკამზე დაჯდა და შუბლით ფანჯრის მინას მიეყრდნო. ზაზა მხოლოდ გზის ნაწილს ხედავდა და ლამპიონების ძირებს. ასფალტი დაქანებული გარბოდა უკან. ლამპიონები თეთრი ხაზებივით კრთოდნენ.

ზაზამ თავი ასწია. მანქანაში ახლა უფრო ცოტა ხალხი იყო. ქუჩის მეორე მხარეს ზუზუნით ჩაიარა შემხვედრმა ელექტრომობილმა.

ფსიქიატრიული საავადმყოფო...

ზაზა მანქანიდან ჩამოვიდა და მიიხედ-მოიხედა. ნაცნობი ადგილები. ისევ ის რკინის ღობე, ღამით რომ გადაძვრა. კარი ახლა ღია იყო. ზაზა გაუბედავად მიუახლოვდა ალაყაფის კარს, ჯიბეში პატარა ბარათს თითებით შეეხო და შენობისაკენ წავიდა.

— თქვენი საშვი, მოქალაქევ!

ზაზა მოტრიალდა და წინასწარ გამზადებული საშვი მოხუც კაცს მიაწოდა.

— მიბრძანდით. აი, იქით, იმ შენობაში.

ზაზამ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მოშორებით სწორედ ასეთივე სახლი იდგა. უფრო იქით კიდევ ერთი.

„ნეტავ იმ ღამით რომელ სახლს ვდარაჯობდით?“ — გაიფიქრა ზაზამ და შენობას დააკვირდა. სამივე შენობა თითქმის ერთი სიმაღლის და ერთი სიდიდის იყო. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბოლო ორი სახლი პირველიდან დაბალი ღობით იყო გამოყოფილი. ზაზა პატარა ჭიშკარში გაძვრა და გაოცებული შედგა.

ჩრდილებში ჩაფლულ ფანჩატურებში ავადმყოფები ისხდნენ. ზოგი ხმამაღლა იცინოდა, ზოგი მღეროდა. უმეტესობა მაინც ჩუმად იყო. ისინი ან ხესთან ზურგით მიყრდნობილნი იდგნენ, ან ჩქარი ნაბიჯით დადიოდნენ წინ და უკან. დროდადრო რომელიმე ჯგუფს თეთრხალათიანი კაცი მიუახლოვდებოდა და დატუქსავდა. დროებით წყდებოდა სიცილი, დროებით ჩერდებოდნენ სწრაფად მოარულები, მაგრამ ეს ყველაფერი იყო მხოლოდ დროებით. როგორც კი თეთრხალათიანი კაცი თვალს მოეფარებოდა, ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

— თქვენ ვის ეძებთ, მოქალაქევ?

ზაზა უცებ მოტრიალდა.

— თქვენ ვის ეძებთ? — გაუმეორა კითხვა გოგონამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მედიკოს.

— აქ მომიცადეთ. — თქვა გოგონამ, — აქ ქალთა განყოფილებაა და მამაკაცების შესვლა აკრძალულია. თქვენს ავადმყოფს აქ გამოგიყვანთ.

— ავადმყოფს? — გაიმეორა ზაზამ და მოცელილივით დაჯდა სკამზე.

გოგონამ გაულიმა და წავიდა. ზაზა თვალს არ აშორებდა კარს, სადაც გოგონა გაუჩინარდა. ყოველი კარის გაღებაზე კრთოდა, ყოველ წუთს ელოდა მედიკოს გამოჩენას, მაგრამ მედიკო არ ჩანდა.

— დავიჭირე! — მოესმა ზაზას ქალის წკრიალა ხმა.

ზაზა მოტრიალდა. სულ ახლოს კოხტად ჩაცმული გოგონა იდგა და მომუჭული ხელი თვალებთან ჰქონდა მიტანილი.

— ახლა ვერ გამექცევი, — ამბობდა იგი, — რამდენი მაწვალა. დღეს მთელი დღეა დავდევ და ძლივს დავიჭირე. განა ასე უნდა დამქანცო, ჩემო ძვირფასო?

და უცებ ზაზას მოუბრუნდა.

— თქვენ იცით, რა მყავს მუჭში?

ზაზამ თვალები გაუშტერა გოგონას და თავი გააქნია.

გოგონამ გადაიკისკისა.

— ჩემს გარდა არავინ იცის. — მერე სერიოზული გამომეტყველება მიიღო და ჩურჩულით დაუმატა, — თქვენ კეთილი კაცი ჩანხართ. მე თქვენ ყველაფერს გეტყვით, მხოლოდ არსად წამოგცდეთ, თორემ სხვები წამართმევენ. მუჭში შეყვარებული მყავს. მთელი დღეა დავდევ და ძლივს დავიჭირე.

— ااااا! — ალმოხდა ზაზას.

—ჩუ! — გაწყრა გოგონა და გაშლილი ხელი დაუქნია ზაზას.

— სულ თქვენი ბრალია, — წყენით თქვა მან, — აი, ხედავთ, ისევ გამექცა. რატომ შეგშურდა ჩემი ბედნიერება?

გოგონა უხილავ შეყვარებულს გამოეკიდა, რამდენჯერმე მოიქნია გაშლილი ხელი ჰაერში, მომუჭა. თვალებთან მიიტანა. მაგრამ ეტყობა ვერ „დაიჭირა" და ისევ გამოეკიდა უხილავ სიყვარულს.

— საწყალი, — თქვა ზაზამ და ცხვირსახოცი ამოიღო.

— მე მზე ვარ, მზე! გზა მომეცით, თორემ ყველას გადაგბუგავთ! — იძახდა ხანშიშესული დედაკაცი და ხელებს იქნევდა.

ზაზამ ცივი ოფლი მოიწმინდა შუბლზე.

„სად მინახავს ეს ქალი?" — გაიფიქრა მან და მოხუცს დააკვირდა. მოხუცს დანაოჭებული სახე ჰქონდა და შეშლილი თვალები. უდროოდ გათეთრებული, თმაგაწეწილი. ძველებური ყაიდის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელი ჭრელი კაბა ეცვა. მძიმე-მძიმედ დადიოდა და მკვეთრად ფერი ხელები უთრთოდა.

— გზა! გზა! — იძახდა მოხუცი და ზაზას გარშემო უვლიდა.

ზაზა მეტისმეტად აღელვებული იყო, მაგრამ მაინც შეამჩნია, როგორ შედგა დედაბერი რამდენჯერმე და ზაზას დააკვირდა. ზაზამ დედაბრის მზერას თვალი გაუსწორა.

— გზა! — იყვირა დედაბერმა და ხელების ქნევით მოპირდაპირე მხრისკენ წავიდა.

„სად, სად მინახავს“... — ფიქრობდა ზაზა.

— საწყალი, გიჟია, — მოესმა ზაზას.

ზაზამ მოიხედა. გვერდით სხვა ქალი უჯდა და შეწუხებული აქნევდა თავს.

— საწყალი, — ამბობდა იგი,—მთელი დღე ასე დადის და სულ ერთი და იგივეს გაიძახის: მე მზე ვარ, გადაგბუგავთო.

„ძლივს ერთი ნორმალური შემხვდა“, — გაიფიქრა ზაზამ.

— თქვენ ალბათ პირველად ხართ აქ, არა? — შეეკითხა თანამოსაუბრე.

— .დიახ.

— მაშინ გასაგებია, რატომ გაგიკვირდათ ასე. აქ ისეთი უცნაური ხალხია, რომ შეიძლება ნორმალური კაციც გაგიჟდეს.

ზაზა კარისაკენ იყურებოდა.

— მე, კი ვიცი მაგათი სიგიჟის მიზეზი. აი, ეს მოხუცი ქალი, იცით, რატომ გაგიჟდა?

— არა, — უპასუხა ზაზამ ისე, რომ არ მობრუნებულა.

— საიდუმლოდ გეტყვით. ნამდვილი მზე მე ვარ, ის კი გიჟია და ეჩვენება.

ზაზა უცებ მოტრიალდა.

— ჩუ, — თქვა ქალმა და ტუჩებზე თითი მიიდო, — არ გაგვიგონოს, თორემ ყველას გადაგვბუგავს.

ზაზამ თვალები დახუჭა. ქალი ფეხაკრეფით გაიპარა და ახლა სხვა სკამზე დაჯდა.

„ჯოჯოხეთია. — ფიქრობდა ზაზა, — აქ ჯანმრთელი კაციც ჭკუიდან შეიშლება. ნეტავ ექიმები როგორ უძლებენ. საწყალი მედიკო... ვინ იცის, როგორ გამოიცვალა.

— აი, თქვენი ავადმყოფი.

ზაზამ თვალები გაახილა, მაგრამ იფიქრა მომეჩვენაო და ისევ დახუჭა. მერე ისევ გაახილა და რატომღაც უკან დაიხია.

— აი, ეს გახლავთ თქვენი ავადმყოფი. აქ იჯდები, სანამ მე არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალ! — მკაცრად უთხრა მედიკოს თეთრხალათიანმა გოგონამ და წავიდა.

მედიკო მონური მორჩილებით დაჯდა ზაზას გვერდით. ზაზას ცრემლებით აევსო თვალები.

იცნო. როგორ არ იცნობდა, მედიკო იოტის ოდენადაც არ შეცვლილა. ისევ ის შავი გრუზა თმა, მხარზე რომ წვდებოდა. ისევ ის გიშერივით შავი თვალები, მაგრამ ახლა გამოუცნობი სევდით დაბინდული და შეშინებული. ფერმკრთალი ლოყები. გაცრეცილი სწორი ცხვირი. ოდნავ მოგრძო, ეშხიანი სახე. მორჩილი ტანი.

ზაზა წყლიან თვალებს არ აშორებდა მას.

მედიკო ძველებურად იჯდა. თავი ოდნავ უკან გადაეწია და თმები ჩამოშლოდა. არაფრის მთქმელი თვალები სივრცისათვის გაეშტერებინა. ხელები პირველკლასელივით მუხლებზე ეწყო. მძიმედ სუნთქავდა. ერთხელაც კი არ განძრეულა, ისე იჯდა, თითქოს გარშემო სამყარო მისთვის არ არსებობდა.

ზაზას ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ბოლმა ყელში მოებჯინა. გულმა ერთი წუთით შეწყვიტა მუშაობა, მერე ისე გამალებით ამუშავდა, რომ ზაზას ეგონა ბუდიდან ამომივარდებაო. თავისდაუნებურად მიიდო მკერდზე ხელი, თითქოს ამით სურდა შეენელებინა გულისცემა.

— მედიკო, — ჩურჩულით თქვა მან.

მედიკო არ განძრეულა.

ზაზას კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ვერ მოახერხა. სიტყვა ყელში გაეჩხირა. აზრები ერთმანეთში აერია. თვალები დახუჭა. გარემო უცებ გაქრა. გაქრა ავადმყოფი მედიკოც. აბურდული აზრები ნელ-ნელა დალაგდნენ. გონებამ მოგონებაში გადაისროლა იგი და ზაზას თვალნათლივ წარმოუდგა მთები. მედიკოსთან პირველი შეხვედრის ყოველი წვრილმანი. გული სიყვარულით აევსო. მოგონება სინამდვილედ იწამა და ჩუმად ალაპარაკდა:

— მედეა, მედიკო, ჩემო მედიკო, — ამბობდა ზაზა, — იმ დღეს გამოყოლილმა დარდმა გული გამიწვრილა, მოსვენება დამიკარგა. ქალაქში შენმა სიყვარულმა ჩამომაგდო. დავატარებ ობოლ სიყვარულს და გეძებ. ფიცი მივეც საკუთარ თავს, მეპოვნე და ყველაფერი მეთქვა.

ზაზა ჩურჩულებდა.

მედიკო თავდაღუნული იჯდა და ტიროდა. ახლა რომ ვინმეს მისი სახისათვის შეეხედა, განცვიფრდებოდა. რამოდენა სითბო და სიყვარული აღბეჭდილიყო მის სახეზე. ტიროდა უხმოდ, კი არ

ტიროდა, ცრემლები თავისთავად მოცვიოდა სევდიანი თვალებიდან. თრთოლდა.

— რა მინდა მარსზე? გაგიტაცებ და მთაში წაგიყვან. მთა ყველაზე უკეთ გიმკურნალებს. პაპა ბერიკა ხატებს შეავედრებს შენს თავს. მეც შევევედრებოდი, მაგრამ არა მწამს. ისევ შენზე ფიქრით შევიცვლი ლოცვებს...

ბუტბუტებდა ზაზა.

თმააწეწილი დედაბერი, როგორც კი ზაზას გვერდით მედიკო შეამჩნია, იმ წუთშივე მოტრიალდა და მათკენ წამოვიდა. ფეხაკრეფით წამოეპარა უკანიდან და მათ საუბარს ყურს უგდებდა. ისეთი დაძაბული სახე ჰქონდა, თითქოს არც ერთი სიტყვის გამორჩენა არ უნდოდა მათი ნათქვამიდან. შეშლილი თვალები დაეწმინდა. ახლა იგი დადარაჯებულ ფოცხვერს უფრო ჰგავდა, ვიდრე ავადმყოფ ადამიანს. მწვანე თვალები ეშმაკურად უციმციმებდა.

ზაზამ იგრძნო, რომ ვიღაცა უყურებდა და თვალები გაახილა.

— გზა! — იყვირა დედაბერმა — გზა! თორემ სუყველას გადაგბუგავთ! — ისევ შეეშალა სახე, თვალები აერია და ხელები აუკანკალდა.

მედიკო მოულოდნელი შეძახილისაგან შეტოკდა. თვალები ქურდულად ამოიწმინდა და არაფრის მთქმელი მზერა სივრცეს გაუშტერა.

— გზა! გზა! — ყვირილით და ხელების ქნევით ჩაიარა დედაბერმა..

„ღმერთო მომაგონე, სად მინახავს ეს ბებერი?“ — გაიფიქრა ზაზამ.

— უკვე დროა.

ზაზა ფიქრისაგან გამოერკვა. მის წინ თეთრხალათიანი გოგონა იდგა.

— ასე უცებ?

— ადექით! — უბრძანა მედიკოს გოგონამ.

მედიკო უსიტყვოდ დაემორჩილა, ერთი კი გადახედა ზაზას და ახალფეხადგმული ბავშვივით, ბარბაც-ბარბაცით აედევნა უკან თეთრხალათიან გოგონას.

— მედიკო! — აღმოხდა ზაზას.

მედიკოს არ მოუხედავს. თმააბურძგნული დედაბერი უკან გაყვა და „გზა“, „გზას“ ძახილით პირველი შევიდა შენობაში.

„სად მინახავს, სად?“ — ფიქრობდა ზაზა და უცებ მოიგონა: ღამე. ბუჩქებში ჩამალული ის და კახიძე. მთვარით განათებული ბნე-

ლი ფანჯარა. ლოდინი. მერე ფანჯარაში ვიღაცის თმაგაბურძგნული თავი. მთრთოლვარე ხელები. „ის არის, ის“, — დაასკვნა მან.

*

* *

შეშლილმა დედაბერმა ცალი თვალი გაახილა და ქურდულად გააპარა მზერა მედიკოს ლოგინისაკენ.

მედიკო შეიშმუშნა.

დედაბერი ფრთხილად ადგა, ლოგინი გაასწორა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან. ცოტა ხნის შემდეგ მედიკოც ადგა და უკან გაჰყვა. დედაბერი ეზოში გავიდა.

— მომყევი! — თქვა მან და დაწინაურდა. კარგა ხანს იარეს, ბოლოს დედაბერი ხეს ამოეფარა და გზას გახედა.

„ჩვენები ჯერ კიდევ გარეთ არიან. ეტყობა წერილი პატრონს ჩაბარდა“, — გაიფიქრა მან, როგორც კი გზის პირას მანქანას მოჰკრა თვალი. ცოტა ხანს უმოძრაოდ იდგა, მერე ქუჩა გადაირბინა და მანქანაში ჩაჯდა.

— ჩქარა! — გასძახა დედაბერმა მედიკოს და კარი გაუღო. მედიკო დედაბრის გვერდით დაჯდა და მანქანაც დაიძრა.

სწორედ ამ დროს დაურეკა თამაზს „დარაჯმა“ და შექმნილი მდგომარეობა მოახსენა თამაზი სასწრაფოდ ჩაჯდა მანქანაში და კოჯრის გზატკეცილისაკენ გააქანა იგი.

დედაბერი თანდათანობით დამშვიდდა. იგი გამოცდილი მძღოლივით მართავდა მანქანას. ჩაფიქრებული იყო და ყურადღებას არ აქცევდა მედიკოს. მედიკო გზას გაჰყურებდა.

— ის ბიჭი ვინ იყო, დილას რომ გინახულა? — იკითხა დედაბერმა.

მედიკო ფიქრებიდან გამოერკვა.

— ის? ის ჩემი ძველი ნაცნობია.

— სად გაიცანი?

— მე უკვე გელაპარაკეთ ამაზე.

დედაბერი ჩაფიქრდა.

— რალაც არ მომეწონა მისი ვიზიტი.

— უწყინარი ბიჭია.

— რა უნდოდა?

— უიმედოდ არის შეყვარებული.

დედაბერმა ცალი თვალი მოჭუტა და გზას გახედა.

— იმედია შეფი ადგილზე დაგვხვდება, — თქვა მედიკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ამ ბოლო დროს რაღაც მეტისმეტად დაგაინტერესა შეფმა.

— ეს ისე, უბრალოდ.

— ძალიან გაინტერესებს მისი გაცნობა?

— მე მას ვიცნობ.

დედაბერმა მრავალმნიშვნელოვნად დაუსტვინა და ქვევით გადაიხედა. ქვევით, სულ ქვევით, პირველ მოსახვევში მანქანას მოკრა თვალი. დედაბერი სკამზე გასწორდა, უფრო ენერგიულად ჩაჭიდა ხელები საჭეს და სიჩქარეს მოუმატა. ისევ გადაიხედა ქვევით. მანქანა ახლა მესამე მოსახვევში იყო. დედაბერს ნერვულობა დაეტყო.

„მოგვდევენ? — გაიფიქრა მან. — ნუთუ უკვე გაიგეს ჩვენი გამოპარვა, ან იქნებ?.. საავადმყოფოში რომ გაეგოთ კიდეც, საიდან დაასკვნეს, რომ ჩვენ ამ გზით წამოვედით. იქნებ შეფი ჩავარდა?.. მაშინ მანქანა რატომ დაგვხვდა ადგილზე. აქამდის ყველაფერი წესიერად მიდიოდა, ზუსტად ისე, როგორც შეთანხმებული ვიყავით... იქნებ ყველაფერი ეს მოწყობილი იყო?.. ახალი დარაჯი, მეკავშირე თავის დროზე არ გამოცხადდა... ნუთუ ამ ძალლმა?.. არა, ნამდვილად მეჩვენება“.

— ჩვენ შეიძლება სიცოცხლის განწირვა მოგვიხდეს, — თქვა დედაბერმა.

— განა საშიშროება მოგველის?

— არა, მაგრამ...

— მე არჩევანი არა მაქვს. მას შემდეგ, რაც თქვენ დაგიკავშირდით, ჩემთვის უკვე ყველაფერი სულ ერთია.

— ვითომ?..

მედიკომ სიმწრისაგან ტუჩი მოიკვნიტა.

მანქანამ გაივაკა.

— რა ლამაზი გზაა, — თქვა მედიკომ.

— გზა? — გაიმეორა დედაბერმა და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ გზაზე მოძრაობა შეწყვეტილი იყო. ნახევარი საათია მოდიან და ერთი მანქანაც არ შეხვედრიათ.

„რას ნიშნავს ეს? — ფიქრობდა დედაბერი — ამ დროს აქ მანქანები ჭიანჭველებივით ირევა, ახლა კი“...

დედაბერმა უკან მოიხედა. შორს, გზის ბოლოს მანქანა გამოჩნდა. დედაბრის გონება დაძაბულად მუშაობდა. ერთი შესაძლებლობა მეორეს ცვლიდა, მეორეს მესამე და ასე უსასრულოდ. უკან მომავალი მანქანა მოსვენებას არ აძლევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაბერს რისხვით აევსო თვალები.

— ჩვენი გაქცევის შესახებ სულ სამმა კაცმა იცოდა. ბეჟეფ და ჩვენ. ან შეფი ჩავარდა და ყველაფერი „დაფქვა“, ან მოღალატე ჩვენ შორის არის.

მედიკო გაფითრდა.

— მე გამორიცხული ვარ, — თქვა მან.

დედაბერმა ზიზღით შეხედა მედიკოს და სიჩქარე გადართო. მანქანა ტყვიასავით გაქანდა ფართო გზატკეცილზე.

„თუ რეზიდენტი თავისუფალია, ამას იოლად მოვუღებ ბოლოს“. — ფიქრობდა დედაბერი, მაგრამ ჯერ ნამდვილად არ იყო დარწმუნებული მედიკოს ღალატში, მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა და გადამწყვეტი ზომის მიღებას არ ჩქარობდა.

„ვინ იცის, იქნებ მე მეჩვენება? — ფიქრობდა იგი, — ერთი კი ცხადია. ვილაცამ გაგვცა. გზა ჩაკეტილია. რახან გზა ჩაკეტილია, ჩვენი ხსნა აღარ არის“.

დედაბერი ცალი ხელით მართავდა საჭეს, მეორეთი თმიდან ორთითა სამაგრი ამოიღო და კბილებით მოხრახნა ცალ ბოლოზე მინიატურული საცობი. სითხე ხელის გულზე დაისხა და თმებზე გადაისვა. ერთი წუთის შემდეგ დედაბერს თმები გაუშავდა და უცებ გაახალგაზრდავდა. ახლა იგი ძნელი საცნობი იყო. დედაბერმა ორთითა სამაგრი მედიკოს მიაწოდა.

— მოხრახნე მეორე ბოლო და სითხე თმებზე გადაისხი, — უბრძანა მან.

მედიკომ თხოვნა შეასრულა და თვალის დახამხამებაში გაუთეთრდა თმები.

დედაბერს ბოროტად გაეღიმა.

— ახლა ჩვენი როლები შეიცვალა, — ბუტბუტებდა ის, — ამ წუთიდან შენ „მოხუცი“ ხარ, მე კი შემთხვევით გაცნობილი ვიღაც მოქალაქე. ჯერ კიდევ მაქვს იმედი თავი დავაღწიო ამ ძაღლებს. თუ ვერ მოვახერხეთ და ჩავვარდით, გახსოვდეს, „მოხუცად“ შენ უნდა გაასაღო თავი.

მედიკო მშვიდად უსმენდა დედაბერს და ყველაფერზე თავს უქნევდა. მანქანა მთელი სისწრაფით მიქროდა. დედაბერი სარკეში იყურებოდა და ხედავდა, რომ უკანიდან მანქანა ეწეოდა. მათ შორის მანძილი თანდათანობით მცირდებოდა. დედაბერმა სწრაფად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და გვერდზე გაიხედა. გზის პირას ხრამი იყო და სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხრამში უნდა გადავიჩეხოთ. მე მოვასწრებ მანქანიდან გადმოხტომას, ამას კი ჯანდაბამდის გზა ჰქონია“.

— ახსენე ღმერთი, — თქვა დედაბერმა და საჭე მარცხნივ მოხარა.

სწორედ ამ დროს მედიკო დედაბერს ჩაეხუტა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფეხი ჰკრა მანქანის კარს. კარი გაიღო, მედიკო და დედაბერი ჩახუტებულები დაეცნენ გზაზე. მანქანა ხრამში გადაიჩეხა.

თამაზი მთელი სისწრაფით მოექანებოდა შემთხვევის ადგილისაკენ. ზემოდან მოტოციკლების ტკაცუნის ხმა მოისმა. ყველაფერი დროზე იყო დამოკიდებული.

„მოვასწრებთ?“ — ფიქრობდა თამაზი და ნერვულად უჭერდა საჭეს ხელებს.

— ძაღლო! — კბილებში გაცრა დედაბერმა და... გაისმა სროლის ხმა. მედიკომ დაიკვნესა.

თამაზი არ დაელოდა გაჩერებას, ისე გადმოხტა მანქანიდან და დედაბერს ეცა. ელვის უმალ გააგდებინა იარაღი და ხელები ზურგს უკან ამოუტრიალა.

— გზა! — იღრიალა დედაბერმა და სახე შეეშალა.

შემთხვევის ადგილას მსუბუქი მანქანა გაჩერდა. მანქანიდან დავითი გადმოვიდა და ხელებგაკოჭილი დედაბრის წინ გაჩერდა.

— ვწუხვარ, მოხუცო, ძლიერ ვწუხვარ, — თქვა მან, — თქვენი შეფი უფრო ჭკვიანი კაცი აღმოჩნდა. იგი წინააღმდეგობის გარეშე დაგვნებდა. ოჰო? — გაიკვირვა დავითმა, — თქვენ გაახალგაზრდავებაც მოგისწრიათ. შავი თმები?

— გზა, თორემ სუყველას გადაგბუგავთ!

დედაბერს ბზარი შეეპარა ხმაში.

— მედიკო სად არის? — იკითხა დავითმა და სწორედ ამ დროს მედიკოც გამოჩნდა.

— თქვენ დაჭრილი ხართ?

მედიკოს მკვდრის ფერი ედო სახეზე.

— სერიოზული არაფერია, — თქვა მან და დაბარბაცდა.

თამაზმა დროზე შეაშველა ხელი.

— სასწრაფოდ ლაზარეთში, — თქვა დავითმა, — თმის ფერი აღუდგინეთ. იმოქმედეთ!

თამაზმა მედიკო მანქანაში ჩასვა და თვითონ საჭეს მიუჯდა. კახიძემ ქოშინით მოირბინა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავისუფლად. თამაზ, როგორც კი მედიკოს ლაზარეთში მიიყვან, ჩემთან გამოცხადდი.

— მედიკოსო, — გაიმეორა ვახტანგმა.

მანქანა დაიძრა და მალე თვალს მოეფარა.

— სერიოზული არაფერია, — თქვა დავითმა, — მხოლოდ დაჭრილია.

კახიძემ თავისუფლად ამოისუნთქა და რატომღაც ზაზა მოაგონდა.

„ჩემი საშველი მაინც არ ყოფილა. ყველაფერი წინასწარ ჰქონიათ მოფიქრებული. ის წყეული მაინც მოკვდებოდეს“. — გაიფიქრა დედაბერმა.

— წაიყვანეთ! — თქვა დავითმა.

დედაბერს სევდიანად გაეღიმა და ორი ჯარისკაცის თანხლებით დახურული მანქანისაკენ გაემართა.

## სტარტი

დილით ზაზას ოთახში ნოდარი შემოვიდა.

— დილა მშვიდობისა, ყმაწვილო!

ზაზა შეიშმუშნა და თავი ასწია.

— შენა?

— როგორც ხედავ. ეს რა ახალი წესია ფანჯარაზე ძილი?

კარგა ხანს სდუმდნენ. ნოდარი ლოგინზე იჯდა და თვალს არ აშორებდა ზაზას.

— რაზე ფიქრობდი? — ჰკითხა მან.

— მეძინა.

— სანამ დაგეძინებოდა?

— მაშინაც მეძინა.

— არ გინდა? კეთილი, აღარც მე ჩაგაცივდები.

— მეძინა და რა ვქნა.

— ადამიანებს ლოგინში სძინავთ და არა ფანჯრის რაფაზე, — შენიშნა ნოდარმა.

ზაზა უყურებდა ნოდარს და სურდა გაეგო, რას გამოეწვია ასეთი დაჟინებული კითხვები.

— ვფიქრობდი, მერე შენ რა?

ნოდარს გაეღიმა.

— რა, არაფერი. ისე შეგეკითხე, არ გეწყინოს, უბრალოდ, წარსული მომაგონე და...,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რეებს ამბობ, გარკვევით ილაპარაკე.

ნოდარს გაეღიმა.

— ისეთს არაფერს, მეც ხშირად ჩამძინებია ფანჯარასთან, — თქვა მან, — მე ვიცი, რა იწვევს ამას: ფიქრი და დარდი. ფიქრი საყვარელ ადამიანზე, ადამიანზე, რომელიც არასოდეს გავიწყდება. მაშინაც, კი, როდესაც ისე შორსა ხართ ერთმანეთისაგან, როგორც მთვარე და დედამიწა. ამბობენ, შეყვარებულები მთვარეს უყურებენო. მე კი მთვარეზე ვიყავი და დედამიწას შევყურებდი. ღია ფანჯრისა კი რა მოგახსენო. იქ ამ ბედნიერებას მოკლებული ვიყავით. არც შენი მთვარე ჰგავს ჩემს „მთვარეს“. დედამიწა იქიდან ლურჯად ციალებს და მე რომ მკითხო, ყველა პლანეტაზე უფრო მიმზიდველია.

ნოდარმა ამოიოხრა.

— მერე? — გულუბრყვილოდ ჰკითხა ზაზამ.

— რა მერე, სიყვარული ატმოსფეროში შეჭრილ მეტეორიტსა ჰგავს. ერთი აალდება და ჩაქრება.

— არ გყვარებია, — დაასკვნა ზაზამ.

ნოდარს ისევ გაეღიმა.

— მე? — თქვა მან, — ერთმა ღამემ იცის, როგორ მიყვარდა.

— მას?

— მას რა, მას სიყვარული არ შეეძლო. იგი ფლიდი და... ერთი სიტყვით, საკუთარი თავისათვის ვერ მიპატიებია. იქვე უნდა წამეხრჩო, მტრის ბუნაგში. მაგრამ თავად ცოცხალ-მკვდარი ვიყავი და...

— იქნებ ის არ იყო და შეგეშალა.

— ვინ, მედიკო შემეშალა?

ზაზა ამ სიტყვებმა სკამიდან წამოაგდო.

— მედიკო? — გაიმეორა მან.

ნოდარმა თავი გააქნია.

— არა, არა. ყველა შეიძლებოდა შემშლოდა, მაგრამ მედიკო არასოდეს.

— მედიკო მოღალატეა? — თქვა ზაზამ და თვალები დახუჭა.

— შენ რა, იცნობდი? თუმცა შენ საიდან გეცნობებოდა. ადრე ჩვენთან მუშაობდა, პროფესორის მარჯვენა ხელი იყო. როგორ გვიყვარდა. ან ამას ვინ იფიქრებდა. ეჰ, ჩემო ზაზა, ჩვენ დროში ასეთ რამეს ვინ დაიჯერებს.

— სწორია. ამის დაჯერება არ შეიძლება.

— რისი?

— მედიკო რომ მოღალატე იყოს.

— ჩემი თვალით რომ არ მენახა, არც მე დავიჯერებდი. მაგრამ ახლა... ახლა მე პირველად გავიგე სიყვარული. სიყვარული ჯანსაღი და სამყაროსავით უსასრულო. ახლა ასე მგონია, ნამდვილ სიყვარულს ერთი ადამიანის სიცოცხლე არც კი ეყოფა. შენ იცი, რა გოგოა რუსიკო?

— ვიცი, მაგრამ მედიკო?

— მედიკო რუსიკოს ჩრდილადაც არ ღირს. უბრალოდ, შედარებაც კი ბოროტებაა.

— არა, არა! მედიკო მოღალატე არ არის. ეს შეუძლებელია! — იყვირა ზაზამ.

ნოდარმა წარბი შეკრა.

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს მედიკო შენი შეყვარებული იყოს...

ზაზას თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, უცებ გამოფხიზლდა.

— მე... მე... ჩემ შეყვარებულსაც მედიკო ჰქვია. — თქვა ზაზამ.

— მედიკო? — რატომღაც გაიკვირვა ნოდარმა.

— ჰო, მედიკო. მაგრამ ჩემი მედიკო წმინდაა, წმინდაა ისე, როგორც მთის წყარო. შენ სტყუი, სტყუი, სტყუი!

ნოდარი ადგა.

— მე?

— შენ! — იღრიალა ზაზამ და ოთახიდან გავარდა.

ნოდარმა მხრები აიჩეჩა.

— ცუდად თუ ეძინა, — თქვა მან და ჩაფიქრებული გავიდა ოთახიდან.

ზაზა გავარდა თუ არა გარეთ, პირველსავე ბილიკს დაადგა და იმდენი იარა, სანამ არ დაიღალა. როცა დაიღალა, შედგა. გაბრაზებამ თანდათან გაუარა. აჯანყებული სული დაუმშვიდდა, აბურდული აზრები დალაგდა და პირველად იგრძნო თავისი უმწეო მდგომარეობა. ნოდარის გულახდილმა აღიარებამ შეარყია მისი სიყვარული.

„ვაი დედასა, — ფიქრობდა იგი, — ეს რა მოისმინეს ჩემმა ყურებმა. რუსიკოს ჩრდილადაც არა ღირსო? მედიკო მოღალატე?... მერედა ჩემი სიყვარული?.. მისი მართალი თვალები? ნუთუ ადამიანის თვალებიც ტყუიან? არა, არა, არა! ეს რომ დავიჯერო, მაშინ ქვეყნად გულწრფელობა აღარ ყოფილა. არა, მე მიყვარს იგი, მიყვარს უფრო ძლიერ, ვიდრე მიყვარდა და ნოდარმა რაც არ უნდა თქვას, ჩემი სიყვარული მაინც ურყევია. მაგრამ განა ნოდარს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარდა... განა მის სიტყვებს დღემდე არ შემორჩა გაცრუებული სიყვარულის სევდა?... რა ვქნა, რა ვიღონო“.

ზაზა ხავსმოკიდებულ ლოდზე ჩამოჯდა და სახე ხელებში დამალა. ასე უმოძრაოდ იჯდა, მერე უცებ ადგა და საათზე დაიხედა.

„ასე მკაცრად არ უნდა მოვპყრობოდი ნოდარს, — გაიფიქრა მან. — ნოდარი რა შუაშია? მან მხოლოდ ის თქვა, რასაც ვრძნობდა და განიცდიდა“.

ზაზა იმავე ბილიკით დაბრუნდა, რომლითაც მოვიდა. მართალია, აღიარა, რომ ნოდარი მასთან არ სტყუოდა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც გადაწყვიტა „სამაგიერო“ გადაეხადა მისთვის.

რატომ?

არ იცოდა. გრძნობდა მხოლოდ, რომ დიდად შეურაცხყოფილი იყო და რადგან მედიკო ძველებურად უყვარდა, მთელი ჯავრი ნოდარზე უნდოდა ეყარა.

„ნოდარს რომ არაფერი ეთქვა, ყველაფერი ძველებურად იქნებოდა“. — ფიქრობდა იგი.

ზაზა გრძნობდა, რომ მართალი არ იყო, მაგრამ ახლა სხვანაირად ფიქრი არ შეეძლო.

ნოდარი დერეფანში რუსუდანს შეეფეთა.

— რას გვალოდინებთ. საუზმე უკვე მზად არის. ზაზა სად არის? ნოდარმა რაღაც ჩაიბუტბუტა.

— იჩხუბეთ?

ნოდარმა არ უპასუხა და სასადილო ოთახში შევიდნენ. ჯანდიერი მაგიდასთან იჯდა და ელოდებოდა.

— ზაზა სად არის? — იკითხა ჯანდიერმა.

— ზაზა? ზაზა ალბათ არ მოვა, — თქვა ნოდარმა.

პროფესორმა რუსუდანს თვალი თვალში გაუყარა. რუსუდანი ისე უაზროდ იქცეოდა, რომ პროფესორი სერიოზულად ჩაფიქრდა. უხმოდ ისაუზმეს. პირველად მაგიდიდან ჯანდიერი ადგა, სურნელოვანი წყლით დაიბანა ხელები და ფიქრებში წასულმა თქვა:

— შუშხუნის ძრავის უკანასკნელი გამოცდის შედეგებს გავეცანი და ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. ახლა უკვე სინამდვილედ იქცა მარსზე გაფრენა. დარწმუნებული ვარ, გაფრენა დანიშნულ დღეს შედგება.

— უკვე გადააქვთ შუშხუნის კორპუსის ნაწილები რაკეტადრომზე და ამონტაჟებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცი, — თქვა ჯანდიერმა და ხელსახოცი მაგიდაზე დადო, — ვწუხვარ მხოლოდ, რომ პირადად ვერ ვღებულობ მონაწილეობას. ექიმები უფლებას არ მაძლევენ. ეჰ, ექიმებს ყურს ვინ დაუგდებდა, რომ თვითონ არ ვგრძნობდე სისუსტეს. ნეტავი სტარტის დღეს მოვესწრებოდე და მერე თუნდა მოვკვდე, აღარ ვიდარდებ.

— ბატონო პროფესორო...

— ვიცი, ვიცი. თქვენი ნება რომ იყოს, მე არასოდეს არ მოვკვდებოდი. მაგრამ, საუბედუროდ, ეს ასე არ არის, ადამიანის სიცოცხლესაც აქვს საზღვარი.

— არაფრის გაგონება არ გვსურს. იცოდეთ, მარსიდან რომ დავბრუნდებით, თუ თქვენ არ შემოგვეგებეთ, უკანვე წავალთ.

ჯანდიერს გაეღიმა.

— კარგია ახალგაზრდობა, კარგი, — თქვა მან, — ახალგაზრდობა იმედით და ოცნებითაა სავსე. ნოდარ, მე შენთან პატარა საუბარი მაქვს.

მამაკაცები ჯანდიერის სამუშაო ოთახში შევიდნენ.

— იცი, რა, — თქვა ჯანდიერმა, როგორც კი კარი მიიხურა, მაგრამ რატომღაც აზრი აღარ დაამთავრა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე ნოდარის პირდაპირ შედგა და სახეში შეხედა.

— ნოდარ, შენ ყოველთვის გჯეროდა ჩემი. ჩემი მუშაობის ყოველ წვრილმანს იცნობ და იცი, რომ რასაც მე ვაკეთებ, მხოლოდ მეცნიერულ მონაცემებს ეყრდნობა.

ნოდარმა თავი დახარა.

—კარგი, კარგი. — თქვა ჯანდიერმა, — ხომ იცი, არასოდეს არ ვყოფილვარ პესიმისტი. არც ახლა მჭირს ეს სენი. ეს არის მხოლოდ, სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ.

ჯანდიერი მაგიდასთან მივიდა, ქაღალდების შეკვრა აიღო და ნოდარს მიაწოდა.

— აი, აქ არის ყველა ის გადაუწყვეტელი პრობლემა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში რომ მაწუხებდა. მე მინდა ის შენი მუშაობის პროგრამად იქცეს და რასაც მე ვერ მივაღწიე, შენ მიაღწიო.

ჯანდიერმა ისევ გაიარ-გამოიარა და ფანჯარასთან მივიდა.

— ხომ იცი, ნოდარ, მე შვილი არ მყავს, მართალია, ყველა ახალგაზრდა ჩემი შვილია. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც შენ მიყვარხარ. ამას შეიძლება არ უნდა ვამბობდე, მაგრამ, დღეს ასეთი სურვილი დამებადა და ეს ერთი ცოდვა უნდა მაპატიო. შეიძლება ეგოიზმი მალაპარაკებს, რადგან შენში ჩემი სიცოცხლის უკვდავებას ვხედავ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარს გული შეეკუმშა.

— არა მე სიკვდილს არ ვაპირებ, — თქვა ჯანდიერმა, — განა შეიძლება მოკვდეს აზრი და სურვილები? მე კი ამ ორი ცნების შერწყმა ვიყავი ყოველთვის.

მერე უცებ მოტრიალდა და ნოდარს დააკვირდა. ნოდარი თავდაღუნული იდგა.

— ნოდარ, — თქვა ჯანდიერმა და ხმა აუკანკალდა, — მე მინდა შენს ქორწინებას მოვესწრო, რადგან ის ჩემი ქორწინებაც უნდა იყოს. არასოდეს არ გაიმეორო ის შეცდომა, რაც მე ახალგაზრდობაში შემთხვევით დავუშვი. ერთი სიტყვა და, ჩემი ბედნიერება სრულყოფილი იქნებოდა. მაგრამ მაშინ მე იმ ერთი სიტყვის თქმა ვერ მოვახერხე. მერე კი გვიან იყო, ძალიან გვიან.

ჯანდიერმა თავი დახარა და დადუმდა.

— ერთი სიტყვით, — თქვა მან, ცოტა ხნის შემდეგ, — უკვე დროა. ზოგიერთი რამ ვიცი. ჯერ კიდევ იქ, მთვარეზე შევნიშნე. ვიცი, რომ შენ გულგრილად არა ხარ განწყობილი რუსუდანის მიმართ. ბევრჯერ მინახიხარ ღამით ფანჯარასთან მდგომი. ასე მხოლოდ შეყვარებულები ოცნებობენ.

ნოდარს ლოყები შეუხურდა.

— რაც შეეხება რუსუდანს, რუსუდანმა ყველაფერი მითხრა.

—ჩვენ უკვე... — ამოილუღლუღა ნოდარმა.

ჯანდიერს სახე გაებადრა.

— მართლა? ოღონდ იცოდე, არ გავალებ, მხოლოდ გთხოვ.

ნოდარი ჯანდიერს მოეხვია.

— მე ადრეც მინდოდა მეთქვა თქვენთვის,—ამბობდა ნოდარი,— მაგრამ... იცით, ბატონო პროფესორო, მარსზე გაფრენა ჩვენი საქორწინო მოგზაურობაც იქნება და მეცნიერული ხასიათის მივლინებაც. ჩვენ ხვალვე მოვაწერთ ხელს.

— ჰო, შვილო, როგორც თქვენი ნებაა. ჩემს ახალგაზრდობაში ადამიანები ევროპაში მიდიოდნენ სამოგზაუროდ, თქვენი სურვილები კი ფანტაზიასავით უსასრულო უნდა იყოს. ახლა წადი და მარტო დამტოვე. მე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო მაქვს.

ნოდარი არ მიდიოდა.

— წადი, წადი, თორემ აკადემიაში დაგაგვიანდება.

ნოდარი კარისაკენ გაემართა.

— კიდევ ერთი თხოვნა მაქვს, — მოესმა ნოდარს და მოტრიალდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზაზას ყურადღება მიაქციე, ის ჯერ ბავშვია. ბევრ შეცდომასაც უშვებს, ალბათ, მაგრამ, გახსოვდეს, მთის ჩანჩქერივით ძლიერი და წყაროს წყალივით წმინდაა.

ნოდარმა თავი დაუქნია და ოთახიდან გავიდა. როგორც კი ნოდარი გავიდა, ჯანდიერმა გულზე იტაცა ხელი, ბარბაცით გავიდა საწოლ ოთახში და ლოგინში ჩაწვა. შეახურა, მერე უცებ შეცივდა და მთელი სხეული გაეყინა.

ნოდარი შეწუხებული გამოვიდა ოთახიდან. მის თვალებს არ შორდებოდა ჯანდიერის გაფითრებული სახე. სასწრაფოდ დარეკა და ექიმი გამოიძახა. მერე ქუდს წამოავლო ხელი.

როგორც კი ნოდარმა მანქანაში რუსუდანის გვერდით დაიკავა ადგილი, ზაზამ თავი ასწია, ერთი კი გადახედა ნოდარს და ისე მაგრად მოიჯახუნა კარი, რომ მძღოლი მოტრიალდა.

ზაზამ რაღაც ბოდიშისმაგვარი თქვა. მანქანა დაიძრა.

„ამას რა ენაღვლება, ერთმა თუ არ გაუმართლა, მეორე მანქანაში უზის, — გაიფიქრა ზაზამ და წარბებს ქვეშიდან გადახედა ნოდარს — ნუთუ ამ ადამიანთან ერთად უნდა გავფრინდე მარსზე?“.

მთელი გზა ხმა არც ერთს არ ამოუღია. ნოდარმა რამდენჯერმე დააპირა ლაპარაკის წამოწყება, მაგრამ ვერ მოახერხა და ბოლოს თავი დაანება.

მთელი დღე იგრძნობოდა დაძაბულობა მეგობრებს შორის. ზაზას გამომწვევად ეჭირა თავი, ჯიუტობდა და ყოველწუთს მოსალოდნელი იყო კონფლიქტი. თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ ნოდარის წყალობით. ის დამნაშავესავით ყველაფერს უთმენდა ზაზას.

რუსუდანმა რამდენჯერმე სცადა მშვიდობა ჩამოეგდო მეგობრებს შორის, მაგრამ ზაზამ ისე მკვახედ უპასუხა, რომ რუსუდანს ასეთი ცდის განმეორების ყოველგვარი სურვილი დაეკარგა. სამაგიეროდ, ბოლმიან გულზე ზაზამ ისე კარგად ჩაატარა ყველა კოსმოსური ვარჯიში, რომ მწვრთნელები განცვიფრებული დარჩნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, ერთად ყოფნის საათები ამოიწურა და მეგობრებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. რუსუდანი და ნოდარი სერგეისთან ავიდნენ. ზაზა ქუჩაში გაიჭრა. გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მედიკო ენახა. ჯერ კიდევ ადრე იყო.

ზაზა მანქანაში ჩაჯდა და საავადმყოფოში შეიარა.

— სამი დღეა, რაც გაეწერა, — უპასუხა მორიგე ექიმმა.

ზაზას ელდა ეცა.

— იქნებ გეშლებათ? — თქვა მან.

მორიგე ექიმი გაწყრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყმაწვილო, ჩვენ არაფერი არ გვეშლება.
— მაშ გაეწერა?
— დიახ.
— სრულიად ჯანმრთელი?
— სრულიად.

ზაზამ მორიგე ექიმი მკლავებში მოიმწყვდია და ისე მაგრად ჩაეკონა, რომ ექიმს კინაღამ გული შეუღონდა.

„გაგიჟდა“, — გაიფიქრა მან, როდესაც დამშვიდდა, მაგრამ ზაზა უკვე სულმოუთქმელად გარბოდა ქუჩაში და მზად იყო ყოველი შემხვედრი დაეკოცნა. თუმცა ხანგრძლივი არ გამოდგა ეს სიხარული. ზაზამ თანდათანობით უკლო ნაბიჯს და ბოლოს გაჩერდა.

„ნუთუ ნოდარი მართალია? — გაიფიქრა მან, — ნუთუ მედიკო მართლა მოღალატეა? სამი დღეა გაეწერა საავადმყოფოდან და ერთხელაც არ ამოვიდა ჩვენთან. თუმცა მე რა, ჯანდიერი მაინც ენახა. ნუთუ?“..

ისევ აემღვრა გონება. როდის მივიდა სახლში, აღარ ახსოვს. ძალიან გვიან იყო. პროფესორის ოთახშიც აღარ ენთო სინათლე. ღვინით დამძიმებული თავი უბრუოდა. სად დალია, რამდენი დალია, არაფერი ახსოვს. ეს მისი პირველი სიმთვრალე იყო და ღვინოც ამიტომ მოეკიდა ასე მაგრად.

ზაზა თავის ოთახში შევიდა. ფანჯარა გამოაღო. გრილი საღამო იყო, ცა ვარსკვლავებით მოჭედილი, გული სიყვარულით დამძიმებული და ზაზა ატირდა. ატირდა უხმოდ და ფანჯრის რაფაზე დაემხო.

ამ დღიდან სამი კვირა გავიდა და ზაზასთვის რომ გეკითხათ, ყველა დღე ერთნაირი იყო, სევდიანი და უფერული. ამ სამ კვირაში ზაზა ისე გამოიცვალა, რომ ძნელი საცნობი გახდა. განერვიულდა. შეკითხვებზე პასუხს არ იძლეოდა. ექიმები ამ ამბავმა საგონებელში ჩააგდო. თუ ასე გაგრძელდებოდა, საჭირო გახდებოდა ზაზას შეცვლა. გაფრენამდის კი მხოლოდ დღეები იყო დარჩენილი. ნოდარმა სცადა გამოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ, ზაზამ ყური არ ათხოვა. ისე გაკადნიერდა, აღარც პროფესორს მოუსმინა წესიერად. მისი ლაპარაკი მეტისმეტად მოსაწყენი ეჩვენა და როგორც კი პროფესორი ლაპარაკს მორჩა, თავისუფლად ამოისუნთქა. გარეთ გამოვიდა და მეორე დღეს ჯანდიერის თქმული აღარცერთი სიტყვა აღარ ახსოვდა.

დღესაც ერთი სული ჰქონდა, როდის გათავდებოდა წვრთნა.

ნოდარს ძველებურად აღარ უღრენდა. რუსუდანსაც აღირსა ერთი-ორჯერ წესიერი პასუხი და უნდა გენახათ, როგორ გაუხარდა ეს ნოდარს. იგი მზად იყო ყველაფერი დაევიწყებინა, ოღონდ ამ მართალი კაცის გული მოეგო და ძველი ურთიერთობა აღედგინა. მაგრამ ზაზა ძველებურად გაურბოდა მასთან საუბარს, დიდხანს არ უჩერდებოდა. თუმცა გულში ძველი წყენა აღარ ედო. ძველებურად კეთილი გახდა. მაგრამ რატომღაც ამ ბოლო დროს ამ კეთილშობილი გრძნობის გამომჟღავნებას შეგნებულად ერიდებოდა.

წვრთნა დამთავრდა. ნოდარი და რუსუდანი ჩვეულებისამებრ ზევით ავიდნენ. უკანასკნელი სამზადისი მიმდინარეობდა. ყველაფერს თავიდან ამოწმებდნენ. უბრალო დეტალსაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა. სერგეი სახლში აღარ მიდიოდა. იქვე სამუშაო ოთახში ჰქონდა ლოგინი გაშლილი და როდესაც თვალის ქუთუთოებს ვეღარ იმორჩილებდა, მხოლოდ მაშინ წვებოდა დასაძინებლად. იგი ახლაც მაგიდასთან იჯდა და მთავრობისათვის ექსპედიციის მომზადების ანგარიშს წერდა.

ზაზა ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ერთი წუთით კოსმონავტიკის კაბინეტში შეიარა და ისევ დერეფანში გამოვიდა.

— ზაზა, — გაისმა დერეფანში ნაცნობი ხმა.

ზაზა შედგა. დერეფნის ბოლოს კახიძე იდგა და ოფლს იწმენდდა.

— აი, შეხვედრაც ამას ჰქვია. მე კი მეგონა, ისე გავფრინდებოდით მარსზე, რომ ვეღარ გნახავდი, — თქვა ზაზამ და ვახტანგს ხელი ჩამოართვა.

— ეგ არ მოხდებოდა. ასეთ ბედნიერ დღეს მე არ დავაკლდებოდი.

— ისე როგორა ხარ?

— გმადლობთ, კარგად.

— ვარჯიშობ?

— დიახ.

— ძნელია?

ზაზამ გაუღიმა.

— ახლა რაღა დროს ამაზე ლაპარაკი, ოთხ დღეში გავფრინდებით. შენ სად იყავი, რატომ არ ჩანდი?

— ხომ იცი, საქმეები...

— ვიცი, ვიცი. ალბათ ისევ შეიპყარით ვინმე.

— ეს ათასში ერთხელ ხდება. ახლა ამასაც მოეღო ბოლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ მორჩით?

— სულ.

ზაზას უნდოდა მედიკოზე ეკითხა რამე, მაგრამ იმის შიშით, რომ ვახტანგს ცუდი არაფერი ეთქვა, თავი შეიკავა. ვახტანგმა მკლავი გამოსდო და ძველი ნაცნობები ლაპარაკით გავიდნენ მთავარ დარბაზში. აქ ვახტანგი შედგა, ჯიბიდან ბარათი ამოიღო და ზაზას გაუწოდა.

— გამომართვი, გაგიხარდება.

ზაზამ ბარათი ჩამოართვა და კონვერტს დახედა. კონვერტზე არაფერი ეწერა და ზაზამ ბარათის შენახვა დააპირა.

— არა, ჩემი თანდასწრებით წაიკითხე, — არ დაანება ვახტანგმა.

ზაზამ კონვერტიდან ბარათი ამოიღო და კითხვა დაიწყო. რაც უფრო მეტს კითხულობდა, მით უფრო ეკარგებოდა სახეზე ფერი. რამდენჯერმე შუბლი მოისრისა და რომ არ წაქცეულიყო, ზურგით კედელს მიეყრდნო. ხელები უკანკალებდა, ბარათი თრთოდა:

„...მე მინდა ამ სტრიქონებს მიღმა წაიკითხოთ ის, რისი დაწერაც ვერ მოვახერხე. ვახტანგმა ყველაფერი მითხრა და ამან მეტი გამბედაობა მომცა. ვიცი, რომ თქვენ ჩემზე ფიქრობთ. იქნებ ისეც მოხდეს, რომ ჩვენ ერთად ვიფიქროთ. ალბათ გაგიკვირდებათ ჩემი სითამამე. რას იზამთ, მე ასეთი ბუნების ადამიანი ვარ. იქნებ შეხვედრისას უსიტყვოდ მოვახერხოთ რამის თქმა. ვნახოთ, ეს დღეც არ არის შორს. მე ალბათ მალე ჩამოვალ, ყოველ შემთხვევაში, გაფრენის დღეს მაინც ვიქნები მანდ...“

ზაზამ ბარათი ბოლომდის ჩაიკითხა. მერე თავიდან დაიწყო, მაგრამ ასოები ერთმანეთში აერია. სტრიქონები ხტოდნენ. ბარათმა შინაარსი დაკარგა. მაინც ჩააყოლა თვალი ბოლომდე, მერე ისევ თავიდან დაიწყო და რადგან მაინც ვერ გაარჩია ასოები, ვახტანგს შეეკითხა:

— ეს მედიკოს წერილია?

ვახტანგმა თავი დაუქნია.

ზაზა კანკალმა აიტანა.

— ხომ არაფერი გეშლება? არა, ეს არ არის მართალი, შენ რაღაცას მატყუებ.

— არც მიფიქრია.

ზაზამ ისევ გადაავლო თვალი წერილს და უცებ ეჭვი შეეპარა.

— იქნებ ეს ის მედიკო არ არის? — თქვა მან.

— ის არის. მედიკო პირადად მელაპარაკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა სად არის?

— მოსკოვში, გაფრენის დღეს ალბათ ჩამოვა.

ზაზა უცებ მოიღუშა. დიდი ხანია უნდოდა ეკითხა ვახტანგისთვის, მაგრამ ვერ ბედავდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა:

— მაშ მედიკო მოლალატე არ ყოფილა?

ვახტანგს გაეღიმა.

— პირიქით, ზაზა, პირიქით. იგი ვაუკაცივით ემსახურა სამშობლოს!

ზაზას ისტერიული სიცილი აუვარდა. მერე ვახტანგი ხელში აიტაცა, დაატრიალა და გაბრუებული კედელთან მიაგდო.

— აი, მადლობის გადახდაც ასეთი უნდა, — ჩაიბუტბუტა ვახტანგმა და ზაზას გააყოლა თვალი. ზაზას ვახტანგის საყვედური არ გაუგია. კიბეებზე არბოდა. ისე დაიბნა, ლიფტში დაჯდომა დაავიწყდა და ხტუნვა-ხტუნვით აირბინა მეცხრე სართულამდის. აქ კი უმტყუნა ღონემ. კიბეზე ჩამოჯდა, სული მოიბრუნა და ისევ გაიქცა. დერეფანი გაირბინა, კარის სახელური მოსწია და ქარიშხალივით შეიჭრა ოთახში.

— რა მოგვიდა! — გაოცებით იყვირა ნოდარმა და ზაზასკენ გაექანა.

ზაზას ადამიანის ფერი აღარ ედო. კარგა ხანს ვერ მოახერხა სიტყვის ამოღება. ბოლოს ცოტათი მოსულიერდა და დამარცვლით ძლივს ამოღარღნა:

— აჰა, წაიკითხე, — თქვა მან და ნოდარს ბარათი მიაწოდა.

ნოდარმა ბარათს დახედა და იმ წუთში იცნო მედიკოს ხელი. სწრაფად ჩაიკითხა წერილი ბოლომდის და ახლა უფრო დამშვიდებით დაიწყო თავიდან კითხვა. პირველად კარგად ვერ გაიგო ბარათის შინაარსი, მეორედ წაკითხვისას ყველაფერს მიხვდა და მხოლოდ ახლა იგრძნო, რა უღმერთოდ შეცდა მედიკოს შეფასებაში, როგორ შეიყვანა სხვა შეცდომაში და...

ნოდარს მწარედ გაეღიმა.

— მე კი სულელმა... — ჩაიდუდუნა მან.

— იმიტომ რომ არ გიყვარდა. მე არასოდეს არ დავიჯერებდი. სული ამიფორიაქა შენმა სიტყვებმა, მხოლოდ სული და სხვა არაფერი.

— სწორი ხარ, სწორი, — დაეთანხმა ნოდარი და სკამზე ჩამოჯდა.

— რა მოხდა? — იკითხა ოთახში შემოსულმა რუსუდანმა.

— არაფერი, — თქვა ნოდარმა და სკამის ზურგს მიესვენა.

ნოდარი კარგა ხანს იჯდა გაუნძრეველად. მერე უცებ ფეხზე ადგა და ზაზას გაულიმა. ხმაურზე ოთახში სერგეიც შემოვიდა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

— ისეთი არაფერი, — თქვა ნოდარმა, — ზაზასთან მე პატარა სათხოვარი მაქვს. ცალკე ვეტყოდი, მაგრამ მეშინია არ გამაწბილოს და ამისათვის გადავწყვიტე ხალხში ვუთხრა.

ზაზა უცებ მოიღუშა.

„ალბათ მთხოვს, რომ ხელი ავიღო მედიკოზე", — გაიფიქრა ზაზამ.

— შენ იცი, ჩემო ზაზა, — თქვა ნოდარმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — შენ რა, დღეს ყველამ იცის... ერთი სიტყვით, ჩვენ ხვალ ხელს ვაწერთ და მე მინდა, შენ ჩემი მეჯვარე იყო. თანახმა ხარ?

ზაზამ თვალები დაახამხამა.

— მერე ღირდა ამისათვის ასეთი აყალმაყალის ატეხვა, — თქვა სერგეიმ, — მე მეგონა... თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, რას ჩამოგიშვიათ ცხვირი. მხიარულად, უფრო მხიარულად!

— მაპატიე, — თქვა ზაზამ და ძველი მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

მეორე დღეს რუსუდანმა და ნოდარმა ხელი მოაწერეს. ზაზამ ყვავილების დიდი თაიგული მიართვა ახლად შეუღლებულებს. რუსუდანს ორი ხელით ძლივს ეჭირა ყვავილების შეკვრა და დაცვარულ ვარდებს შორის პეპელასავით ჩანდა.

წვეულება ჯანდიერის ბინაზე გადაიხადეს. მოხუცი ისე გაახარა ამ ამბავმა, რომ ავადმყოფობა გადაავიწყდა.

სალამოს წნევამ აუწია და ცუდად გახდა. კინალამ ჩაშხამდათ ბედნიერება. იყო წუთები, როდესაც პროფესორის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ექიმების მეცადინეობამ უქმად არ ჩაიარა და თანდათან ჯანდიერს გამოკეთება დაეტყო. გათენებისას ჩაეძინა კიდეც-დანარჩენებიც ცოტა ხნით მიწვნენ.

არ დაეძინა მხოლოდ ზაზას. მან ერთ ხანს ლოგინში იწრიალა, მერე ადგა, ჩაიცვა და ეზოში გავიდა. შორს ქვევით, ტაფობში გაშლილ ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა. ცად აზიდული სახლები ფეხზე დამდგარი თვლემდნენ. მამადავითზე ობოლი ელნათური ბჟუტავდა. ფუნიკულიორს თხელი ბურუსი შემოხვეოდა და სატელევიზიო ანძა ჩონჩხივით ჩანდა გაცრეცილ ნისლში. ზაზა პირველად როდი ხედავდა ამ სურათს, მაგრამ დღეს მას განსაკუთრებით მოსწონდა. უყურებდა და თვალს ვერ აშორებდა დღისა და ღამის ჭიდილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც სადღაც შორს, აღმოსავლეთით ჰორიზონტზე დაიწყო და თანდათანობით მთელ ცას ედებოდა.

გრილოდა.

ზაზა თავის საყვარელ ადგილას ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა. მისი გონება არ მუშაობდა. ასე ეგონა, თორემ სინამდვილეში ასეთი დატვირთვით ადამიანის გონება ძლიერ იშვიათად მუშაობს. აზრები ზღაპრული სიჩქარით დაქროდნენ თავში და გონება მის აღქმას ვერ ასწრებდა. იქმნებოდა რაღაც სიცარიელე განცდასა და აღქმას შორის და ზაზა ძლიერ წუხდა, რომ ასეთ სასიხარულო დღეს მედიკოზე ფიქრს ვერ ახერხებდა. რაც უფრო მეტს ცდილობდა ეფიქრა, მით უფრო არაფერი გამოდიოდა, ბრაზობდა.

ინათა.

მზემ ჯერ მთის კენწეროები გაანათა, მერე მათ კალთებზე დაგორდა და სულ ბოლოს ქალაქში ჩაიხედა. საოცარია, რაღაც ნახევარი საათის უკან სულ სხვა სანახაობა იყო გადაშლილი ზაზას წინ, ახლა კი სულ სხვა. სინამდვილეში ხომ არაფერი არ შეცვლილა. ისევ ის ქალაქი, ისევ ის მამადავითი, ფუნიკულიორი, აწოწილი სახლები და მთები. ირგვლივ, საითაც არ გაიხედავდით, ყველგან მთები იყო.

ზაზა განცვიფრებული უყურებდა შუქ-ჩრდილების ჯადოქრულ თამაშს და გრძნობდა, როგორ იცვლებოდა ქალაქი მის თვალწინ. იცვლებოდა ისე, როგორც ზღაპრებში წერია ხოლმე. ყოველ წუთს, ყოველ წამს. გაღვიძებული ბუნება მოძრაობდა. ტოკავდა, სუნთქავდა და ხმაურობდა. ჩიტები მზეს დილის საგალობელს უმღეროდნენ და მძივებად მიმობნეულ ნამში იბანდნენ ტანს.

ზაზამ თვალები დახუჭა. განძრევის ეშინოდა. ეშინოდა არ დაერღვია ეს ზეადამიანური ბედნიერება. იდგა თვალებდახუჭული და ყველაფერს ხედავდა. ხედავდა თვალნათლივ, ისე, როგორც თვალახილული ადამიანი. მერე თანდათანობით ბურუსში გაეხვია და ოცნება დაეუფლა.

კოსმოსის შავი სივრცე. შუშხუნა. ზაზა ფოტოაპარატს უზის და თუმცა დედამიწა წერტილისოდენა ჩანს, ფოტოაპარატის ობიექტივი მაინც გარკვევით ხედავს მას. ფოტოფირზე კადრი კადრს ცვლის. შუშხუნა კოსმოსური სიჩქარით ჰიექანება დედამიწისაკენ. ვახტისაგან თავისუფალი კოსმონავტები სალონში სხედან და ათას წვრილმანს იგონებენ უკვე განვლილი ცხოვრების ეპიზოდებიდან. მარსის პლანეტა უკან დარჩა. შუშხუნა დედამიწის ატმოსფეროში შეიჭრა და თანდათანობით დაიწყო დამუხრუჭება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ერთი-ორი წრე გააკეთა დედამიწის გარშემო და, ილუმინატორებს ქვემოთ კონტინენტების ნაცნობმა კონტურებმა გაიელვეს. მერე ყველაფერი მიწამ დაფარა. შუშხუნა რაკეტადრომს მიუახლოვდა. კაპიტანმა დანიშულ ადგილას დასვა კოსმოსური გიგანტი, ყველანი ილუმინატორებს მიცვივდნენ.

— დედამიწა, დედამიწა! — ყვიროდნენ ისინი.

ხალხი წარლვნასავით მოიჩქაროდა შუშხუნისაკენ. უკვე გარკვევით ჩანან ადამიანები, ისინი რაღაცას ყვირიან და ხელებს იქნევენ. შუშხუნის კარი ამოიხრახნა. კაბინები ახალმა ყვირილმა შეძრა.

— ჟანგბადი! ჟანგბადი! — ყვიროდნენ კოსმონავტები. იცინოდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ.

აი, მოადგეს კიბე. ზაზა პირველი ეცა კარს და ქვევით გადაიხედა. თავბრუ დაეხვა. ქვევით ხალხი იდგა და პურის ყანასავით ირწეოდა. ზაზამ მაინც შენიშნა ის, ვისაც ეძებდა.

— მედიკო! — იყვირა მან და მეტეორივით დაეშვა კიბეზე...

„მერე, მერე“, — ფიქროობდა ზაზა, მაგრამ ფიქრის გაგრძელება ველარ მოახერხა. ყველაზე საინტერესო ადგილას უმტყუნა ფანტაზიამ. ზაზამ თვალები გაახილა. ზმანება გაქრა. ზაზა ძველებურად იჯდა წყაროსთან. მის წინ მზის შუქში ნაბანი ქალაქი ჩანდა. სადღაც სულ ახლოს ლანდივით გაირბინა მანქანამ. მტრედები ფარფატით აიშალნენ და ახლა მზის სხივზე ლივლივებდნენ. ერთი მტრედი გუნდს გამოეყო. ზევით, სულ ზევით ავიდა, რამდენჯერმე ამოტრიალდა და უცებ ქვასავით წამოვიდა ქვევით.

სახლის კარი ხმაურით გაიღო. ზაზა ასე დილაადრიანად არავის ელოდა და შეკრთა. მოტრიალდა.

ნოდარი იდგა და იზმორებოდა.

— შენ რა, წუხელ არ გეძინა? — იკითხა ნოდარმა და წყაროს წყალი პეშვით სახეზე შეისხა.

—არ დამეძინა, შენ რაღამ წამოგაგდო ასე დილაადრიანად?

— გულმა ალარ მომითმინა. შეხედე, რა დილაა! ასეთ ცას ჩვენ დიდხანს ველარ ვნახავთ. მარსის ცა შავი და უღიმღამო იქნება.

— არც აქ არის ყოველთვის ასეთი ცა.

ნოდარმა ქვევიდან ახედა ზაზას, მაგრამ არაფერი უპასუხა და ისევ შეისხა სახეზე წყალი.

— დალოცვილი წყაროა, — თქვა მან. წელში გაიმართა და სახის შემშრალებას შეუდგა.

— კარგია, — დაეთანხმა ზაზა.

კარგა ხანს სდუმდნენ. ნოდარმა სახე შეიმშრალა და პირსახოცი

წელზე შემოიხვია. ფრთხილად დააგო ზაზას მხარზე ხელი. ზაზა მოტრიალდა.

— ძალიან გიყვარს?

ზაზამ თავი დაუქნია.

— მე კი სულელმა რა არ გითხარი. მაგრამ იცოდე, ბოროტებით არ მომსვლია.

— ვიცი, — მიუგო ზაზამ.

— ან როგორ ვიფიქრებდი, რომ მედიკო ასეთ რამეს შეძლებდა. იქ, მტრის ბუნაგში, მტრად ჩავთვალე და... მაპატიე, ზაზა. კარგად ვიცი, როგორი ძნელია, მაგრამ...

— რა საჭიროა, ნოდარ. შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს თავს იმართლებდე.

— თავს არა, მაგრამ...

ზაზას გაეღიმა.

— ვიცი, ვიცი, მე ყველაფერი ვიცი და ამის შესახებ, ძალიან გთხოვ, მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ. რა საჭიროა? ის, რაც უკვე მოხდა, წარსულს ჩაბარდა. უკეთესია, შენ ის მითხრა, ექიმებმა რა თქვეს, ნუთუ პროფესორი მართლა ასე ცუდად არის?

ნოდარმა მხრები აიჩეჩა.

— აბა, რა ვიცი. სატკივარი არაფერი აწუხებს. ეს არის, წნევა არ აძლევს მოსვენებას.

ზაზამ ღრმად ამოისუნთქა.

— შენ აქ დარჩები, თუ წამოხვალ? — შეეკითხა ნოდარი.

— წამოვალ.

მეგობრები ლაპარაკით შევიდნენ სახლში. რუსუდანი ამდგარი დახვდათ. სუფრის გაშლა უკვე მოესწრო და მათ გამოჩენას ელოდებოდა. სწრაფად ისაუზმეს. მერე ადგნენ და სათითაოდ შეიჭყიტეს პროფესორის ოთახში.

ჯანდიერს მშვიდად ეძინა.

მანქანას აღარ დაელოდნენ და ფეხით გაუყვნენ გზას.

*

* *

გაფრენა დილის ხუთი საათისათვის იყო დანიშნული და ორი დღით ადრე პრესაში გამოაცხადეს. ურიცხვი ხალხი მოაწყდა იმ დღეებში საქართველოს დედაქალაქს. ვერცერთ სასტუმროში ვერ იპოვიდით თავისუფალ ნომერს და ტურისტებს სტუმართმოყვარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველმა ხალხმა საკუთარი ოჯახის კარი გაუღო. მოდიოდნენ და მოდიოდნენ სტუმრები.

სამი საათი შესრულდა. ნოდარმა და ზაზამ ერთმანეთს გადახედეს. ადგნენ და გარეთ გამოვიდნენ. რუსუდანი უკან გაჰყვა. დანარჩენებმა თვალი გააყოლეს, მაგრამ სიტყვა არ უთქვამთ.

— მალე დავტოვებთ დედამიწას, — თქვა ნოდარმა.

ზაზამ ამოიოხრა. რუსუდანმა რაღაც თქვა, მაგრამ ზაზამ სიტყვები ვერ გაარჩია. შენობიდან დანარჩენი კოსმონავტები გამოვიდნენ.

— მოიცათ, ჩვენც გვინდა გამოვემშვიდობოთ, —დაიძახა ირეამ.

ნოდარი შეიდგა.

ირეი პირველი მივიდა მასთან.

— ჩვენ გვეგონა, რომ პროფესორი რაკეტადრომზე მოვიდოდა გასაცილებლად.

— არა მგონია, ექიმები ნებას არ დართავენ. შიშობენ, გაფრენის დროს არ ინერვიულოსო. ვინ იცის...

— ახლა რომ მივიდეთ, ცუდი ხომ არ იქნება?

— ახლა ალბათ სძინავს, მაგრამ ჩვენ გვინდოდა გაფრენის წინ ერთხელ კიდევ შეგვეხედა მისთვის, მხოლოდ შეგვეხედა, სხვა არაფერი.

— რაღას ვუდგეგვართ, წავიდეთ, — თქვა ირეამ.

კოსმონავტები მანქანებში ჩასხდნენ და ათი წუთის შემდეგ ჯანდიერის ბინაზე იყვნენ. ეზოში სერგეი გამოეგებათ. სერგეის უკან ექიმი იდგა. ზაზას ფერი ეცვალა.

— ხომ მშვიდობაა? — იკითხა ნოდარმა.

— ცუდად იყო.

— ახლა როგორ არის?

— ახლა სძინავს, წამალი ექვს საათს იმოქმედებს, მერე ვნახოთ. ალბათ კიდევ ვიღონებთ რამეს.

— ნახვა შეიძლება?

ზაზა პასუხს აღარ დაელოდა, ისე გაძვრა სერგეისა და ექიმს შორის და პროფესორის ოთახში შეიჭრა.

ჯანდიერს მშვიდად ეძინა.

ცოტა ხნის შემდეგ რუსუდანი და ნოდარიც შემოვიდნენ. თავდახრილები დასხდნენ. სიტყვის თქმის ეშინოდათ, ვაითუ, ნებისყოფამ გვიმტყუნოს და თავი ვეღარ შევიკავოთო. დრო სწრაფად გარბოდა.

— წასვლის წინ დავილოცოთ, — თქვა ნოდარმა და ადგა. — მხიარულად, უფრო მხიარულად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარი ცოტა ხნით გავიდა და მალე უკანვე დაბრუნდა. ოთხი ჭიქა მაგიდაზე დადგა და ღვინით შეავსო. პური და ყველი თეფშზე დადო და ჭიქა ხელში აიღო.

— ჩვენ ახლა სამადლობელს ვამბობთ, — თქვა ნოდარმა, — მაგრამ ღმერთი არ გაგიწყრეთ და ღვინო არ დალიოთ. ჩვენ წილ ღვინოს მე ცალკე შევინახავ და როცა დავბრუნდებით, მაშინ დავლევთ. ახლა მადლობა გადავუხადოთ ჩვენს მოხუცს.

ყველანი ფეხზე ადგნენ. ჯერ პროფესორს შეხედეს, მერე ერთმანეთს და ღვინით სავსე ჭიქები ტუჩებთან მიიტანეს. ზაზამ ერთი ყლუპი მაინც მოსვა.

ნოდარმა სავსე ჭიქები ცარიელ ბოთლში ჩაცალა. საცობი დაახურა და იქვე საწოლ ოთახში დამალა.

— წავიდეთ! — თქვა მან.

ზაზა, რუსუდანი და ნოდარი სწრაფად გამოვიდნენ ოთახიდან. სერგეი მანქანაში იჯდა და ელოდებოდა.

ჯანდიერთან ექიმი დარჩა.

ოთხის ნახევრისათვის კოსმონავტებმა რაკეტადრომისაკენ გასწიეს. ზაზა რუსუდანსა და ნოდარს შორის იჯდა და ყურადღებას არ აქცევდა სერგეის ლაპარაკს. იგი ფიქრებით იყო გართული და სულ სხვა დარდი აწუხებდა.

„მედიკო, ნუთუ მედიკოს ველარ ვნახავ, ისე გავფრინდები? — ფიქრობდა იგი, — ნუთუ დღეს მაინც არ ჩამოვა? იქნებ ჩამოვიდა და მელოდება?“

მაგრამ ზაზას იმედები არ გაუმართლდა. მედიკო რაკეტადრომზე არ დახვდა. კოსმონავტებმა უკანასკნელად გაარეს საექიმო შემოწმება და ჩაცმა დაიწყეს.

ზაზა არ ჩქარობდა, მას მხოლოდ შიგნითა ტანსაცმელი ეცვა. როდესაც ჩაიცვეს, სასაცილო შესახედნი იყვნენ კოსმონავტები ამ უჩვეულო ტანსაცმელში, გაბერილნი კარიკატურებს ჰგავდნენ. ტანთან შედარებით თავი ისე პატარა ჩანდა, რომ ზაზას ძალაუნებურად გაეღიმა. სერგეი პირადად ხელმძღვანელობდა მათ მორთვა-მოკაზმვას. ბოლოს, როდესაც ზაზამაც ჩაიცვა და ყველანი მზად იყვნენ, სათითაოდ გამოვიდნენ გასახდელიდან.

კოსმონავტები ძლივს მიიკვლევდნენ გზას ხალხის ტალღაში. აქეთ-იქიდან ისმოდა შეძახილები, სიცილი და ყვირილი. ვეებერთელა შინდორი გუგუნებდა. ზაზა გაფაციცებით ეძებდა ამ ზღვა ხალხში მედიკოს.

კოსმონავტები სახელდახელოდ აღმართულ ტრიბუნაზე ადიოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ. „იქნებ აქ იყოს?“ — გაიფიქრა ზაზამ, მაგრამ ამაოდ. მედიკო არც აქ იყო. ტრიბუნაზე ზაზას ხელს ართმევდნენ, ისიც იღიმებოდა და რაღაცას პასუხობდა. მერე ბევრჯერ უფიქრია და ცდილა მოეგონებინა, რას ეკითხებოდნენ და რას პასუხობდა მაშინ, მაგრამ ვერ მოიგონა. ზაზამ ხელი გაჰკრა კახიძეს და ჩურჩულით უთხრა:

— მედიკო არ ჩანს. ნუთუ არ მოვა?

— მოვა, აუცილებლად მოვა, — ანუგეშა ვახტანგმა.

— როდის?

— საცაა გაჩნდება. თვითმფრინავი უკვე გამოფრინდა მოსკოვიდან.

ზაზამ ხალხს გადააავლო თვალი. სერგეი სობოლევი სიტყვას ამთავრებდა. მერე ტაშმა იგრიალა. საპასუხო სიტყვით ექსპედიციის უფროსი გამოვიდა. იგი ლაპარაკობდა სწრაფად და გარკვევით. ზაზა მაინც ვერ არჩევდა სიტყვებს. აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. რამდენჯერმე ვიღაცა მედიკოს მიამსგავსა და კინაღამ იყვირა.

„ნუთუ ვერ მოგვისწრებს, ნუთუ?“ — ფიქრობდა იგი.

საზეიმო ნაწილი დამთავრდა. დაიწყო გამომშვიდობება. მინდორი ისევ აგუგუნდა. ზაზას ეხვეოდნენ და კოცნიდნენ. ისიც კოცნიდა, მაგრამ ვის, არ იცოდა. ყველაფერს ანგარიშმიუცემლად აკეთებდა. კოსმონავტებმა თაიგულები დაშალეს და ხალხის მორთმეული ყვავილები ხალხშივე ისროლეს. ბოლოს ზაზამაც მოისაზრა და ყვავილები ხალხში მიმოაბნია, მხოლოდ ერთი ყვავილი დაიტოვა სახსოვრად და სათუთად შეინახა გულის ჯიბეში. ისევ ხვევნა-კოცნა და გამამხნევებელი სიტყვები.

„მედიკო, ნუთუ მედიკო...“ — ფიქრობდა ზაზა.

მერე ადამიანების ცოცხალი დერეფანი. კოსმონავტები ერთ რიგად მიდიოდნენ აღტაცებული ხალხის ძახილში. ასე მიაცილა ისინი ხალხმა მავთულხლართების ღობემდის. ღობეს იქით მანქანები იდგა. კოსმონავტები სათითაოდ გაძვრნენ ვიწრო კარში და მანქანებში ჩასხდნენ. სულ ცხრა კაცი გავიდა ღობის იქით. მხოლოდ ისინი, ვინც მარსზე უნდა გაფრენილიყო.

მანქანები დაიძრნენ.

ზაზამ უკანასკნელად მოიხედა უკან.

„ნუთუ არ მოვიდა?“ — გაიფიქრა მან და სკამზე გასწორდა.

მანქანა მთელი სისწრაფით მიქროდა.

შუშხუნა, მავთულხლართებით შემოღობილი მინდვრის შუაში იდგა. იგი ზაზას თვალწინ იზრდებოდა, დიდდებოდა და ბოლოს მთელი ჰორიზონტი დაფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანები გაჩერდნენ. ხალხის გუგუნის ხმა ძლივს აღწევდა შუშხუნამდე. კოსმონავტები მანქანებიდან ჩამოვიდნენ და შუშხუნაზე მიდგმულ კიბეზე დაიწყეს ასვლა. ზაზა მძიმე-მძიმედ ადგამდა ფეხს რკინის კიბეზე და წამდაუწუმ ხალხისკენ იყურებოდა.

„იქნებ?..“ — გაიფიქრა მან, მაგრამ ხალხი აქედან წერტილებივით ჩანდა. ზაზა უკანასკნელი ავიდა შუშხუნაში და ილუმინატორს ეცა. მრგვალი კარი ნელ-ნელა ჩაიხრახნა. მიდგმული კიბე უკან გაგორდა.

— ადგილებზე! — გაისმა ბრძანება.

„არ მოვიდა“, — დაასკვნა ზაზამ და მისთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა.

სწორედ ამ დროს რაკეტადრომს მსუბუქი მანქანა მოადგა. მანქანიდან მკვირცხლად გადმოხტა ახალგაზრდა ქალი და ხალხს შეერია. მედიკო ძლივს მიიკვლევდა შეტბორებულ ხალხში გზას.

— გაფრენამდის დარჩა სამი წუთი, — გამოაცხადა ადგილობრივმა დიქტორმა.

ყველამ საათზე დაიხედა.

მედიკომ გაიბრძოლა, მაგრამ რამდენიმე მეტრით ძლივს მოახერხა წინ გაწევა.

„ორი წუთი“...

მედიკოს სისხლი მოაწვა სახეზე.

„იქნებ თვალი მაინც მოვკრა?“ — გაიფიქრა მან და...

„ერთი წუთი,“ — გამოაცხადა დიქტორმა.

მერე მედიკოს კარგად აღარ ახსოვს, რა მოხდა.

ხალხის ვაშას ძახილმა და შუშხუნის გრუხუნმა არემარე შეძრა.

მედიკოს მუხლებმა უმტყუნეს, კინაღამ იქვე ჩაიკეცა, მაგრამ ვიღაცის მძლავრმა ხელებმა შეაკავეს იგი.

— გამაგრდი და უყურე, — უთხრა ვახტანგმა მედიკოს და შუშხუნაზე მიუთითა.

შუშხუნა ჯერ თეთრ კვამლში გაეხვია, მერე თანდათანობით კვამლს შუშხუნის თეთრად მბზინავი კორპუსი გამოეყო, კვამლის თეთრი ზოლი უკან გამოიბა და ერთი წუთის შემდეგ უძირო ცის სილურჯეში გაუჩინარდა.

მედიკო ვახტანგს მოეხვია და ბავშვივით ატირდა.

ჯანდიერი ალბათ ერთადერთი კაცი იყო მთელ მსოფლიოში, რომელმაც ვერ მოისმინა და ვერ ნახა ეს ისტორიული სტარტი.

მას მშვიდად ეძინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ეპილოგი

ამ დღიდან მოყოლებული ჯანდიერს საგრძნობლად დაეტყო გამოკეთება. აი, ახლაც, სტარტიდან ერთი კვირის შემდეგ ის და მედიკო მიმღებთან ისხდნენ და მარსიდან ცნობას ელოდებოდნენ. მალე ეს ცნობაც გადმოსცა მთვარის რეპატრანსლაციო სადგურმა. ცნობა ლაკონიური იყო, მაგრამ პროფესორის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. აი, ეს ცნობაც:

— ლაპარაკობს მთვარე, ლაპარაკობს მთვარე. ჩვენ სულ ახლახან მივიღეთ მარსიდან ცნობა. მოისმინეთ, მოისმინეთ. გადმოგცემთ სრულ ტექსტს:

„დედამიწას! — ასე იწყებოდა ცნობა, — ამა წლის ოცდაშვიდ სექტემბერს, თექვსმეტ საათზე და ხუთ წუთზე მარსის დროით შუშხუნა მშვიდობიანად დაეშვა პლანეტა მარსზე, „დიდი არხის“ რაიონში. ჰორიზონტზე ცეცხლის ზოლს ვხედავთ. ხვალ პირველად ვაპირებთ შუშხუნიდან გასვლას, უკვე შევადგინეთ გეგმა. ეკიპაჟი კარგად გრძნობს თავს. ჩვენი გადმოცემები მოისმინეთ ყოველდღე ამავე საათებში. შუშხუნა „XX საუკუნე“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინაარსი

ოკეანის გაღმა . . . . . 3
შუშხუნა კოსმოსში . . . . . 6
პირველი დაბრკოლება . . . . . 14
საზღვარზე . . . . . 18
გზაში . . . . . 28
საიდუმლო ხვრელი . . . . . 37
გენერალ ალექსეევთან . . . . . 42
გამოქვაბულის ტყვეობაში . . . . . 47
კრატერში . . . . . 52
ოპერაციის წინა დღე . . . . . 65
„მარსელი“ . . . . . 70
სახლი № 40 . . . . . 78
უცნაური თევზი . . . . . 85
განგაში . . . . . 97
დაკითხვა . . . . . 104
პირველად თბილისში . . . . . 118
კოსმონავტიკის ინსტიტუტში . . . . . 125
გაცრუებული იმედები . . . . . 141
არაოფიციალური თათბირი . . . . . 160
მისტერ ო'ბრაინი . . . . . 173
საავადმყოფოში . . . . . 182
სტარტი . . . . . 194
ეპილოგი . . . . . 213

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი გ. შატბერაშვილი
მხატვარი შ. დოლიძე
მხატვ. რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექრედაქტორი რ. მელაძე
კორექტორი ე. ჯიქია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XII-61. ანაწყობის ზომა 6×10.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16. ნაბეჭდი თაბახი 13,5.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.84.
უე 00415. ტირაჟი 5000. შეკ. № 1074.
**ფასი 50 კაპ.**

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის № 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Садрадзе Отар Никифорович

Письмо с Марса

(На грузинском языке)

Художник Ш. Долидзе

Детюниздат Грузинской ССР
„Накадули“
Тбилиси
1962

ეროვნული
ბიბლიოთეკა